

ბაზრობა



ქეთევან

სახლის

ქალი

დინასტიის

ჰიჯერაჲ ამეჩიკაში!

ლეგენდარული კომპოზიტორი ალან ბოუტინი-სიუნიუ

13 ივნისს, შაბათს, საღამოს 7 საათზე



ცოცხალ
ბუნდთან
ერთად

**სანსკამლემ
ტურა**

ბილეთები
\$50- \$250

ლეგენდარული
დაჯი
ანსკამლემ

ანსკამლემ

MARK ETESS ARENA, TRUMP TAJ MAHAL, ATLANTIC CITY

www.TicketsNY.com; www.RussianNY.com

Call: 718-934-1819; 718-375-0257; 718-897-4500

ჟურნალის ეს ნომერი იბეჭდება
ბატონ **რამაზ გოცირიძისა** და
ქალბატონ **მარინა სანაძის**
უშუალო თანადგომით

- 4** ჩამოვალ, დედი!
გილოცავთ დედის დღეს!
- 5** სარმლაქტორო
ასე გრძელი, გრძელი სათაური
- 11** საქართველო, უნე ვინ მოგცა
შვილი დასაკარგავი?!
- 12** გამარჯობა, მამა!
ქართველები კორსიკაში
- 18** „ილუზიონი“ კაბადონებში
სფილბერგის „შინდლერის სია“
- 22** ნომრის სტუმარი
დიდი სახლის პატარა დიასახლისი
- 30** ქალბატონი, რომელსაც
„ნუ მწერ“ ეძღვნება
- 32** აღსარება
საიქიოში დანიშნული პაემანი
- 34** გვასსოვს ავსაჯეთი?
იური რამბა იგონებს
- 36** ისტორია ათფლელეზში
ზურაბ კიკნაძის 50-იანები
- 42** უცნობი
ნოდარ ღუმბაძე
- 44** WAL-MART ისტორია
სუპერმარკეტების მეფე
- 47** მსოფლიოს ქართული გავსტყვევარი
პაპაშვილის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“
- 54** კანტი
ნოდარ წულეისკირი: 1932-2015
- 60** ლევან ბერძენიშვილის
გენრიზა



წუნს მაგიდაზე დარდი-ბარათი -
 ხელისგული და სულგადასმული;
 ძლივჩამოღწეულს ძველმისამართით -
 ასდის ქინძის და ომბალოს სუნი.
 ღამეა, დედი, ბუუტავს სანათი,
 სიზმრის კვირტები უსკდება თბილისს;
 შიმშილს მინაყრებს შენი ბარათი -
 გვიან-არეკილ მჭადივით თბილი.
 ვხედავ: ქოთნიდან, თეთრი ნაღველი -
 ძლივს ერთი წველა ამოგყავს ყველი;
 მამას აღონებს მწირი ბეღელი,
 კვამლიც ისლიდან ნარჩენ თოვლს წველის.
 წელსაც კვამლივით ეკიდა გუთანს
 და თავის სარჩოც არ ჩანს ბეღელში...
 მეც... სიყვარულის დიდგულა გუნდა,
 ვაითუ, ასე ჩამაღნა ხელში.

*

მწერ: „ჩამო, შვილო, თოვლი დაკვალე,
 დაგენაყები წამლად მშობელი,
 სიზმრისასხდენის შიშით ვკანკალებ,
 დაცარიელდა ჩემთვის სოფელი.
 ჩამოდი, იმდენს შეიტყობ აშბავს -
 ჭორლაპბია თუ მონტყორმპენტავის...
 არც აქ დაგიშლით ლექსების ჯღაბნას,
 ან წაგვაკითხა, რას წერ, ნეტავი!..
 ის ცირა მაინც არ გეცოდება? -
 ამოუტრედა, ბიჭო, ჩიტები...
 ბედს ნახავს... მამა რომ მიცხონდება,
 ჰოდა, იკვნიტე მემრე თითები!
 მეტს არ შეგიწყენ, შვილო, წერილით,
 ხელსაპონივით ვდნებით ლოდინით, -
 ჯუღბაც აღარ ჰყევს, წევს მოწყენილი
 და მამაშენსაც მხარს ზრავს ლოგინი.
 წერს და არავის პწკარს არ უკითხავს,
 შენ გელოდება, ვხვდები წინასწარ -
 ერთ საწყალ კალამს თუ მოუკითხავ,
 გადმოათეთრებს ნაციმბირალსაც.
 ხომ იცი, როგორ მოსდგამს ლექსები,
 (ამ ბოლოს სმა და ბოდვაც დასწემდა);
 ვეჭვობ, მანდ ესხდეთ უკეთესები -
 შურშებუჭდილი ჭალის ლარჭებთან.
 ჩამოდი, კიდევ ერთხელ ჩამოდი!
 ნუ შემატოვებ სიზმრის ყვაე-ყორნებს;
 წელს ნუ მოიწყვეტ მჩატე ჩემოდნით,
 ნურც ხელს ნურაფერს გამოაყოლებ“...

*

...ჩამოვალ, დედი და დარდს გადაგშლი,
 ზურგში მიბერავს სულს მუზის ქარი,
 და სტიპენდიით ნაყიდ კაბაში
 გამომიქვითე ყველა სიზმარი.
 ჩამოვალ, მეტს არ მოგაწერინებ,
 ცოცხალ პასუხად მოვალ იმ თვეში,
 ოღონდ, ეს ლექსი მომაწვევინე -
 „ლექსზე“ მწარედ რომ მეწვის თითებში!
 ესენინივით... არც მე ვარ ბავშვი,
 იმ შავთავშალა შიშისაც მესმის;
 აჰა, თენდება მტრედების ტაშით
 და კალმისწვერზე წრიალებს ლექსი...

გილოცავთ დედის დღეს!



**ჩამოვალ,
 დედი!**
 ლაშა ბახარია

სათაურის გაგრძელება

მინდა ჩავატიო ჩემი გრძნობები და ემოციები მთელს სათაურში, ნათელი რომ გახდეს ყველასათვის ჩემი განწყობილება... ვერ კი მომიხერხებია. ალბათ თავისუფლად შეიძლება გინების რეკორდების წიგნში შესატან კანდიდატად გახდეს ეს სტატია - ყველაზე გრძელი სათაურისა და გაწეწილი (თუ გაწეწილი) და გაჯანჯღლებული ამბის თხრობის გამო. როგორც უკვე აღვნიშნე, მსურდა ჩამეტია მასში მთელი ჩემი

მერე ღორივით ტალახიან ფეხებს (უფრო სწორად, ჩლიქებს) ზედ შემახოცავ, შენი ნღობა არ მექნება. რაის მშვიდობისმყოფელობაზეა საუბარი, როდესაც დასანახად ვერ მიტან, როდესაც შენს მიმართ უკმაყოფილო ვარ, რატომ უნდა მმართო შენ მე, რით ხარ ჩემზე უკეთესი და გონიერი, ან ზნეობრივი?! შენზე ნაკლები, თუ არა მეტი, არც ჭკუა-გონება მაქვს, არც ზნეობა და ისტორიას თავი რომ დავანებოთ, არც კულტურა.

გეკოდიება, რუსთველი გვაფრთხილებს „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“. მართლაც, იმასთან შედარებით, რა დიდიცაა

- თავისი ჯარიან-ჯამათიანად, გაზიან-ნავთობიანად, ფულიან-დოვლათიანად. მიდის და ხელს უნდა გაიყოლოს ჩემი საგანბურიც - აფხაზეთი და სამაჩაბლო, თან ლანძღვა-გინებასაც არ მაკლებს, ხელს რატომ მიშლიო. რაც წამართვი, ის იკმარე, ახლა რაც დამრჩენია, იმას მიაღებე?!

არ გაგატან! შენ ხომ შენი სახლი და ქონებაც ოხრად გრჩება?!

მოხვედი?! მოხვედი...

დამიპყარი და დამატყუსაღე?!!

ესეც იყო...

დათვმა რომ მომერიე, დავიძახე „ბაბაია!“?! დავიძახე...



სხე გზიკოო, გზიკოო სთაურსი

გულისნადები, და მინც ბოლომდე ვერ ამოვქოლე სათაურებრივ ქვევრში მთელი ჩემი სათქმელი, ძირში ყოფილა ვატეხილი ქვევრი, და მიტომ. ახლა კი ვზივარ დამტვრეულ ვობთან (ეს ქართულად), У разности того корыта (ეს რუსულად) და დაგროვდა წყრომა და სინანული, ერთი და ორი წიგნი რომ ვერ დაიტევს, იმდენი. არაფერს ვამბობ ათასჯერ გადაღევილ თემებზე კატკოვიდან მოყოლებული ასტაფეივამდე. ამის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა და ახალს ვერაფერს დავამატებო, ჩემამდე საუკეთესოდ აღნუსხა კიტა ბუაჩიძემ თავის შესანიშნავ საპოლემიკო წიგნებში მთელი გულისწყრომა (მხედველობაში მაქვს მისი წიგნები - „ასე გრძელი, გრძელი უსტარი ვიქტორ ასტაფეივს...“ და „შავი წიგნი“). საკუთარ თავს სულ ვეკითხებოდი ამ შეკითხვას: როდესაც ამდენი პრეტენზია გააჩნია ერთ-ერთს მეორის მიმართ, იქ რაღა ძმობაზე და მეგობრობაზეა საუბარი-თქო?

მიტეება?

მომიტეება!

მაგრამ მავდროულად, ურთიერთგანრიდება სვობს ასეთ დროს. როდესაც შენ მლანძღვ საქვეყნოდ, სულში მიძვრები და

წყრომა, რა ღრმადაა დაგროვილი სულის სფეროებში ტკივილი შენგან მოყენებული, დამერწმუნებით, ერთი პატარა ლექსის ნახე-ვარბწყარედად მოგჩვენებთ ასეთი გრძელი, გრძელი სათაური.

ჩემს ადგილას რომ ყოფილიყავი შენ, სამიღღემშიო სალაპარაკო გექნებოდა და შენს ლიტერატურულ ტრადიციად დაამკვიდრებდი ჩემს განქიქებას. რა თქმა უნდა, ყველაფერი ვერ დაიტა სასათაურო შრიფტით გამოტანილმა გულისნადებმა, სამაგიეროდ შევეცდები ეს ზარევი სათაურის გაგრძელებად წარმოვადგინო.

რა ითქვა, როგორ ითქვა, როდის ითქვა, რატომ ითქვა, სად ითქვა, - ყველამ კარგად ვიცით, და თუ არ ვიცით, პუშკინიდან მოყოლებული (არზრუშული მოგზაურობებიდან დაწყებული მის ლექს-პოემებს კარგად ჩახედონ), არაფერს ვამბობ ლერმონტოვსა და ტოლსტოიზე, აგერ დღესამომდე ასტაფეივის „ლაფერების ჭერაში“ წაიკითხეთ და მიხვდებით, რა ზნედაცემული და სულიერად გაზრწნილი, უკულტურო კულტურის წარმომადგენლები გვყვანან.

რუსი მართლა მიდის ჩემი ცხოვრებიდან, ავიყის აყერია გულანახადი და მიდის

მეტი რაღა უნდა გამეკეთებინა. სულში ჩამიძვერი და შენს ბინბურ ხელებს აფათურებ ჩემს სულში?! აქ კი სურას უკაცრაგად, ამას აღარ გაპატებ და მოგიციდი, როცა დასუსტლები და შენს ძლევეს შევძლებ, მაშინ გაგაგლებ უცერემონიოდ ჩემი სახლიდან.

ხოდა, ეს დროც დადგა.

არადა, ცუდი საქე გამიკეთე, ღმერთმანი! მოყვრად მოსულმა ერთ-მორწმუნემ ოქროს გალიებში გამომომწყვდიე ჩემი საფიცარი ზნეობრივი მაგალითები, - ოქროში, მაგრამ მაინც გალიაში და ჩემი თვალით მაყურებინებდი, როგორ ზრწნიდი მათ ნელ-ნელა არაადამიანური ცინიზმით.

არ ვატყდა ერთი თაობა, შერიყა მეორე თაობა, სამაგიეროდ აღარაფრად აღარ ვარგა მესამე თაობა. საწადელს მაინც მიადწიე - დრო წაართვი მას, მისი პოტენციალი შეისრუტე, გამოწრიტე მისგან ყველაზე ღირებული - ახალგაზრდობა. თუ კვებავდი წინა ორ თაობას, სანოვავით ისევე მე გამარაგებდი. ხუხულასავით თვალსა და ხელს შუა შენი უთავყაძობით რომ წამოგიქციეს ეს ამხელა იმპერია, ჩემი საფიცარი ხალხი დაშეული და ღვთისანაბარა დამიტოვე

შენი შემყურე, როცა შენ საკუთარი თავისთვისაც კი აღარ გეცალა. სამსახუროდ აღარც გალია შემრჩა, მითუმეტეს ოქროსი, და აღარც საფიცარნი, დარჩა მხოლოდ ხალხი - ამ დროებაში უილაჯონი.

იმისთვის, რომ საკუთარი სულიერი ნაწერეებიდან გამოტანილი ღირებულებანი - მოძალბებული პოტენციალი წარმოაჩინონ, ისევ შენს კარზე მოდიან დაკნინებულნი და აზიური ჰარამხანის მეძავებივით შენს კაბარეებსა და ბარებში (ბორღელეშიც) მღერიან, კონცერტებსა და ფესტივალებზე შენ გართობენ, მათი გონება მომართულია შენი გემოვნების მაქსიმალურ დაკმაყოფილებაზე. შეხედე შენს შოუ-ბიზნესს და კარგად დაინახავ ჩემსას კი არა, შენს სახეს, თუ როგორი დაკნინებული ხარ და რა ღონემდე დაეცი.

ეს მაშინ, როცა თავი მოგქონდა პუშკინით, ესენინით და ბლოკით, გყავდა ჩაიკოვსკი, რახმანინოვი და შოსტაკოვიჩი, ათასეზის კითხულობდი ტოლსტოის, დოსტოევსკის და ჩეხოვის, სანიძეზე ადგილებზე გამოფენი რეპინს, ვასნეცოვს და სეროვს. ახლა რა, ერთი ვივინდარა გაქსუებულ ფულის ტომარასავით გამოგვიშალხარ შარვალ-კოსტუმში და შესწერებისარ შენი „ჰარამხანის ვაჰინებს“ და ვინც უფრო კარგად გააქნევს გავას, იმას შეიგორებ საწოლში...

სათაშურში ჩაღრმავება

და ისინი მოდიან შენთან, და არა სხვასთან, რადგან გასავალი არ ექნება სხვასთან მათ სიმღერა-ტლინგობას. ისინი ასეთებად შენ აქციე, მხოლოდ და მხოლოდ შენ.

აი, მიღიხარ შენ, მე ჩემს სახლში დაერჩები და აღვზრდი ქვეყნისთვის სასიქაღულო მამულიშვილებს - კიდევ იმღერებენ, კიდევ იცეკვებენ, ლექსსაც დაწერენ, სიმ-

ღერასაც, დახატავენ, შენ ხარ ჩემი ბატონი, და მეერ როგორ დახატავენ. აი, მეერ ნახე როგორი სულიერების კულტურა შეგქმნა შენი ჩარევის გარეშე, ამისათვის შენ უნდა წახვიდე ჩემი ცხოვრებიდან გადაძთიელო რუსო!

საქართველო ეს ისეთი ქვეყანაა და ამ ქვეყანაში ისეთი უცნაურობამდე ორიგინალური ეთნოსტრუქტურაა ჩამოყალიბებული, რომ მართლაც დასაფიქრებელია და არა დასაცინი. ჩვენში არასოდეს ყოფილა მონათფლობელობისა და ფეოდალიზმის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი ფორმაცია. დასაბამიდან ქართველი ერის სახელმწიფოებრიობისა მის დასრულებამდე მუდამ არსებობდა პატრონ-ყმული წესწყობილება. დედამიწის ზურგზე ვერ მოძებნით საქართველოს გარდა სხვა ქვეყანას, სადაც არსებობდა მუქმტეობისა და გაძიძავების ტრადიციული ურთიერთობანი, სადაც ფეოდალი არა ბატონი და მბრძანებელი, არამედ პატრონი იყო მისი ყმისა. მეფე ჩვენში თვითმპყრობელი კი არა, დიდი პატრონი იყო ერის, ქართველისთვის უცხო იყო პუგაჩოვშინა.

ჩემთვის ზაქიჭამია გიორგიც კი სატირალია, რადგან მისი დაკარგვით საქართველო დაკარგეთ. ამიტომ არასოდეს არ აღმოხდება ქართველის ბაგეს - „მოკვდა მეფე, გაუმარჯოს მეფესო!“ თუ რაიმე მანკიერი გაჩნდა ქართველ თავად-აზნაურობასა და გლეხობაში, მათ ურთიერთობაში, ეს მხოლოდ და მხოლოდ რუსული წესწყობილების ზეგავლენის შედეგია.


მე არ ვამბობ, გინდა თუ არა, ჩვენ ასეთი და ასეთი ერი ვართ, და ამისათვის უნდა გიყვარდეთ, - სიყვარული და სიძულვილი შენი ნებაა, ერთია მხოლოდ, რომ ყველა ერს სჭირდება თავისებური პატივისცემა, შეფასება და საჭიროების შემთხვე-

ვაში, დაფასებაც. შენ კი, რუსო, ხელაღებით მლანდავ დდიდან ჩვენი გაცნობისა, ამას კი ყველა ენაზე ერთი სახელი აქვს - უზნეობა!

„ჩვენს შორის ხილია ჩატეხილი“ - ამბობდა ილია ჭავჭავაძე თავდაზნაურობის ფენასა და გლეხობის შესახებ. ეს ხილი სწორედ და მხოლოდ რუსული ყაიდის გაძმობების შედეგად ჩატყდა. არაფერს ვამბობ პირველი დამის წესის შემოღებაზე... ამან დიდი გაუგებრობები გამოიწვია ერში, ფაქტიურად შეირყა ზნეობა და აღდგინდა, ზოგადად ქალის კულტზე მიიღწა და იერში ჩვენმა მტერმა და ყველაფერი ეს მაინც ქართველის ხელით გააკეთა.

ილიაც სოციალ-დემოკრატებმა მოკლეს, რომელიც რუსეთის პარტია იყო, მაგრამ მაინც ქართველების ხელით. რუსს არ დაუვალეხა ქართველისათვის, მიდი და ილია მოკალიო, ამ აზრამდე თვითონ ქართველი მივიდა და ამ აზროვნებას წარმართავდა მხოლოდ და მხოლოდ რუსი.

ყველაზე დიდი დარტყმა რუსეთმა და თვითმპყრობელურ-ჟანდარმულმა იმპერიამ მაინც ქართულ ავტოკეფალურ სამოციქულო ეკლესიაზე განახორციელა - მისსაკუთარ ქართველთა კუთვნილი ავტოკეფალიის რიგითობა. პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ რუსეთის ეკლესიის უმაღლესმა სინოდმა გააუქმა 13-საუკუნოვანი ავტოკეფალია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისა და აკრძალა ქართულად წირვა-ლოცვის ჩატარება. შემდეგი ნაბიჯი იყო ის, რომ ფრესკებით სავეე ეკლესიები თეთრად გადაღებეს, რათა ტაძრებში წაშლილიყო ქართული კვალი. საეგზარქოსო პოლიტიკამ ისეთი უარყოფითი როლი ითამაშა ქართველ მრევლში, რომ მრავალსაუკუნოვანი მორწმუნე ერის შვილებმა ხელიც კი აღმართეს თვით ეგზარქოსზეც. იმდენად



გახრწნა რუსულმა სასულიერო მმართველობამ სწავლა-აღზრდის საითხი და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ისეთი მიუღებელი მეთოდები შემოიღო, რომ თვით სასულიერო სემინარიიდან მორწმუნეების ნაცვლად ათეისტები და რევოლუციონერები გამოდიოდნენ (მაგალითისათვის მხოლოდ იოსებ სტალინი და ფილიპე მახარაბეც კმარა).

საქართველო უბველესი საუნივერსიტეტო ქვეყანა ვიყავით - საქართველოში აკადემიები მაშინ არსებობდა, როდესაც ოქსფორდის უნივერსიტეტი კი არა, თვით ქალაქი ოქსფორდი არ არსებობდა ქალაქად. და ჩემთან განათლება კი არ შემოიტანე, პირიქით, დააჩლუნგე იგი და მხოლოდ სამხედრო ყაზარმებით გაავსე ჩემი პატარა სამშობლო. მერე მოდექი და შენი ნახელავით კმაყოფილმა მლანძღე და ახლაც არ მაკლებ აუგ-სიტყვაობას.

შენ ყოველთვის ყველასთან მხოლოდ ძალის დემონსტრირებას ახდენდი, რაოდენობრივად ჭარბი ძალისა, ამით დაიპყარი დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილი, და არა გონიერულად. თუმცა, ვინ მისცა დინოზავრის გონიერება?! შენი მოწინააღმდეგეები სულიერად შენზე დაბალ საფეხურზე იდგნენ, ამიტომ გაიზარდე სხვათა ასიმილაციის ხარჯზე, ხოლო შენზე გონიერი და სულიერად ძლიერი საწყისის მქონე ერები მუდმივად გემეტოქეობდნენ. ამ მეტოქეობაში ვითარდებოდი შენც - როგორც დამპყრობელი, ასევე ჩვენც - როგორც დაპყრობილები. იქამდე, ვითარდებოდა კულტურული ურთიერთობანი და ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში მტკიცდებოდა ჩვენი თანაცხოვრება. ამიტომაც მტკივნეული ამ ურთიერთობათა რღვევის, თუნდ ნგრევის პროცესი.

ერთადერთი, თუ ვინმემ შეისრუტა რუ-

სული სული და შესისხლხორცდა რუსი ერში, ესაა მონღოლეთი. აგრესია და შავი ცინიზმი სხვადასხვა მოდგმათა ურთიერთგადახლართვამ წარმოშვა. უძღველობაც და უთავობაც რუსეთისა, სწორედ აქედან მომდინარეობს.

უთავობააო, ვახსენე, - და აი, რატომ...

1919 წლის 29 მარტის „თაიში“ წერდა:

„ბოლშევიკური მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნიშანი ხელმძღვანელ ორგანოებში არარუსი ელემენტების პროცენტული უმრავლესობაა. ბოლშევიკური მოძრაობის ცენტრალური აპარატის შემადგენლობაში, კომისრებსა და ლიდერებს შორის, ებრაელები 75%-ს შეადგენენ“.

„თაიში“ ცდებოდა, - ეს ბოლშევიკური მმართველობის ერთ-ერთი საინტერესო ნიშანი კი არ არის, არამედ მთლიანად რუსეთის სახელმწიფოებრიობისა. ამაში იმალება სწორედ რუსული სული. თუ გადავხედავთ რუსეთის ისტორიას, თვალნათლივ დავინახავთ ერთ აუცილებელ კანონზომიერებას, რაც „თაიშისათვის“ უცნობი იყო: - რუსეთი თავისი 10-საუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ძლიერებისა და ძლევამოსილების ხანაში სწორედ მაშინ იყო, როცა მართავდნენ არარუსი თავადები და შემდეგ მეფეები. თვით რუსი კი თავისი ქვეყნის ან იმპერიის სამართავად ყოველთვის ჩლუნგი გამოდგა. აშერიკას კარგად ახსოვს გონებალუნგი ხრუშჩოვის ერთ-ერთი კომიკური გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, გაიხანდა რა ოფლიანი ფეხსაცმელები და ურტყამდა მას მაგიდაზე, არაადამიანური ხმით გაჰყვიროდა: Я Вам покажу кузькину мать! რუსეთის არმიაც მხოლოდ მაშინ იყო ძლევამოსილი, როდესაც მას სარდლობდნენ არარუსი

მხედარმთავრები. რუსის მიერ ნამართავი ჯარი კი დასალუბად იყო განწირული. აკაკიმაც სინარულით შემღერა იაპონელ მხედარმთავარს - „ოიამას ვენაცვალო“, - ისე გამწარეთ ქართველობა თქვენი უმსგავსო საქციელით ყველა სფეროში, რომ შენი დამარცხება გაუხარდა, იაპონელების გამარჯვება კი არა! იაპონელის ადგილას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ანალოგიური ხმით შეამკობდა აკაკი მასაც, რადგან მეტოქეობის ერთ-ერთ მხარეს მაინც შენ იყავი.

სათაშრში ჩამიძმა

1933 წელს ფაშისტურ გერმანიაში გამოიცა გრივოლ რობაქიძის შესანიშნავი რომანი „ჩაკლული სული“. ამ ნაწარმოების ერთი თავი მიედევნა იოსებ სტალინს. აი, ერთ-ერთი ამონარიდი თავიდან „სტალინის ჰოროსკოპი“.

„საქმეებში ჩაფლული სტალინი კრემლში იჯდა, ძალაუფლების პატრონი და არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკვდინებელია“. მასთან ტელეფონით საუბარიც კი ყველას თრგუნავდა. მისი საშინო ზემოქმედებისგან არავინ იყო დაზღვეული. სისასტიკით აღსავსე ძლევამოსილად აღმართულიყო როგორც საბჭოეთის - და შესაძლოა, მთელი მსოფლიოს ცივი და ბრმა ბედისწერა. როცა ხანდახან იდუმალი კონტაქტი გადაირთვებოდა, როცა ის, შეუდრეკელი, დროებით დენის ქსელიდან გამოზოზდებოდა დარეტიანებული და გაუცხოებული, როცა შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, აი, მაშინ სტალინი სოსო ჯულაშვილი იყო, უბრალო



ქართველი. მაშინ ასხენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესლა შემოენახა: საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“.

არ არსებობს შეერთებული შტატების არცერთი პრეზიდენტი, რომლის შესახებაც ასეთი პირუთენელი სიმკაცრითა და შემადრწუნებელი აღქმით ისაუბრებდა მისი ოპონენტი და ამას ამბობს სტალინის თანამემამულე გენითა და სისხლით, თუმცა გაუცხოელებული. ასეთი რამ მხოლოდ საბჭოეთში შეიძლებოდა მომხდარიყო.

სტალინი საქართველოში სოსელი იყო და ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ბეჭდავდა პატრიოტული განწყობილების ლექსებს, დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა კი მისი პატარა და ლამაზი ლექსი თავის „დედა ენაში“ შეიტანა და ამ შაირით ქართველებს ქართულს, მამულის სიყვარულსა და წარჩინებას ასწავლიდა, რუსეთში კი ეს ფაქიზი სულის ადამიანი მოკლეს და სტალინად აქციეს, გახადეს - „ძალაუფლების პატრონი და არა ხელმწიფე, არსება და არა ადამიანი, რევოლუციური ძალების ელექტროგაყვანილობა გამაფრთხილებელი წარწერით „მომაკვლიებელია““, არადა, როგორი იყო, -

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბასსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა,
ტოროლა მალლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზი ხმით ამას ამბობდა -
აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ივერთ-მხარეო,
და შენც ქართველო სწავლითა,
სამშობლო გაახარეო!“.

ლამაზია, არა?! კარგია, არა?!

რადაცით პუშკინისა და აკაკის ჰაეროვნებას წააგავს.

აბა, ახლა ნახეთ, ეს რაღას ჰგავს - „ახლავე შეუტე, დასტურია, აიღე ქალაქი“.

ამასაც იგივე ბაგე ამოთქვამს.

როგორი კონტრასტია?!

ეს ტელეგრამა, მოსკოვიდან გამოგზავნილი, 1921 წლის თებერვალში, ბაქოში უღებოდა სტალინმა ორჯონიკიძეს და იცით, რომელ ქალაქზეა ლაპარაკი?

- თბილისზე!!!

შემადრწუნებელი პარადოქსია არა, გვერდიგვერდ რომ დადო „ივერიაში“ დაბეჭდილი ლექსი და ელექტროგაყვანილობით ნაბეჭდი დამიფრული დეკემა?!

აი, როგორ მოკლეს რუსებმა და მხოლოდ რუსებმა მამულზე უსაზღვროდ მეოცნებე ჭაბუკი, რომელიც ამბობდა: „აყვავდი ტურფა ქვეყანავ“, „ახლავე შეუტეო“, -



დაასკენის ბოლოს; „ილხინე ივერთ-მხარეო“, „დასტურიაო“ - ჩავიგებდა მასავით მანქურთს; „და შენც, ქართველო, სწავლითა, სამშობლო გაახარეო“, - ანდერძად უტოვებს მამულიშვილებს თავის ოქროს სიტყვებს, და იქვე „აიღე ქალაქიო“!!!

როცა ქართველობაზე აღმართავთ ხელს და დრომად სტალინს მოიშველიებთ, როგორც ეს უწესო ტროცკიმ და ჭკუასუსტმა ხრუშჩოვმა ქნეს, აი, მაშინ სირცხვილისაგან უნდა გაჩუმდეთ, და პატარა ქართველ ბავშვებს დაუგლოთ ყური, დღესაც რომ სწავლობენ „დედა ენას“ სტალინის ლექსით.

ადამიანში სულის დაშლა მაშინ წარმოებს, როცა მოძალადე ძალადობის მსხვერპლზე მოქმედებს სიდრმისეულად მის სულიერებაზე. მოძალადე მარცვავს თავის მსხვერპლს გონიერებაში და წარმოიქმნება ამ ადამიანში სულიერი სიცარიელე. ხოლო ვაკუუმს აესებს თავისი ინდივიდისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. ზემოთ მოტანილ ციტატაში თავიდან ბოლომდე მხოლოდ და მხოლოდ რუსული სული იკითხება. თვით ლენინიც აღნიშნავდა სტალინის ბონაპარტიზმისაკენ მისწრაფებას და ემინიდა თვითონაც ამ ძალის არცთუ უსაფუძვლოდ. ეს კი ჯინი იყო, ბოთლიდან ამოსული რევოლუციური ჟინი, რომლის ბოთლში ჩაბრუნება სიკვდილის მეტმა ვერავინ შეძლო.

სათაურთან დადახვევა

ეს ჩემი, ასეთი გრძელი, გრძელი სათაური გასაოცრად წააგავს ქურდბაცაცა იაზონის ისტორიას. ქართული სამყაროს სულიერების საგანძურზე ყველა დამპყრობელთაგან მხოლოდ ბერძნებმა და

რუსებმა აღმართეს ხელი. ერთმორწმუნეობის დროში ბიზანტიელებმა გუბაზი მომიკლეს, რუსებმა კიდევ ზვიადი; ბერძნები პელაზგურ სამეფოს იტაცებდნენ, რუსები კი ლაზურს; ბერძნები ქართულ სავანებს ითვისებდნენ ათონში, რუსები კი თვით ქართულ ეკლესიებს მარცვავდნენ და გაპქონდათ ქართული სიწმინდეები რუსეთში; ბერძნებმა რუსთველის ფრესკა ხელყვეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, რუსებმა თეთრად გადადებეს საქართველოში ქართული ეკლესიის კედლები...


მე მტკივა არათუ პელაზგების გადაშენება, ლახეთის ანექსია, გუბაზისა და ზვიადის მკვლელობა, ათონის ქართველთა სავანის გაქრობა, ქართული სიწმინდეების მარცვა, დაღუპული ფრესკები თუ ამოკაწრული რუსთველი,

არამედ თქვენი უღმერთობა!

მე ვიცი, საბოლოოდ ყველაფერი აღიგვება პირისაგან მიწისა, მაგრამ მე თქვენზე შემტკივა გული, და არა ამოკაწრულ რუსთველის ფრესკაზე. ამით დიდი პოეტის სახე ვერ წაშაღეთ. რომ არ არსებობდეს მისი ფრესკა, იგივე სახისმეტყველებით ჩემშია და ნებისმიერ ქართველში. და ამიტომ მებრალეობა თქვენი სულნამცველობა, უსულიო საგნებზე რომ შეგვიძლიათ ჯვავრი იყაროთ, ასეთი სულთგახრწნილობის გამო გადაშენდა ბიზანტია და გადაშენების გზას ადგახართ თქვენც, რუსეთო!

P.S.

ჩემმა მტერმა ჩემზე თქვა, რომ „კარგია საქართველო უქართველოდ“, მე კი ვიტყვი: „კარგია რუსეთი ურუსოდ!“, ნადავლი განსაკუთრებულად დიდი დავგრჩება ჩვენ რუსეთისაგან, ვიდრე რუსეთს საქართველოსგან.



ჩვენ
გვხსოვს
ისინი!



Barami
LOGISTICS

აშაჩიქანი:
60უ-0ტრკუ0:
164 Brighton 11 St.
Brooklyn NY 11235
Tel: 718-934-1700
Alt: 347-500-5037

60უ-ჯერსუ0:
84 Harbor Drive,
Jersey City, NJ 07305
Tel: 201-333-5555

დელაუარეუ0:
4 Lewis circle
Wilmington, DE 19804
302-930-0705

ფილიალები:
თბილისი
ქუთაისი
ჩხსთავი
ხათხი
ბოჩი
ხონისი
თალავი
მარნაული

Tel: 201-333-5555
www.barami.us

ამანათები

4-5 სამუშაო დღეში
აშშ-დან საქართველოში
ერთი პაუნტი - 2.50\$-დან;

ამანათების გამოგზავნა **საპროფელოდან**

ავტომობილების

ყიდვა-გაყიდვა
საქართველოსა და ამერიკაში;

ავტომობილის, კომერციული
და პირადი ტვირთის

უილა გადახიდვები
აშშ-ში.



ჩვენს საიტზე **www.barami.us**
დარეგისტრირებით თქვენ გაგიადვილდებათ:
- კრედიტ-კარტით გადახდა;
- ამანათის სტატუსის შემოწმება;
- ამანათის ადგილიდან ალების შეკვეთა

www.barami.us
www.baramicar.com
www.facebook.com/Barami.us

„საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაქარგავი?!“

გახსოვთ, ეს ფრაზა?

პოვონსკაში დაღუპული ქართველი გოგონასადმი მიძღვნილი ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსის ერთი სტრიქონი - 9 აპრილისა და თბილისის ძმათამკვლელი ომის დღეებზე რომ იქცა.

შემდეგ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომში დაკარგულ შვილებსაც ამ სიტყვებით არ დავსტეროდით?

მე თუ მკითხავთ, ეს დღეები თუ რიტორიკული კითხვა დამოკლეს მსხვილივით ჰკვიდია საქართველოს თავზე. ეს აზრი გაგიმძაფრდებათ, თუკი ერთმანეთის მიყოლებით გაიხსენებთ 1921 წლის 25 თებერვალს დაღუპულ იუნკრებსა და 19 წლის მარო მაყაშვილს; შემდეგ სამშობლოდან საფრანგეთში გადახვეწილ ეროვნულ მთავრობასა და ინტელიგენციას; 1937 წელს დახვეწილ თუ გადასახლებულ ერის ნიჭიერ ნაწილს; მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ 300 ათასს ქართველს და ომის შემდეგ „მოლაღატებად“ შერაცხულ იმ მეთომებს, ემიგრაციაში რომ დაასრულეს სიცოცხლე; 1956 წლის 9 მარტს ჩახოცილ სტუდენტ-ახალგაზრდობას... ცხრა აპრილს, თბილისის ომს, სამაჩაბლოს, აფხაზეთის, აგვისტოს ომში დაღუპულებს.

ერთი პატარა ერისათვის ერთ საუკუნეში გაღებული ამხელა მსხვერპლი მასშტაბით არაფრით ჩამოუვარდება ოსვენციმის, ჰიროსიმას, ნაგასაკის ტრაგედიებს.

უბედურება ისაა, რომ ეს რიტორიკული კითხვა ისევ აქტუალურია, დღესაც კარგავს ჩემი სამშობლო შვილებსაც და მოქალაქეებსაც!

შვილებს, - უცხოეთში დაბადებულებს, ენადავიწყებულებს;

საკუთარი უუნარობით სამშობლოდან ლუკმა-პურის საპოვნელად გაძევებულ მოქალაქეებს, - სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში, ავტომატიურად უწყვიტავს სამშობლოსთან დამაკავშირებელ ერთადერთ ძაფს, დასაბრუნებელ ხიდს უნგრევს.

ქვეყანა, რომელიც საფრთხეებითაა აღსავსე, თავისი უნიათობით მეტ სატკივარს აჩენს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკუთარ ისტორიას ივიწყებს და საკუთარსავე შეცდომებისგან ვერაფერს სწავლობს.

1915 წლის 26 იანვარს ასიათასიანი პროცესია უკანასკნელ გზაზე მიაცილებულა აკაკის ნეშტს. ერთადერთი გვირგვინი მიუძღვოდა კუბოს წინ, წარწერით „აკაკის - საქართველო“.

მისი ანდერძით, ყვაილებში და გვირგვინებში დასახარჯი თანხა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა მოხმარებოდა.

„გამავრცელებელ“ საზოგადოებას, რად-



განაც იმ ეპოქაში, რუსული „ცარიზმის“ დღის გავლენით, ქართველთა 85-მ პროცენტმა წერა-კითხვა არ იცოდა.

უფრო მეტიც, იმ ეპოქაში შეიქმნა იაკობ გოგებაშვილის წიგნი „ტფილისის შესახებ“, რომელიც დააბეჭდეს იყო ერთადერთი მიზნით, რომ საგულდაგულოდ დაეძალათ დედაქალაქში შემცირებული ქართველების რიცხვი მომრავლებულ მოძვესომეხთა ხარჯზე.

მოუხედავად იმისა, რომ ასეთი საფრთხე დედაქალაქს ნებისმიერ დროს შეიძლება შეექმნას, მაინც უვიც ნაბიჯად ჩანს ქუთაისში გადატანილი ქვეყნის უმაღლესი პარლამენტი და ფუნქციის გარეშე დარჩენილი დედაქალაქი.

ვერ ვისწავლეთ მაგალითი აფხაზეთისგანაც. ახლა უკვე ვაფხაზეთში, შიშს დიდი თვალები აქვს, ჩვენ კი სხვა ქვეყანაში მიღებული მოქალაქეობის გამო ეთნიკურ ქართველებს, ქართულად მოსაუბრეებს, საქართველოს მოქალაქეობას ვუწყვიტავთ, რომ შემდეგ სტატისტიკურ ციფრებში ერთხელაც საკუთარ სამშობლოშივე ვიქცეთ უმცირესობად.

ასე ხომ ვიყავით ტფილისში, 1900 წლებში?

საკუთარი მიწიდანაც გამოძევების გემოც

ხომ ვიწვინეთ?

ეს აღარ უნდა მოხდეს! ქართველებს არათუ გაუმარტივდეთ საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნება, არც უნდა წაართვათ, წამიც არ უნდა მისცეთ იმისთვის, რომ მოსწყდნენ სამშობლოს, გაუცხოვდნენ.

იმ დიდი ბოდიშის მოსახდელად, დანაშაულის ასალიარებლად - ქვეყნის მთავრობის ოცწლეული უნიათობის გამო

საკუთარი ოჯახებიდან შორს გაყრილი შვილების გამო,

გაციებული კერის გამო,

დანგრეული ოჯახების გამო,

დაუტირებელი მშობლების გამო,

- სამშობლომ უნდა იგრძნოს თავისი წილი პასუხისმგებლობა და მოქალაქეობა შეუნარჩუნოს და მათ ღირსეულ დაბრუნებაზეც იზრუნოს ქართულ წიაღში, ჭეშმარიტ სამშობლოში.

ასე გხედავთ ჩვენ სალომე ზურაბიშვილის ირგვლივ შექმნილ ემიგრანტთა ინიციატივას, წუხილს და მოთხოვნას საქართველოს მთავრობისადმი.

„მართლა მჯიღისხელა თუ ხარ, შენი მჯიღის ჭირიძე...“

რად არ წუხხარ?..

რად არ წუხხარ?!“

მანუშარ კაჭახიძე

ჩვენ ჩოხები ჯერ არ გვეცვა და ათივენი პატარა კაფეს წინ ტერასაზე ვიდევით. ემატება და ემატება ხალხი მოედანს. დალა-მებას აღარაფერი უკლია, მაგრამ ვარსკვლა-ვები ჯერ არ ჩანან ჩამუქებულ ცაზე. თვალი ძალაუნებურად ხალხისკენ გავირ-ბის და კიდევ იმ ყურესაკენ, ქვემოთ, ათასი დიდ-პატარა იახტის ილუმინაციით რომ ციმციმებს უკვე და ცოტა ხანში, ვარ-სკვლავები ცაზეც რომ აინთება, უეჭველად ზეცის ანარეკლს რომ დაემსგავსება.

ირგვლივ ყველაფერი სასიამოვნო მო-ლოდინითაა გაუქნითილი. ჰაერი ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე წარმოთქმული ფრანგული პირთაძღვე საესე, მაგრამ, ყველამ იცის, რომ მეტყველების პოლიფონიას მალე სიმღერების პოლიფონია შეცვლის. დღეს აქ, ამ მოედანზე მთა-ვრდება პოლიფონიური სიმღერის ფესტივა-ლი - კირსიკის ლამაზი დღესასწაული.

ჩვენ ქართულად ვსაუბრობთ. ისე, ჩვენამ-დე არ აღწევს, თორემ მოედნის გარშემო სახლების აივანთა უკან შეწყუქულ პატარ-პატარა ოთახებშიც თავ-თავიანთ ენებზე საუბრობენ და ჩვენსავით სასიმღეროდ ემზა-დებიან ბულგარელები, სამხრეთაფრიკელები, სარდები, ტუველები, მაროკოელები, ლიგუ-რიელები, ბერბერები, ბოშები, ალბანელები, იტალიელები, ბასკები და რალა თქმა უნდა კორსიკელებიც. ტერასადან მათ ჯერ ვერ ვხედავთ, რადგან ისინი ოთახებში არიან „ჩასაფრებულნი“, დროს ელიან, რათა სიმ-ღერით გამოიჭრან მერე აივანზე და მოედან-ზე შეკრებილ ხალხს სული აუფორიაქონ. მოკვლედ, კარგად ვიცით ჩვენ მათი ზრახვები და იმასაც კარგად ვაცნობიერებთ, რამხელა ომი გვაქვს მათთან სიმღერით გადასახდელი. ვიცით ეს ყველაფერი ჩვენ და რაც უფრო გვიახლოვდება ამ უსისხლო ომის დაწყების ჟამი, მით უფრო ძლიერდება ჩვენს მარლებში წინაპართა სისხლის წი-ლი. ძლიერდება და ჩვენც გადამწყვეტი შეტევისთვის ვემზადებით.

- როდის დაიწყება? - ხაზგასმული სიმშვიდით მეკითხება გურამი.

- თერთმეტზე, - საათს დავხედე, - თე-რთმეტზე აქაურობა ჩანხელდება, მერე, გახე-დე რამდენია, ყველა აივნის გაყოლებაზე სათილები აინთება და ესა დაწყების ნიშანი. რომელი ტერასაც ან აივანი პირველად გამონათდება პროექტორით, სიმღერასაც ისინი იწყებენ. ასე გაგრძელდება. მთავარი სცენა კორსიკელებისაა, მასპინძლები არიან. ჩვენ გვიან გვიწევს სიმღერა, მაროკოელე-ბის შემდეგ და...

- მომისმინე, - მაწყვეტინებს გურამი, - მრავალფეროვნების უპირატესობას ვკარ-გავთ ჩვენ. ყველა ორ სიმღერას მღერის ხომ? ჰოდა, თლად შტერი უნდა იყოს ხალხი ორი თავი ნორმალური სიმღერა არ ქონდეს, მაყურებელმა რა იცის, რომ იმ

თემურ ჭკუასელის ეს ნოველა თითქმის ათეული წლის წინ დაიბეჭდა „მა-მულის“ კაბადონებში, თუმცა ჩვენს მკითხველს დღესაც ახსოვს, - ხშირად გვეწერენ თუ ახსენებენ სარედაქციო წერილებში.

გადავწყვიტეთ, შემომატებული მკითხველებისათვისაც ხელმისაწვდომი ყოფილიყო ეს ლამაზი და მართალი ამბავი.

ორის იქით აფერი არაა, სიაბღლეა, აძიჭომ ჩვენ იმფერი სიმღერები უნდა შევარჩიოთ, მგელივით რომ დაეტაკება და გადარეგს ხალხს. სოლისტობის და ქარგვის დროი აღარაა, ორად გვეიყოთ, ერთი გურული ერთქათა ორპირად, ორპირი კრიმანჭულით, ერთიც სვანური ფერხული დავცხოთ, ომა-ხად. ვაკივლოთ ავინი... ნაცადი სარდალი-ვით მიზიარებს გურამი მოახლოებული ბრძოლის ტაქტიკას - შენ, გოგამ და რობერტიმ დაიწყეთ, მოტრიალებაზე ყველა ავერ ვართ, წამოვგობით...

უეცრად გურამი დადუმდა. წამის წინ ბრძოლის ჟინით დაძულებული მზერა ჩემს მიღმა გაექცა და თვალები ერთბაშად გაუ-ფართოვდა. ძალაუნებურად მეც უკან მი-ვიხედე. ღირდა მიხედვათ.

მოედნიდან ჩვენი ტერასისკენ ასე ოც-დღორი-ოცდაათხუთი წლის ასული მოდიდა, მაღალი, თმებგამოდილი, თვალს ვერ მოა-ცილებდი და მოაცილებდა კიდევ მოედან-ზე თავმოყრილი აძენი თვალი. მისი მოქნული ტანისთვის ამკარად სრული და წელზე ერთი შეხედვით დაუდევრად დაგრეხილი ფერადი მანდილით შემოსალ-ტული შავი კაბა კი არ მალავდა, კიდევ უფრო ამბაფრებდა მისი სხეულის სილამა-ზეს. ამკარად გამოირჩეოდა ამ მილეთის ხალხში - ჯიშითაც და ხაზგასმული მი-უკარებლობითაც.

მოკვლედ, მთელი მისი გარეგნობა ბრ-წყინვალე მაგალითი გახლდათ იმ იშვია-თობისა, კაცს ცოდვისკენ კი არა, ღმერთისკენ რომ გაგახედებს.

გვერდზე ჩავვიარა, არც შემოუხედავს ისე შეაღო კაფეს კარი და ის იყო მინის კარს მიღმა უნდა გაცრეცილიყო, რომ...

რომ, ერთ-ერთ ჩვენიანს ეტყობა ნერვებმა უმტყუნა და უფრო თავისთვის, ვიდრე მის გასაკონად, ლოცვასავით აღმოხდა - გამარჯობა, შენ შემოგველო...

გამოღებულ კარებშივე გაშემდა უცხო ფერია, წამის მერე მოგვიტრიალდა, ჯერ დიმილით მოგვჭრა თვალები, შემდეგ კი სიტუაციის ბუნდოვანებით ისედაც დაბ-ნეულებს გამართული ქართული გვითხრა თუ გვიპასუხა - გამარჯობა, მამა!

კიდევ უფრო დავიბენით და რალაცის ასხნის იმედით, ჯერ ერთმანეთს უიმედოდ გადავხედეთ, მერე კი გურამის მიერ დავგე-მილი „იერიში“ ნაადრევად დავიწყეთ და კაფეს შესასვლელი მოვიქციეთ ალყაში.

თანდათან დალაგდა ყველაფერი. გო-გონას სალომე ერქვა და წუთის წინ ასე

გაუგებარი და ამფორიაქებული „გამარჯობა მამა“ ერთადერთი აღმოჩნდა, რაც მას ქარ-თულად შეეძლო ეთქვა, აძიჭომ სასაუბროდ ინგლისური შეიარა და სულ მალე ჩვენი ცნობისმოყვარეობაც დანაყრდა. მამის მხრი-დან მისი ბებია ყოფილა ქართველი, იმერე-თიდან. სალომეს დაბადებამდე გარდაცვლი-ლა და საქართველოში ყოფილა დაკრძალუ-ლი. სად, არ იცის. თვითონ მარსელში ცხოვრობს, სტუდენტია. სამი წლის წინ მამაც გარდაცვლია. მამას უწინ ქართული კარგად სცოდნია, მერე და მერე ვეღარ ლაპარაკობდა და ამას ძალიან განიცდიდა თურმე. სიკვდილამდე ორი საათით ადრე კი მოულოდნელად ქართულად ალაპარაკე-ბულია.

- მე მხოლოდ ეს ერთი სიტყვა - „გა-მარჯობა“ ვიცოდი. როცა მწოლიარე მამა ქართულად ალაპარაკდა, არაფერი მესმო-და და ავტირდი. დიდხანს მიხსნიდა რალა-ცას. მერე უეცრად გაჩერდა, ცოტა ხნით თვალებში ჩამაცქერდა და ფრანგულად მითხრა - სალომე, შვილო, გამარჯობა მი-თხარი, ქართულად მითხარი...

- გამარჯობა, მამა! შევეცადე გამედიმა. ის კი, უკვე ჩურჩულით - კიდევ, კიდევ მითხარი... სალომე... მე თან ვტირი, თან გაუთავებლად ვიძეორებ - გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა! გამარჯობა, მამა! არ მახ-სოვს ზუსტად, მგონი ორმოცდაათჯერ მა-ინც ვთქვი ეს სიტყვები...

მერე მამა გარდაიცვალა, აღარაფერი ესმოდა. მე კი დაჟინებდა, გამარჯობა მამა, ვიძეორებ და ვიძეორებ, სანამ ექიმებმა არ წამომამყენეს. წელან, თქვენგან რომ იგივე სიტყვა გავიგონე, გავშემდი უეცრად. მამა გამახსენდა. რას არ დაეთმოვდი, ოლონდ ის ვიცოდე, რას მეუბნებოდა მამან, სიკვდი-ლის წინ. სამი წელი გავიდა, მე კი გაბულ-მებით ამაზე ვფიქრობ. საკმარისია მარტო დავრჩე, მაშინვე მისი ხმა ჩამესმის ყურში, მისი ქართული, გაგებით კი არაფერი მეს-მის. ისევე ტირილს ვიწყებ და ისევე ვჩურჩუ-ლებ - გამარჯობა, მამა!

საუბრის დროს სულ გაღიმებას ცდი-ლობდა სალომე და მღელვარების შესა-ნიღბავად ხშირ-ხშირად თმებს ისწორებდა ხელით. ჩვენ ცრემლებით აგვევსო თვალები.

გოგამ პაუზა შეავსო, ნუ გეშინა სალომე, აქ არა ვართ, აწი ათი მამა გყავს და გამა-რჯობის გარდა კიდევ ბევრ რამეს გასწავ-ლითო.

ისევე სევდიანად გაიღიმა სალომემ, ჩა-მოგვიარა მერე და ათივეს მართლა შეი-

ლიშვილივით ჩაგვეხუტა.

აქამდე ვერ გიბედავდით, მერიდებოდა, გვიან შევიტყვე, კორსიკაზე ქართველები არიან ჩამოსულები, გავიგე თუ არა, აფფორიაქდი, ყველაფერი მივატოვე და აქ გამოვიქეცი. კონცერტის მერე ვაპირებდი თქვენთან მოსვლას, თუმცა შეიძლება ვერც გამებედა. მინდოდა მენახა... მამაჩემის ხალხი მინდოდა მენახა... ისე, შორიდან შემოგხედავდით და... მამას გავისხენებდი...

ნობის შესაკრებებმა შესაძლოა ჯამში სულ სხვადასხვა შედეგი მოგვეცეს. რადგან ჯამი სისხლთა რაოდენობაზე კი არა, ალბათ სისხლის სიძლიერეზეა დამოკიდებული.

მოკლედ, ასეა თუ ისე, საჭირო იყო დროზე გავცლოდით იმ სვედიან ტერასას, თორემ, ცოტაც და ერთი საათის შემდეგ სამღერი იმ ორი აუცილებელი სიმღერის მღერა, სალომესთან შეხვედრამდე გადასახდელ ომად რომ გვეჩვენებოდა, ნაღდად გა-

ბოლოს კორსიკაზე მოხვედრილან, აქ სახლი უყიდათ და როგორც თავად ამბობენ, აქედან არსად წასვლას აღარ აპირებენ, აქაურობა და აქაურები მოსწონთ ძალიან.

ჩვენ რომ მეორედ ჩავედით, მასპინძლებისთვის უთქვამთ, რადგან ქართველებს სასტუმროში არ უშვებთ და სახლებში მიგყავთ, ჩვენც მოგვეცით ამის უფლება და ორი კაცი დაგვითმეთო. ასე მოხვდნენ დათო და გია ვილიამ კიისერის ლამაზ



გამარჯობა

მამა!

ამან სულ მოვეითავა ხელი. ქართული, თუნდაც ფრანგული ტრადიციებით, იგი ხომ ფრანგი იყო, მამაც ფრანგი ჰყავდა და დედაც. მხოლოდ მამამისის დედა იყო ქართველი. აკი ასეთ შემთხვევაში ვამბობთ კიდევაც - ფრანგია, მაგრამ დედა ქართველი ჰყავს, ან პირიქით, ქართველია, მაგრამ დედა ჰყავს ფრანგული... და, თუ მაინცდამაინც სისხლის ხსენება გვინდა, მამინ ხომ ასე ვამბობთ, ამ გოგონას მეოთხედი სისხლი ქართული აქვსო... ხომ ასეა? ხომ მეთანხმებით? ჩვენ კი იქ, კორსიკაზე, ამ ჭეშმარიტების გაგონებაც აღარ გვსურდა. სალომე ქართველი იყო ჩვენთვის და აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, თავად რას ფიქრობდა მამაზე.

ეტყობა სისხლი მათემატიკის კანონებს არ ემორჩილება. ერთი და იმავე რაოდენ-

გვეჭირდებოდა.

ბოდიში ვთხოვეთ სალომეს, წავალთ ახლა ჩვენ, ტანზე უნდა გამოვიცვალოთ, დღეს შენთვის ორი სიმღერა გვაქვს სამღერი, მერე კი, როცა კონცერტი დამთავრდება, ერთად ვივასშმებთ და დანარჩენს იქ გიმღერებთ-თქო.

ჩონებს რომ ვიცავდით, დათომ გამოხუნებული რვეული გამომიწოდა და გადახედეო, მითხრა. რა არის-მეთქი, ვეკითხები. ვილიამის ნაწერია, სახლში მაგიდაზე ეყარა, შემთხვევით კითხვა დავიწყე, დამაინტერესა, მერე ნებართვა ვთხოვე და ვთარგმნეო. ორი დღეა მაგაზე ვცოდვილობო...

ვილიამ კიისერი ტიპიური ინგლისელია. მეუღლესთან ერთად ჯერ სამხრეთ აფრიკაში წასულა ლონდონიდან, მერე კარგა ხანს შავ კონტინენტზე უბოლიადათ,

ოჯახში. აი, ამ კაცის ჩანაწერების თარგმანი მომაწოდა დათომ.

მე უძიროებს ლეკვერთხები გადაუჭირე, ჩონის ქილებზე ხელისფულები გადავატარე, ხანჯალ-ასხმული ქამარი წელზე დვეღლივით შემოვიჭირე, წამით სარკემიაც შეგავლე საკუთარ თავს თვალი და მერე გადავშალე რვეული.

- „ქართველები თბილისიდან მოვიდნენ კორსიკაზე და პოლიფონიის ფესტივალზე იმღერეს. ადვილად შეგეძლოთ დაგესკვნათ, როგორი ძალით შეეხო კორსიკულ გრძობებს ეს ათი კაცი, რომ მასპინძელთა უძრავლესობა იძულებული გახდა ატლასი გადაესინჯა შავი ზღვის საპოვნელად.

ქართველებმა დატოვეს სამოქალაქო ომის პირზე მიმდგარი თავისი ქვეყანა და მოვიდნენ იქ, სადაც ბევრს იარაღი საწო-

ლის ქვეშ უდევს.

თქვენ მოგწონთ, რომ შემსრულებლები ერთ მტკიცე მუშტად არიან შეკრულნი. სულიერად მტკიცე, უდიდეს ქართველებს შეუძლიათ სულაც ათის წილი იმღერონ, მაგრამ ასევე შეუძლიათ უეცრად ბავშვებად გარდაიქმნან, თქვენ კი თვალს სუჭავთ და ისე უსმენთ აკვნის სიმღერას.

უსმენთ და ხედავთ გურამი, გია, გივი, თემური, ზურაბი როგორ სთავაზობენ თავიანთ ხმებს რობერტის, გოგის, ზაურს, დავითს და დავითს - როგორც სიყვარულში გახვეწულ ძვირფას საჩუქარს.

არსებობს ერთი ასეთი ქართული თქმულება - მრავალთავანი ერთ-ერთ დამპყრობელს, რომელმაც მოსპო და გაანადგურა პატარა მთიანი ქვეყანა, უკანა გზაზე ერთ-ერთ სოფელში, სადაც ეგონა, რომ ხალხი მთლიანად ამოწყვეთა, ორი მომღერლის სიმღერა გაუგონია. ამ სიმღერამ დაარწმუნა იგი - ასეთი ხალხის დაპყრობა შეუძლებელია. უცნაური კი ისაა, რომ კორსიკელებიც იგივეს ყვებიან თავისი ისტორიიდან.

და ქართველები დღესაც სვამენ წყალს, როგორც ღვინოს და ღვინოს, როგორც წყალს. ფეხზე მდგარი წარმოთქვამენ მაგიდასთან სადღეგრძელოებს. ქვეყანასა და ოჯახს ადღეგრძელებენ. დარწმუნებულნი არიან, რომ ეს მათ ძალას მატებთ, რომ იმღერონ, სიმღერა კი ძალას მატებთ, რომ იცხოვრონ მღელვარე დროებაში და შეინარჩუნონ სიცოცხლის სიხარული.

ისინი შავ სამოსს ატარებენ, წელზე შემორტყმული გრავირებული იარაღით, ძალაყვლიანი წალებით და მკერდზე პატრონტაყით ჭეშმარიტად პატრიოტებად გამოიყურებიან და ნამდვილად ასეთები არიან, თუმცა ყოველთვის ნიღბავენ თავიანთ ძლიერ პიროვნულ ინდივიდუალობას, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება თვალსაჩინო, როცა სულიერების სფეროში იძირებიან და განუთქვამენ შინაგანი იმპულსებით თხზვენი თავიანთ წარმოდგენელ მუსიკალურ პარტიებს. გრძობ, რომ სამღერლად გადახვეწულ მათ სხეულებში საქართველოსთვის იწყება სულთა განწყობა.

მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ ადვილად და უკოფლიქტოდ გაგრძობინონ ერთდროულად ორი რამ - მოწყენილობა მხიარულებად მიგანჩნდეთ და საშინაოება უკიდურეს ბედნიერებად. და ისინი მღერიან ეპიკურ, შრომის, სამოგზაურო თუ სუფრის სიმღერებს, ფერხულებსა და იანგანებს, საგლობლებსა და ბალადებს. მღერიან სამლოცველოებში, ეკლესიებში, მაგიდასთან, ბაღში, მანქანაში, სახლებში და ალბათ შხაპის ქვეშაც. მღერიან გულის კარნახით და უძლიერესი ემოციით, რომელიც მათი სულის სიღრმიდან ამოდის. იქ კი სიმღერაა ყოველი და ყველა ასაკისათვის.

შემთხვევით მაცურებელს შეეძლო დაკ-



ვირვებოდა ჯგუფის თითოეული წევრის ქცევას და წარმოდგინა ისინი მთარბიყეებად, ან სასიყვარულო ქმედებისთვის მზადმყოფებად, მაგრამ ამით ისინი მხოლოდ დამოკიდებულების უშუალობას აფიქსირებენ, რადგან, მეორე წამს, მათი გასაოცარი ფიქრიანი გამოხედვა, მოულოდნელი ხელის ჩამორთმევა, ან სულაც მხარზე ხელის გადასმა მიგახვედრებდა, რას წარმოადგენს მათთვის მთელი კორსიკა. ისინი, არასოდეს, სულ ოდნავაც კი არ გასცილებიან ზნეობის ჩარჩოებს და მათი ჯიშით თანდაყოლილი უხადო ქცევები ნებისმიერ ღონღონელ ჯენტლმენსაც კი შეშურდებოდა.

ერთ-ერთ მათგანს ღონღონიდან ჩემი სტუმრები გააცანა, შუახნის ცოლ-ქმარი. თითქოს ზრდილობიანად ეკითხებიან ათას რამეს, ძირითადად ქართველებსა და საქართველოზე, მაგრამ, ყველა კითხვა, მოპასუხის მიმართ თავისთავად ნაგულისხმევი უპირატესობითაა გამსჭვალული, ინგლისელებს ყველგან, ყოველთვის და ყველას მიმართ რომ სჩვევიათ და სავსებით ბუნებრივად მიაჩნიათ. იმ ქართველმა ეს მაშინვე იგრძნო, მაგრამ არ შეიმჩნია. ისეთი გამაოგნებელი იუმორით და ერუდიციით პასუხობდა მისთვის ალბათ საკმაოდ გულუბრყვილო კითხვებს, რომ ჩემი სტუმრები მთლად ბავშვებად გადააქცია. გვიან მიხვდა

ჩემი სტუმარი ქალბატონი ამას და აშკარად გაბრაზებულმა, მაგრამ ღიმილის გრძობასათი ჯერ მადლობა გადაუხადა, მერე კი მოულოდნელად, ვითომ კეთილგანწყობისა და მოწონების ნიშნად, ყოჩაღ, გამოცდა კარგად ჩააბარეო, სინამდვილეში კი თავისი თვალდახედულა და კარგული უპირატესობის დასაბრუნებლად, მოწაფესავით თავზე ხელი გადაუსვა თმბშეთხელებულ კი არა, გვარიანად გამელოტებულ მოპასუხეს. ქართველს წამიერად ისე შეეცვალა სახე, მიხვდი, აღარავის დაინდობდა. შევწუხდი, ველარ ვასწრებდი სიტუაციის განმუხტვას, მაგრამ წამის შემდეგ მან ჯერ მე შემომხედა, შემდეგ დიდსულოვნად გაიღიმა და სავსებით მოულოდნელად ასეთი რამ თქვა - ბოდიშს გიხდით ქალბატონო, რომ თავზე ქორი ვერ დაგახვედრეთო...

ქართველთა ხმებმა და ქცევამ თითოეული ჩვენთაგანი გაუღინთა. ჩვენ ვუყურებთ მათ სხეულებს მოწყვეტილ მხიარულებას და ჩვენც მოწყენილები ვხვდებით. ჩვენც გვშია ღარიბული ცნობები მათი სახლებიდან და იმ ომებიდან, რომლებიც იქ მძვინვარებენ. ჩვენ კი ვერ ვახერხებთ მივცეთ მათ სულ მცირედი დამამშვიდებელი ინფორმაცია კი. არავითარი ნუგეში არ არის, თითქოს, ისინი კი სიმღერას განაგრძობენ, ოღონდ მათი ნამღერი კიდევ უფ-

რო ძლიერი და წამლევი ხდება.

ვინ ვის ებრძვის და რისთვის? ვისი მიწა ვისია და როდინან? ჩვენ ცოტა ვიბნევით - რუსები, აფხაზები, გურულები, მეგრელები... ავირდავირეთ, ვისი ხელი-სუფლებათა კანონიერი და ვისი არა. ვამჩნევთ განსხვავებას რუსულ და ქართულ ანბანს შორის, მაგრამ არც ერთის წაკითხვა არ შეგვიძლია. ველარაფერს ვხვდებით - სად მთავრდება ევროპა და სად იწყება აზია. ვერ ვხვდებით, ვინ ვის მხარესაა და ვის სწყალობს ღმერთი, მაგრამ ეს ხომ არაფერს ნიშნავს - მთავარი ისაა, რომ ისინი ახლა აქ არიან, ისინი უკვე ჩვენში არიან. ამიტომ, ის, რაც ნამდვილად გვსურს ვიცოდეთ, ისაა, როგორ მოვასწეროთ, რომ ისინი მამინაც ჩვენთან იყვნენ, როცა წავლენ.

მათი მთავარი კონცერტი ახლოვდება. ოსტატი მათ ბოლო დარჩევებს აძლევს. პატარა ოთახში არიან. ეს სათავსო მათ თავიანთი ეროვნული ტანსაცმლის ჩასაცმელად სჭირდებათ... რატომ კიდია აქ წმინდა გიორგის დროშა? კითხულობს ერთი... სადა ჩემი უძიროები? - აინტერესებს მეორეს. „ნელა, ფეხზე ნუ მბიჯებ“, ამბობს მესამე. მე ეს ფრაზები ჩემით მოვისაზრე, რადგან არ მესმის მათი ენა.

კონცერტი კი ათის ნახევარზე დაიწყო. საათნახევრის შემდეგ კი კათედრალში საოცარი სიჩუმე სუფევს. მეტისმეტი ალტაცებისგან ხალხი ვეღარ ხმაურობს, ჩუმადაა. ეტყობა ერთი სურვილი გაუჩნდა ყველას, შევიდნენ სადმე და ბრენდით ამოივსონ მუცლები ამ უცნაური დღესასწაულის შემდეგ.

ქართველებმა იმდერეს! ვუსმენდი მათ და ხან ბუნხარში მოთუხთუხე ქოთანნი მელანდებოდა, ხან ზეცისკენ ისარივით გაჭრილი ტორილა, ხან ოკეანის ძლიერი სუნთქვა და ხან გავარვარებული ფოლადი. ისინი ერთდროულად იყვნენ მამონტებიც და მლოცველებიც, თანდათან კათედრალის თაღებქვეშ ალღებული კელაპტრებივით იღვენთებოდნენ და ნაღვენთის ეს მდულარე ლავა, როგორც ყველაფრის წამლეკავი ნიაღვარი, დასავლის კარიდან უწყვეტად გამოდიოდა და ციტადელის გრანიტის საფეხურებით ზღვამდე ჩაღწეული, იქ, ქვიშიან ნაპირზე გრილდებოდა.

ახლა ისინი მშვიდად დგანან. გამოდის უან-კლოდი, დიდი მომღერალი, ქართველების მოწაფედ რომ თვლის თავს. მას ხმის ამოღებაც არ სჭირდება. ჩვენ ვიცით რაც უნდა მოხდეს.

შვიდი კორსიკელი თეთრ პერანგებში, გულგაღვლილები, შავი შარვლებით, სახესავსე ღმილით ცრემლებივით ჩაერივნენ ქართველებს. სიმღერა ენად იქცა და კორსიკელთა მელოდიებმა ადვილად იპოვნეს გზა ძმების გულებში. ათი ხარი და შვიდი ფრთოსანი.

ქართველები, ამჯერად დამწვიდებული ხმებით, კორსიკელბმაც მიაგნეს თავისას. სოლისტები ამოცურდნენ და ნაიარევივით გაქრნენ. დგება მომენტი, როცა ველარაფინ არკვეს, ვინ რას მღერის და ეს ყველაფერი მაინც საოცარ ჰარმონიაშია, რადგან აქ არის ვებერთელა ძალა, ვებერთელა ძალაუფლება, აქ არის უდიდესი წინათგრძნობა, რომელიც ერთ სხეულად აქცევს ყველას და ეს სხეული ბრწყინვალედ გრძნობს, რა უნდა გააკეთოს.

ქართველები კორსიკას არ დატოვებენ. კორსიკელები არასოდეს მიატოვებენ ქართველთა სიმღერის ბრძოლას. თუ საწყაროს მშვიდობა სურს, აი, ამას ძალუქს იგი“.

რვეული დავხურე. ერთი წაუვსტვინე და ბიჭებმაც მომადანეს, წავედით, ვაგვიანებთო...

მოედინისკენ მივიკვლევდით გზას ხალხის ნაკადში. მთელი მოედანი ხალხით იყო გადავსილი. პირდაპირ ქვაფენილზე ისხდნენ. დავეინახეს თუ არა, ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ქართველები მოდიანო, მერე იმ რიგმა, რომელსაც წინ ჩავუარეთ, გაუბედავი ტაში დავევიკრა, თანდათან ის ტაში წინა და უკანა რიგებსაც გადაედო, ზემოთაც აგორდა და სანამ მთელი მოედანი არ გადავჭვრით ცერად და სანამ ისევ „მშობლიურ“ ტერასას არ შევფარეთ თავი, აღარც გაჩერებულან.

სათს დავხედე. თერთმეტს აღარაფერი უკლდა. მიკროფონებს მოვერგეთ. ვიკითხე, რა გადავწყვიტეთ, რას ვმღერით-მეთქი. იყოს გურული და სვანური, ვერ „ორირა“ ვთქვათ, მერე ფერხული, ჯოკიას ვარიანტი, აზუსტებს რობერტი. ისე არცა აქვს დიდი მნიშვნელობა დღევანდელ ნამღერს. ჩვენ ჩვენი უკვე ვთქვით, ეს ტაშიც იმის გამოძახილი იყო. ასე, ღია ცის ქვეშ, ამდენ ხალხს, ორი სიმღერით, ჩვენ რომ გვინდა, ისე, ქართული სიმღერის მადლს მაინც ვერ ვავაგებინებთ...

მე აღარაფერი მითქვამს, ვილიამის ჩანაწერებით ვიფავი გაბრუნებული და რობერტს მხოლოდ გონებაში დავეთანხმე.

ამ დროს კაფედან ჩვენმა სალომემ გამოანათა. ორივე ხელით ლანგარი მოჭქონდა, რომელზედაც გალიცილიცებული პატარა სირჩები ეწყვი, გაფაციცებული დაჭყურებდა და ფრთხილი ნაბიჯით მიიწველა ჩვენსკენ. შევეგებეთ.

- აქაური არაყია, კორსიკული, ღვინის წყალს ეძახიან. მამა ამბობდა, ქართველებსაც აქვთო ასეთი არაყი. რაღაც უცნაურ სახელს ამბობდა. თქვენთვის შეგუკვეთე... თუ არ შეიძლება, უკანვე წავიღებ და... მერე, კონცერტის შემდეგ...

მუდარას უფრო გავდა სალომეს სიტყვები. ვიგრძენით, ბედნიერი რომ იყო ამ წუთებით და აბა ამ ბედნიერებას როგორ წავართმევდით. ჩამოვირივით სირჩები, შენ

და შენს ბებიას გაუმარჯოსო, ვუთხარით და გადავკარით. გახარებულმა ცარიელი ჭიქები კაფეში შეაბრუნა, ძალევე გამობრუნდა და ზუსტად ჩვენს ქვემოთ, ტერასას ქვედა კედელთან ჩავიდა, აქედან უკეთ მოვისმენითო...

ამ დროს მთელ მოედანზე და ახლო-მახლო ქუჩებში სინათლე გამორთეს და ყველა სახლის აივნებზე თუ ფანჯრის რაფების გაყოლებაზე უკვე ანთებული სანთლები ერთბაშად მთელი თავისი დიდებულის იდუმალებით გამოიკვეთა.

ეტყობა ნიაგმაც შეაფასა სიტუაციის მუხტი და ზღვიდან ციტადელისკენ ცელქად მომავალმა საღვაც გზაშივე არჩია გარინდება. შეუცნობელის მოლოდინით დამძიმდა გარემო. მოედანიც ისეთ სიჩუმეში ჩაიხიდა, კაცი იფიქრებდა ეს სამი ათასი კაცი ერთმანეთს ერთდროულად გაეუტაო.

და აი, ამ საყოველთაო მდუმარებაში მთელ ციტადელს რაღაც იდუმალი ფერადი ნისლივით ჩამოეფინა მამაკაცის ულამაზესი ტემბრის ხმა -

წამით დასწრო სისხლმა გონებას, უმაღლესი იგრძნო მშობლიური, იგრძნო და უცნაური ბიძგივით ყველა კუნთი დავევიკმა. მერე კი გონებამაც დააფიქსირა, რომ ფესტივალის დამამთავრებელი ზეიმის დაწყება ჰამლეტ გონაშვილისეულმა „ოროველამ“ გვაუწყა. ბაგები დაგვეწურა და ხორხები დაგვეგერა. სიმღერა თითქოს ძალიან შორიდან, იქნებ სულაც საქართველოდან მოჰყვებოდა ზეციურ გუთანს და როცა მან თავისი ულამაზესი კვალი ციტადელზეც გაიტანა, ეჭვი აღარ გვეპარებოდა, რომ სამი ათასი კაცის ტაშის ხმა ექოსავით ნაღვად უკანვე, საქართველომდე ჩაღწევადა.

ასეთი მოულოდნელი ემოციურობით დაიწყო ჩვენთვის კორსიკული შემოდგომის მშვიდი საღამო.

გვიან, როცა ყველაფერი დამთავრდა, ვასმამზე ვართ და სალომეც, რაღა თქმა უნდა, ჩვენთანაა. ამოვირჩიეთ ერთი მოზრდილი თეთრი მაგიდა ტერასას ცენტრში, შემოვუსხედით, სასმისებიც შევივსეთ წითელი ღვინით და ყველანი ვგრძნობთ, თავდავიწყებაც ძალე ვეგსტუმრება.

ტერასის სხვადასხვა კუთხიდან კი უკვე ისმის სიმღერები, ზედიზედ იმდერეს ბულგარელებმა, შემდეგ ამერიკელებმა, ალბანელებმა, კორსიკელებმა... გინდა არ გინდა აქაც შეფარული პაექრობაა და ღვინით გალაღებული ხმები ეფინება ხმელთაშუა ზღვის ჭაფიქორულ ნაპირებს.

სალომე კი ცმუკავს. თქმით არაფერს ამბობს, მაგრამ ერთი სული აქვს ჩვენც როდის გავანთავისუფლებთ ყელში გამოწყვედულ დუღილდაწყებულ ხმებს. ჩვენ კი განგებ ვაჭიანურებთ, გამოცდილებით ვიცით, სალომეს გარდა მთელი ტერასაც



ქართველების ამდერებას ელოდება და ამ მოლოდინს კიდევ უფრო ვამძაფრებთ. თანაც ბიჭებიც მიმოიფანტნენ, ზოგი სარდებს ჩაუვდიათ ხელში და ღვინოს აძალებენ, ზოგი აფრიკელებს და ზოგიც ჟურნალისტებს. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, რომ დაუძახო რომელიმეს, იქნებ ვერც გააგონო, მაგრამ საკმარისია ვინმემ სიმღერა წამოიწყოს, მაშინვე ყველა გამოიქცევა და თუ მოსვლა ვერ მოასწრო, ხმას გზიდანვე შემოგაშველებს.

როცა სალომემ კიდევ ერთხელ შემოგვხედა მუდარით სავსე თვალებით, გოგის აღარ მოუთმინა გულმა, ჯერ, როგორც სჩვეოდა, ღიმილი გადაეფინა სახეზე და თერე მრავალჟამიერი დაიწყო.

მაშინვე მოჭრით მოწყდა ტერასაზე ხმაური, თითქმის უხმო, გამხნივებისა თუ მადლიერების ტაშმა ნიავეით გადაიქოლა და მიუხედავად იმისა, რომ სიმღერა ტერასაზე კი არა, მთელს ციტიადელზე მშვენიერად ისმოდა, უმრავლესობამ მაინც მიატოვა მაგდლები და ჩვენსკენ გადმოინაცვლა. მეორე მუხლი ჯერ მოტრიალებულიც არ გვქონდა, ზანგი გამოვიდა წინ, გვერდიგვერდ მსხდომ ვიას და რობერტს დაუდგა უკან, დაიხარა, სახე მათ სახეებს ჩაუდგა და ბანი „შემოგვაშველა“.

ჩავამთავრეთ სიმღერა თუ არა, ჩვენი ხასიათი ზომ მოგეხსენებათ, იმ ზანგს მოვეფრეთ, ისე შევაქეთ და გავამხნივეთ, თითქოს სასწაული ექნას. არადა, მრავალჟამიერის გაბმული ბანი, თუ კაცს ყური ძალიან არ გღალატობს, არაა ძნელი სათქმელი, მით უმეტეს აქეთ-იქიდან ოსტატები თუ ყურში გიმღერიან. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, იმ ზანგს თავგამოდება არ დაუფასოთ, უბრალოდ, რაც ჩვენი წაქეზების მერე მოხდა, იმან გაგვადიზიანა. ჩვენმა ქებამ გაათამამა თუ მის გარეშეც ასეთი თავდაჯერებული

იყო, ეს არ ვიცით, მაგრამ მოგვიტრიალდა და გვეუბნება, ეგ რაა, მე მსოფლიოს ნებისმიერი ხალხის ხალხური სიმღერის ერთ ფრაზას რომ მოვიხსენებ, მეორედან ნებისმიერ ხმას ავყვებიო...

იმდენად აბსურდად გვეჩვენებოდა მისი ნათქვამი, რომ, თავიდან ვიფიქრეთ, ეტყობა მისი ინგლისური კარგად არ გვესმისო და გოგომ ბარემ სამჯერ გაამოერებინა ერთხელ ნათქვამი. როცა საბოლოოდ დაერწმუნდით, რა სისულელეს რომაგდა, გოგია მოგვიტრიალდა და ჩვენ გვითხრა - მეონი გააფრინა ამ საწყალმაო... მერე ისევ ზანგს მიუტრიალდა და საკმაოდ დიდხანს უმტკიცებდა, წარმოუდგენელ რამეს იბრალებ, სხვაგან ეგება კიდევ მოახერხო, მაგრამ ქართულ სიმღერასთან ეგ უბრალოდ შეუძლებელიაო. არ გაჭრა მისმა შეგონებამ. პირიქით, იმ ზანგ მომღერალს, მეგობრებიც წამოეშველნენ, დანარჩენი ამერიკელი მომღერლები და იმათაც დაადასტურეს - ნებისმიერი ხალხური სიმღერის ნებისმიერ ხმას იმღერებს ერთი მუხლის მოსმენის შემდეგო. ეტყობა, მართლაც იმდენჯერ ჰქონდა ეს უკვე გაკეთებული, რომ არცერთი არ დაგჭვებულა მეგობრის შესაძლებლობებში. მოკლედ, დიდი აჟიოტაჟი ატყდა. მთელ ტერასას ჩვენს გარშემო მოეყარა თავი. მხოლოდ სალომე იჯდა ჩუმად და თავისი ფიქრიანი თვალებით ზან გოგის შესცქეროდა, ზან ზანგს, იმისდა მიხედვით, იმ მომენტისთვის რომელი აქტიურობდა.

გოგომ უკანასკნელი არგუმენტი მოიშველია, აგერ შენ და აგერ ჩვენ, მოდი და ვცადოთო. არც ზანგს დაუხევიდა უკან. პირიქით, რაზან ასეა, მოდი დაწინააღმდეგეთო და გაშლილი მარჯვენა წინ წამოსწია. გოგიც მაშინვე დაეთანხმა. ათასგან წამიკითხავს, ამერიკელებს ნიძლავი ძალიან უყვართო, წაკითხულის მაგალითს კი მაშინ

პირველად გადავვიყარე. ისე გაუხარდათ, რომ მაშინვე ჯიბეებზე გაიკრეს ხელი, ათას ფრანკს მოუყარეს თავი, მაგიდაზე დაგვიდეს და ზემოდან კოკა-კოლას სანახევროდ დაცლილი ბოთლი დაადეს.

სურვილიც რომ გვექონდა, სიტუაციას ვეღარ დავუსხლტებოდით ხელიდან. მისი ტყვეები ვიყავით უკვე. ჩვენ და ისინი კი არა, მთელი ტერასა აზარტით იყო დანაღმული და წუთი-წუთზე აფეთქებოდა.

გოგიმაც ამოიღო ჯიბიდან ფული, ათასი ფრანკი ადვილად გადათვალა, რადგან თითქმის აღარაფერი შერჩა ხელში და კოკა-კოლას ისტორიული ბოთლი კიდევ უფრო გაამდიდრა. მერე მოგვიტრიალდა და მე და რობერტს გვკითხა - რა ვთქვით, ჩვენ მშვიდობაო?!

- კი ბატონო, იყოს ეგ, დაეთანხმა რობერტი. მე კი უეცრად ვეკითხები, - მისმინე, მართლა რომ ავყვეს ეგ შობელძაღლი, რა ვქნათ მერე? გოგომ ისე შემომხედა, მივხვდი, ჩემი ნათქვამი ხუმრობად მიიღო.

- არ ვხუმრობ, ვთქვით და ავყვება, მერე? გოგის თვალები გაუფართოვდა.

- რა დაგემართა, ხომ არ გააფრინე?!
- არა, ეგვიც არ მეპარება, რომ ვერ იმღერებს, მაგრამ მაინც... ცოტაა ამ ქვეყანაზე შერეკილი? - ჩემსას არ ვიშლი.

- შერეკილების მეტი რაა, მაგრამ ეტყობა ყველამ ჩვენთან მოიყარა თავი, სამი თვე ვსწავლობდი მაგ სიმღერას და ამან ახლავე უნდა იმღეროს? მოიცა ერთი თუ ძმა ხარ, ეგეთი რამე არ ხდება...

მერე მე თავი გამანება და იმ ზანგს ეკითხება, - დავიწყო?!

- ო, კეი! ო, კეი-ო!

გოგიმაც თავი ოდნავ უკან გადასწია, თვალები მილულა, ტრადიციული ღიმილიც არ დაივიწყა და ღიმილით დაიწყო. დაიწყო, აყვებით და აღარც ზანგი გვახსოვდა უკვე, აღარც ტერასა და აღარც ის ნიძლავი, სიმღერის დემონმა მოგვიტაცა სამივე.

როცა სიმღერა ჩავთავეთ, როცა ალყა-შემორტყმული განწირული მეციხოვნეებით ვიდექით ამდენი სეირის მოყვარე ადამიანის წინ და მათ აღფრთოვანებულ ყიფინას ვისმენდით დაბნეულები, როცა გახარებული სალომე კიდევ ერთხელ ჩავვეხვია სამივეს, მერედა ვკითხეთ ბიჭებს, რას შვებოდა ჩვენი ზანგი, სცადა მაინც რამე თუ არაო. ბიჭებს გაეცინათ, სცადა კი არა, შეხედეთ, რა სახე აქვსო... სიმღერა რომ დაიწყეთ, ჯერ თვითდაჯერებული ღიმილით ვისმენდათ, მერე თანდათან ღიმილი გაუქრა, თვალები გაუფართოვდა და მეონი ახლაც გაოგნებულიაო.

მართლაც ასე იყო, წესით და კანონით ჩვენი იყო ნიძლავი, მაგრამ თურმე სადა ხარ, ამერიკელები არ აპირებდნენ ასე ადვილად დანებებას. აგვიხიბდნენ, ჩვენ ფოლ-

კლორზე დაწინააღმდეგებით, რითი ამტკიცებთ, რომ ეს სიმღერა ხალხურია და არა ვინმე ვირტუოზის მიერ საცირკოდ შექმნილი ნომერიო. წარმოუდგენელია ასეთი რამ ხალხს ეძღერაო. აგერ, ამდენი მომღერალია, ამათაც კეთხოთ, ეჭვიც არ გვეპარება, რომ ყველა ამავე აზრისააო.

წამოვენთეთ, მაგრამ, მართლა როგორ გინდა დაამტკიცო? ლექციას ხომ არ ჩავატარებდით ქართული სიმღერის ტრადიციებზე?

ჩვენ ხომ საქმის ამგვარ შემოტრიალებას არც ვკვიფობია. ურთიერთნდობას თავისთავად ვეულისხმობდით და როცა ეს ნღობა გაქრა და როცა ჩვენთვის ყველაზე ძვირადღირებულ პატიოსნებაში ეჭვი შეიტანეს, ბუნებრივია, გავლიზანდით და არგუმენტებიც ბრინჯივით დაგვებნა. ვინ იცის, სადამდე შეტოპავდა ჩვენი კამათი, უეცრად ვილიამ კისერი რომ არ ჩარეულიყო საქმეში.

- მომისმინეთ, ვეთაყვა, - წინ გამოვიდა ვილიამი - მე ინგლისელი ვარ, თავიდანვე ვიცოდი, რომ განწირული იყავით. მომავლისთვის დაიმასხოვართ, ქართველებთან ნიძლავის დადება არ შეიძლება, ისინი ყოველთვის მოიგებენ, მართლები არიან და იმიტომ. ისინი შეიძლება დაჩაგრო, თუ კი შეძლებ, მაგრამ ნიძლავს კი ვერ მოუგებ. მე პირადად მათთან სანადლეოს დადებას ვერასოდეს გავრისკავ. მე ისიც ვიცი, რომ მათთან სოფლებში მომღერლები გასაოცრად მღერიან, უფრო გასაოცრად, ვიდრე ესენი, მაგრამ ეს ხალხი მათ კი არ ენიძლავება, მოწიწებით ექცევა და სიმღერებს სწავლობს მათგან. უნდა ხდებოდეთ, რომ როცა თქვენ მათი არ გვევრათ, ისინი შეურაცხყოფილნი არიან. ვიცი, თქვენთვის ძნელია ამის გაგება, მაგრამ ასეა. სამი ათასი წელია ისინი ასეთ სიმღერებს მღერიან და სამი ათასი წელია არ ცრუობენ. სამი ათასი წელი რომ სიმღერა იქმნება, მკრეხელობა ათ წუთში მისი მღერა მიიწოდომო. მე ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ჯერ ინგლისური უკეთესად უნდა ისწავლოთ, შემდეგ ხალხის პატივისცემა და მხოლოდ მერე იფიქროთ სიმღერაზე. დამიჯერეთ, თქვენ ეს თავხელური ნიძლავი პირწმინდათ წააგეთ. სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ რადგან ამას ვერ იჯერებთ და დამარცხებას ვერ ეგუებით, მე ვთხოვ ქართველებს კიდევ იმღერონ რამე, საბოლოოდ რომ დაგარწმუნონ თქვენი თავდაჯერებულობის აბსურდულობაში. ისინი სიმღერის მეფეები არიან და ვიცი ამას გააკეთებენ. მეფეებს ხომ მიმტყველობა და დიდსულოვნება სჩვეიათ. და, თუ ამ სიმღერასაც ვერ აჭყვევთ, მინდა დავიჯერო, რომ, ქართველებს, გამარჯვებას პირველნი თქვენვე მიულოცავთ, ო, კვი?! ჯერ იმათ გაუღიმა ვილიამმა, მერე კი ჩვენც

გადმოგვხედა ეშმაკურად და თან თვალიც ჩაგვიკრა.

ამერიკელებმა კი, ყურადღებით რომ უსმენდნენ ვილიამს, ერთმანეთს გადაულაპარაკეს რალაც-რალაცები, მერე ისევ ზანგი გამოწინაურდა და ყველას გასაგონად, უფრო კი ვილიამის საპასუხოდ თქვა - ქართველებს შეუძლიათ აღარ იმღერონ, ჩვენ წავაგეთ, ძალიან ვწუხვართ, რომ ეს თავიდანვე არ ვალიართო...

აბა ჩვენს ჭანჭიკებმოშვებულ გრძობებს კიდევ ეს უნდოდა? ეჰ! ეტყობა იმდენად ვართ ბოდიშის მოსმენას გადაჩვეულნი, რომ ამჟამად ავლელდით და წუთის წინ მოსაკლავად თუ არა, გასალხანად ამჟამად გამეტებულ ამერიკელს, იქით დაუწყვით დამშვიდება, არ გეწყინოთ, ბიჭებო, მოდი ძმებად დავრჩეთ, ყველაფერი ხდება, წაგებაც და მოგებაც ხომ ძმებიაო. ვილიამის თხოვნას კი მაინც შევასრულებთ, იმიტომ კი არა, რამე დაგიმტკიცოთ, უბრალოდ ჩვენი მეგობარიო... და ალი-ფაშა დავიწყეთ! „ოიდა ალი-ფაშამ გვიღალატა...“ ხმელთაშუა ზღვას გადაეკიდა მშვილდის საბელიდან ასხლეტილი ქართული სიმღერა.

- როცა შურისძიება კიდევ ერთხელ შედგა, როცა მოღალატე ალი-ფაშა კიდევ ერთხელ ბაწრით ჩაითრიეს გემში, როცა მისმა განწირულმა კვილიმა სუფსის გაღმა ბაილეთელი გურულები კი არა, ხმელთაშუა ზღვის გაღმა პირქუში სიცილიელები შეძრა, როცა ტერასაზე ხალხის ხელახალი ყიფინაც დაცხრა, უეცრად სალომე, ჩვენი პატარა ქალბატონი წამოდგა, კოკაკოლას ბოთლის ქვემოდან ყველასგან დავიწყებული ფული გამოაძრო, ათასი ფრანკი ნერვიულად გადათვალა, მიუტრიალდა იმ ჯერ კიდევ საფრანგულში ჩავარდნილ ზანგს, ფული პერანგის ჯიშები ჩაუწურთა, მერე ისე, რომ ხელი უკან აღარც წამოუღია,

თითი მიაბჯინა მკერდზე და უცნაური სიამაყით უთხრა: - კარგად მოისმინე და სამუდამოდ დაიმასხოვრე, შენ რომ ასე იმღერო ჩემნაირი სისხლი უნდა გეღვას ძარღვებშიო...

მოტრიალდა მერე, სათითაოდ შეკათავალიერა, უეცრად მკლავი მიიფარა თვალებზე და ისტერიულად ატირდა.

მამხნვე ვეცით, ვეფერებით, გულში ვიხუტებთ, ვამშვილებთ, ვაწქარებთ, აბა ინგლისური ვიღას ასხვავდა, ქართულად, ქართულად ვემუღარებოთ - სალომე, აბა შემოგვხედე, ჩვენი მშვენიერო, ჩვენი საყვარელო, ჩვენი პატარა ქალბატონო, კარგი ახლა, დაწქარდი, ჩვენა ვართ, შენი მამიკოები, შემოგვხედე და დაწქარდი, ხომ დედა გუტირეთ ყველას? ხომ გაგიხარდა? ჰოდა აღარ გინდა, ნუ ტირი, დამშვიდდი, გაიღიმე, ოღონდ გაიღიმე, ოღონდ ღიმილი დაგვანახე და მთელი დამე შენთვის ვიმღერებთ. აბა ზევით აიხედე, რამდენი ვარსკვლავია, თუ არ გინდა, ნუ შეხედავ, ოღონდ დამშვიდდი. გინდა წამო ზღვას გადავხედოთ, აქაურობას საერთოდ მოვცილდეთ. მერე საქართველოშიაც წავიყვანთ...

ვერც ერთი ვეღარ ვაფიქსირებდით, რომ სალომეს ისევე არ ესმოდა ჩვენი, როგორც ღვიძლი მამის სიკვდილისწინა ქართული. კინაღამ გულიც ამოაყოლა ცრემლებს, თან ამჟამად რალაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ბაგეებს მომდგარ სიტყვებს ზღვად მომსკლარი ცრემლები ახრჩობდა. კარგა ხანს იწვალა, სანამ მოახერხა და სლუკუნს ამოაყოლა: გამარჯობა მამა!

იცით, მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი დანამდვილებით, ჩემი თვალთ ვხედავდი და იმიტომ. სალომეს ძარღვებში მეთოხელი სისხლი ერია ქართული, მაგრამ როცა ტიროდა, მეთოხელი ცრემლით ნაღდათ არ უტირია.



„ილუზიონი“ „შინდლერის სია“



კაბადონეზში სია“

ოთარ სეფიაშვილი,
საქართველოს ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

ამჯერად „ილუზიონის“ ეკრანზეა - უკვე საქვეყნოდ აღიარებული ამერიკული ფილმი „შინდლერის სია“ - მწუხარე და ნათელი ხსოვნის მონუმენტური ტრაგიკული კინოფრესკა, რომელიც ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის წლებში დაღუპულ ექვს მილიონზე მეტი ებრაელის არდავიწყებას...

ხდება ისე, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეროვნული ნიმუშები ერთნაირი სიხშირით და სისრულით არ ჩნდება ზოლმე ჩვენში - საბჭოეთის კინოეკრანებზე. ამიტომაც, რომ ამერიკულ კინოს ჩვენი მასობრივი მაყურებელი, სამწუხაროდ, უფრო იცნობს გამართობი ხასიათის სურათებით - „ბოვეიკებით“, მელოდრამებითა და ვესთერნებით. მაგრამ ამერიკულ, მე ვიტყვოდი, დიად კინო-ხელოვნებას აქვს ეწ „სოციალური ფილმების“, ჭეშმარიტად მაღალი კინოგენიური კულტურის ბრწყინვალე ტრადიციებიც.

სწორედ ამ ტრადიციებისადმი ერთგულების საუკეთესო დასტური გახლავთ ცნობილი რეჟისორის - სთივენ სფილბერგის ფილმი „შინდლერის სია“, რომელსაც შარშან შეიღი ნომინაციით მიენიჭა დღევანდელი კინოსამყაროს ყველაზე პრესტიჟული ჯილდო - ამერიკის კინოაკადემიის „ოსკარი“ - მათ შორის (ცალცალკე) საუკეთესო სცენარისათვის, საუკეთესო რეჟისურისათვის, საუკეთესო ფილმისათვის...

ასეთი აღიარება - თუ გავითვალისწინებთ ამ ფილმისადმი როგორც ფართო მაყურებლის, ისე პროფესიონალური კინორიტყვის მხრივ განსაკუთრებულ გულისყურსა და მხარდაჭერას, - ცხადია, მოულოდნელი არ ყოფილა. თუმცაღა, ამერიკის კინოაკადემიისათვის ასეთმა ერთსულოვანმა გადაწყვეტილებამ მაინც გამოიწვია ერთგვარი აზრთახევაობა. ზოგიერთს მიაჩნდა, რომ შარშან (1994-ში. რედ.) კონკურსზე იქნებ სხვაც - არანაკლები მხატვრული ღირებულების და აქტუალური ფორადობის ფილმი იყო წარმოდგენილი. მაგრამ ჩანს, ამჯერად ამერიკის კინოაკადემიამ კაცთმოყვარეობის - შემართული ჰუმანიზმის სულისკვეთების მკვეთრად გამოხატვული ნაწარმოები არჩია, როგორც თანადროულ მსოფლიო კინოცხოვრების პროცესში ყველაზე მხარდასაჭერი ღირსეული ნიმუში.

კინოსურათ „შინდლერის სიის“ ფინალში ისმის სიტყვები ძველი ალთქმის



წიგნიდან: „ერთი ადამიანის სიცოცხლის გადამრჩენელს თუგინდა მთელი ქვეყნიერება გადაერჩინოს“...

დღევანდელ იერუსალიმში არსებობს მეორე მსოფლიო ომის უამინდელ „ჰოლოკოსტში“ (კატასტროფაში) დაღუპულთა ხსოვნის მუზეუმი-მემორიალი, რომელსაც ებრაულად „იად ვა შემ“ ანუ „ხსოვნა და სახელი“ ჰქვია. მუზეუმში მისასვლელ გზას ორივე მხრივ ხეივანი აუყვება, სადაც ხეები და რაგული იმ არაებრაულ ადამიანთა სახელებზე, რომელთა მაღალხეობრივი ღვაწლისა და გაბედულების შედეგად თუნდაც ერთი ებრაელი მაინც გადაურჩა სიკვდილს.

ხეივანს ებრაულად ეწოდება „ხასიდეთუმით-ჰა-ყოლამ“ ანუ „მსოფლიოს ხალხთა წმინდანები“. თითოეული ხე კი ერთი რომელიმე კონკრეტული ადამიანის სახელს ატარებს.

მათ შორისაა ტანაყრილი ხე, რომელსაც „ოსკარ შინდლერი“ ჰქვია - სახელი რეალურად არსებული გერმანელი კაცისა, სამხედრო მრეწველის და ნაცისტური პარტიის წევრის, რომელსაც იმ პირსის-ხლიანი გენოციდის ყაჰს გარდაუვალი სიკვდილისაგან უხსნია ათასზე მეტი ებრაელი... მისი ღვაწლი და საოცარი ადამიანური შემართება გვიან, ომის დამთავრებიდან 13 წლის შემდეგ გახდა ცნობილი და ოსკარ შინდლერი წმინდანად შერაცხეს „იად ვა შემში“ 1958 წელს. სწორედ ეს კაცია დღევანდელი ფილმის მთავარი გმირი.

სურათს საფუძვლად უდევს თომას კელენის დოკუმენტური რომანი... და აქ მინდა გავიხსენო ერთი საგულისხმო ფაქტი,

რომელიც, ვფიქრობ, ჯერაც ცნობილი არ არის ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. სფილბერგის ფილმის გადაღებამდე, - ბევრად ადრე, - კელენის წიგნის ეკრანიზაცია საზღვარგარეთიდან შესთავაზეს ჩვენს თანამემკლულეს, შესანიშნავ ქართველ კინო-ხელოვანსა და საზოგადო მოღვაწეს თენგიზ აბულაძეს. ჩანს, იგი სერიოზულად ფიქრობდა ამ წინადადებაზე. მასსოვს, როგორი აღფრთოვანებითა და შთაგონებით მელაპარაკებოდა თენგიზი ამ დოკუმენტური რომანის მთავარი პერსონაჟის და კელენის წიგნის ეკრანული ვერსიის საკუთარი ჩანაფიქრის გამო. და ვერ იცის, იქნებ კიდევაც განეხორციელებინა ჩანაფიქრი, ჩვენში ასე ტრაგიკულად რომ არ ამღვრეულიყო დღეთა მოვლენები და მისთვისაც ასე რომ არ ემუხთლა ბედს!..

* „შინდლერის სიის“ დღევანდელი ჩვენება „ილუზიონში“, ნებისთ თუ უნებლიეთ, თანხვდა პასექს, ანუ „ფესასხს“ - ებრაელთა ყველაზე დიად, მარადიულ ეროვნულ დღესასწაულს. ეს არის ევკიპტეში ოთხასწლიანი ტყვეობიდან ისრაელის შეილთა ხსნის არდავიწყების მოუმღელი ტრადიცია.

„გახსოვდეს ევკიპტიდან შენი გამოსვლის დღე!“ - შთაგონებდა ძველი ალთქმის უფალი ღმერთი ალმურავარდნილ უდაბნოში ალთქმული მიწისაკენ დაძრულ ებრაელებს. და მას შემდეგ: „მამებისაგან შეილებს, თაობიდან თაობებს გადაეცემა ეს ძველთუძველესი ამბავი, არა როგორც ლეგენდა ან ცოცხალი ისტორიის მოგონება, არამედ როგორც თითოეული ებრაე-

ლის მიერ პირადად განცდილი თავგადასავალი, რისი დავიწყებაც შეუძლებელია,“ რამეთუ ეს იყო ხალხის პირველი შეხება თავისუფლებასთან... შემთხვევით არ დასცდენია ენაკვიმატ პოეტს - ჰაინრიხ ჰაინეს: „ბიბლიური „გამოსვლის“ შემდეგ სიტყვა „თავისუფლება“ ყველა ენაზე ებრაული აქცენტით წარმოითქმის...“

მაგრამ ამ დღეს, ფესახის სადღესასწაულო - რიტუალურ ტრაპეზზე - სავალდებულოა, რომ სუფრაზე უნდა იდოს მონარშული კვერცხი. ეს კი, - მოგეხსენებათ, ალბათ, - გლოვის სიმბოლოა. გლოვისა იმ ადამიანთა, რომლებიც თავისუფლებასავე მიმავალ გზაზე დაილუნენ უდაბნოში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ამ სიმბოლომ ომის წლებში დახოცილ ექვს მილიონზე მეტი ებრაელის გლოვისა და ხსოვნის მნიშვნელობაც შეიძინა...

სხვათაშორის, „ოსკარის“ ჯილდოს გადაცემის ცერემონიაზე - „შინდლერის სიის“ რეჟისორი სთივენ სვილბერგი აღნიშნავდა: „მე მინდა მოვისხენიო ის ექვსი მილიონი ადამიანი, რომლებიც ახლა აღარ არიან იმ ასობით მილიონთა შორის, ახლა ჩვენს გადაცემას რომ უყურებენ. ჩვენ არა გვაქვს მათი დავიწყების უფლება!“

და ბოლოს: იუდეველთა სჯულდებით, უმადურობა, სხვათა მიერ შენთვის და შენი ხალხისათვის გაკეთებული სიკეთის და მადლის დავიწყება ერთ-ერთი მიუტევებელი ცოდვათაგანია!.. და შრიალეს დღეს იერუსალიმის ხსოვნის მემორიალში - „იად ვა შემში“ წმინდანად შერაცხულ არაებრელთა სახელზე დარგული ხეები, მათ შორის ოსკარ შინდლერის ხეც. და თითქოს რაღაც იდუმალი ხმით ჩაგვეხმის უფალი ღმერთის სიტყვები, ესაია წინასწარმეტყველის წიგნში რომ ამბობს: „და მივსცე მათ სახლსა შინა ჩემსა და ზღუდესა შინა ჩემსა ხსოვნა და სახელი საუკუნოი და წარუხოცენნი...“


ფილმიც, რომელსაც ახლა ენახავთ, ამ სიტყვებით შთაგონებული ჭეშმარიტად მაღალმხატვრული და მოქალაქეობრივი შემართების დასტური გახლავთ.

* რედაქტორისაგან:

2005-ში აქ. ამერიკაში ქართულ ენაზე დაიბეჭდა და გამოიცა ოთარ სეფიაშვილის მოგონებათა წიგნი „ხსოვნა“. (ინგლისური ვერსია „Memory symphony“-2012), რომელშიც ავტორი იხსენებს საქართველოს ტელევიზიამ, პირველმა რომ უჩვენა პროგრამა „ილუზიონში“ „შინდლერის სია“. და ახლა, ტელეგადაცემის შესავალ საავტორო ტექსტთან ერთად, გთავაზობთ ამონარიდს წიგნიდან „ხსოვნა“, რომელიც არაერთი ცხოვრებისეული დეტალით და საგულისხმო ნაფიქრალით ამდიდრებს და წონას მატებს ამ პუბლიკაციას.



■ ოსკარ შინდლერი



■ შინდლერის სია



■ შინდლერის საფლავი



და ისევ ვუბრუნდები „იად ვა შემს“, - იმ მემორიალურ ხეივანს იერუსალიმში მუზეუმისაკენ გზას რომ აუყვება ორივე მხრიდან. შრიალეებენ მოთეთრო მიწაში ფეხვმოჭიდებული ხეები და თითოეულს კონკრეტული კაცის სახელი ჰქვია, - იმ არაებრაელი ადამიანებისა, რომლებსაც კატასტროფის ფაშს არაერთი ებრაელი უხსნიათ დალუპვისაგან. აქვეა ტანაყრილი ხე, დარგული ოსკარ შინდლერის სახელზე, - იმ გერმანელის არდავიწყება, რომლის ღვაწლითაც ათას ასამდე ებრაელი გადაურჩა გარღუვალ მოსპობას. სწორედ ამ კაცის ხსოვნას მიეძღვნა ამერიკელი რეჟისორის, „პოლივუდის ჰომეროსად“ წოდებულ სთივენ სფილბერგის ფილმი, - დღეს უკვე საქვეყნოდ გახმაურებული - „შინდლერის სია“. ჩემი აზრით, ამ ღრმა და არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი ფილმის ღირსება სცილდება მასში ასახული ტრაგიკული ისტორიის ლოკალურ ფარგლებს; მისი პოეტიკის მნიშვნელობა ჯერაც არ არის სათანადოდ გააზრებული და, შესაძლოა, ისევე, როგორც თავის დროზე რობერტო როსელინის ფილმმა, „რომი - ღია ქალაქი“, სათავე დაუდო იტალიურ ნეორეალიზმს, „შინდლერის სიასაც“ მოჰყვეს რაიმე ახალი მიმდინარეობა ეკრანულ ხელოვნებაში. არადა, როგორ სჭირდება ასეთი სიახლე დღევანდელ კინოს!..

სხვათაშორის, სფილბერგის ფილმი ჯერ კიდევ 1995 წლის აპრილში ვუჩვენეთ საქართველოს ტელევიზიით პროგრამა „ილუზიონში“, რომელსაც მე ვუძღვებოდი. სურათს უკვე მიღებული ჰქონდა ამერიკის კინოაკადემიის შვიდი „ოსკარი“. „აკადემიკორდის“ ცერემონიალის ვიდეოჩანაწერის ნაწყვეტიც ჩავრთეთ სფილბერგის მონაწილეობით. და რაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ფილმის ტელეეკრანზე ჩვენების დღე თანხვდა პასექის (ებრ. ფესახის), - ისრაელის შვილთა მონობიდან ხსნის, „გამოსვლის“ დღესასწაულს. და როგორ შეიძლება მაღლიერებით არ გავიხსენო, რომ მაშინ ჩვენი ტელევიზიის ხელმძღვანელობას, სრულიად შეგნებულად, გულისყური არ გაუმახვილებია ამ გარემოებაზე, თუმცადა მათ, როგორც პროფესიონალებმა, კარგად იცოდნენ, რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტელევიზიით ამა თუ იმ პროგრამის ან ფილმის ჩვენების მომენტს. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ იმ დროისათვის, ფაქტობრივად, საბოლოოდ არ იყო აღმოფხვრილი საქართველოში სამოქალაქო ომის რეციდივები... ფესახის სადღესასწაულო სუფრაზე კი ებრაელები კითხულობენ ჰაგადას, ანუ უძველეს გადმოცემას, რომლის მთავარი შეგონებაა - „გახსოვდეს ეგვიპტიდან შენი გამოსვლის დღე“. ყოველი იუდეველი ვალდებულია, ჰაგადაში მოთხრობილი აღიქვას არა რო-



გორც ოდესღაც, უსსოვარ წარსულში მომხდარი ამბავი, არამედ წარმოისახოს და განიცადოს, როგორც ახლა, ამჟამად, შენს თვალწინ, შენთვის მომხდარი სასწაული. ჰაგადის ცხელ კვალზე „შინდღერის სიის“ ჩვენებას ხაზი უნდა გაესვა, რომ ებრაელთა ისტორიის ოთხი ათასწლიანი გზაზე არაერთხელ მომხდარა და გამეორებულა ტრაგიკული მოვლენები, ან, როგორც ცკლე-სიასტე იტყვოდ: „რაი ქმნაღი, იგივე ქმნული; და არა რაი არა არს ყოველივე ახალ მზისა ქუეშე...“ რომ ყველაფერი ის, რაც ფილმშია - სამ საათში ჩატეული და კონცეტრირებული - სინამდვილეა; იგი იყო და აღარ უნდა განმეორდეს; მაგრამ - იყო, იყო და, შესაძლოა, კვლავ განმეორდეს!.. სფილბერგის ფილმი, თავისი ტკივილებიანი ხსოვნით და „იად ვა შემში“ ოსკარ შინდღერის სახელზე დარგული ხეც შეკამათებაცაა „ამაოებათა ამაოების“ ფილოსოფიასთან: „არა არს ხსენება პირველთა და უკანასკნელთა ქმნილთა; არა იყოს მათდა ხსენება ყოფადთა თანა უკანასკნელ...“

„შინდღერის სია“ ებრაელთა ტრაგედიაზე ღრმა ფიქრიცაა და, იმავდროულად, მგზნებარე ძახილიც - „განსოვდეს!“

მაშინ სთივენ სფილბერგის ფილმის ტელეეკრანზე ჩვენების წინ საუბარში გავიხსენე ერთი შემთხვევაც, კერძოდ: ამ მომენტამდე ორი თუ სამი წლით ადრე ჩემთან ტელევიზიაში მოვიდა შესანიშნავი ქართველი კინორეჟისორი, საქვეყნოდ ცნობილი კინოტრილოგიის - „ვედრება“, „ნატურის ხე“, „მონანიება“ - ავტორი, თენგიზ აბულაძე.

ვიცი, თენგიზი არ იყო ის პიროვნება, უმიზნოდ რომ შემოივლიდა ტელევიზიის შენობაში და შეაღებდა ნებისმიერ კარს. და მართლაც, ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ თქვა: თუ გაგიგონია ასეთი კაცი - ოსკარ შინდღერი? თავი გავაქნიე „არას“ ნიშნად. მან კი განაგრძო: იქნებ ზღაპრად მოგეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, ომის დროს ამ გერმანელს ათასზე მეტი ებრაელი გადაურჩენია. დოკუმენტური რომანიც გამოვიდაო ამ კაცის შესახებ; მოკლედ დამიხსენიათა იგი და დასძინა: ახლა ერთი გერმანული ფირმა მთავაზობს ამ წიგნის ეკრანიზაციას. რას იტყვიო?

- ძალიან სერიოზული და მაცთუნებელი წინადადებაა-მეთქი, ვუპასუხე, დარწმუნებული ვარ, შენი რანგის რეჟისორი კიდევაც დაძლევეს მას, მითუმეტეს, თუ ფილმის მასშტაბის შესაბამის დაფინანსებასაც გპირდებიან. შენს ფილმებში, მეტადრე ბოლო ტრილოგიაში, ძალუმად იგრძნობა ზოგადსაკაცობრიო პრობლემების ასხნისაკენ სწრაფვა, მათი მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრება, მაგრამ ეს ხდება ყოველთვის ქართულ ნაციონალურ ფონზე, ქართველ გმირთა თუ პერსონაჟთა სუფთა ეროვნული ხასიათების გამოვლენით. აქ კი... და ხუმრობის კილოთი დაეუმატე: ებრაელებს აქვთ ერთი ასეთი გამოთქმა - იერუსალიმს წამსვლელს ნურც „ჰოს“ ეტყვი, ნურც „არას“... გავიცინეთ. საოცრად მომხიბლავი გაცინება ჰქონდა, გულწრფელად მიყვარდა იგი, როგორც ნამდვილი ხელოვანი და როგორც ძალზე თავისებური ადამიანი.

ეს ეპიზოდიც ჩვენი მრავალწლიანი ურთიერთობიდან იმისათვის გავიხსენე მაშინაც და ახლაც, რომ იქნებ წაადგეთ ქართული კინოს ისტორიისა და თავად თენგიზ აბულაძის შემოქმედების მკვლევარებს. რეჟისორისათვის ასეთ მასშტაბურ, მსოფლიო მნიშვნელობის ფილმზე მუშაობის თვით შეთავაზებაც კი მისი მოქალაქეობრივი მრწამსისა და მაღალი შემოქმედების საყოველთაო აღიარების დასტურია.

- უკვე ამერიკაში ვიყავი, როცა ერთ-ერთმა ამერიკულმა ტელეარხმა „შინდღერის სიის“ სატელევიზიო პრემიერა, ან როგორც თავად ამერიკელები უწოდებენ „პრეზენტაცია“ გამართა. პრემიერას არაერთი გულუხვი სპონსორი გამოუჩნდა და ფილმი მიდიოდა შეუწყვეტლად - სარეკლამო რგოლების ჩაჭრის გარეშე. იმ დამეს, რომ იტყვიან, მთელი ამერიკა მიჯაჭვული იყო ტელევიზორებთან. მეორე დღეს სკოლიდან შინმობრუნებული ჩემი შვილიშვილი მიყვებოდა: „იცი, ჩვენთან ერთი კარგი გერმანელი გოგო სწავლობს, დღეს დილით, კლასში რომ შევედი, ჩემთან მოვიდა ის გოგო, გადამეხვია და ლამის ტირილით, ხმადებლა მითხრა: მაპატიე, თამუნა, ყველაფრისათვის ბოდიშს გიხდი, რა გქნა, მრცხვენია ახლა, რომ მეც გერმანელი ვარ.“

როგორ ცვლის დრო და გარემო ადამიანთა შეგნებას. ასე მგონია, სთივენ სფილბერგისათვის ყველაზე დიდი ჯილდო იქნებოდა იმ გულშემძრული გოგონას სიტყვების გაგონება. ■

მოგზავნილობა
სამშობლოში,
სამშობლოს
ქალაქი რა...

ქსე
სახლის
ქსე
დიასახლისი

საქართველს მოქალაქე

ამერიკაში გადმოხვეწილი ქართველი-სათვის ერთ-ერთ ძირითად მიზანსა და შესაბამისად, სიმშვიდისა და კეთილდღეობის მთავარ გარანტიას ე.წ. „საბუთების გაკეთება“ წარმოადგენს. მინიმუმ - „მწვანე ბარათი“, მაქსიმუმ - „სიტიზენობა“, ასეთია მიზანი, რომელიც ხშირად ყველა საშუალებას ამართლებს. ვინ როგორ ახერხებს ამას, რა ფინანსური თუ ემოციური დანახარჯებისა თუ დანაკარგების ხარჯზე, ამაზე საჯაროდ არავინ საუბრობს; თუმცა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველამ ყველაფერი იცის.

პირადად მე, ხშირად შევხვედრილვარ სოციალურ ქსელებში ამერიკის დროშის ქვეშ გადაღებულ, გაბადრულ სახიან ფოტოებს, წარწერით: დღეს ამერიკის მოქალაქე გახვდი! მომილოცეთ... ამ ბედნიერი სახის მიღმა რამდენი უძილო ღამე, არალეგალიზით გამოწვეული სტრესი, მილოდინში გაღებული წლები და ფინანსური დანახარჯი იმალება, ამას აღარავინ ითვლის... ყოველ შემთხვევაში, იმ ერთ კონკრეტულ დღეს(!) ვერავის შეეძლება, მით უფრო ვერ განიკითხავ, როცა დღემდე ვერშემდგარი სახელმწიფოს მოქალაქე ხარ, რომელიც ვერა და ვერ გახდა ვერც შენი და ვერც შენი ოჯახის უსაფრთხოებისა და ელემენტარული, საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის გარანტი, ერთადერთ გამოსავლად ისლა გრჩება სხვა ქვეყანას შეეკედლო. სწორედ აქ ხდება ემიგრანტების მენტალური ტრანსფორმაცია, როცა სახელმწიფო და სამშობლო ერთი განუყრელი მთლიანობა კი არა, ორ სხვადასხვა პოლუსზე, ლამის ანტაგონისტურად განწყობილ ცნებებად ყალიბდება.

ერთადერთ, განუმეორებელ და შეუცვლელ სამშობლოდ ისევ საქართველო რჩება! მაგრამ ხდები სხვა ქვეყნის მოქალაქე!

რას აკეთებს ამ დროს საქართველო, როგორც სახელმწიფო და რა სახის მომსახურება შეუძლიათ გაუწიონ უცხოეთში არსებულმა საკონსულოებმა საქართველოს უკვე ყოფილ მოქალაქეებს?

ბუნებრივია, ამ თემაზეც ვისაუბრეთ ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურ კონსულთან, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციაც გარკვეული სახის პოზიტივს მართლაც შეიცავს.

დიანა ჟღენტი: „ორმაგი მოქალაქეობის მიღების წესები ნამდვილად არ შეცვლილა, იგივეა და უსაფუძვლოდ გავრცელებული ჭორები, მხოლოდ და მხოლოდ აბრკოლებს ორმაგი მოქალაქეობის მიღების მსურველ ჩვენს თანამემამულეებს. ვინ, ან რა მიზნით გაავრცელა საზოგადოებაში ეს დეზინფორმაცია, ამის განხილვისა და პოლიტიკური შეფასებისაგან თავს შევი-

ნიუ-იორკი. 144 East 44th.

ლიფტის კარები მეოთხე სართულზე იღება და...

განცდა იმისა, რომ შინა ვარ - თავისთავად ჩნდება. მისალმებისა და გაცნობის-თანავე ინსტიტუტურად გარემოს დათვალიერებას ვიწყებ. ვცდილობ ამ უცნაურ, საოცრად შინაურულ შეგრძობას ახსნა მოუძებნო. პასუხიც თავისთავად და ბუნებრივად მოდის... უფრო სწორედ მესმის, ისე რომ კითხვა ხმაამდლა არ დამისვამს.

„ეს ყველა ქართველის სახლია“ - ამბობს დიანა ჟღენტი, ჩემი მასპინძელი და რესპოდენტი, საქართველოს გენერალური კონსული ნიუ-იორკში.

როდესაც პატარა ქვეყნის დიდი დიასპორა გაბარია, ძნელია დიპლომატიურ ენაზე ახსნა მოუძებნო: დიდი სახლის პატარა დიასახლისის ხარ, თუ პირიქით - პატარა სახლის დიდი დიასახლისის(!) ორივე შემთხვევაში ტვირთი დიდაა, ისევე როგორც პასუხისმგებლობა, რომელიც გარეგნული კომფორტის მიღმა, უამრავ პრობლემასა და ტკივილს მალავს.

ამერიკას ემიგრანტები არ „უკვირს“, მაგრამ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, „სტკივა“ ამდენი ქართველის სამშობლოდან გადინება. ამ ყველაფერს ადამიანი მაშინ აცნობიერებ და აღიქვამ, თუკი ფორმალური სტანდარტებისა და სტატისტიკის მიღმა საკუთარი სამშობლოს აღქმა შეგიძლია, როგორც დღემდეწაზე ყველაზე სულიერი და მგრძობიარე არსების.



კავებ. განვმარტავ მხოლოდ ერთს: საქართველოს გენერალური საკონსულოს კარი ნიუ-იორკში, ისევე, როგორც საქართველოში იუსტიციის სახლი, მუდამ ღიაა მათთვის, ვისაც ორმაგი მოქალაქეობის მიღება სურს.

პროცედურა საკმაოდ მარტივია: ჩვენი საკონსულო მონაცემებს აგზავნის საქართველოში, იუსტიციის სახლი განიხილავს, რის შემდეგადაც საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე. თუ ყველა დოკუმენტი წესრიგშია, რაც ერთის მხრივ ჩვენთან, მეორეს მხრივ კი - საქართველოში იუსტიციის სახლის მიერ მოწმდება, პირადად მე ვერ ვიხსენებ ვერცერთ შემთხვევას, როცა საქართველოს პრეზიდენტს უარი ეთქვას ვინმესთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებაზე. ასე რომ, კიდევ ერთხელ, საზგასმით მინდა აღვნიშნო და გავიმეორო: **ორმაგი მოქალაქეობის მიღების წესი, ყოველგვარი ცვლილებებისა და გარ-**

თულებების გარეშე მოქმედებს დღესაც!

რაც შეეხება ორმაგი მოქალაქეობის მიღების მსურველთა რაოდენობას. ყოველწლიურად, საშუალოდ ასამდე მოქალაქე მომართავს ჩვენს საკონსულოს ორმაგი მოქალაქეობის მიღების თხოვნით. მათი რაოდენობა, რასაკვირველია უფრო მეტია და ეს ციფრი ზუსტად არ ასახავს იმ ადამიანების რაოდენობას, ვინც ამერიკის მოქალაქეობის პარალელურად მიიღო საქართველოს მოქალაქეობაც. მხოლოდ გარკვეული ნაწილი მომართავს ჩვენს საკონსულოს. ნაწილი კი, ვისაც აქვს საშუალება საქართველოში ჩავიდეს, პირდაპირ საქართველოს იუსტიციის სახლს მიმართავს ანალოგიური თხოვნით.

აღსანიშნავი და სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ხშირად მშობლები, რომელთა შვილებიც ამერიკაში დაიბადნენ და შესაბამისად, არიან ამერიკის მოქალაქეები, ბავშვის დაბადებისთანავე მოდიან საკონსუ-



ლოში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ მშობელს შვილის დაბადებისთანავე გაცნობიერებული და გააზრებული აქვს, რომ შვილს საქართველო - როგორც სამშობლო და საქართველოს მოქალაქეობა - როგორც საკუთარი სამშობლოს მოქალაქეობა, დაბადებისთანავე უნდა შეუნარჩუნოს და მიანიჭოს, მაშინაც კი, თუ იგი ამერიკაში დაიბადა და ამერიკის მოქალაქეა.“

მომსახურების სერვისი და პირითადი განმარტება

ნიუ-იორკში გენერალურ საკონსულოს სწორედ იმ დროს ვესტუმრეთ, როცა შიდა სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სატელეფონო მომსახურების გაუმჯობესების ტექნიკური მხარე გვარდებოდა.

1-212-922-1722 ამ ნომერზე დარეკვის შემთხვევაში, თქვენ ავტომატურ რეჟიმში მიიღებთ პასუხს ყველა იმ მომსახურებასა თუ ქმედებაზე, რომელსაც გენერალური საკონსულო ახორციელებს.

საქართველოს მოქალაქეებს სატელეფონო მომსახურების გარდა, ასევე შეუძლიათ ელექტრონული ფოსტით (newyork.con@mfa.gov.ge) დაუკავშირდნენ საკონსულოს, საიდანაც 24 საათის განმავლობაში აუცილებლად მიიღებენ კომპიუტერულ და ამომწურავ პასუხს.

რაც შეეხება პირად კონსულტაციას, ის ყველა სამუშაო დღესა შესაძლებელი - ტელეფონით სამიდან ექვს საათამდე;

ხოლო პირადი შეხვედრა (რომლისთვისაც სასურველი დრო თქვენ შეგიძლიათ როგორც სატელეფონო ზარით, ასევე ვებგვერდის საშუალებით www.geoconsul.gov.ge სურვილისამებრ თავადვე ჩანიშნოთ) ასევე ყველა სამუშაო დღეს დილის ათი საათიდან შუადღის ორ საათამდე შესაძლებელი.

რასაკვირველია, ნებისმიერი საქართველოს მოქალაქისთვის (იმის მიუხედავად ლეგალურად იმყოფება იგი ამერიკაში, თუ არალეგალურად) გენერალური საკონსულოს კარი მუდამ ღიაა იმ შემთხვევაში, თუ საქმე მოქალაქის გარდაცვალებას, დაკავებას ან მსგავსი ტიპის ფაქტსა და მოვლენას ეხება. ასეთ შემთხვევებში საქართველოს გენერალურ საკონსულოს 24 საათის განმავლობაში შეგიძლიათ მიმართოთ დასახმარებლად.

რა თქმა უნდა, არიან კმაყოფილებიც და უკმაყოფილოებიც... ისევე, როგორც ყველგან და ისევე როგორც ყოველთვის. თუმცა, უკმაყოფილოთა პრეტენზიების მოსმენის შემდეგ ერთ მარტივ დასკვნამდე მიდიხარ:

ზმირად, ამა თუ იმ სტრუქტურის გაუმართაობაზე, ან არაეფექტურ მუშაობაზე სწორედ ის ხალხი საუბრობს, ვისაც სრულფასოვანი წარმოდგენა არ აქვს რეალურად რა უფლება-მოვალეობა გააჩნია კონკრეტულ სახელმწიფო სტრუქტურას. ასე ხდება საკონსულოებთან და საელჩოებთან მიმართებაშიც.

ამიტომ, რამდენადაც ამის საშუალებას ეს პუბლიკაცია მოგვცემს, შევეცდებით გენერალური საკონსულოს ძირითადი უფ-

ლება-მოვალეობანი „სამოქალაქო-სამომხმარებლო“ ენით განუუმარტოთ ჩვენს მკითხველს:

საქართველოს კანონდებლოთ გენერალურ საკონსულოს მინიჭებული აქვს შემდეგი უფლებები: საქართველოს იუსტიციის სახლთან ერთობლივი თანამშრომლობის საფუძველზე მას შეუძლია გასცეს - პასპორტი, დაბადებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები. შეასრულოს სამოქალაქო რეგისტრაცია - გასცეს ქორწინებისა და განქორწინების მოწმობები. ასევე შეასრულოს სანოტარო მომსახურება, დაამოწმოს მინდობილობა, ანდერძი. დიპლომისა და ნიშნების ფურცელის, ცნობის ან მოწმობის თარგმნა ან თარგმნის ნამდვილობის დადასტურება.

ახლა კი დავუბრუნდეთ საქართველოს კანონს „საკონსულო საქმიანობის შესახებ“. საკონსულო ფუნქციები იყოფა ძირითად და დელეგირებულ ფუნქციებად. ძირითადი საკონსულო ფუნქციებია: კონსულტაციის გაწევა; სამართლებრივი დაცვა; შუამდგომლობა; საკონსულო ლეგალიზაცია; საქართველოს ვიზების გაცემა; საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა; საკონსულო აღრიცხვა; სანოტარო მოქმედების შესრულება და ა.შ.

ეს ჩამონათვალი საკმაოდ დიდია. მას ახლავს კონკრეტული განმარტებებიც, ინფორმაცია საჯარო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ამომწურავი ინ-

ფორმაცია მიიღოს ამა თუ იმ საკითხზე.

ქ. ნიუ იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს საკონსულო ოფისი მოიცავს ამერიკის შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიას შვიდი შტატის გამოკლებით. ამიტომ, წელიწადში ერთხელ, საკონსულო გასვლით სამუშაოსაც ატარებს და სხვადასხვა შტატში, ადგილზე ემსახურება საქართველოს მოქალაქეებს.

საქართველოს გენერალური საკონსულოს ფუნქცია-მოვალეობაში არ შედის მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა. მას აქვს კიდევ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი და ფუნქცია, რომელიც, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს დამკვიდრებას ემსახურება საერთაშორისო არენაზე.

რას აკეთებს და როგორ მუშაობს ნიუ იორკში საქართველოს გენერალური საკონსულო, ამას ყოველდღიურად, დინამიკაში შეგვიძლიათ ადევნოთ თვალი ვებ-საიტზე. თქვენი შენიშვნები და სურვილები, შეძლებისდაგვარად (ანუ რამდენადაც ამის საშუალებას როგორც საქართველოს ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა იძლევა) ყოველთვის გათვალისწინებული იქნება.

არაფინ იცის ზუსტად, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, რამდენი ქართველი გადმოიხვეწა ამერიკაში. ზოგის სავარაუდო სათვალავით ათი ათასებს გასცდა; ზოგის - უფრო მეტს. ფაქტია, მათი უმრავლესობა დღემდე არააღვალად ცხოვრობს, რაც მათ ისედაც მძიმე ყოფას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს. დღესათვის საკონსულო აღრიცხვაზე საქართველოს ოთხი ათასამდე მოქალაქეა აყვანილი, რაც ბუნებრივია, ამერიკაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რეალურ რაოდენობასთან ახლოსაც ვერ მოვა. არადა, საქართველოს კანონმდებლობა საქართველოს გენერალურ საკონსულოს აძლევს უფლებას - საკუთარი მოქალაქეები აიყვანოს აღრიცხვაზე და გაუწიოს მათ საკონსულო დებულებებით გათვალისწინებული დახმარება მაშინაც კი, თუკი საქართველოს მოქალაქე არააღვალურად იმყოფება ამერიკის ტერიტორიაზე, რათაც, ბუნებრივია, ამერიკის კანონმდებლობას არღვევს(!) საკონსულო აღრიცხვის შესახებ ინფორმაცია არის შიდა მონხარების და მას იცავს კანონი. არააღვარი ქართველების დიდმა ნაწილმა კი, ეს ან არ იცის, ან არ იყენებს ამ შესაძლებლობას.

სიტყვა - შესაძლებლობა, სიტყვის მასალა არ გახლავთ მხოლოდ. დიანს, ეს შესაძლებლობაა, რადგან თუკი თქვენ იქნებით საკონსულო აღრიცხვაზე, ამით ავტომატურად მოიპოვებთ საქართველოში მიმდინარე არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, როგორც საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქე. კანონით მინიჭებული უფლების გარდა, არსებობს მთელი რიგი ადამიანური ფაქტორებიც: მზრუნველობა, ყუ-



ქართული რთველი
ჰოკონოს მონასტარში



საკონსულო დღე
ლოს-ანჯელისში



სვატიცხოვლოა
ჰოკონოს მონასტარში



საქველმოქმედო აქცია
ქართული გავრეგისტრაციის



საქართველოს
დაგეგმვის დეპარტამენტის
დღის მიღება გაეროში



სოლომონ პატარაიას
საფლავზე ჩიკაგოში

რადება, ინტენსიური კონტაქტი და თუნ-
დაც ერთგვარი დაცულობის განცდა... სა-
კონსულო ინტენსიურად მოგაწოდებთ ინ-
ფორმაციას მოსალოდნელი სტიქიური
უბედურებიდან დაწყებული, კულტურული
ღონისძიებით დამთავრებული. საჭიროების
შემთხვევაში, მის ხელთ არსებული ყველა
სამუშაოებით, აღმოგიჩენთ დახმარებას.

ბოლოს და ბოლოს, უცხო ქვეყანაში
გადმოხვეწილი, როცა სრულ მართობაში
ხვდები ნებისმიერ დღესასწაულს და დამრ-
თგუნველ მდუმარებაში უცებ გაიგონებ
ტელეფონზე ტექსტური შეტყობინების
ხმას... „ქრისტეა აღსდგა!“ „მრავალ შობას
დაესწარი!“; „გილოცავთ საქართველოს
დამოუკიდებლობის დღეს“... და ამ ტექს-
ტური შეტყობინების ავტორი საქართვე-
ლოს საკონსულოა, საქართველოს გენერა-
ლური საკონსულო ამერიკაში, თქვენი სამ-
შობლო... სამშობლოს მიღმა... და ბუნებ-
რივად ჩნდება პოზიტივი, სასიამოვნო გან-
ცდა იმისა, რომ - ახსოვხარ, შენს ქვეყა-
ნას ახსოვხარ, ყოველდღიურად თუ არა,
ჭირსა და ღხინში მაინც...

დიანა ჟღენტი

დაიბადა 1980 წელს. 2002
წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშ-
ვილის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საერთაშორისო
სამართლისა და საერთაშორისო
ურთიერთობების ფაკულტეტი;

2003-2004 წლებში მუშაობდა
საქართველოს ფინანსთა სამინი-
სტროს იურიდიულ დეპარტამენ-
ტში სხვადასხვა თანამდებობებზე;

2004 წლიდან შეუერთდა სა-
ქართველოს დიპლომატიურ სამ-
სახურს;

2007-2008 წლებში ხელმ-
ძღვანელობდა ნიდერლანდების სა-
მეფოში საქართველოს საელჩოს
საკონსულო სამსახურს;

2009 წლიდან მუშაობა განაგ-
რძო არასამთავრობო სექტორში.
კერძოდ, „ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციაში“. არჩეული იქნა გამ-
გეობის წევრად და ხელმძღვანე-
ლობდა სხვადასხვა პროექტებს;

2013 წლის 15 ივლისს უბრუ-
ნდება საქართველოს საგარეო საქ-
მეთა სამინისტროს სისტემას და
ინიშნება ნიუ-იორკში საქართვე-
ლოს გენერალურ კონსულად;

მინიჭებული აქვს საგანგებო
და სრულუფლებიანი დესპანის
დიპლომატიური რანგი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ეს გახლავთ მოკლე ოფიციალური
მონაცემები, მაგრამ როგორია საქართვე-



ლოს გენერალური კონსული ამ ოფიციალური მონაცემების მიღმა, როგორც პიროვნება, ქალი, დედა, მეუღლე და ადამიანი...

ოფიციალის მიღმა, ანუ შტრიხები პორტრეტისათვის

არსებობენ ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი, გაცნობისთანავე დადებითად განაწიონ, მაშინაც კი, თუ ამას ურთიერთობის ფორმატი სულაც არ მოითხოვს, ან უფრო მეტიც - ფიქრობ, რომ შესაძლოა მთელი ცხოვრების განმავლობაში მეტად აღარც შეხვდე.

დინა ჟღერტი ერთ-ერთი მათგანია, ვინც ამ ადამიანურ ხიბლს ბუნებრივად ატარებს. ეს რასაკვირველია, ჩემი სუბიექტური მოსაზრებაა და მკითხველს სრული უფლება აქვს იფიქროს, რომ ჟურნალისტთან ურთიერთობაში ნებისმიერი რესპოდენტი ცდილობს თავი უკეთ წარმოაჩინოს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რეალურად, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაშიც ასეთივეა.

მაგრამ... მასალის ფორმატიდან გამომდინარე ჩვენ რამდენჯერმე შეეხვედით ერთმანეთს, სხვადასხვა გარემოსა და მოცემულობაში და ჩემს ჟურნალისტურ და კრიტიკულ გონებასაც (რომელსაც ოცი წლის განმავლობაში ძირითადად ხელისუფლებისა და საჯარო პირების კრიტიკისკენაა მძარბოვლი) ძალიან გაუჭირდა პოზიტივზე „გადაწყობა“ და ამ ყველაფრის დაჯერება.

პირველი, რაც ყველაზე მეტად მომხვდა თვალში ისაა, რომ დინა აბსოლუტურად თავისუფალია (ტიპური, ქართულ ჩინოვნიკურ-დიპლომატიური) იმპერატიული

ტონისგან. უფრო მეტიც, კუთვნილებითი ნაცვალსახელი „მე“ პრაქტიკულად არ აქვს და მაშინაც კი, როცა კონკრეტულ კითხვას უსვამ, როგორც გენერალურ კონსულს, მისი პასუხი იწყება ასე: „ჩვენი საკონსულო“.

პირადი პორტრეტისათვის გეტყვით, რომ იგი უჩვეულო ენერჯითა და სილალით გამოირჩევა. შესაბამისად, უყვარს ყველაფერი სიცოცხლისუნარიანი, მკვეთრი და ნათელი. ისევე როგორც ნებისმიერი ქალისთვის, მისთვისაც ბედნიერი დღეები შვილების დაბადებას უკავშირდება, ტრავიკული დღე - მამის გარდაცვალებას.

წარმატებული კარიერის მიუხედავად, ბავშვობის მოგონებები მის ცნობიერებაში შეუცვლელად ადვილს ინარჩუნებს. რა არის სიხარული, უფრო სწორედ რა არის სიხარულით გამოწვეული ბედნიერება, ჯერ კიდევ სუთი-ექვსი წლისამ განიცადა და გააცნობიერა. ერთ დღეს მთელი ოჯახი აფორიქდა. ბაბუას მეგობარი, რომელიც, ლამის მათი ოჯახის წევრად აღიქმებოდა, ავად გახდა. მთელი დღის განმავლობაში უყურებდა ოჯახის წევრების დალონებულ სახეებს და ესმოდა დამთრგუნველი და დამწუხრებული ფრაზები - რომ ვერ გადაიტანოს? მძიმე ოპერაცია...

ოღონდ გადარჩეს...

მეორე დღეს, უფროსები საავადმყოფოდან გახარებულები დაბრუნდნენ შინ და თქვეს რომ ოპერაციამ კარგად ჩაიარა, ალბათ ვერავინ შეამჩნია დინას რეაქცია - პატარა გოგონა დიდი გულით - რომელმაც პირველად იგრძნო, რა არის ის დიდი

სიხარული, რომელსაც ბედნიერება ჰქვია.

პირველი ტკივილის განცდაც, რომელიც ტრაგიზმად აღიქვა, ბავშვობას უკავშირდება. ძალი, რომელიც ძალიან უყვარდა ერთ წვიმიან დღეს ეზოში გაასერნა. უკან დაბრუნებულს სადარბაზო ჩაბნელებული, ლიფტი კი გაფუჭებული დახვდათ. ფეხით აუყვანენ კიბეებს. ძალი წვიმიან ამინდში სეირნობისგან იმდენად სველი და ჭუჭყიანი იყო, ხელში არ აუყვანია. აღარც ანსოვს რომელ საართულზე იყვნენ, არც ის, ძალს ფეხი დაუცდა, თუ კიბეებზე მომხვდურად მომავალმა დააფრთხო... ფაქტია, კიბიდან გადავარდა, სახელურის გისოსებში გაიჭყადა და... მაშინ პირველად გაიგო, პირველად „დაინახა“ რა იყო სიკვდილი. ეგონა, მხოლოდ ძალი კი არა, მასშიც მოკვდა რაღაც, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი.

მაღევე უყიდეს მეორე ძალი, მესამე... მაგრამ მიხვდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ შეუცვლელი ადამიანები კი არა, შეუცვლელი არსებებიც არსებობენ. ის პირველი, ყველაზე ჭკვიანი და საყვარელი ძალი, კერცერთმა ვეღარ შეცვალა.

როგორც ყველა ქალს, რასაკვირველია, მასაც უყვარს ყვავილები, ოღონდ უძრავლესობისგან განსხვავებით, ეს ყვავილი არც ვარდია, არც ორქიდეა და არც რომელიმე ყვავილების „დელოფლად“, თუ „იმპერატრიცად“ წოდებული... შრომანები და იასამანი უყვარს. და, აქაც ისევე ბავშვობისდროინდელი მოგონებები და სურნელი ახსენებს თავს - რუსულის მასწავლებლის სახლი, მაგიდაზე გაშლილი სახელმძღვანელო და ლარნაკში იასამნები და შრომანები... სურ-

ნელი, რომელიც გაზაფხულზე კარებიდანვე „ეგებებოდა“ და სულ სხვა „გაკვეთილებს“ უტარებდა - გემოვნებისა და შეგრძნების ჩამოყალიბების გაკვეთილებს...

რამდენიმე წელი ფიზიკა-მათემატიკურ (ე.წ. კომაროვში) სწავლობდა, თუმცა ბოლოს არჩევანი მანც საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობების სწავლის სასარგებლოდ გააკეთა. უყვარს ისტორიული ჟანრის ნაწარმოებები. მართლია, თარიღებისა და სახელების დამახსოვრების უნარით არ გამოირჩევა, მაგრამ თავად ისტორიული ნაწარმოების დინამიკა ხიბლავს, კითხვის პროცესი, შთაგონების, იდეალების განცდილობა და დასწრების ეფექტის შეგრძნებით. უსაყვარლეს ლიტერატურულ ნაწარმოებად მისთვის დღემდე დიუმას „სამი მუშეკეტერი“ რჩება.

ზოგადად ფიქრობს, რომ ბევრი რამის სწავლა შეიძლება, მაგრამ ბევრი რამის - არა. არსებობს უამრავი რამ, რაც ადამიანს თანდაყოლილ ნიჭად უნდა დაჰყვეს. რასაკვირველია, არსებითი მნიშვნელობა აქვს გარემოსა და მოცემულობას და სწორედ ამიტომ, მისი აზრით, საქართველოში დაბადება უკვე არის უნიკალური მანსი - ისწავლო და გაითავისო სიყვარული, ადამიანური ურთიერთობების ყველა ფორმასა და გამოხატულებას.

დიანა ჟღერტი სამი შვილის დედაა. სამივე შვილი - თოთხმეტი წლის ქეთევანი, ექვსი წლის მარიამი და სამი წლის ნიკოლოზი, თავისთან ჰყავს ამერიკაში. ბავშვების აღზრდაში და საოჯახო საქმეებში დედა ეხმარება. გენერალური კონსულის შვილები ჩვეულებრივ, საჯარო სკოლაში სწავლობენ. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს ბებიების მზრუნველობა არც საქართველოში და არც ამერიკაში ყოფნის დროს აკლიათ, დიანა მანც ფიქრობს, რომ დედა-შვილურ ურთიერთობაში დედის როლის „ჩანაცვლება“ შეუძლებელია, მაშინაც კი, თუ ბებიები ბევრად უკეთ უვლიან ბავშვებს.

დიანას მეუღლე საქართველოშია და მხოლოდ შვებულებებს ატარებენ ერთად. რასაკვირველია, არ არის იოლი ოჯახის „ორად გაყოფა“, მაგრამ დიპლომატთა ოჯახები მუდმივად დგანან ამ დიდიმის წინაშე, მით უფრო, თუ დიპლომატია ქალია.

ნოსტალგიაზე ცოტას საუბრობს. იცის, რომ მისიას ვადა ამოეწურება და საქართველოში დაბრუნდება. სამაგიეროდ ბევრს ფიქრობს და სწუხს თანამემამულეებზე, რომელთა ბედი გაურკვეველია და არავინ იცის, როდის დაბრუნდებიან, ან საერთოდ, დაბრუნდებიან თუ არა სამშობლოში... გაცნობიერებული აქვს ისიც (რაც ასევე დიდი იშვიათობაა ქართულ რეალობაში) რომ საკუთარი მოქალაქების მიერ გადახდილი გადასახელებით დაქირავებული სა-



ჯარო პირია. შესაბამისად, პასუხიმგებლობის გააზრებაც არ უჭირს და, კანონით დაკისრებული ვალდებულებების მიღმა, არც წმინდა ადამიანურ ემოციებსაა მოკლებული.

„შვილის ნუპრის ნაამბობიდან“ უსახელლო საფლავებამდე...

საქართველოს გენერალური საკონსულო ნიუ-იორკში ისეთივე ჭრელი და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ადამიანების მასპინძელია, როგორც მრავალფეროვანიც თავად ქართული ემიგრაციაა. ყველაზე მძიმე ემოცია არააღეგალი ქართველი ქალბატონების ვიზიტს ახლავს, რომლებთანაც უფლებებიც ყველა ფენის ნაბიჯზე, სამწუხაროდ, ძირითადად ისევე ქართველი „ახლობლებისა“ ან დამსაქმებლებისაგან ილახება.

ყველაზე დიდი ოპტიმიზმისა და დადებითი ემოციების საფუძველს კი, სტუდენტთა ახალგაზრდობა იძლევა, რომლებიც ამერიკის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ და ხშირად იკრიბებიან საკონსულოში სხვადასხვა კულტურულ თუ შემეცნებით ღონისძიებებზე.

აქაურობისათვის არც საქველმოქმედო ღონისძიებებია უცხო. ამერიკაში მოქმედი სხვადასხვა ქართული ორგანიზაციებისა თუ კერძო პირების მხრიდან შემოწირულობების შეგროვება და შემდეგ საქართველოში ხელმოკლე, სოციალურად დაუცველი და კონფლიქტის ზონიდან დევნილებად ქცეული ოჯახებისათვის გაგზავნა, თითქმის დაუწერელ წესად იქცა.

საქართველოს გენერალური საკონსულო ასევე უწევს კორდინირებასა და ორგა-

ნიზირებას საქართველოს კულტურის დღეებს ამერიკაში. შარშან, „MoMa“-ში“ გაიმართა გრანდიოზული ღონისძიებები, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოებამდე მიიტანა ქართული კულტურის შედეგები. ამის შესახებ ამერიკაში მცხოვრებმა ქართველებმა უკვე იციან და რადგან, ჩვენი წერილის მიზანი უფრო ადამიანური, არადეკლარირებული მხარეების წარმოჩენაა, ერთ პატარა სეკლიან ისტორიასა მოგიყვებით, რომელიც ჩვენს გენერალურ კონსულს გადახდა.

რამდენიმე თვის წინ, გასვლითი სამუშაოს ფორმატით, ნიუ-იორკის გენერალური საკონსულოს თანამშრომლები ჩიკაგოში იმყოფებოდნენ. როგორც კი თავისუფალი დრო გამოუჩნდათ, გადაწყვიტეს ერთ-ერთი პირველი ქართველი ემიგრანტის, „ვაილდ-ვესტის“ ერთ-ერთი პირველი მხედარის, სოლომონ პატარაის საფლავზე გასულიყვნენ. კაცმა არ იცის, ბოლოს, ვინ როდის იყო მის საფლავზე... იყიდეს ყვავილები, სასაფლაოზე მივიდნენ, მაგრამ სოლომონ პატარაის საფლავის ქვას ვერ მიაგნეს. დასახმარებლად ადმინისტრაციას მიმართეს.

აღმოჩნდა, რომ სოლომონ პატარაისთვის განსასვენებელი ადგილი ოცდახუთი წლის ვადით იყო ნაყიდი. მისი გარდაცვალებიდან კი ნახევარ საუკუნეზე მეტი იყო გასული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის საფლავზე ზემოდან უკვე სხვა მიცვალებულები იყო დაკრძალული. რა გაეწყობოდა, დააწყვეს ყვავილები საფლავზე, მიწაზე, რომლის ქვედა, მეორე, მესამე, ან სულაც მეოთხე შრე ქართველი ემიგრანტის საძულადმო განსასვენებელს ინახავდა...

საქართველოს გენერალურ საკონსულოს (ისევე, როგორც თავად საქართველოს) დიდი ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს იმისა, რომ გარეგნული იერსახე ფუფუნებისა და ძვირადღირებული საგნებითა და ინტერიერით შეიქმნას. აქ ყველაფერი სადაა, მაგრამ უდაოდ ეტყობა გემოვნების კვალი. კედლებზე გამოფენილი ნამუშევრების ავტორი მხატვარი კახა ბახტაძეა, რომელმაც საკუთარი ნამუშევრები დროებით სარგებლობაში გადასცა საკონსულოს. საკონსულო სიამოვნებით მიიღებს ყველა ქართველი ხელოვანის შემოთავაზებას, თუკი ისინი ასევე დროებით სარგებლობაში გადასცემენ და გამოეხენენ საკუთარ ნამუშევრებს საკონსულოს მისალმე დარბაზში.

ჩემი ყურადღება ერთმა ორიგინალურმა სკივრამაც მიიპყრო, რომელშიც აღმოჩნდა, რომ ქართული ემიგრაციის ისტორია „ინახებოდა“. ეს სკივრიც დროებით სარგებლობაში აქვს საკონსულოს და მისი მფლობელი ჟურნალ „მაშულის“ რედაქტორი, მანუჩარ კაჭახიძეა.

რამდენ ისტორიას ინახავს ამ სკივრში მოთავსებული, დღეს უკვე ანტიკვარად ქცე-

ული თითოეული ნივთი და წიგნი, ან რამდენ უთვალავ ემოციასთან და თვლად ფინანსებთან იყო დაკავშირებული თითოეული მათგანის მოძიება და შესყიდვა, ამაზე ოდესმე, ალბათ, თავად მანუჩარი ისაუბრებს. არც იმაზე საუბრით მოგაწყენთ თავს, რამდენად დიდი და საინტერესო ისტორია აქვს ქართულ ემიგრაციას ამერიკაში, რადგან ამის შესახებ „მაპულის“ მკითხველს არაერთი საინტერესო, მეცნიერულად დასაბუთებული წერილი წაუკითხავს. ჩემი განსაკუთრებული ყურადღება ორმა ნივთმა მიიტაცა და შევეცდები თქვენამდეც მოვიტანო ის ემოცია, რომელიც მათთან შეხებისას დამეფუჭა.

პირველი, რაც თვალში მომხვდა (ალბათ, როგორც ყველა ქალს) ეს სუნამოს „ფლაკონი“ იყო. ჯვარგამოსახული, ულამაზესი „ფლაკონი“, პარფიუმერიის ქართველი პრინცი, „პრინცი მაჩაბელის“ ლეგენდარული პარფიუმერული ნაწარმი, რომელსაც საუკუნის შემდეგაც შენარჩუნებული აქვს თავისი განუმეორებელი ხიბლი და არომატი.

მეორე, რასაც ბავშვებით წავატანე ხელი (ალბათ, როგორც ყველა „მარადიულმა“ ბავშვმა) ეს ასევე საუკუნის წინანდელი ნაძვის ხის სათამაშო იყო. საოცრად ნაცნობი, სასიამოვნო და მშობლიური ილუსტრაციით. არავინ იცის, როცა ამერიკაში, თავის შუშის სააქქროში ამ სათამაშოს ილუსტრაციას ქმნიდა გრიგოლ კობახიძე, იყო თუ არა ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ გავლენის ქვეშ, მაგრამ ფაქტია, მე არც პირველი ვარ და არც უკანასკნელი, ვისაც ეს შერგონება და ეჭვი „ბუნებრივად“ გაუჩნდა.

P.S. რა გაეწყობა...

ჩვენ იმ ერის შვილები ვართ, რომლის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლებიც კი, ემიგრაციაში იმ „უკვდავისგან“ იღებდნენ შთაგონებას „წყალსა და პურს“, რასაც სამშობლო ჰქვია...

ჩვენ იმ ერის შვილები ვართ, რომლისთვისაც ყველაზე დიდ უბედურებად თავად გარდაცვალება კი არა, უცხო მიწაზე გარდაცვალება ითვლება...

იმ ერის შვილები ვართ, სადაც წინაპრებისა და გარდაცვლილების სადღეგრძელოს მერე, სიცოცხლის სადღეგრძელო ისმევა... და ალბათ სიმბოლურია ისიც, რომ უსახელო საფლაკებთან არ წყდება გზა... ის გრძელდება, მხოლოდ ჩვენში, ადამიანებში კი არა, (ან ჩვენს პირადობის დამადასტურებელ მოწმობებსა თუ საპასპორტო მონაცემებში) არამედ, ჯვარგამოსახულ სუნამოს „ფლაკონებში“, ბესტსელერად ქცეულ ნაწარმოებებში და ნაძვის ხის სათამაშოზე შერჩენილ „შვლის ნუკრის ნაამბობში“...

ელგა ფოლადიშვილი



**საქონსულოში სტუმრადანა
■ გაეროს გენერალური
მდივანი ზან კი მუნი**



**შესველრა ქართული
■ დიასპორის წაჭრეობთან**

ქალბატონი, რომელსაც „ნუ მწერ“ მძღვნიშობა

მირზა გელოვანის გაუმხელელი სიყვარული და იმეტი, რომელსაც ომში ჯიბით დაატარებდა

ყველაფერი შემთხვევით მოხდა: ერთ დღეს მსახიობ ბახვა ბრეგვაძესთან ინტერვიუზე მისულმა შევიტყვე, რომ თინა მაქსიმალაშვილი ანუ ადამიანი, რომელსაც მირზა გელოვანმა ეს გენიალური ლექსი მიუძღვნა, ბახვას ბებია ყოფილა.

„ნუ მწერ“ ბევრ ადამიანს გამორჩეულად უყვარს, მის ადრესატზე კი ცნობილი თითქმის არაფერია. თავის დროზე ქალბატონ თინასთან ინტერვიუს ჩაწერა არაერთხელ უცდიათ, მაგრამ ამ თემაზე სასაუბროდ ახლოს არავინ გაუკარებია.

ეს ექსკლუზივია პოეტის გაუმხელელ სიყვარულზე. ამბავი, რომელიც დასავიწყებლად არ უნდა გაიშეთო და რომელიც შთამომავლობას უნდა უამბო. ჩემი რესპონდენტები თინა მაქსიმალაშვილის ქალიშვილი, ქეთევან კობალაძე და შვილიშვილი - ბახვა ბრეგვაძე არიან.



შემდეგნაირად სრულდება:

„...დღეს გადავწყვიტე, ვერასოდეს ველარ შევხვდებით სიყვარულს შენსას ერქვას გაცემა. ო, შენ რომ არა...“

შენი ხელის მკვლელი შეხება, მე ეს გრივადი ვერ წამაქცევდა“.

ლექსი ფრონტიდანაა გამოგზავნილი, 1944 წლით თარიღდება. მირზას თავისი გრძნობების შესახებ დისთვის - რუსუდანისთვის მიუწერია... რუსუდანი დედაჩემზე ცოტათი განაწყენებულა, - გათხოვების ამბავი რატომ მისწერაო, მაგრამ მაღევე გაირკვა, რომ დედამ არაფერი იცოდა.

- დედათქვენი რამდენი წლის წინ გაირდაიცვალა?

- მარტში 7 წელი შესრულდება. დედასთან ინტერვიუს ჩაწერა არაერთხელ სცადეს, რეზო ჩხიკვიშვილიც ძალიან მონღო-მებული იყო, მაგრამ ამ თემაზე სასაუბროდ ახლოს არავინ გაიკარა. ამბობდა: მირზა ჩემთვის ბოლომდე მეგობრად დარჩება, ამ ამბის საჯაროდ მოყოლა არ მინდაო.

- ლექსი რომელიც დედათქვენს ეძღვნება, იწყება სიტყვებით: „ნუ მწერ...“ საინტერესოა, ამ ლექსს რომელი წერილი უღვეს საფუძვლად?

- ეს მართლა საინტერესოა, მაგრამ

ქეთევან კობალაძე:

- დედა თბილისში დაიბადა და გაიზარდა. ერეკლე მეფის შთამომავლობის მეშვიდე თაობა იყო. უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. 17-18 წლის იქნებოდა, როცა მირზა გელოვანი გაიცნო და დამეგობრდნენ. მათ საერთო სამეგობრო წრე ჰყავდათ - ნიკა აგიაშვილი, ლადო ასათიანი... მოგეხსენებათ, ომი რომ დაიწყო, მირზა წაიყვანეს. ლექსების უმეტესობაც ომიდანაა გამოგზავნილი. მირზა გელოვანის პოეზია გამორჩეულად მიყვარს. ოლონდ, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ დედას მეგობარი იყო.

- მასზე დედა რას გიამბობდათ?

- მირზაზე ნაკლებად ლაპარაკობდა. დედაჩემი ბერიასთან მუშაობდა და წერილები, რომლებსაც მირზა დედას სწერდა, განადგურეს. დედა მხოლოდ იმას ამბობდა, - ძალიან წესიერი, ჭკვიანი, კეთილი, სუფთა სულის მქონე, განათლებული ადამიანი იყო. სახეზეც ეტყობა, რომ ასეთი იქნებოდა. მირზა სამეგობროში გამორჩეულად უყვარდათ. მეგობრები ყოველ საღამოს ეკრებიოდნენ და ლექსებს კითხულობდნენ. ომში რომ წავიდა, თითქოს ყველამ იცოდა, რომ მას დედას მეგობარი - ნინა ლასხიშვილი მოსწონდა. დედას და მას, როგორც მეგობრებს, მიწერ-მოწერა სულ ჰქონდათ. თავის მშობლებს ერთ წერილში სწერს: ზამთარში თინამ რომ იები გამომიგზავნა, სულ ჯიბით დამაქვსო.

ამონარიდი მშობლებისა და დების სახელზე გამოგზავნილი წერილიდან:

„...როგორი მადლობელი ვარ დედაჩემო იარაღი რომ შემაყვარეთ ბავშვო-

ბიდან, იარაღი, სიმართლე და ვაჟკაცობა, ქართველი დედები უცრემლოდ ისტუმრებდნენ შვილებს აუცილებელ სიკვდილთან, რადგან სამშობლოსთვის სიკვდილს არ უხდებოდა ცრემლი.

მარცხენა გულის ჯიბეში ქართული იები მაქვს (სათუთად გახვეული უბის წიგნის ფურცლებში. თინამ გამომიგზავნა ისინი თბილისიდან), კრწანისში თუ კოჯორზე, ოქროყანაზე თუ დიღმის დიდ ველზე უნდა იყვნენ მოკრეფილნი და მე მათში ვგრძნობ ქართული მიწის სუნსა და სახალხოვნის.

თინასგან იები დამრჩა სახსოვრი, ჩემი - არავის არაფერი. ყოველთვის ღარიბი ვიყავი და ხელმოკლე, მაგრამ მე მქონდა უდიდესი მიზანი და თუ ცოცხალი დავრჩი, ჩვენი გამარჯვების შემდეგ განვახორციელებ ჩემს დიდ ლიტერატურულ მიზანს“...

- დედასთვის მირზა კარგი მეგობარი იყო. მოგვიანებით სულ იმით იმართებდა თავს, - რომ მცოდნოდა, მირზას ჩემ მიმართ გრძნობა ჰქონდა, ჩემი გათხოვების ამბავს ხომ აღარ მივწერდიო?!

- ანუ დედათქვენმა მირზას გრძნობების შესახებ არაფერი იცოდა?

- არა. მირზა მას არც ომში წასვლამდე და არც შემდგომ წერილებში სიყვარულში არ გამოტყდომია, ეს ამბავი მოგვიანებით გაირკვა.

- როგორ გაირკვა?

- 1944 წელს დედამ მისწერა, გავთხოვდიო. სწორედ მაშინ გამოუგზავნა ძალიან მძიმე და ტკივილით სავსე ლექსი - „მე ეს გრივადი ვერ წამაქცევდა“, რომელიც

სამწუხაროდ, ამის შესახებ არაფერი ვიცი. მირზას საღამოებზე და ძეგლის გახსნაზე დედა სულ დადიოდა. იწვევდნენ, როგორც მის მეგობარს. დედა მარბელზე, მწერალთა სახლის მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა და არაერთი მაშინდელი პოეტის მუზა იყო. დედას 6 და ჰყავდა, ყველანი ერთმანეთზე ლამაზები იყვნენ.

- მითხარით, წერილები, რომლებსაც მირზა დედას ფრონტიდან უგზავნიდა, გაანადგურესო. რატომ ან ვინ გაანადგურა?

- წერილებში სიყვარულზე არაფერს ამბობდა, თავის მდგომარეობას აღწერდა, თუ როგორი იყო ჯარისკაცის ცხოვრება. იმ პერიოდში დედაჩემი - ვარდო მაქსიმელაშვილი ბერეასთან მუშაობდა, მერე მოსკოვშიც წაიყვანა. დედას ბევრი უსიამოვნება აქვს გადატანილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორჯერ იყო დაპატიმრებული.

ბავშვა ბრეგვაძე:

- ბებიის მონათხრობ ამბავს გავიხსენებ: ვარდო რომ დაიჭირეს, 2 შვილი უპატრონოდ დარჩა. მისი მუდღეულობა დაკავებული ჰყავდათ. თინას ეს ამბავი გაუგია და სასწრაფოდ მოსკოვში გაფრენილა. რაც შეიძლებოდა, სწრაფად უნდა ჩავსულიყავი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, პატარებს ბავშვთა სახლში წაიყვანდნენო. ადვილი წარმოსადგენია, როგორ ინერვიულობდა ვარდო უპატრონოდ დარჩენილი შვილების გამო. მართალია, ბებია მათთან ჩავიდა, მაგრამ ამ ამბავს ვარდოს არავინ ეტყუოდა. პოდა, თინას ასეთი რამ მოუფიქრებია: მათი ძველი ფოტო აუღია და მცველებსთვის უთქვამს: ამ ფოტოს მანც შევუგზავნი, ესეც წერილი ხომ არ არის? ძალიან გთხოვთ, ნება დამრთუოთ. მოკლედ, ამ ძველი ფოტოს უკანა მხარეს ახალი თარიღი მიუწერია. ვარდო ამით მიმხვდარა, რომ თინა მისი შვილების გვერდით იყო. მოგვიანებით იხსენებდა: იმ დღეს ფოტოს უკანა მხარეს გაკეთებულ წარწერას დავხედე თუ არა, ნერვიულობა წაშში მომქსნაო.

ქეთევან კობალაძე:

- ცნობისათვის, ვარდო კოკო შანელთან მეგობრობდა.

- საინტერესოა, საფრანგეთში როგორ მოხვდა?

- იქ მუდღეულობით ერთად სამუშაოდ გაუშვეს. ჩემი დეიდაშვილი პარიზში დაიბადა და კოკო შანელი ვარდომ სწორედ იმ წლებში გაიცნო. ვარდო მის სამოდლო სახლთან თანამშრომლობდა, შანელის სახე იყო. მას და დედას შანელის კოლექციიდან ძალიან ძვირფასი შლაპები, ჩანთები ჰქონდათ. შვიდივე და ლამაზი იყო, მაგრამ ერთმანეთს არ ჰყავდნენ. ისინი არა მხოლოდ სიღამაზით, არამედ გონიერებითაც გამორჩეული ქალები იყვნენ.

თამაზა კვიციანი

„...ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუმი, რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს, რომ საქართველო ამ გაზაფხულში, როგორც ყოველთვის, წააგავს ზვითოს. რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი და შენ ჩაიცვი კაბა ყვავილის, რომ მტკვარი ღელავს, როგორც ყოველთვის, როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის. ...წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურავანს და საშინელი ბრძოლების ნისლში მე მომეჩვენა, სადღაც ჩვენს უკან აელვებული იდგა თბილისი. ორთაჭალაში ჰყვავდა ნუმი, მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს, და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში, როგორც ყოველთვის, მოჰყავდი ზვითოს. ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რავგარი ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა, რომ ვიღაც დიდის მინდვრებში დამით და დილისათვის ამწვანებს ნახნავს. მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს მოაქვთ გულების საამო ფეთქვა, და თუ ბოლომდე ტყვია დამინდობს, თუ გაზაფხულს შევხვდებით ერთად, - გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული და სიკვდილამდის შენთან დავრჩები, რომ ლამაზია მზე გაზაფხულის, ბრძოლების შემდეგ - მზე გამარჯვების“.



მიჩხა გელოვანს სამხრეთში გადმოსვენება

ქართველი პოეტის მირზა გელოვანის ნეშტს 8 მაისს საქართველოში ჩამოსვენებენ. ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოადგილე თამაზ ტყემალაძე ავრცელებს. მისი ინფორმაციით, მირზა გელოვანის საფლავს 1979 წელს მიაკვლია, როცა ქართველ სტუდენტებთან ერთად სმოლენსკის ოლქში იმყოფებოდა. ომში დაღუპული 27 წლის ქართველი პოეტი სამშობლოს 71 წლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდება. კაპიტანი მირზა გელოვანი ბელარუსშია დაკრძალული ვიტბესკის ოლქის ბერნეკოვიჩის რაიონის სოფელ სანიკის სამხო სასაფლაოზე.

დივიზია, რომელშიც მირზა გელოვანი იბრძოდა ამ სოფელში გერმანელებს დაუპირისპირდა და შეტაკებისას თითქმის მთლიანად განადგურდა. ქართველი კაპიტანი სანიკის მცხოვრებლებმა მიხარეს მიწას.

„ამ ეტაპზე მიდის მოლაპარაკებები ბელარუსის მხარესთან. ტექნიკური დეტალების შეთანხმების შემდეგ მირზა გელოვანის ნეშტს საქართველოში გადმოსვენებენ. 8 მაისს მირზა გელოვანის ნეშტს ქუთაისში ჩაასვენებენ, საიდანაც სამხედრო ბაღდაჩინით თბილისში გადმოსვენებენ,“ - განაცხადა თამაზ ტყემალაძემ.

გადმოსვენებისა და დაკრძალვის ცერემონიალს მაყურებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირი ეთერით იხილავს. საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდია ამ ფაქტის ამსახველ ფილმს გადაიღებს.

მირზა გელოვანის ნეშტს, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ახალ პანთეონში 9 მაისს დაკრძალავენ.

- ის, რაც ახლა უნდა ვიამბოთ, მხოლოდ ორმა ადამიანმა ვიცოდით. ის დაილუპა, მე კი უკვე მოვხუციდი, გული წარამარა მახსენებს თავს და არ ვიცი, როდის მიღალატებს. ამიტომ გადავწყვიტე, ვიამბოთ ყოველივე და საიდუმლო თან არ ვავიყოლო... მხოლოდ ერთ რამეზე შევთანხმდით: პიროვნება, რომელსაც ჩემი ამბავი ეხება, ძალზე ცნობილი კაცი იყო, ამიტომ მას მხოლოდ სახელით მოვიხსენიებ - არ მინდა, რომ ჩრდილი მიაღდეს გარდაცვლილს ან მის ოჯახს...

დავიწყებ იმით, რომ მე-11 კლასში ვსწავლობდი, როდესაც პრაქტიკაზე ახალგაზრდა პედაგოგი მოავლინეს და ჩვენს სკოლაში გაანაწილეს. ჩემსა და ლევანს შორის მალე გაჩნდა გრძნობა... შემდეგ

მეორე მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო, როდესაც ცნობილმა ქართველმა მსახიობმა იპოლიტე სვიჩიამ ქმარშვილიანი ქალი - ქუთაისის თეატრის მსახიობი, ლუბა ალფაიძე მოიტაცა და ისე გადამალა, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში ვერავინ პოულობდა.

ქალბატონ ლუბას ერთი ქალიშვილი ჰყავდა - ნუნუ, რომელმაც მშვენივრად იცოდა როგორც მისი დედის მიმართ იპოლიტეს გრძნობის, ასევე მათი ადგილსამყოფლის შესახებაც. ის მაშინ 15 წლის იყო და მამასთან ერთად ეძებდა მოტაცებულ დედას. იმ სახლსაც ბევრჯერ აუარ-ჩაუარეს, სადაც ლუბა და იპოლიტე იმყოფებოდნენ, მაგრამ არ გააძვირებია... შემდეგ თვითონაც დედასთან დარჩა. მართალია, მამამ ძალზე ინერვიულა, მაგრამ ბოლოს ბედს შეურიგდა და ცოლს ოფიციალურად გაეყარა. ნუნუს გაზრდა იპოლიტემ ითავა. გვარიც მისცა და ის დიდი მსახიობის ერთადერთი შთამომავალია.

წლების წინ ქალბატონი ნუნუ თავად დამიკავშირდა, - ძალზე პირადული ამბავი მაქვს მოსაყოლი და მხოლოდ შენ თუ განდობო, - მითხრა. მაშინ ის 72 წლის გახლდათ, ხუთი შვილის დედა და თორმეტი შვილიშვილის ბებია.

საერთო დანიშნული გზაგანი



ჩავაბარე ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და მისაღებ გამოცდაზეც ისტორიას ლევანი იბარებდა. კარგად ვიყავი მომზადებული, ყველაფერი სხაპასუხობით ვუპასუხე, მაგრამ ლევანს კომისიის წევრებისთვის უთქვამს - ამ გოგოს ერთი ცრემლი მაინც უნდა გადმოვავადებინო, - და მითხრა: - არ გვეკონოს, შენთვის ხუთიანი არ შეძებება, მაგრამ ერთი შეკითხვა კიდევ უნდა დაგისვა, რა ეხატა აქილეუსს ფარზეო? - დავიბენი და ცრემლი ყელში მომებჯინა, ვერაფრით ვავიხსენებ და ვუთხარი: - არ ვნდომებიათ ნიშნის დაწერა და ავღებები და წავალ-მეთქი. გამოსვლისას კარის სახელურს ხელი რომ მოვკიდე, გამახსენდა, მივბრუნდი, - სახნისი-მეთქი - დავიძახე და ოთახიდან გავვარდი...

შემდეგ იყო სტუდენტობის წლები და ჩემი საყვარელი ადამიანი ისტორიის ლექციებს მიკითხავდა. ყველამ იცოდა, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა. დაქორწინება გადავწყვიტეთ და გავუშვილეთ მამას და დედას (აქაც და შემდგომაც მამაში ყოველ-

თვის იპოლიტე სვიჩია იგულისხმება). ლევანი ჩემს სათხოვნელად და დასანიშნად ოჯახში გვეწვია ახლობლებთან ერთად. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ჯერ ჩვენი სადღეგრძელო არ ჰქონდათ შესული, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ღია კართან ლევანის გამზრდელი დეიდა იდგა და შემოსვლის ნებართვას ითხოვდა. გაცეხულმა მამამ ჰკითხა: - შენ აქ რა გინდაო?! - რადგან ამ ქალბატონში თავისი ძველი ნაცნობი აღმოაჩინა. როდესაც მამამ მისი და ლევანის ნათესაობის ამბავი შეიტყო, ნიშნობა ჩაშალა: აღმოჩნდა, რომ ეს ქალბატონი 8 წლის განმავლობაში მისი საყვარელი ყოფილა და მამას დაუშვებლად მიანდა ჩვენი დანათესავება.

- წარმომიდგენია, თუ რა თავზარდამცემი იქნებოდა ეს თქვენთვის...

- ბუნებრივია, უზომოდ გავნერვიულდი... შემდეგ ლევანს ნიშანი უკან დავუბრუნე და გადავწყვიტე, სასწრაფოდ გავთხოვილიყავი. ჩემი ბავშვობის მეგობარ გოგონას ჰყავდა ბიძაშვილი, რომელსაც მოსკოვის

საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, ჩინეთში, საბჭოთა კავშირის საელჩოში სამუშაოდ მიავლინეს და აუცილებელი იყო, რომ ცოლი მოეყვანა. ამაზე კარგ ვარიანტს ვერც ვინატრებდი... ასეთი ტრავმის შემდეგ, საქართველოდან წასვლა ჩემთვის შევების მომგვრელი იქნებოდა. ამიტომ უყოყმანოდ დავთანხმდი ამ კაცს ცოლობაზე. ჩემი პირველი მეუღლე გახლდათ ჟორა გოგიძე. ძალზე სიმპათიური, კარგი მამაკაცი იყო. მოსკოვში თითქმის ერთი თვე ვიყავით ერთად საჭირო საბუთების მოწესრიგებამდე და ერთ ჭერქვეშ დაძმასავით ვცხოვრობდით.

მოსკოვიდან სწორედ იმ დღეს გავფრინდით, როდესაც ნატო ვაჩნაძე დაილუპა. კარგად მახსოვს, ნატო აეროპორტში, მეუღლესთან - მაღალ, ლამაზ, სამხედროფორმან მამაკაცთან ერთად მოვიდა. ძალზე თბილად დაემშვიდობნენ ერთმანეთს და ნატო გაფრინდა. ჩვენს თვითმფრინავზე ჩასხდომა რომ გამოცხადდა, სწორედ მაშინ გამოაცხადა დიქტორმა: თვითმფრინავი, რომელშიც ქალბატონი ნატო ვაჩნაძე იჯდა, ჩამოვარდა და აფეთქდა. ხალხი სმამაღლა ტიროდა და ბლაოდა, ისე განიცადა ნატოს დაღუპვა...

ჩინეთში დავგვხვდა საქართველოს ფინანსთა ყოფილი მინისტრი, გივი ჩხაიძე და მისი მეუღლე, ქალბატონი თინა. ისინი ასაკით ჩემზე გაცილებით უფროსები იყვნენ და როგორც დედ-მამა, ისე მეპყრობოდნენ... მალევე დავეხმობიდი, მაგრამ თავს ძალზე ცუდად ვგრძნობდი. ორსულობა გართულეულად მიმდინარეობდა. საუკეთესო სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ ვიმყოფებოდი, მაგრამ გადავწყვიტე, საქართველოში დავბრუნებულიყავი და 6 თვის ფენძიმემ ქუთაისის მივაშურე.

ჩამოსვლიდან მესამე დღეს, ქალაქში გავედი საქმეზე. ფეხით მივდიოდი. უცებ,

მესმის ხმა: - ამას ვის ვხედავ? ჩემო სი-
ცოცხლე!.. ლევანი შემრჩა ხელში. მუცე-
ლზე ხელი მომითათუნა და მითხრა: -
„ბუცულაში“ ბაიები გყავს?..

არ ვიცი, რატომ მითხრა მრავლობით
რიცხვში, მაგრამ მე მართლაც, ტყუპს ვე-
ლოდი. შემდეგ, ცოტა ხანს ვისაუბრეთ,
იმავე ადგილზე დაბრუნდა - დამელოდო, -
მითხრა და სადღაც გაუჩინარდა. კარგა
ხნის შემდეგ დაბრუნდა, თვითმფრინავის
ორი ბილეთი მოიტანა და მითხრა: - ლე-
ნინგრადში გაფრინდეთ, მაგ ბავშვებს მამო-
ბასაც გაუწევს, გვარსაც მივცემ, იპოლიტეს
კი ნურაფერს ვკითხავთო. იმავე საღამოს
რეისი იყო. შინ წავვედი, რომ პასპორტი
ამელო. არც მიყოყმანია, ისე დავთანხმდი
წასვლაზე. ამაზე ჭკვიანურს ვერც ვერა-
ფერს მოვიმოქმედებდი, მაგრამ როგორც
ჩანს, ღმერთს არ ეწადა ჩვენი ერთად ყო-
ფნა: პასპორტი ვერ ვიპოვე, ისე კი, აბა,
როგორ გავფრინდებოდით?! ბილეთები მე
მქონდა და დღესაც შენახული მაქვს...

- მეუღლეს როგორ აუხსნიდით თქვენს
საქცილს?

- არ დავიმალავთ, რომ ჩინეთიდან
სწორედ იმ აზრით წამოვედი, რომ აღარც
დავბრუნებულყავი.

- განქორწინების შემდეგ, თქვენ და
ლევანს არ გიცდიათ ურთიერთობის აღდ-
გენა?

- არა. შემდეგ ლევანმა ცოლი მოიყვანა.
ჩემს ცხოვრებაში არასოდეს ერეოდა, მაგ-
რამ ამავეს მუდამ კითხულობდა. თუ იცოდა,
რომ მიჭირდა, დამირეკავდა და მეტყობდა:
- რას იზამ, ნუნუ, ცხოვრება ასეთია, უნდა
გაუძლო. არ იფიქრო, ჩემი ცოლი რომ
ყოფილიყავი, უკეთესად იქნებოდი, ოჯახში
მე ძალზე საძაგელი და აუტანელი ვარო.
კიდევ კარგი, ცოლ-ქმარი არ ვართ, თორემ
შესაძლოა, დღეს ერთმანეთი აღარც კი
გვყვარებოდით...

არასოდეს მეტყობდა „არ გეწინოსო“.
არ გეტყინოსო, - ასე უყვარდა თქმა, რადგან
კარგად იცოდა, მისგან მეტყინებოდა და
არ მეწინებოდა... შემდეგ ლევანმა ძალზე
დიდი ტრავმა გადაიტანა. პირველი შვი-
ლი ხუთი წლის ასაკში, სისხლის გათეთ-
რებით გარდაეცვალა. უზომოდ უბედური
ადამიანი იყო. მანქანაში, სარკეზე გახას
ფაჩუნები დაკიდა, გრძელი ზონრით ისე
იყო დამაგრებული, რომ დამუხრუჭებისას
ფაჩუნები სახეში ურტყამდა - თითქოს
თვითგვემის მიხნით...

ერთხელ სოფელ ორპირში, დეიდასთან
მივდიოდი და ლევანმა გზაზე შემიშინა.
მის მანქანაში რომ ჩავჯექი, ფაჩუნები ჩამო-
ხსენი და „ბარდაროკში“ შევიანა. ასე არ
შეიძლება-მეთქი, - ვუთხარი. - ისედაც
ვიცი, რომ უზომოდ განიცდი შვილის
სიკვდილს, ეს სულ მთლად გაგანადგურებს-
მეთქი. გაფითრდა, სახე დაემანჭა, საჭვეს



ისე ჩააფრინდა, რომ თითები გაუთეთრდა,
მაგრამ არაფერი უთქვამს.

- წელან თქვით - ჩემი პირველი ქმა-
რიო... მეორედაც გათხოვდით?

- დიახ. ჩემი შვილები ხუთი წლისანი
იყვნენ, როდესაც კაცურ კაცს, ძალზე კარგ
ადამიანს - ილო გაბუნას გავყვევი ცოლად.
მისგან სამი შვილი გავაჩინე - მაკა, ბესიკი
და ნუკრი. დიდხანს ვიცხოვრეთ ერთად,
შემდეგ დავექრივით.

- თქვენი და ლევანის ურთიერთობა
როგორ წარიმართა მეორედ გათხოვების
შემდეგ?

- ძველებურად. ისევ ისე იშვიათად
თუ დამირეკავდა ან შემთხვევით გადავეყრე-
ბოდი ქუჩაში - ეგ იყო და ეგ. ჩვენ შო-
რის ფიზიკური ურთიერთობა არ ყოფილა.
ლოგინი წყვეტს ყველაფერს?! ეს სიბნობურე
იქნებოდა. ჩვენ უფრო ძლიერად გვიყვარ-
და ერთმანეთი, ვიდრე ეს ლოგინისთვის
არის საჭირო. ქუჩის ქალად რომ ვქცეუ-
ლიყავი, მასთან სარეცელს ვერ გავინაწი-
ლებდი. სულითა და გულით მას ვეკუთ-
ნოდი და რაღა საჭირო იყო ლოგინი?!

ხუთი შვილი გავზარდე და ყოველთვის
ვცდილობდი, თითოეული მათგანი მას დამ-
სგავსებოდა, მისი თვისებები ჰქონოდა. მის
ნაწარმოებებს ვაკითხებდი, ვასწავლიდი და
ავტორის შესახებაც ვუამბობდი. ხშირად
წავსულავართ მე და ლევანი არავის პირას.
ორი „მტერი“, რომლებმაც არ იცინა, რომ
ერთი ქალია, მეორე - მამაკაცი... ხანდა-
ხან უნდოდა, რომ ჩავხუტებინე და „ჩავე-
ბურჯგენე“, უნდოდა, ქალიც ენახა ჩემში,
მაგრამ ამბობდა: - მირჩენია, ამ სურვილმა
მომკლას, ვიდრე ყველაფერი გავაფუჭო...
მისი მესაიდუმლე გახლდათ ბატონი თე-
მურ შაშიაშვილი. დარწმუნებული ვარ,
მან ყველაფერი იცოდა. ხშირად, როცა
თემურს შეგვხვდებოდი, ლევანს დაურეკავდა
და ეტყობდა: - ჩვენთან მოდი, ბიჭო, თეთრ

ხიდთან, რესტორანში დავსხდეთ და ვიჭუკ-
ჭუკოთო.

ამას წინათ, ერთ-ერთმა ჟურნალმა დაბე-
ჭდა ინტერვიუ ლევანის შვილთან. მან
თქვა - მამაჩემი მართლწერილი იყო... გული
მეტკინა, ეს რომ წავიკითხე. დავურეკე და
ვუსაყვედურე: - ის ბუმბერაზი ადამიანი
იყო, ლევანის ნაწარმოებებზე უამრავი თაო-
ბა აღიზარდა, უამრავი მეგობარი და გულ-
შემატკივარი ჰყავდა და რატომ იყო მარ-
ტოსული-მეთქი?..

ეს ინტერვიუ რომ წავიკითხე, მეორე
დღეს მოვავროვე ის ნივთები, რომლებიც
ჩვენს ურთიერთობაში მნიშვნელოვანი იყო,
წერილები, მივედი კათოლიკოს-პატრიარ-
ქთან და კურთხევა ვთხოვე, რომ უფლება
მოეცა, მის საფლავზე დამემარხა. კურთხევა
მივიღე და სწორედ ასე მოვიქეცი, ყველა-
ფერი დავმარხე, რადგან მას ეკუთვნოდა.
ლევანს ჩემთვის რომ ეთქვა - თავი უნდა
მოიკლა, რადგან მე ასე მიხდებოდა, იმ დღესვე
დავამთავრებდი ჩემს ცხოვრებას... ახლა
კი ის დროა, ყველაზე დიდი საიდუმლო
გაგანდოთ.

- როგორ, კიდევ გაქვთ რაიმე გასამჟღავ-
ნებელი?

- ის, რაც მოისმინეთ, არაფერია იმასთან
შედარებით, რასაც მოისმენთ... მე და ლევანმა
ჯვარი დავიწერეთ...

- როდის? ვიდრე მეორედ გათხოვდე-
ბოდი?

- არა, მაშინ უკვე ხუთი შვილის დედა
ვიყავი და ლევანსაც ცოლ-შვილი ჰყავდა...
მოვამზადე საკონფერენციო თემა - „გალაკ-
ტიონი“. მაშინ მეოთხედი ცოცხალი იყო.
კონფერენცია ფოთში, გემზე ჩატარდა და
ჩემმა თემამ გაიმარჯვა. შემდეგ ჩამოვედი
თბილისში, პირველ, მეორე და მესამე ად-
გილზე გასულეს შესვედრა მოგვიწვევს
„უნივერსიტეტში“. მეორე დღეს ლევანი შე-
ხვდა და მეგობრებთან ერთად ბუნებაში
საქეფოდ დამაპტიჟა. შემდეგ ყველა სახ-
ლებში ჩამოარია, ჩვენ კი შხის ჩასვლამ-
დე, სვეტიცხოველში დავიწერეთ ჯვარი.
ის თავის ოჯახში დაბრუნდა, მე - ჩემს
ოჯახში.

ეს გააკეთა იმისთვის, რომ იმ ქვეყნად
მანც ვყოფილიყავით ერთად. თან ამბობდა:
- შესაძლოა, ეს ცოფავა, იმ ქვეყნად პაემანს
რომ ვგვემავთ, მაგრამ ამხელა სიყვარულს
რა ვუყოთო?..


ის გარდაიცვალა. იმედი მაქვს, მართ-
ლაც, ვნახავთ ერთმანეთს... თუმცა, ახლაც
ხშირად მესიზმრება. ცოტა ხნის წინ, ინ-
ფარქტი გადავიტანე. იმ დამით მესიზმრა,
თითქოს საბანი გადამხდოდა და მცოდნა,
ამ დროს, ფანჯარაზე ვიდაცამ სანთელი
შემოდგა; ლევანი იყო. შევჩვილე - ყინულ-
ში ვწევარ-მეთქი. უარის ნიშნად თავი
გააქნია და გაქრა... სწორედ იმ დამით
დამემართა ინფარქტი... ■



მამაჩემმა ქართველთა შვიის სროლა არ მასწავლა

- მაშინ 10 წლის ვიყავი. ამ ასაკის ბავშვი ომისთვის პატარაა, მაგრამ მამინდელი მოვლენების დანახვა კი შემეძლო. რა თქმა უნდა, ჩემებურად, ბავშვურად აღვიქვამდი ყველაფერს. დღემდე ყურებში მიდგას, სამსახურიდან დაბრუნებული მამის ხმა, - კიდევ კარგი, შვილო, ჯერ პატარა ხარ, იარაღის აღებას არავენ მოგთხოვსო... მამას ხშირად უთქვამს, ჩემი ქალაქი გამორჩეული იმიტომაა, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანი ცხოვრობს. მარტო აფხაზები და ქართველები რომ იყვნენ, ცხოვრება უინტერესო იქნებოდაო...

- დედა ქართველი გყავთ?
- არა, დედაც აფხაზია, გვარად - ლაკობა... ჩემი მშობლები სოხუმელები იყვნენ. ერთმანეთი თბილისში გაუცნიათ. იქ სწავლობდნენ. მამა თბილისის თბილი ხალხის ქალაქს ეძახდა. რუსულ სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ იმდენად ქართულ გარემოში ვიზრდებოდი, არასდროს მქონია აგრესია და არც მათგან მიგრძნია მსგავსი რამ. მაგრამ რაც ჩემს მეხსიერებას შემორჩა, ქართული ენის მიმართ აფხაზების არც ისე კარგი დამოკიდებულება იყო. მაღაზიის გამყიდველისთვის ქართულ ენაზე რომ გეკითხათ, - პური გაქვით? - რუსულად ვიპასუვებდათ. ჩემი მეზობელი ქართველი ბავშვები ეზოშიც და სახლშიც რუსულად ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვინაიდან აფხაზების, სომხებისა და ბერძნების სასაუბრო ენაც რუსული იყო, ამაში მაშინ გასაკვირს ვერაფერს ვხედავდი. მდიდარი საოჯახო



ბიბლიოთეკა გვექონდა, რუსულთან და ინგლისურთან ერთად, მამა ქართულ წიგნებსაც ეზიდებოდა შინ...

- როგორი განწყობილება იყო ომის დაწყების წინ ზოგადად, სოხუმში?

- ადამიანები ეჭვიანები გახდნენ, ერთმანეთს აღარ ენდობოდნენ. აფხაზების ერთი ნაწილი, ქართველების მიმართ კეთილ ან თუნდაც ნეიტრალურად განწყობილებს აშკარა აგრესიით გვიყურებდა. ერთხელ ტროლეიბუსიდან ჩანთებით დატვირთული მოხუცი ქალი ჩამოვარდა (დეიდა ლია ჩემი მეზობელი იყო. მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობდა. ეზოში ლეღვის ხე ედგა, რაც მთელი ქუჩის მოზარდების „სამიზნე“ იყო. რძიან ნაყოფსაც კი ვიპარავდით... სულ იმაზე ნერვიულობდა, ლეღვს რბილი ტოტები აქვს, არ ჩამოტყდეს და რამე არ მოიტყეთო. ერთხელ, შუალამეს მართლაც ჩამოძვინდა ტოტი და მისი სახლის სახურავზე მოვადინე ზღართან. კოჭის ძვალი მოვიტყეხე). ერთი სიტყვით, ამ ქალის მისაშველებლად, ჩემ გარდა არავინ წამოდგა-

„ოცნებად მქონდა ჩემი მშობლიური ქალაქის ნახვა და შარშან ზაფხულში, რუსი მეგობრის დახმარებით, სურვილი ავისრულე. ნეტავ, არ ჩავსულიყავი, - ჩემს მეხსიერებაში ჩარჩენილი აფხაზეთის „ლურჯი საძოთხის“ ნაცვლად, ერთი დიდი, სოფლად ქცეული, მშვიდი და საცოდავი ადამიანებით დასახლებული ქალაქი დამხვდა... დაახლოებით ისე დამემართა, საყვარელი ადამიანი რომ მოგიკვდება და მისი ცხედრის ნახვა რომ არ გინდა, რადგან ისეთი დაგამასოვრდეს, როგორც სიცოცხლეში იყო“, - ამბობს 29 წლის იური რაშბა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს, სოხუმის დატოვებამ მის ოჯახსაც მოუწია, რადგან მამამისმა, ქართველებთან ერთად გაზრდილმა რაუფ რაშბამ მოძმიისთვის ტყვეის სროლა არ იკადრა და ბრძოლაში ჩაბმას, იქაურობის დატოვება არჩია...

რა. გაოცებული დავრჩი. მას შემდეგ თანატოლებმა ამითვალწუნეს. ერთ-ერთი აფხაზის ოჯახში ყური მოვკარი, იარაღის შეგროვებაზე თათბირობდნენ და სახლში მისულმა მამას ვკითხე, - ომი უნდა დაიწყოს-მეთქი? ერთ კვირაში გავარაში პირველი ტყვეა გავარდა. ამის შემდეგ სოხუმიდან აფხაზები წავიდნენ.

- იქაურობა თქვენც დატოვეთ?

- არა. ჩვენ და კიდევ რამდენიმე აფხაზი ოჯახი ჩვეულებრივად ვაგრძელებდით ცხოვრებას. მამაჩემი არც იქამდე ესწრებოდა სარდაფში გამართულ ფარულ შეხვედრებს ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ, - ის ეროვნულად არაქტიური აფხაზი იყო. მალე სოხუმში ვითარება დაიძაბა. „მხედრიონელები“ ბევრს სცოდავდნენ. მათთან ადგილობრივი მილიციაც ვერაფერს გახდა. მამაჩემმა გადაწყვიტა, ცოტა ხნით უკრაინელ მეგობართან წავსულიყავით... ძალიან გახსნილი და გულღია ადამიანი იყო და არ დაუმაღლავს, რატომ მიდიოდა ქალაქიდან.

- წასვლის მიზეზად რა დაასახელა?

- ქართველს ტყვეას არ ვესვრიო... სამწუხაროდ, მაშინ პატარა ვიყავი და არ მახსოვს, თავის ნეიტრალურ პოზიციას როგორ განმარტავდა, მაგრამ როცა დედაჩემის ნათესავები „მშვიდარა სიტეს“ შემოსწყრნენ, მამაჩემმა მათ მშვიდად უპასუხა, - რუსებს კარგად ვიცნობ და მალე მიხვდება ჩვენი ხალხი, ვის ზაფანგშიც გაეპაო... სანამ სახლიდან გავიდოდით, ტელევიზორს ზარი გაისმა. ვილაკამ მამა იკითხა, წასასვლელად ემზადება და ახლავე დაუძახებ-

მეთქი, მაგრამ სანამ ის მოვიდა, უცნობმა ტელეფონი გათიშა. როგორც ჩანს, შეგვა- მოწმეს, სახლში ვიყავით თუ არა.

გაგრამდე ტაქსით წავედით. გზადავსა დატვირთული მანქანები და ფეხით მოსი- არულე ადამიანები გვხვდებოდნენ. რამდენიმე დამწვარი სახლიც ენახე. შორიდან სროლის ხმა ისმოდა. შემოვლითი გზებით უნდა მივსულიყავით ფსოუმდე, მაგრამ რო- გორც კი სოფლის გზისკენ გადავუხვიეთ, გაგვჩერეს. შიშისგან ერთიანად კვანკალბ- დი. შეიარაღებულმა და წვერიანმა მამაკა- ცებმა მამა მანქანიდან გადაიყვანეს და გვარი ჰკითხეს, მერე ერთმა მორეს რაღაც აფხაზურად გადაულაპარაკა, ის დაეთანხმა, - ის არისო... მანქანის სარკიდან დავინახე, როგორ დაეცა მამა, როცა ვიღაც ახმახმა ავტომატის კონდანხი ჩაარტყა. დედამ იკი- ვლა და მანქანიდან ჩასვლა დააპირა, მაგრამ იქ მყოფთაგან ერთ-ერთმა, მას კარის გაღე- ბის საშუალება არ მისცა და სთხოვა, - წადით, ეს ყველაფერი თქვენმა შვილმა არ უნდა ნახოსო. მერე ჩვენკენ წამოვიდნენ და ტაქსის მძღოლს წასვლა უბრძანეს, სხვები მამას ურტყამდნენ... მერე ვიღაცამ მძღოლის შესაშინებლად ჰაერში გაის- როლა.

- მასაც ემუქრებოდნენ?

- დიას, გააფრთხილეს, მანქანა არ გაა- ჩერო, თორემ მოგკლავთო. ჯერ მოსკოვში ჩავედით, იქიდან - კიევში, მამას მეგობარ- თან კარგა ხანს ვცხოვრობდით. მამაჩემის მეგობარს ჩემი თანატოლი შვილები ჰყავდა და სკოლაში იმ ბავშვებთან ერთად ვსწავ- ლობდი. თანდათან შევეგუე იქაურობას, მაგრამ ყოველდღე ვეკითხებოდი დედას, - მამა მოკლეს თუ ტყვედ აიყვანეს-მეთქი?! ის ჩემად იყო. წლების შემდეგ, როცა სი- ტუაცია ცოტათი ჩაწყნარდა, ნათესავები დაგვიკავშირდნენ, - სად ხართ?

- დედის მხრიდან?

- ორივე მხრიდან, მაგრამ დედა მათთან ურთიერთობას თავს არიდებდა.

- მათ თქვენი ოჯახის ტრაგედიის შესა- ხებ არ იცოდნენ?

- კი. როგორც შემდეგ მითხრეს, ყველამ იცოდა. არც მე და არც დედაჩემმა არ ვიცოდით, მამას ცხედარს რა ბედი ეწია. საერთოდ, საფლავი ჰქონდა თუ - არა. ეს წლების განმავლობაში ჩვენთვის ტაბუდა- დებული თემა იყო. შემდეგ კი, როცა უკრა- ინის სამხედრო აკადემია დავამთავრე, გადავ- წყვიტე, აფხაზეთში წავსულიყავი.

- ეს თქვენთვის იოლი არ იქნებოდა...

- დიას და ამიტომაც, დანმარება ერთ ჩემს რუს მეგობარს ვიხსოვებ. ადლერამდე მატარებლით ჩავედით. ადლერიდან ფსოუს სასახლვრო პუნქტამდე სამარშრუტო ტაქ- სით ვიმგზავრეთ. როგორც კი გავრას მი- ვადექით, მივხვდი, რომ აფხაზეთი, როგორც საკურორტო და ტურისტული ზონა აღარ

არსებობდა. არ არსებობდა ინფრასტრუქ- ტურა. დამე იყო და გარის ქუჩებს, სახლე- ბიდან გამოძვავალი, მბჟუტავი ნათურის შუქი ანათებდა. გაგრამ სოხუმამდე ჯაყ- ჯაყით ვიარეთ. მართალია, ვიცოდი, რომ აფხაზეთში ომი იყო და ეს საშინელება საკუთარ ტყავზე ვიწვინე, მაგრამ მინც ვერ წარმოვიდგენდი, ასე თუ შეიცვლებოდა.

რამდენჯერმე გზიდან მიბრუნებაც დავა- პირე, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავდა. გაგრამ სოხუმამდე გზა რაღაც უკეთესის ნახვის მოლოდინში გავიარეთ. უკვე კარგად გათენებულ იყო, სოხუმში რომ შეჩერდით და ერთ-ერთი კაფეში ვისაუხმეთ. მართა- ლია, სულ რაღაც 10 წელი ვიცხოვრე იმ სამოთხეში, მაგრამ თითოეული ქუჩა ზები- რად მახსოვდა. შევცქეროდი იქაურობას და გული ყელში მეზღინებოდა. მზის ამოს- ვლასთან ერთად, სოხუმის ზღვის სანაპირო, პოეტებისა და მომღერლების მუზა, ნახი- რით გაივსო. თოლიების ჭყლოპინს ქათმე- ბის კრიახი შეერია. ჩემი მეგობარი თვალს არ მაცლებდა, ემზინდა, ნერვებმა არ უშტყუ- ნოსო.

სანამ კაფეს დავტოვებდით, დასახლისმა წერილად გამოგვკითხა, ვინ ვიყავით და იქ რამდენი ხნით დავრჩებოდით. მეც და ჩემი მეგობარიც ქერები ვართ, ორივეს რუსული აქცენტი გვაქვს. ამიტომ ეგონა, ჩვენი სახით გულუხვ ტურისტებს გამოჰ- კრა ხელი. მერე სასხვათაშორისოდ თქვა, - რუსეთის ხელისუფლების მაღლობები ვართ აფხაზები, გაალამაზეს აქაურობაო... კიდევ დიდხანს ისაუბრა მათ „ამაგზე“, თან, თვალბში გვიყურებდა, ალბათ, ფიქრობ- და, დარჩენას გადავწყვეტდი თუ წასვლას. წამოსვლისას ვეღარ მოვითმინე და ვუთხა- რი, როცა რუსები აქ მცხოვრებ, უკანასკ- ნელ აფხაზს მონად აქცევენ, მაღლობის თქმა არ დაგავიწყდეთ-მეთქი. სხვაგვარად

არ შემეძლო... იქიდან ჩემს ქუჩაზე წავედით. ადგილობრივები უცხოებს ინტერესით გვაკ- ვირდებოდნენ, ტურისტები ვეგონეთ.

- როგორი დაგხვდათ თქვენი ქუჩა?

- გამგზავრებამდე, დედაჩემმა მითხრა, სოხუმისთვის და ჩვენი ქუჩისთვის, ბევრი ფოტო გადამეღო, მაგრამ ემოციებისგან იმდენად დაცლილი ვიყავი, ფოტოაპარატი არც კი გამხსენებია. არ მინდოდა, დედას ენახა, როგორი გასაცოდავებული იყო მისი საყვარელი ქალაქი. ჩემს ბავშვობაში, სახ- ლის წინ დიდი პალმა გვედგა, რომელიც ფესვებიანად იყო ამოთხრილი. სახლს მეთრე სართულზე, მხოლოდ შუშებჩამ- სხვრეული, ღია ფანჯრები შემორჩენოდა. დაბლა კარ-ფანჯარა მთელი იყო, მაგრამ მთლიანობაში იქაურობა ძაძებით შემოსილ მგლოვიარე დედას ჰგავდა...

მე და ჩემი მეგობარი - სერგო ბავშვობის მეზობლის, სომეხი არტემის სახლში დავბი- ნავდით. მართლა არ ვიცი, როგორ მოახერ- ხა, მაგრამ სომხის სახლში ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ომამდე მახ- სოვს. ტელევიზორიც კი იგივე ჰქონდა - „ჰორიზონტი“. საღამომდე მთელი ქუჩის ამბავი გავიგეთ. ბოლოს სერგომ მასპინძელს, ჩვენი, ნახევრად დამწვარი სახლის პატრო- ნის ბედზე ჰკითხა, - „ეგო უბილი... ნავერნო, სვოი, ახსაზცი უბილი,“ - თქვა არტემამ. სერგო ჩაეძა, მერე აფხაზების სასაფლაოზე დაასაფლავესო? - არა, ამბობენ, ვიღაც ქა- რთველმა თავისი სახლის სარდაფში და- მარხა, მაგრამ სინამდვილეში არავინ იცის, სად არის მისი ცხედარიო, - თქვა სომეხმა და საუბრის თემა შეცვალა.

იმ ჯოჯოხეთში რა გამაჩერებდა? იმ დღესვე წამოვედით იქიდან. ამ ყველაფერმა ერთ დასკვნამდე მიმიყვანა, - აფხაზებმა ის მივიღეთ, რაც გვეკუთვნოდა!

ლალი პაპასპირი





ზურაბ კიკნაძის 50-იანები

თითქოს არც უნდა მოველოდეთ, რომ ათწლეულებს რაღაც საერთო, მათი ყველა მონაწილისთვის ერთნაირი შეფერილობა ექნებათ - ეს დაყოფა ამა და ამ წლებულად ხომ თვითნებურია, ყოველი ადამიანი თავისი გამოცდილების კვალობაზე ანაწილებს დროის შეუჩერებელ კონტინუუმს. ან რა არის ეს რიცხვი ათი, რომელსაც ესოდენ გადამწყვეტი როლი ეკისრება საუკუნის მდინარების დანაწილებაში? ყოველი საუკუნის დამდევრიდან ტრადიციულად აღნიშნავენ 10-იან, 20-იან, 30-იან, 40-იან და ა. შ. წლებს საუკუნის დასასრულამდე. ნუთუ ყველა ათწლეული სავსეა ერთმანეთისგან განსხვავებული მნიშვნელობებით, ინდივიდუალური საზრისებით, რომ ღირდეს მასზე დაყოვნება, მეხსიერების შერჩება... თუ დრომ უნდა წაიღოს ისინი დასაკარგავში.

თუმცა იყო წლები გარკვეული პერიოდის ათწლეულში, იყო ერთი დღეც, როცა მზად იყო კაცი, რომ იობის სიტყვები ეთქვა: „დაბნელებს ის დღე, აღარ მოხედოს მას უფალმა ზეგარდამო, აღარ ინათოს მასზე ნათელმა... ბნელმა წაიღოს ის დამე... თვეთა რიცხვში აღარ ითვლებოდეს...“ განსაკუთრებით დამე, არა შობის, არამედ დაკარგვის დამე, უკანმოუქცევლობის დამე.

დროჟამის სხვისეული აღქმა როგორია, ნამდვილად არ ვიცი, და ვინ როგორ ანაწილებს ამ მდინარებას, რომელ მხარეს ათავსებს წარსულს და მომავალს, მარჯვნივ თუ მარცხნივ, აღმართზე თუ დაქანებაზე, მაგრამ 1933 წელს დაბადებული ადამიანის დღევანდელ აღქმაში, გასული საუკუნის ეს ორი ათწლეული ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებული ინდივიდუალობებია. თუ პირველი ერთი მთლიანობაა, რომლის

ყოფისთვის დამასასიათებელი ამა თუ იმ დეტალის გასწავლისას ხშირად ვამბობთ ხოლმე, რომ ეს 70-იანების სტილი იყო, რომ გარკვეული მოლა პირველად 80-იანებში გამოჩნდა, რომ 30-იანებში მომხდარმა ამბებმა შეცვალა ჩვენი ქვეყანა.

იმედი გვაქვს, ეს კოლექტიური პროექტი ბევრ მკითხველს გაახსენებს თავის ათწლეულს, ბევრი დაეთანხმება, უფრო მეტი არ დაეთანხმება ავტორს და იქნებ მომავალში უკვე გამოქვეყნებული ათწლეულების შესახებ განსხვავებული ვერსიებიც კი წავიკითხოთ, ან ერთმანეთისგან მოვისმინოთ ასეთი დაზუსტება-დამატებები.

ობიექტურ და სუბიექტურ ჰაბიტუსს მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა განსაზღვრავდა, მეორე პლურალისტური იყო, წინააღმდეგობრივიც, ბევრი ტკივილის და ბევრი სიხარულის მომტანი.

აი, ფიქრობს კაცი გასული საუკუნის ერთადერთ, ამდენად განუმეორებელ, და ათასწლეულის ბოლო 40-50-იან წლებზე. მათ აქვს თავ-თავიანთი დასაწყისი და დასასრული. ნამდვილად აქვთ, ნამდვილად ისინი ერთმანეთის მიყოლებით წარმოშობილი წლების - ოცი წლის ერთ მთლიანობაში შედეგებაა, თუმცა არა შერწყმა, რომ თითოეულ მათგანს ინდივიდუალობა დაეკარგოს. ის გვიყურებს თავისი საკუთარი სანით, განუმეორებელი ინდივიდუალობით, და ჩვენც გამოვარჩევთ მას, ვცნობილობთ მას, ვესმაურებთ მას. ეს ნამდვილად ასეა, ყოველ შემთხვევაში, ამ ნაწერის ავტორის პირად და, თუნდაც, საყოველთაო-საქვეყნო გამოცდილებაში. ბოლოს და ბოლოს, ეს ათწლეულები ჩვენგან გარეშე, სხვაგან სადმე ხომ არ აწყვია, თუნდაც ფერფლად, როგორც პოეტი ამბობს, რომ

„იქ ბევრი დარდის და ბევრი შიშის გადამტან გულთა ფერფლი აწყვია“.

ბოლოს და ბოლოს, ეს ათწლეულები მეოცე საუკუნეშია შობილი, მეოცე საუკუნე

ვიწყებთ რეტროსპექტულ პროექტს სახელწოდებით „ისტორია ათწლეულებში“. ამ პროექტში შევეცდებით ახალი, საინტერესო კუთხით დაგანახოთ ჩვენი ქვეყნის ყოფა და ისტორია კონკრეტულ ათწლეულში, თანაც ეს ყველაფერი ერთი ადამიანის თვალით, მისი აღქმით, სიტყვით.

აქ არ იქნება არც ქრონიკები, არც იმაზე ვიდრდებთ ბევრს, თუკი რომელიმე მნიშვნელოვანი თარიღი ან მოვლენა გამოვკრება, უბრალოდ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ ერთი ადამიანის „ათწლეული“ წარმოგიდგინოთ, ვისაც კარგად ახსოვს ეს „ათწლეული“, ან იმისი, ვისაც შეიძლება არ ახსოვს, მაგრამ კარგად იცნობს, მაგალითად, საქართველოს 20-იან წლებს და შეუძლია საინტერესოდ დაწეროს ამ დეკადაზე.

გვესმის, რომ ბევრისთვის შესაძლოა ძალიან პირობითი იყოს ასე, ათწლეულად დაყოფა, თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რაღაცა მოვლენის, ან

კი ჩვენი დაუვიწყარი სამშობლოა და გვიყვარს, როგორი საბედისწეროც არ უნდა იყოს ის, როგორი ტრაგიკული მოვლენებით აღსავსეც არ უნდა იყოს, რა სიბოლის მომტანი, რა ტკივილებიც არ ჰქონდეს მოყენებული, სწორედ ამ ყველაფერისთვის დაუვიწყარია...

დიდი ბუზბტი

ეს მისი და, შესაძლოა, მთელი მისი ეპოქის აპოთეოზი, წინა, 40-იანის დასასრულს ეკუთვნის. ის მალა, ქალაქის ცაში იქნა აღვლენილი, რათა შვიდი წლის შემდეგ გამსკდარიყო და მეხისტენად დასცემოდა ქალაქს. 1949 წლის დეკემბრის მიწურულს თექვსმეტიოდე წლის ყმაწვილი ცაში ხედავდა ვეებერთელა განათებულ ბუმბუს ბუზადის კანონიკური გამოსახულებით. რა იფიქრა მან?

რაც იფიქრა, შესაძლოა, ასაკით მოზანობა განსჯამ გადაფარა, სახე უცვალა იმჟამინდელ შთაბეჭდილებას, და რაღაც სხვა, განსხვავებული აზრი და, შესაძლოა, განცდაც შემატა, მაგრამ მაინც შესაძლებელია რეალური განცდის აღდგენა, მისი გასუფთავება შემდეგდროინდელი მინარევებისგან. ღირებული, შესაძლოა, ის უფრო იყოს, ვიდრე საყოველთაოდ გამოძევაებული და

ერთხელ და სამუდამოდ გაყინული, ბანალური აზრი ტირანზე. ნუ ვეცდებით ამ ფაქტის რეტროსპექტულ შეფასებას, იმგვარს, როგორც მხოლოდ ეპოქის დასასრულიდან წარმოითქმის. შეპყურება ბუმსტს და ფიქრობდა, თუმცა ეს ფიქრიც არ იყო - მის თვალწინ რაღაც ხდებოდა, რაღაც მოვლენა იყო, სრულიად კანონზომიერი. აჰა, ეს დიდი კაცია, ნამდვილად დიდი კაცია, უკვდავებას მიახლოებულია. და თუ მომავალი განსწავლის შედეგებს მოიმარჯვებდა, იფიქრებდა: თუკი სიკვდილი მას შეეხება, ატაცებული იქნება ჩვენგან ამ ბუმსტით, როგორც რომულუსი, როგორც ელია, რათა იქიდანაც გვასწავლიდეს და წინ მიგვიძღვებოდეს...

მეცნიერების კორიფი

50-იანის დასაბამიდან, მისი პირველი წლის შუადალიდან, იწყებოდა ბელადის ახალი ამბლუა, რამაც გაამდიდრა მისი ტიტულატურა. ძირითადს - „კომუნიზმის ხუროთმოძღვარს“ გვერდი დაუმშვენა ახალმა ტიტულმა: „მეცნიერების კორიფი“. კორიფემ 1950 წლის 20 ივნისს „პრავდაში“ გამოაქვეყნა „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“. ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, თუ მეცნიერების კიდევ რომელ სფეროს გადასწავლობდა მისი გენია, რომ დასცლოდა... მაგრამ ის არასრული სამი წელიც საკმარისი იყო, რომ ამ „საკითხებს“ მოეცვა მთელი ქვეყნის მკითხველი საზოგადოება, არა მხოლოდ სამეცნიერო წრეები, განურჩევლად დარგისადმი კუთვნილებისა, ისტორია იქნებოდა თუ ელექტროტექნიკა, ხელოვნების დარგები თუ ბუნებისმეტყველება, ყველა, განურჩევლად, სქესისა, ასაკისა თუ პარტიულობისა ჩაება „საკითხების“ შტუდირებაში. ეს შეუვალი ტრეიზმები ნებისმიერი ხასიათის წიგნის წინასიტყვაობაში უნდა მოხვედრილიყო. ადამიანები დაეწაფნენ მას, როგორც უკვდავების წყაროს.

მამინ არავის გახსენებია, უნდა გახსენებოდათ მაცხოვრის სიტყვები სამარეული დედაკაცისადმი, ისეთ წყალს შეგასმევ, ადარასოდეს მოგწყურდესო. ქვეყანა გრძნობდა, რომ შემოდიოდა ახალი დოგმატები, რომლებიც წინათ, ყრილობებზე, მსოფლიო საეკლესიო კრებების ანალოგიურად, ანონიმურად გამოცხადდებოდა ხოლმე. ახლა კი თავად ცოცხალი კლასიკოსის ბავები ამოტყველდნენ. აბსოლუტიზმის ამ აპოგეაზე, რომელიც 50-იანის ნიშანია, როდესაც ბელადი ამბობს, სახელმწიფო მე ვარო, და ეს უკვე რწმენის სფეროს ეკუთვნის, გამჭრიახ ადამიანს იმედი უნდა გასჩენოდა, რომ ამიერიდან (იმ ბუმსტის გამოჩენის წამიდან) ყველაფერი თავადმართზე უნდა დაქანებულიყო. მაგრამ, პირიქით, მასამ ირწმუნა, რომ ბელადთან ერთად კომუნიზმის აღმართებს

აუყვებოდა. საბჭოური წუთისოფელი დასრულდებოდა და კომუნიზმის სასუფეველი დამკვიდრდებოდა. ახალი ცა და ახალი მიწა... ამ თხზულებებში, რომლებიც კორიფემ თავისი ცხოვრების კვირბადალზე შექმნა, კომუნიზმის ორი ნიშანი მკაფიოდ გამოჩნდა: ერთი რომ სოციალიზმის მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების დროისათვის ნაციონალური ენები ვარდაუვალად უნდა შეერწყან ერთმანეთს და ერთი საერთო ენა წარმოიქმნას (სხვათა შორის, ჩვენს მატინეში ზუსტად ასეთი რამ წერია, რომ ქართლში არსებული შვიდი ენის შერწყმით ერთი ენა - ქართული წამოიშვა) და ეს, არ იქნება, გვარწმუნებდა კორიფე-პროფეტი, არც ველოკორუსული და არც გერმანული, არამედ რაღაც ახალი რამ. მეორე ნაშრომში „სოციალიზმი ეკონომიკური პრობლემები“ (1952) სხვა წინასწარმეტყველებაა გამხელილი: სოფელი და ქალაქი გათანაბრდება. სოფელი ქალაქს გაუსწორდება, ხოლო რა დამართება ქალაქს, ამაზე წინასწარმეტყველება ღუძდა. განსხვავებით ენისა, სოფელ-ქალაქის ეს საკითხი კომუნიზმადღე უნდა გადაწყდარიყო და მიდიოდა დისკუსიები, როგორ უნდა მომხდარიყო ეს. რატომ ვიხსენებთ ლეთეს წყლებსგან დიდხნის წინათ წალეკილ ამ ამბავს?

კომუნიზმის იდეოლოგიამ თავის ამ აპოგეაში გამოაჩინა ლატენტური, აქამდე საშკარაოზე საჯაროდ გამოუტანელი ვერდიქტი, რომ კულტურას, ცივილიზაციას ელის სითბური სიკვდილი, ისტორია აქეთკენ მიდის და, ჩვენ, „სხვა მასალისგან ნაშენი ადამიანები“ უნდა შევეშველოთ ამ ნეკროფილურ პროცესს. კულტურული ენტროპია გარდაუვალია. 1953-მა წელმა სამანი დაუღო ამაზე თავის მტკრევას. სოფელი, ასე თუ ისე, სოფლად დარჩა, ქალაქი ქალაქად, რუსული რუსულად, გერმანული გერმანულად, ქართული ქართულად. იმ ხანად კომუნიზმის იდეის რწმენით ნაკლებად შეპყრობილი მოქალაქე თავის გულში ასე ფიქრობდა: ვიცი, განწირული ვარ იმ დიადი მიზნისაკენ სვლად. და სწორედ იმიტომ, განწირული ვარ, მომეცეს ნება და უფლება, ხანდახან გადაუხვიო ამ მაგისტრალურ გზას, ვიარო ჩემი ბილიკებით, დაე ხანდახან გზა-კვალიც ამერიოს, ოღონდ ვიარო საკუთარი გზით, ერთხელ მაინც განვმარტოვებ საკუთარ თავთან, ერთხელ მაინც ამ სიცოცხლეში... საბოლოოდ, ხომ მაინც მოვებნი და ნებით თუ იძულებით დავადგები საყოველთაო შარავზას...

„პასაჰარტიკა“

ღღემდე ვერ ამიხსნია, მამინ კი ამაზე არავინ დაფიქრებულა, როგორ დაუშვა რეპრესიების გარეშე დიდი ბუმსტის პერიოდში რეჟიმი ეს მოძრაობა, რომელიც თითქოს

მხოლოდ სამოსელით გამოიხატა. სკოლის უნიფორმა არსებობდა და ყველას ემოსა, ვის შეეძლო სკოლაში უფორმოდ სიარული, ამჟამინდელი ტერმინით რომ გამოვთქვათ, არაფორმალურად, როგორც ქუჩის ბიჭები დადიან... მაგრამ უცებ, მოულოდნელად, ის სკოლაშიც შეიჭრა. ვინ იყო ამ მოდის ფუქემდებელი, უფრო სწორად, ძველის ამაღორძინებელი? უდროოდ თუ ძალადობით წასული ძვირფასი ძმების, შვილების, ქმრების სამახსოვროდ კიდობანების ნაფტალინში ჩაწყობილი ხალათი - ვის ოჯახში არ აღმოჩნდებოდა - პირველმა ვინ გამოამზეურა, ვინ იყო იგი? სრული ანონიმი. იყო და არც იყო. ტრადიციის დასაბამი ყოველთვის საიდუმლობრევი და ის დარჩა 40-იანი წლების მეორე ნახევრის ფოლკლორად, რომელმაც სულ რაღაც სამიოდე წელს გასტანა. არც არავის უცდია მისი სახელწოდების ქართულად თარგმნა (აბა, სცადოს ვინმემ...), თუმცა ის, წარმოშობით რუსული, ქართულ ფენომენად იქცა თავისი ვერბალური ეტიკეტიურით - „ერთიმუჭა ქართველობა“, ნახევრად ირონიული, ნახევრად საამაყო კონცეპტი, რომელიც ბუნებრივად ეხმიანებოდა სხვას - „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“.

რა თქმა უნდა, ვერავინ იტყვის, რომ რეჟიმის მსტოვრებს არ შეუძნევიათ ეს სიახლე ახალგაზრდობის ჩაცმულობაში, რომელიც ეპიდემიად იყო მოდებული თბილისის (სხვა ქალაქებზე ვერაფერს ვიტყვი), მაგრამ გულუბრყვილობა იქნება იმის დაშვება, რომ მათ ყურებს მისი ვერბალური შესატყვისი არ სმენოდათ. ნუთუ არ უკითხავთ, ვინ არიან ეს „ერთიმუჭა ქართველები“, რა უნდათ, რისთვის წამოყვეს თავი, რა უღვეთ გულში, ვინ არის მათი ხელმძღვანელი, ინსპირატორი? უშიშროება ხომ, როგორც წესი, ხელმძღვანელს ეძებს, რომც არ არსებობდეს ბუნებაში, მაინც ეძებს - შეთქმულების თეორია ამას მოითხოვს, და პოულობს კიდევ. შესაძლებელია, ეს „ერთიმუჭა ქართველობა“ მათი მხრიდან არაფრად ჩასაგდები და ირონიის საგანიც კი იყო. თავად ამ ნიშნით შემოსილნიც, თუ იმჟამინდელ განწყობილებას ნაცრიდან აღვადგენთ, არ იყვნენ მოკლებულნი მის მიმართ ირონიულ დამოკიდებულებას. შესაძლოა, ამ თეორიონიამ და, რაც მთავარია, ტოტალურმა გავრცელებამ, რაც საეჭვო და სამში ინდივიდუალიზმს გამოირიცხავდა, იხსნა ეს მოძრაობა რეპრესიებისგან. თუმცა ნუ გამოვირცხავთ უშიშროების მხრიდან „პროვიდენციულ“ მიშვებას, როგორც სკოლაში მწერლობაზე დაყრდნობით ეძლეოდა გასაქანი პატრიოტული გრძნობის კულტივირებას, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ოღონდ როგორ უნდა მიეღო ამას მონაწილეობა საბჭოთა პატრიოტიზმის შენებაში, ანუ ჰომო-სო-

ვიეტიკუსის შექმნაში, დღემდე აუხსნელი ამოცანაა. იმ ხანებში, ცოტა მოგვიანოდ, საზოგადოების მიმართ გამოწვევის, რაღაც პროტესტის მსგავსი იყო „ბუტილკა“ შარვლების გამოჩენა. ესეც თავისუფლების ერთგვარი მანიფესტაცია იყო, თუმცა მას მხოლოდ მოდის კატეგორიაში მოვაქცევდი, რადგან არსებითად იგი ფრანტულ მოდას უპირისპირდებოდა. რა თქმა უნდა, ვერ გაუთანაბრდა ის „კასაკაროტის“ მნიშვნელობას, რომელსაც სემიოტიკურ სიღრმესთან და გაქანებასთან ერთად მხსნელი ირონიაც ახლდა და ჩვენი პატრიოტიზმის დადებით და უარყოფით ნიშნებსაც აჩენდა, და, რაც მთავარია, გავრცელების მასშტაბს.

ალუდა სკოლაში

გვასწავლიდნენ და ბუნების კანონად მიგვაჩნდა, რომ საზოგადოება უპირატესია პიროვნებაზე, რომ პიროვნულმა უკან უნდა დაიხიოს საზოგადოს წინაშე. კაცმა პიროვნული საზოგადოს უნდა ამასუროს, მსხვერპლად მიიტანოს ზოგადის საკურთხეველზე. ქართველის დედამ თავისი უსაკუთრესი, რაც კი გააჩნია, თავისი ერადღერთი, მსხვერპლად უნდა გაეღოს საზოგადოსთვის, ანონიმური სხვების ერთობლიობისთვის. ეს სკოლაში ლიტერატურის გაკვეთილებზე გვესმოდა, ვიზარებდით, მისით, როგორც ამაღლებული გრძობით, ვიმსჯვალეობდით. ეს იყო თერგდალეულთა და, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძის პათოსი, რომელსაც ეკვმოუბნებოდა ჭეშმარიტების პრეტენზია ჰქონდა. ვის შეეძლო დაეკვება ამ თეზისში, რომელიც, ლამის (უკვე ითქვა) ბუნების კანონს უთანაბრებდა? მთელს ჩვენს სახელოვან მე-19 საუკუნეში ერთადერთი ავტორი ვაჟა-ფშაველა იყო, რომელმაც არ გაიზიარა ეს ეპოქალური თეზისი. უფრო მეტიც, თავის შედეგებში, „ალუდა ქეთელაურში“ და „სტუმარ-მასპინძელში“ უკანმოუხედავად დაუპირისპირდა მას. პიროვნების მხარე დაიჭირა ტოტალიტარული თემის წინააღმდეგ.

როგორ მოხდა, რომ აქტუალური რეჟიმის ატმოსფეროში, სადაც შეუვალი საზოგადოებრივი აზრი, საღ აზრად წოდებული, ტოტალურად ბატონობდა, სასკოლო პროპაგანდამ პიროვნებას - ალუდას და არა საზოგადოებრივ წესრიგს დაუჭირა მხარი? მაშინ, როცა ყოველში გაბატონებულ აზრს - საყოველთაოს - შეზღოვებული პიროვნება გათვლილი, არარადქცეული, გაცამტვერებული იყო, ლიტერატურის გაკვეთილებზე მოვანყე გმირის კულტი ინერგებოდა, წლიდან წლამდე, საბჭოთა რეჟიმის ბოლომდე იწერებოდა სასკოლო ნაშრომები თემაზე „თემი და პიროვნება“. „ჩვენთანობის“ ღირებულებებზე აგებული საზოგადოება, რომელსაც ალუდა დაუპირისპირდა, განა ისეთივე ტოტალიტარული არ იყო, როგორც



ჩვენი, სადაც ვცხოვრობდით, სადაც დამნაშავეებზე ვიქცევით?

ასეა: იოანე ოქროპირი წერდა, ადამიანი ყოველთვის დამნაშავეა ღვთის წინაშე. ამ ნათქვამში ჩაღრმავება ღვთისმეტყველისთვის მიმინდვია. მე კი ვიტყვი: როგორ შეიძლება, პატროსანი, სინდისიერი მოქალაქე, თავისი ქვეყნის პატრიოტი, მამულიშვილი, დამნაშავე არ ყოფილიყო საბჭოთა სახელმწიფოსა და ხელისუფლების (რაც იგივეა) წინაშე? განა უდანაშაულობა მისი ღირსების შეურაცხყოფელი არ იქნებოდა? გულის სიღრმეში ის ამას გრძნობდა, შესაძლოა, საკუთარ თავსაც არ გამოტყლომდა, მაგრამ არსებობდა დანაშაულის აქტუალიზაციის ქცემეცნეული შიში. ნებისმიერი მოქალაქე, ხელისუფლების მიმართ თვით ლოიალურნიც კი, თვით კომუნისმის სასუფეველის მორწმუნენი და მსასოებელნი, გულწრფელად მაქებ-მადიდებელნიც, ფანატიკოსნიც, ანგარებიანნიც, თვით ხელისუფლებაში მოკალათებულნიც, - ყველანი უკლებლივ პოტენციური დამნაშავეები იყვნენ და ძრწოდნენ თავ-თავიანთ საცხოვრებლებში, აძრწუნებდნენ ღალატის, ხალხის მტრობის პერსპექტივა, რაც, როგორც წესი, სინამდვილედ ქცევას არ აყვავებდა.

როგორ ვცხოვრობდით და როგორ ვფიქრობდით საბჭოთა წყობილების დროს? გულში ვაღიარებდით, რომ ყველანი დამნაშავეები ვიყავით მათ წინაშე, რადგან შინაგანად, ფიქრში მაინც, ვარღვევდით მათებურ სამართალ-სიმართლეს. თუ ვიტყვით, რომ უდანაშაულონი ვართ, მაშინ უნდა გვეღიარებინა, რომ არ დაგვირღვევია მათებური სამართალი და, მამსადაძე, ჩვენც მათებური წესის მიხედვით ვცხოვრობდით, რაც მარ-

თალი არ იქნება. თუ ვარღვევდით მათ სამართალს, მათებური სიმართლით ვისჯებოდით და მოთმინებით ვიწყნარებდით სასჯელს, რადგან სრულებითაც არ გვსურდა მათებური სამართლით ვყოფილიყავით გამართლებული. უნდა დავესაჯეთ და ასე დასჯილნი უნდა ვყოფილიყავით, ვიდრე მართალი სამართალი არ გაგვამართლებდა.

ალუდა - ხალხის მტერი

1951 წლის 10 იანვარს ქართველი ხალხის ნაცადმა ხელმძღვანელმა, როგორც იმჟამინდელ ცეკას მდივანს უწოდებდნენ, გაახშირანა სტალინის დამოკიდებულება ვაჟა-ფშაველას თითქოს ენისადმი, მაგრამ პრეტენზიები სხვაგვარი იყო მიმართული... თბილისის პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, რომ ვაჟა-ფშაველა „ფშავის ვიწრო ხეობაში ჩაიკეტა“. მრავალი ხნის შემდეგ ნაცად ხელმძღვანელს მოუხდა მობოდიშებასავით განმარტების გაკეთება ამ თავის განცხადებაზე, რასაც ისტორიისთვის ნაკლები ღირებულება აქვს. ვაჟას ენის დაწუნება, თუ ის მართლაც ფშაური დიალექტია და მეტი არაფერი, საერთოდ ხალხური პოეზიის, განსაკუთრებით, მისი გენიალური ზეპირ-სიტყვიერების დაწუნების ტოლოფასი იყო. ამ ზომამდე კი, რომ წუნი დაედოთ ხალხური პოეზიისთვის, კრიტიკა, რომელმაც მხარი აუბა ამხანაგი სტალინის მიერ გაკვრით, ვფიქრობ, არა დაქნებით, არა კატეგორიულად გამოთქმულ თვალსაზრისს, არ მისულა.

ძნელია ახლა სტალინის ფიქრების ვერბალიზაცია, მაგრამ ერთი რამ ცხადი უნდა იყოს: მის გამჭრიახობას არ გამოჰპარვია ალუდას, „მამსენენს ქისტის სული-სა“, ჯანყის მარადიული საფანელი, რომ

ხევსურეთის კონკრეტული ხევი და კონკრეტული დრო მხოლოდ საშუალებაა იმ უნივერსალურის გამოსახატავად, რისთვისაც ვაჟა იყო მოწოდებული, რომ ეს მომავლის თემა უფრო იყო, ვიდრე მე-19 საუკუნის საქართველოსი. მართალია, ვაჟა „ფშავის ვიწრო ხეობაზე“ წერდა, მაგრამ კოსმოპოლიტური პოზიციებიდან წერდა, როგორც ჰენრიკ იბსენი, რომელსაც თავის შემოქმედებაში უარი არ უთქვამს ნორვეგიულ, მის მიერ მარგინალურად მიჩნეულ სინამდვილეზე, რომელზეც დაწერა, რომ „მძიმეა, გქონდეს ისეთი საშობლო, როგორიც ნორვეგიაა“, და ამ საშობლომ გარიყა იგი, მოიშორა როგორც შეუთავსებელი უცხო სხეული. ასეთი იყო ალუდაც, რომელიც უცხო სხეულივით განავლო თემმა. პროლეტარიატის ბელადი, კომუნისტის ხუროთმოძღვარი და აწ უკვე მეცნიერების კორიფე, ხვდებოდა ალუდას საქციელის საზრისს, თუ რა ხიფათის შეიცავდა იგი რეჟიმისთვის, თუმცა არც მაინცდამაინც ალუფოთებია ამას, თორემ უფრო კატეგორიული იქნებოდა და სხვა გადაწყვეტილებისკენ მოუწოდებდა მისი ნების აღმასრულებელი. მაგრამ მაინც რაღაც უნდა აღსრულებულიყო. მწერალთა კავშირი, როგორც ერთი კაცი, ისევე როგორც ალუდას განმკვეთელი თემი, ერთსულოვანი იყო, როცა კავშირის კედლიდან მისი პორტრეტი ჩამოხსნეს. მაგრამ სკოლაში იგი დარჩა, გადარჩა. ბოლომდე ვერ მისდიეს, 1953 წელმა სამანი დაულო.

გუფტის კოლაფსი

9 მარტით დაგვირგვინებული ის დღეები სრულიად განსაკუთრებული იყო, დაუჯერებელიც კი, რომელსაც პრეტენდენტი არ ჰქონია რეჟიმის ხალხის რამდენიმე (სამი მაინც) ათეული წლის გამოცდილებაში. პარადოქსი იყო, რომ ხალხი რეჟიმმა დასაჯა იმისათვის, რომ იცავდა იმ კულტს, რომელიც იმავე რეჟიმის გულისგულს შეადგენდა, რომლის გარეშე მას გარდაუვალი რღვევა ელოდა. და ასეც მოხდა სულ რაღაც 35 წლის შემდეგ. მაგრამ ჭაბუკის გულს - ის გამალებით ძგერდა - ვერ მოეთმინა. სოფოკლეს სიტყვებს - „შურისგება მოდის ნელი ნაბიჯებით, მაგრამ ხომ მაინც მოდის“ - რომც სცოდნოდა, არად ჩათვლიდა. განა არ ჰქონდა მოსმენილი ტეხურის ნაპირას იმედიათი სხვა სიტყვები სოფოკლეს კვალზე: ნუ გოშქურუ, ქეგესკიდუნა ათენეფი ვერჩხის (ნუ გეშინია, ლუკა, იცოდე, გაირიყებიან ესენი... მეგრ.). არ ეშინია, მაგრამ მოთმინება ელევა. ის ნახტომს ნახტობს: თუ ხვალვე არა, არასოდეს. მაგრამ ის ხვალვე, რომელიც ოდესმე უნდა დამდგარიყო, სადაც სხვაგან, სხვა სივრცეში და სხვა დროჟამულ განზომილებაში ეგულებოდა. და ეს ოდესმეც

სადაც ახლოს, ფარულად მყოფობდა. გრძნობდა, თითქოს გადანახული იყო ის ოდესმე და არ ებოდა ამ ჟამს და ამ სივრცეს, ამ შერეულს, ყოველდღიურს.

ის ქალწულებრივი ოდესმე, ხელშეუხებელი, შორეული, განუყვანი, მაინც მყოფადი, ხომ სადაც და ოდესმე იქნება? ოდესმე... იმ ოდესმე ეს ქალაქი, ეს სახლები, ეს ქუჩები - მთელი არემარე, ვერა-ზემელი, გალაგინსკი, ერევნის მოედანი, ვარანცოვი, მისი ცაც და მიწაც, როგორც ახლა ჩანან, ისეთივე დარჩებიანო? ჩვენც, ადამიანები, როგორებიც ვართ, ისეთივე დავრჩებითო? ერთბაშად, ერთი წამისყოფით არ შეიცვლებით ყველაფერთან ერთად, როგორც პავლე მოციქული გვპირდება? მაგრამ როგორ და როდის მოხდება ეს? ერთ მშვენიერ დღეს? გაზაფხულის ერთ დილას? ჩიტების ჟრიაშულთან ერთად გაიღვიძებ იმ ოდესმე და ჩვენ ყველანი ერთიანად შეცვლილნი აღმოვჩნდებით? სანამ დავიხოცებოდეთ, გარდავიცვლებით? მართლაც, როგორი უნდა ყოფილიყო აპოკალიფსური ჟამი იგი, რომელსაც ყველაფერი უნდა დაესრულებინა? - და სწორედ ის წამი მოვარდა მოულოდნელად, ტყვიების კაკანში, არა ჩიტების ჟრიაშულში, როგორც უცხო და მძვინვარე გაზაფხულის თქემი, უჩვეულო, განუცდელი. სხვაგვარი მოლოდინი ჰქონდა? აბა, თუ მიიღებდა გაზაფხულს უჭეჭაქუხილოდ? რას მოელოდა მოწმენდილი ცისგან? თუ არ მოიღრუბლებოდა, რითი ანიშნებდა? გაექვიდა კი ამ გრვეინვა-გრიალს, რომელსაც ნიაღვარი უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის განსაწმენდად, ნალახი ქუჩებისა და ეზოების, ჩაბნელებული სადარბაზოების გამოსახვეტად, ადამიანური, ერთობ ადამი-

ანური სუნისგან გასანიაველად, ჭეჭა-ქუხილზე, თითქოს მთავარანგელოზის მემკვიდე საყვირზე გამოღვიძებულთა გარეთ გამოსარეკად, ახალი დღის შესაგებებლად, შიმის, როგორც მტკერის, საზუდაძოდ ჩამოსაფერთხად?

რადგან, რაც მოხდა, მოხდა, და რაც მოხდა, გარდაუვალია, როგორც მზის ამოსვლა, როგორც გათენება... 50-იანის შუადალი იდგა, მარტის დასაწყისი იყო, რიცხვიც იყო, მშვენიერი რიცხვი. ოდნავ ქროდა, ჟინჟლაგდა. ეს ქატონის ეს ხედავ რეტროსპექტულია, იმ წამიერად ნაგრძობის ამეტყველების მცდელობაა. ვინ იტყვის, რომ 9 მარტი არათუ 50-იანი წლების, არამედ მთელი ომის შემდგომი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა არ იყო? ბოლოს და ბოლოს, იმ ხალხმა, თუნდაც არ იზარებდეთ მათგან გაცხადებულ ლოზუნგებსა და შემახილებს (კომიკურ „ლენინმა აკოცოს სტალინი“, „ასურდულს“ „ჯუღუღე, ჯუღუღე“ და სხვათ) მაშინ თარიღი შექმნა, რომელმაც ცნობილი 9 იანვარი რაღაც უცნაურად გაიმეორა, ხოლო თავად სრულიად კანონზომიერად, ლევ ტროცკის „კარის გაჯახუნებით“ 9 აპრილში განმეორდა, რაშიც — სამ ცხრიანში — განგების ხელი დაინახეს (იმავე ადგილზე მათი ტყუპისცალი 26 მაისიც იხილეს). და ეს 50-იანის შუადალზე მოხდა. ეს საუკუნის შუადალიც იყო.

ლადო გუდიაფვილი

9 მარტის წლისთავზე, 1957 წლის გაზაფხულზე, თბილისში ხმა ვაგარდა, რომ ცისფერ გალერეაში გაიხსნებოდა ქაშვეთის საკურთხეველის მონატვისთვის რეჟიმისგან შერისხული სამხატვრო აკადემიიდან დათ-



ზოგნილი და კომუნისტური პარტიიდან გარიცხული ლადო გუდიაშვილის პერსონალური, როგორც ეწოდა, რეტროსპექტიული გამოფენა. ეს მოხდა 14 მაისს. მაგრამ იმდენად დიდი იყო ინტერესი მისი მხატვრობის მიმართ და იმდენად ნაკლები ნდობა იმისა, რომ დანიშნულ დროს გაიხსნებოდა, ან თუ საერთოდ გაიხსნებოდა გამოფენა, ზედმეტად, თუმცა არა უსაფუძვლოდ აუტირებული და მოუთმენელი ხალხი ორი დღით ადრე, 12 მაისს, გალერეის კარის შენგრევას შეეცადა.

ჭაბუკიანის ოტელი

იმავე 1957 წლის ნოემბერში ვახტანგ ჭაბუკიანის ოტელომ განაცვიფრა და ალაფრთოვანა თბილისი, განსაკუთრებით და უჩვეულოდ კი ახალგაზრდობა. გადატენილ დარბაზში კიბეებზეც აღარ რჩებოდა თავისუფალი ადგილი. ეს სპექტაკლი იმდენად თავბრუდამხვევი იყო, რომ ხელოვნებაში სიფიხილის მომთხოვნ და, თავად ფიზიკურად აღმქმელ, ზოგიერთ, შესაძლოა, არაკეთილმოზურნე კრიტიკოსში ეჭვებს იწვევდა და, განსაკუთრებით, დაუსაქმებელი ბალერონის აზრით, ვერსაპატიებელი გარღვევა ტრადიციულ რუსულ ბალეტში. აზრის რა სივიწროვე გამოჩნდა... რაფინირებულმა პარიზმაც არ მიიღო, ამბობდნენ, ჩავარდა კიდევო (თუმცა რაღაც ჯილდო მავრს მაინც გადაეცა). მაგრამ რას ვაჩვენებთ სხვაგან ჩავარდნებს, როცა აქ, მის დამცირებულ ქვეყანაში მისი სხეულის ფეთქებადი, დაუცხრომელი ენერჯის გამოსხივებით პროვოცირებამ თქვა თავისი სიტყვა-ვერდიქტი - გამგებს უნდა გაეგო, არათუ გაეგო, ჩაწვდომოდა ხელოვნების საზღვრებს გადაცდენილი ამ მოვლენის მნიშვნელობას. ეს მომავლის ნიშანი იყო ამ პერიოდში, როცა ხსნის არავითარი სახსარი არ იყო, არც არავითარი მოლოდინი, მისი ნასახიც კი.

გალაკტიონის ცის ქვეშ

ამ მონაკვეთში ავტორი სუბიექტური იქნება, როგორც ადრე ივარაუდა. 50-იანი ათწლეულის ერთი შრე „გალაკტიონის თვალთახედვით“, უფრო ზუსტად: „გალაკტიონის ცის ქვეშ“ წარიმართა. 1951 წლის ზაფხულის ტრაგიკული შემთხვევა, რომელმაც მწუხარების გვერდით, უფრო, მასში შემსჭვავლეთ, მანამდე განუცდელი გოცების მაგვარი რაღაც მოიჭანა, გახდა იმის მიზეზი, რომ პოეტის შემოქმედების მისთვის და მისი მეგობრისთვის აქამდე დახშული კარი საბოლოოდ გახსნილიყო. არათუ საიდუმლო მისი იყო გახსნილი, საიდუმლო საიდუმლოდ რჩებოდა, მაგრამ ახალი ის იყო, რომ საიდუმლოს გემო გაიხსნა. უაზრობად გამოჩნდა კითხვები, რომლებიც 40-იანი წლების დასასრულს აწუხებდა, თუ რა არის „ფერი და ფერვალი“, ვინ და




სად მიაჭენებენ ლურჯა ცხენებს, და სხვა მრავალი... და ახლა, თუ ვინმე შეეცდება არცთუ ქრესტომათიული სონეტის „გობელენის“ თარგმნას რაციონალურ ენაზე, კიდევ უფრო გაუგებარს გახდის მას:

„იქაური ცა ფოთლით ქსოვილი, ლაჟვარდ თვალთაგან გადასულ ნამით მოველი ღამეს და შენ, სულამით! ჩემ მკვლელ - მიუვალ ღამეს მოველი. ალერსთა უხვი და უხმო ველი დამფარავს ნისლთა წამოსასხამით და დათრობაში ამ ღამის-ღამით უხილავ გზებით შთავა ყოველი...“

ამასობაში, როცა ის და მისი მეგობარი პირველი გამოცხადების შემდეგ თანდათანობით შედიოდნენ მის სამყაროში, გალაკტიონის წვერი, რომლის მოშუება მან 40-იანი წლების დასასრულს (1948 წელს?) დაიწყო, თანდათან იზრდებოდა. ის დადიოდა თბილისის ქუჩებში, მტკვრის გაღმა-გამოღმა, როგორც ღვთის სუნელი, და მისი ეს ხატება, მიუხედავად იმისა, რომ ერთგვარი საკრალიზმით იყო მოსილი, სრულებით არ უკავშირდებოდა გენიალურ „თავის ქალას არტიტული ყვავილებით“, წიგნს სახლში ნაპოვნს, 1920 წლის 30 სექტემბერს ნაყიდს, არცთუ შემთხვევით კემორჩენილს რეპრესირებულის დაბრუნულ კარადაში, ან 1927 წლის გამოცემას, ან, თუნდაც, ყავისფერ ქაღალდზე ნაბეჭდ „ასმანეთიან ტომს“ (1946), როგორც უწოდებდნენ ხსენებისას, გულში იხუტებდნენ, ან, თუნდაც, მისი სიცოცხლის მიწურულს (1957) გამოცემულ წითელფიანი მომცრო ტომეულების მე-8 ტომს, სადაც სიბრძნე თანდაყოლილი სისადავით მეტყველებს:

„ომსა ცვლის მშვიდობა, და ნგრევას შენება... აქ გული მონაა



და თანაც ბატონი“. როცა მას მთაწმინდაზე მიახვეწებდნენ, ხალხის გაუთავებელი ნაკადი მიჰყვებოდა უკან. მთაწმინდა მის ფერდობებს შეფენილი ხალხითურთ ზოგიერთს, ამ სახილველით შეძრულს, გოლგოთის დღეს ავონებდა. ასეთ ხალხმრავლობას დასაფლავებაზე ჩვენს დროში არავინ შესწრებია.

„ხამს მოყვარე...“

რეჟიმი არ იყო სამისოდ მოწოდებული, მაგრამ მისდაუნებურად ქმნიდა ნიადაგს, უფრო ნოციერს ვიდრე რომელიმე სხვა ეპოქაში, თუნდაც მე-12 საუკუნის საქართველოში, როდესაც ეს სიტყვები „ხამს მოყვარე მოყვრისათვის...“ ითქვა. თუმცა საკითხავია, რატომ ითქვა? იმბტომ ზომ არაა, რომ ამგვარი ურთიერთობის დეფიციტი იყო? დავიწყებულის გასახსენებლად, რომ ხამს...თავი ჭირსად არდამრიდად მოქცევა, ზომ არ ითქვა ეს სიტყვები?

ასე იყო თუ ისე, ამაზე არც უფიქრია მაშინ ყმაწვილკაცს. მასში რაღაც სპონტანურად დაბადებულ ამ გრძნობას დასტურს სცემდა „ოქროს ხანაში“ (ასე ასწავლიდნენ - მაგრამ ჩვენი კორიფეს ხანაც ზომ ოქროსი იყო?) თქმული ეს სიტყვები. მეგობრობა იკვანძებოდა თავისთავად, როგორც თანდაყოლილი იღვის ხორცშესხმა ამ ყოფაში, აქ და ახლა, კარგად ახსოვს მანამდე განუცდელი გრძნობისგან, თითქოს პირველ-ხილვისგან განცვიფრება, ამ შეხვედრას რომ ახლდა.

ძალიან ხშირად და, როგორც წესი, ერთმანეთს ხელახლა ეცნობოდნენ საბავშვო ბაღის უხსოვარი დროში გაცნობილნი, რასაც გაცნობა არც ეთქმოდა. ჩვენ ზომ აქა და აქ ერთად დავდიოდით, მახსოვხარ იქიდან, ან: შენც იქ უნდა გველო წესით,

სადაც მე დავდიოდი, დავყავი... შენ ვერაზე არ ცხოვრობდი, ბელინსკისა და ბარნოვის კუთხეში, თუ ზემოთ, ხომტარიაზე?... სკოლაში უკვე ან ერთად შეიყრებოდნენ, ან იფანტებოდნენ, რათა კვლავ მოეძებნათ ერთმანეთი, ან სამუდამოდ დაკარგოდნენ ერთმანეთს. რომ არაფერი ვთქვათ ურთიერთობის სიღრმეზე, სიამაყით ავსებდა მათ თავად ურთიერთობის ხანგრძლივობა, მიუხედავად ქართველებისა, რაც უამს მოჰქონდა, რაც ჩაფიქრებული ჰქონდა „პროვიდენციას“. ტოტალური სეკულარიზაციის, კერძოდ, სიწმიდეთა პროფანაციის პირობებში იმაზე უკეთესი სახელწოდება რეჟიმისთვის, ვიდრე პროვიდენციაა („წინასწარ-ხედვა“), არ მოიძებნებოდა. ან თუნდაც განგება - მისი ბადალი ტერმინი, - რომელიც განაგებს ყველაფერს - გარეს და შინას. ამ „განგებას“ ხომ საზოგადო ხელში ეჭირა, იგი კერძოსაც, რეჟიმისთვის არა ნაკლებ სამშრს, სწვდებოდა, რის გამოც ურთიერთობა უფრო სიღრმეში, ვიდრე ზედაპირზე, უნდა განვითარებულიყო. ეს იყო ის ნახსენები ნოციერი ნიადაგი. 40-იანში ეზოდან თუ მერხიდან დაწყებული ურთიერთობა 50-იანში ძლიერდებოდა, საერთო საიდუმლოს, სხვა ენაზე რომ ვთქვათ, კონსპირაციას მოითხოვდა.

„დაიშალეთ, ამხანაგო...“

შესაძლოა, სხვაგვარად გამოთქვამდა ამ თავის მოწოდებას რეჟიმის ერთგული, ალბათ თავგაბებრებული დარაჯი, მაგრამ მსმენელს მხოლოდ ამგვარად თუ შეეძლო აღეჭა მრავალგზის მოსმენილი ეს კლასიკური, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ფრაზა, მოწოდება... ის დრამა, საიდანაც მოდიოდა ეს რემინისცენცია, ბევრისთვის სიმბოლური ხატი იყო იმისა, რაც ქვეყანაში მოხდა და კვლავ და კვლავ, თუმცა მისუსტებულად ხდებოდა, და კუდები არ წყდებოდა, არ იმალებოდა. „რად არ მეშლება ეს სხეული, ესრეთ...“ პასუხობდა ენაკვიმატი ჩვენთან ამ მოწოდებას, რაკი ის „დაიშალეთ“ მხოლოდ ჯგუფს როდი ეხებოდა, ინდივიდსაც სწვდებოდა, რათა დაშლილიყო. დაღუპულ მამათა აჩრდილები დადიოდნენ იმ ხანის ქუჩებში და შურისგებას - რა იმედით? - ელოდნენ. ტელემეჩენი, ორესტენი, ჰამლეტნი - მომრავლებულიყვნენ. იქნებ შურისგების ნიშანი იყო, რომ კაცი ვინმე ზემოდან დაღმართ ქუჩებზე ჩამომავალი გამაყრუებელი ძახილით ფარავდა თავის შიშსა და ძრწოლას, ასე ამბობდნენ, ჩადენილის გამო. მისი გამყვიანი ხმა არათუ ესმოდათ, შეეძლოთ ეხილათ კიდევ ყინულის კრისტალებით მოკირწყლულ ჰაერში...

50-იანის შუაძალი მოლოდინის უამი იყო, „გულაგებიდან“, როგორც ტროცდანი, დაბრუნების და არდაბრუნების, მრავალთა იმედების აღსრულების და გაცრუების უამი. ■



ნოდარ ღუმბაძე განსაკუთრებული ვაბეულობით წერდა ღმერთზე, უფლის სიყვარულსა და ლოცვის ძალაზე. ის ყოველთვის ამბობდა „სიყვარული თავად არს ღმერთი და თუ სიყვარული შენთან არს, შენთან არს ღმერთი“ და ეს იმ დროს, როცა მწერალი ბევრს კომუნისტი ეგონა.

ნოდარ ღუმბაძე არა მარტო თავის ნაწარმოებებში, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც მართლა ესაუბრებოდა ზღვას, ხეებს, თავის ძალს უყვებოდა ამბებს და შვილებსაც ასწავლიდა, რომ მზეს ამოსვლისას უნდა მიესალმო და ჩასვლისას დაემშვიდობო, რომ ზღვას გამარჯობა უნდა უთხრა.

მწერლის ქალიშვილი ქეთევან ღუმბაძე მამასთან დაკავშირებით საინტერესო და უცნობ ისტორიებს იხსენებს:

მამას თავისი განსაკუთრებულობა ჰქონდა. ის ძალიან ჰუმანური, დადებითი და ძალიან კეთილია და ყველა ასაკში სხვადასხვანაირად იკითხება. მამა სულ ამბობდა, იუმორი იმიტომ ავირჩიე, რომ თავისუფლება მინდოდა. ოღლა ბებია რომ ამბობს, ჩემი ბუბუები გლოცავენო, ან სიკვდილის წინ რომ ლოცულობს, რა მოხდა მერე, ყველა ბებია ხომ ლოცულობს თავისი შვილიშვილისთვის.

ახლა ვეღარ ვკითხულობ მამას, იმიტომ, რომ სულ ვტირი, განა იმიტომ, რომ მამა მენატრება, არა, უბრალოდ ყველაფერზე მეტირება, ქვეტექსტებს ვიკვებ სულ სხვა დატვირთვით. მამას გამოცემისთვის ვამზადებდი „მე ვხედავ მზეს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ და დანხმარება კორექტურაში ჩემს მეგობარს ვთხოვე. ჩემი მეგობარი მექანიკურად კითხულობდა და უცხად ერთ ადგილას გაეჩერდა. მეგობარს ვუთხარი, ახალი აღმოჩენა გავაკეთე და ცუდად ვარ-მეთქი. ბურთი გამეჩხირა ყელში და სული ვეღარ მოვითქე. არ ვიცი, მერამდენჯერ კითხულობდი „მე ვხედავ მზეს“, მაგრამ მამის პირველად ჩავავლე ფრაზა, როდესაც სოსოია იცმევეს შარვალს და ბრმა გოგოს ეუბნება, მიტრიალდი, შარვალი უნდა ჩავიცვაო. ვითომ ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ამაზე მეტი ჰუმანიზმი რა ვინდათ? მისთვის ხატია არის ხატია, რომელიც ხედავს სოსოიას და ხედავს მზეს.

ერთხელ ჩემი ლეკანიკო ავად იყო, ბაბუს მოთხრობები მომეცო, მოხოვა. ამოვარჩიე „ძალი“. ვიფიქრე, სიღრმეებში ვერ შევა და ვერ გაივებს-მეთქი, ბაბუ რომ ეუბნება, ბაბუ, მე ეხლა კვდები და არ შეგეშინდეს, ქვისგანაც რომ სითბო იგრძნო, იცოდე, რომ ის ქვა მე ვარო. ბავშვმა გამოაქანა ეს წიგნი ტირილით და მითხრა, შენც ცუდი ხარ და ბაბუც ცუდიაო. ემოცია,

რომელიც საჭირო იყო, ჩემმა შვილმა მამის მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ნოდარ ღუმბაძე იუმორისტი მწერალი ჰკონიათ, ეს ასე სულაც არ არის, მისი მოთხრობები დაღვინებულმა უნდა წაიკითხო.

ახლა ვხვდები ბევრ რამეს. სიკვდილის წინ მამამ თქვა, ძალიან მოგკვდები, ჩემი გარდაცვალების მერე ჩემს წიგნებს სულ სხვანაირად წაიკითხავ, დრო გავა და სხვებიც სხვანაირად წაიკითხავენო და ეს მართლა გამოვცადე საკუთარ თავზე.

ახლა მართლა აღმოჩენებს ვაკეთებ. ილიკო და ილარიონი ძალიან სასაცილოა 12-15 წლის ასაკში. როცა 35 წლის ასაკში კითხულობ, სულ სხვა ემოცია შემოდის. ხვდები, რომ იქ 37 წელია, რატომ არის ზურიკელა ობოლი, რატომ არის სოფელში, რატომ ეუბნება ოღლა ბებია, რა ვიცი, მამაშენი 37 წლის სახლიდან რომ გავიდა, მერე აღარ დაბრუნებულაო. „მზიან ღამეში“ ჰირდაპირ არის ვაშიფრული, დედა გადასახლებიდან ჩამოდის, ღამე როგორ ეტებს იმ ხალს, რომელიც შვილს ჰქონდა, რომ დარწმუნდეს, საკუთარი შვილია თუ არა.

სტალინი რომ კვდება, დედა ეუბნება, რადიომ თქვას შვილო, შენ არ თქვა, არ გაიმეორეო. დედას რომ ეხვეწება, არ მომიკვდე, ახლა ვიგრძენი, რომ ჩემი დედა ხარ და ისევე არ მიმატოვო. ახლა ვხვდები და ვიცი, მამაჩემი რატომ მოკვდა ასე ადრე, იმიტომ, რომ ამდენი უბედურება თავად გადაიტანა - ობლობა, შვილის სიკვდილი, ნათესავების ტრაგედია, ჰელადოსები, ოღლა ბებია, ყველაფერი მის ცხოვრებაში რეალურად იყო.

* * *

ცენზურის არ ეშინოდა. სულ ამბობდა, ისეთი ცენზორები მყავს სახლში, აღარავინ მეშინიაო. მანანა სულ ეუბნებოდა, გაგიყედი, მამა, რეებს წერო. ყველა წინადადების ბოლოს ღმერთზე საუბრობს, ვითომ ზუძრობით, ვითომ შემთხვევით, ღმერთმა გიმეველოს, ღმერთმა დაგლოცოს, სტუმარი ღვთისაა. ამის დამკვიდრება და ყველაფერში ღმერთის ძიება მართლა გამბედაობაა.

როცა მამა ამბობდა, რომ მზე მიყვარს, ზღვას ველაპარაკებო, ეს სიმართლე იყო. მართლა მინახავს, მამა როგორ ელაპარაკებოდა ხელაპყრობილი და მეგონა, რომ მზეს ელაპარაკებოდა. როცა გულრიფში ჩავდიოდი, სულ მეუბნებოდა, მიდი ზღვასთან და მიესალმე, უთხარი, რომ ჩამოხვედი. ან მეტყობდა, ღამე აუცილებლად დაჯექი და მზე რომ ჩადის, დაემშვიდობე, დილას სათევზაოდ რომ მოდიხარ ჩემთან ერთად, მზე რომ ამოდის, მიესალმეო. წყალში მუხლებით მაყენებდა და მეტყობდა, დილას შეეხვეწე მზეს, რომ ამოვიდესო.

გვიან მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ლოცვა და ვედრება იყო. ამას მამა ყოველ-

დღე აკეთებდა. ძალს მართლა ელაპარაკებოდა, ამბებს არ უყვებოდა ძალს, მურადას საშუალებით სიყვარულს არ უხსნიან მერის, ძალები სიკვდილის წინ არ ეუბნებიან ილარიონს, არ ინერვიულო, ილარიონ, ძალი კოჭლობით არ კვდებო. ეს სიკვდილთან საუბარი იყო ძალების ენით. ეს ყველაფერი ძალიან გვიან გავანალიზე, გვიან მივხვდი, რომ ღმერთს ესაუბრებოდა.

„მარადისობის კანონსა“ და „თეთრ ბაირალებში“ როცა გამოცხადებებია, როცა მზეს მიყვება, როცა მზესთან ერთად თეთრ ბაირაღს გადმოფენს, იქ უკვე ყველაფერი გამოიფრუდა. თუ ოღნავ მაინც ჩახედავ ადამიანი, უკვე გასაგებია, რომ ეს ღმერთია. „თეთრი ბაირალები“ მთლიანად 10 მცნებაზეა აგებული. მამა რომ საოცრად ბევრს წერდა ღმერთზე, სიცოცხლეზე, სიკვდილზე, კეთილშობილებაზე და ეს ყველაფერი რომ ღმერთი იყო, ამაზე თვალი ამიხილა პატრიარქმა.

მამას გარდაცვალების მეცხრე დღეს პატრიარქმა სიონში გადაუხადა პანაშვიდი და შემდეგ იქადაგა. მამის მოვისმინე დედამწის ზურგზე ყველაზე დიდი, ნიჭიერი და ჭკვიანი კრიტიკოსის საუბარი ლიტერატურაზე. არ ვიცოდი, რას ნიშნავდა პატრიარქი, ვიცოდი, რომ ის იყო მღვდელმთავარი, მას უნდა ემთხვეო, მოწიწებით მოეპყრა, ეს ყველაფერი ვიცოდი სიტყვების ღონეზე, მაგრამ იმ წუთას პატრიარქი ჩემთვის იყო ყველაზე დიდი ლიტერატურათმცოდნე, რომელმაც ყველაფერი, რასაც მამას ნაწარმოებების კითხვისას ვგრძნობდი, წინ დამილაგა და მითხრა, რომ მზე არის ღმერთი, რომ სიყვარული არის ღმერთი, ციტატებს ამბობდა მამას ნაწარმოებებიდან და იქვე გვიშიფრავდა. რას ნიშნავს, რომ „ადამიანი ფრესკა არ არის, რომ მას ერთ სიბრტყეში კი არ უნდა უყურო, უნდა შემოუარო და საიდანაც უკეთ იმზირება, იქიდან შეხედო“. იმაზე დიდი კეთილშობილება არ არსებობს, რომ, დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, მისი კარგი მხარეც დაინახო. ეს იყო საოცარი რამ, რომელიც ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება.

მამა საავადმყოფოში დიდხანს იწვა. პატრიარქი რამდენჯერმე მოვიდა მის სანახავად. ბოლოს მამამ დაგვითხოვა სულ ყველა ოთახიდან, გვითხრა, მარტო დამტოვეთო. მამის აღსარება უთხრა უწმინდესს, გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე.

პატრიარქი მამასგან რომ გამოვიდა, თქვა, რომ მქონდეს იმის უფლება, ნოდარმა აღსარებაში რაც მითხრა, ის განვაცხადო, მრევლს გავასმავებდი, მაგრამ ეს აღსარება და ამის თქმის უფლება არ მაქვს, ძალიან ბევრი აღსარება მომისმენია, მაგრამ ასეთი არასოდეს, მზად იმქვეყნიური ცხოვრებისთვის ასე მომზადებული ვერ ადამიანი არ შემხვედრიაო.

ერთხელ შემთხვევით შევხვდი პატრია-რქს ვაზბეგში, რომელიც მამასთან ბოლო შეხვედრას მოყვა: რომ შევედი ნოდართან პალატაში, მომაკვდავი ფეხზე ამდგარი დამხვდა. მამა მონიტორზე შეერთებული იყო, სულ მავთულებში გახლართული და დღემდე მიკვირს, როგორ შეძლო ფეხზე წამოდგომა. უწმინდესს უთქვამს, ნოდარ, დაბრძანდიო. მამას უპასუხია, არა, პატრია-რქს დამჯდარი ვერ შევხვდებიო.

ეს ლეტალი მართლა არ ვიცოდი, იმიტომ, რომ მამამ გვითხრა, თქვენ გადით, პატრია-რქთან მარტო უნდა დავრჩეო. მე, დედა და მანანა გამოვედით. ნამდვილი სასწაულია, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ფეხზე წამოუდგა მომაკვდავი კაცი უწმინდესს.

* * *

მამას სახლში თავისი ეკლესია ჰქონდა. მისი მეგობარი იყო ჩვენი მეზობელი, თენგიზ მენტეშაშვილი. ერთხელ ბავშვებთან ერთად მოვიდა ჩვენთან. მამა ავად იყო და საძინებელში რომ შემოვიდნენ, მია ნოდარ, თქვენ ცრუმორწმუნე ხართო, ბავშვებმა უთხრეს, ამდენი ხატები რომ დაინახეს. ცრუმორწმუნე მამათქვენია, მე მორწმუნე ვარო. ამის შემდეგ ეს ამბავი ხუმრობად მთელ თბილისში დადიოდა.

მამა ხატებთან დამხობილი მინახავს მავედრებელი. ეს ჩვენს ოჯახში ჩვეულებრივი ამბავი იყო. „იქნებ ვახია სამშობლო. აბა დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მალლაში - ცაში ხე-ლაპტობილმა, ორივე საოცრად ჰგავს ლოცვას. ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს.“

ჩვენ ეკლესიებშიც დავდიოდით. ბავშვობაში ალავერდი, გრემი, ბერი სალოცავი მაქვს ნანახი. სვეტიცხოველში ძალიან ხშირად დავდიოდით. ერთხელ შევედით, ვიდაც კაცი იყო უცხოელ სტუმრებთან ერთად და იმან გააცნო მამაჩემი, მწერალიო. ბატონო ნოდარ, ექსკურსიაზე გყავთ შვილიო? მამამ უპასუხა, არაო. ამიილო ჯიბიდან წითელი თუშნიანი იმ კაცის თანდასწრებით და წადი, სანთლები იყიდეო, მითხრა. ჩვეულებრივად გამოვართვი ფული, როგორც ყოველთვის ხდებოდა, წავედი, ვიყიდე სანთლები და ერთად დავანთეთ.

ბავშვობაში სვეტიცხოველში სულ მაცხოვრის იმ ხატის შემინოდა, თვალს რომ გაყოლებს. რა თქმა უნდა, ბავშვობიდან ვიცოდი, რომ უფლის კვართი იქ იყო, ბავშვობიდან ვიცოდი, რომელი ხატი ვისი იყო, მიცვალებულთან სად უნდა დამენთო სანთელი და ა.შ. მამა, ეს კაცი ვინ იყო-მეთქი და კავებეს გენერალიო, მიპასუხა.

მამაჩემმა სახარება ძალიან კარგად იცოდა, „კუკარაჩაში“ მილიციონერს უკითხავს სახარებას ანიკო დედა. ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივი რამ იყო ჩვენს ოჯახში.



ხშირად ჩანაწერებს აკეთებდა, მათ შორის, სახარებაზეც. სასწაულად განმარტა სიტყვა „ლაზარეთი“. მამა წერდა:

„სულ ერთი კვირის წინ აღმოვაჩინე, რომ ფრანგული სიტყვა ლაზარეთი, რომელიც ლექსიკონში საველე ჰოსპიტალად არის განმარტებული, ლაზარედან მოდის. ამას რომ მიხვდე, აუცილებელი არ არის, იყო ენათმეცნიერი ან ლინგვისტი. მერე ერთ ლინგვისტს ვაკომხილე ვარაუდი, ალბათ ლაზარედან არის, ქრისტემ რომ გააცოცხლა ლაზარე-მეთქი. ძალიან გაუკვირდა. შემდეგ ლექსიკონში ჩავიხედე, ბერძნულად ლაზარე ღვთის წყალობას ნიშნავს. რა თქმა უნდა, ღვთის წყალობაა, კაცს რომ გააცოცხლებ. ეს შეიძლება ლინგვისტმაც არ იცოდეს, ლაზარე რომ იცოდეს, სახარება უნდა გქონდეს წაკითხული, ხოლო ჩვენი ლინგვისტების უმრავლესობას სახარება არ აქვს წაკითხული. თანაც უნდა გქონდეს წაკითხული ოთხთავი მთლიანად, იმიტომ, რომ ლაზარეს სასწაული მარტო ითანეს სახარებაშია. ეს თუ არ გაქვს წაკითხული, ვერ მიხვდები. ასე რომ, ეს აღმოჩენა ჩემი უმეტრების ბრალი კი არ არის, არამედ იმის დამსახურებაა, რომ ოთხივე სახარება წაკითხული მაქვს და მივხვდი, ის ლაზარეა, ამიტომ ვფიქრობ, რომ ოთხთავი ენათმეცნიერსა და ლინგვისტს უნდა ჰქონდეს წაკითხული, როგორც საკვლევებელი წიგნი. ძველ აღთქმაზე არაფერს ვამბობ.“

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ იმ 40-მა დღემ განსაზღვრა და განაპირობა ნოეს აქეთ არსებული კაცობრიობის მორალური და ზნეობრივი საქციელი. შემთხვევით როდია ლექსიკონში კილობანი ასე განმარტებული - „ფიცრის კოლოფი, რომელსა შინაცა იუდეანთა აქუან

დამარხულ ფიცარნი სულისანი.“ სწორედ ის 40 დღე გახლდათ დრო იმ სულიერი კათარზისისა, რომელიც განიცადა კაცობრიობამ, რამეთუ იმ 40 დღეში არ შეიძლება ნოეს ანალიზი არ გაეკეთებინა იმ შემხარავი სასჯელისათვის, რომლითაც დასაჯა გამჩენმა მის მიერვე შექმნილი და სულჩადგმული ადამიანი. მხოლოდ ასე და ამ ასპექტში უნდა იყოს წაკითხული ყოველგვარი მითოლოგიური და ბიბლიური, სხვაწარად ვერ წარმომიდეგნია და ვფიქრობ, არც შეიძლება.“

* * *

ნოდარ ლუმუაიამ ლოცვაც თავისებური იცოდა: „ბუნების ძალა, შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთიერე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შლეგი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი. დაამთე თვალი ყოველი მოშურნი მისი. საუკუნოდ დაგმანე ყური, მსურველი და მსმენელი მისი სიავისა. გაახმე ხელი ყოველი აღმართული მისი სიცოცხლის ხის მოჭრის სურვილად. დალოცე აკვანი, კალთა და ტუბუ საქართველოსი, ქართველი ხალხის მშობელია. აავსე სახლი ყოველი მშრომელისა მშითა და სითბოთი, ბელელი პური, მარანი ღვინით, ახორი საქონლით, კერია ფრინველი და გული სათნოებით. ააჟრამულე ეზო-კარი ყოველი ქართველისა ბადიშებით, შვილიშვილებითა და მათი შვილებით. დაურეტელ მდინარედ იდინე ბედნიერება ჩემს ქვეყანაში. არ მოუშალო გონიერი ერისკაცი და მწყემსი ჩემს საქართველოს. ნატვრისთვალი დაუდე ამ ახალი წლის დამით სასთუმალს ყველა მშრომელს, რათა დილით ადგეს, ნახოს და მამულის უკვდავება ინატროს. მიიღე მამულო, ეს ლოცვა!“



სუპერმარკეტების მეფე

უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელის - Wal-Mart-ის შემქმნელი და ამერიკის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში მეთერთმეტე ადგილმდებარეობის მქონე მურ უოლტონი 1918 წელს, ოკლაჰომის შტატის პატარა ქალაქ კინგფიშერში, ფერმერების - თომას და ნენ უოლტონების ოჯახში დაიბადა. XX საუკუნის დასაწყისის პატარა ამერიკული ქალაქები ერთმანეთს ლამის გაჭრილი ვაშლებით ჰკავდა. მათ ცენტრალურ ქუჩაზე ბანკი, მერია, პოლიციის განყოფილება, სახანძრო ნაწილი და ქალაქის ყველაზე დიდი მაღაზია მდებარეობდა. ცენტრალურს უამრავი პატარა ქუჩა და შესახვევი უერდებოდა, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა სახლები და ათობით პაწაწინა მაღაზია იყო ჩამოყრილებული. მალე უოლტონების ოჯახი საცხოვრებლად მისურის შტატის ასეთსავე პატარა ქალაქ სპრინგფილდში გადავიდა. ეს ქალაქი კინგფიშერისგან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ სტადიონი, სადაც სემი ხშირად დარბოდა და სკაუტების სახლი, ქალაქის ცენტრში კი არა, მის გარეუბანში მდებარეობდა.

შვიდი წლის ასაკში სემმა უუნაროებზე ხელმოწერების გაყიდვას მიჰყო ხელი, მემვიდე კლასიდან კი ჯიბის ფულს განთეთების ბინაზე მიტანით შოულობდა. სწავლის პერიოდში სემი გასაყიდად კურდღლებსა და მტრედებსაც აშენებდა. ერთხანს აქტიურად იყო ჩართული საოჯახო ბიზნესშიც და ძროხების მოწველა და კლიენტებთან რძის მიტანა ევალებოდა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ერთმანეთის მოძულე მშობლების გამუდმებული ქიშპითა და კინკლაობით ჩამწარებული საკუთარი ბავშვობის გახსენება სემ უოლტონს დიდად როდი უყვარდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ მისი დაწვრილებითი ბიოგრაფიები ჩვეულებრივ, 1940 წლიდან ანუ იმ დროიდან იწყება, როცა მისურის შტატის უნივერსიტეტი დაამთავრა, ბიზნესის ბაკალავრის ხარისხი მიიღო და სამუშაოდ სავაჭრო კომპანიას - JCPenney-ს მიაშურა. მაგრამ იქაური ატმოსფერო არ მოეწონა, ამიტომ მალე სავაჭრო კომპანიაში - Claremore გადაინაცვლა. სწორედ ამ დროს გაიცნო მომავალი მეუღლე - ჰელენ რობსონი, რომელზეც 1943 წელს იქორწინა. ახალშეუღლებულ წყვილს ერთად ყოფნა დიდხანს არ დასცალდა, რადგან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამოკავშირეო ვალდებულების შესრულება და მეორე ფრონტის გახსნა სწორედ იმ პერიოდში გადაწყვიტა და სემიც ჯარში გაიწვიეს.

თუმცა, ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ექიმებმა გულთან დაკავშირებული პრობლემები აღმოუჩინეს, ხოლო როცა გასაწვევ პუნქტში ისიც შეიტყვეს, რომ უოლტონს ვაჭრობის გარკვეული გამოცდილება ჰქონდა, მაშინვე საავიაციო ნაწილის ინტენდანტად გაამწვეს. სწორედ არმიამ სამსახურისას დაასკვნა სემ უოლტონმა, რომ ვაჭრობა მისი მოწოდება იყო.

დემობილიზაციის შემდეგ უოლტონების ოჯახში გაფართოებული საოჯახო საბჭო შედგა, რომელშიც ჰელენის მამაც აქტიურად მონაწილეობდა. სემმა ამ მომენტით ისარგებლა და სიმამრს პირდაპირ განუცხადა, ან შენს ქალიშვილს სიცოცხლის ბოლომდე სავაჭრო აგენტი ქმრის მიზერულ შემოსავალზე ცხოვრება მოუწევს, ან ჯიბეზე ხელი უნდა გაიკრა და ფენზე დადგომაში დაგვეხმარო. ჰელენი მამას ძალიან უყვარდა და ამიტომაც, სემ უოლტონს 20,000 დოლარი ასესხა. ამ ფულით სემმა და ჰელენმა არკანზასის შტატის ქალაქ ნიუპორტში პატარა, მაგრამ ამბიციური სახელის მქონე მაღაზია - Ben Franklin (მხოლოდ სპეციალისტებმა თუ იცოდნენ, რომ ეს ამერიკის პრეზიდენტის სახელი და გვარი კი არა, ამავე სახელწოდების კომპანიის სავაჭრო ნიშანი იყო) გახსნეს. ხუთ წელიწადში უოლტონმა თავისი პატარა მაღაზია Ben Franklin-ის ქსელის ყველაზე შემოსავლიან სავაჭრო ობიექტად

აქცია. მაგრამ სავაჭრო ქსელის წინდაუხედავმა მფლობელმა იფიქრა, ეს სემისა და მისი მეუღლის მუხლჩაუხრელი შრომის კი არა, მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო ნიშნის წყალობით მოხდაო, და უოლტონს კონტრაქტი აღარ გაუგრძელა. თუმცა საკუთარ შეცდომას მალევე მიხვდა, რადგან უოლტონს ქალაქ ბენტონოლში მდებარე ახალ მაღაზია Five&Ten Cents-შიც ჩინებულად წაუვიდა საქმე.

ამჟამად ამ შენობაში Wal-Mart Stores მუზეუმი გახსნილი, სადაც ნახევარი საუკუნის წინანდელი სავაჭრო ნიმუშებია გამოფენილი. მათ შორისაა დიდი თერმომეტრი, რომელიც ერთმა მყიდველმა უოლტონს იმ მიზეზით დაუბრუნა უკან, რომ მისი აზრით, ის დროს (!) არასწორად უჩვენებდა. ადღეინილია უოლტონის პირველი კაბინეტის მოწყობილობაც: ხის მაგიდა, სკამი და ტელეფონი.

შემდგომი ათი წლის განმავლობაში

უოლტონმა არკანზასსა და მისურისში კიდევ ათი მაღაზია გახსნა, შეისწავლა სავაჭრო საქმის თეორია და პრაქტიკაში გამოცადა მაღაზიების მართვის დამოუკიდებლად შემუშავებული პრინციპები. ასე რომ, 1962 წლისთვის, როცა სემმა პირველი სუპერმარკეტი გახსნა, საკუთარი სავაჭრო კრედი უკვე მთლიანად ჰქონდა ჩამოყალიბებული.

როგორც ჰელენ უოლტონი იხსენებს, სემში ერთმანეთს ყოველთვის ორი მისწრაფება ებრძოდა. პირველი ქალაქის გარეუბნებში მიმოძრეული Mom&Pop-ის („დედა და მამა“) პატარა მაღაზიებთან (სადაც დედა ბუღალტრის, მამა კი დირექტორისა და მტვირთავის საქმიანობას ითავსებდნენ), მეორე კი ქალაქის ცენტრში მდებარე სუპერმარკეტებთან იყო დაკავშირებული. სემი ორივე ტიპის სავაჭრო ობიექტების მუშაობას გულმოდგინედ აკვირდებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში უოლტონის ყველა მაღაზია Mom&Pop-ის ტიპის იყო, ქალაქის ცენტრში სუპერმარკეტის გახსნაზე მეორევე სხვა პატარა მაღაზიების მფლობელებისგან განსხვავებით, მას უკვე ასეთი მსხვილი სავაჭრო ობიექტის გარეუბანში გახსნა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და ასეც მოიქცა.

1962 წელს, როგერსის (არკანზასი) გარეუბანში გახსნილ სუპერმარკეტს, რომლის მმართველიც უოლტონის ძმა, ბადი გახდა, Waltons Five&Dime ეწოდა. სწო-

რედ ამით დაიწყო მსოფლიოში ცნობილი Wal-Mart Stores ქსელის ჩამოყალიბება, რომელიც დღეს აშშ-ში, კანადაში, მექსიკაში, ბრაზილიაში, არგენტინაში, ჩინეთში, პუერტო-რიკოსა და გერმანიაში 3 ათასზე მეტ სუპერმარკეტს ითვლის.

ბოლო წლებში უოლტონების კომპანია ახალი სუპერმარკეტების გახსნაზე წელიწადში 3-4 მილიარდ დოლარს ხარჯავს. უკვე ამოქმედა ინტერნეტ-სუპერმარკეტიც, სადაც 80 ათასი დასახელების სავაჭრო ერთეულია გამოყენილი. თუმცა, განუხრელი განზრდა-გაფართოების მიუხედავად, კომპანიის საკვანძო პრინციპი უცვლელი რჩება: Wal-Mart-ი სუპერმარკეტებს მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის გარეუბნებში ხსნის, რაც სემ უოლტონის ერთ-ერთ პირველ და მთავარ მიგნებადაა მიჩნეული. მეორე მიგნება კი ისაა, რომ უოლტონის ნებისმიერი სუპერმარკეტი თავისი არსით, ისევე ის Wal-Mart-ია, ოღონდ - ძალიან დიდი, რომელიც მყიდველს, საქონლის ფართო ასორტიმენტსა და დაბალ ფასზე მეტად, მეგობრული ატმოსფეროთი იზიდავს.

ასეთ სავაჭრო ცენტრებში დიდი ხნის ნაცნობ გამყიდველთან უახლესი ჭორების განხილვა და საჭირო შენაძენის გაკეთება ერთდროულადაა შესაძლებელი. რაღა თქმა უნდა, დღეს, უაძრავი სოციოლოგიური გამოკითხვის წყალობით, ვაჭრობის ეს ხერხი უკვე ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ გასული საუკუნის 60-ანი წლების დასაწყისში ასეთი დასკვნის გამოტანა საკმაოდ რთული იყო. სემ უოლტონი ყველა თავის სუპერმარკეტში პატარა მაღაზიის ატმოსფეროს შენარჩუნებას ცდილობდა. ის თანამშრომლებს გამუდმებით უმეორებდა: „არის მხოლოდ ერთი ბოსი - მყიდველი. და მას, ფულის სხვაგან დახარჯვით, ჩვენს კომპანიაში ნებისმიერს - დირექტორით დაწყებული და მტვირთავით დამთავრებული - გადაყენება შეუძლია“.

უოლტონის ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა თავისი მაღაზიების მომსახურე პერსონალთან და კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრებისგანაც იმავეს მოითხოვდა: „საუკეთესო იდეები (მათ შორის - მაღაზიებთან უფასო პარკინგების მოწყობა და კლიენტებისთვის საქონლით დატვირთული ურიკების პირდაპირ ავტომობილებთან მიგრების უფლების მიცემა) ყოველთვის კლერკებისა და საწყობის მუშებისგან შემოგვლიდა და შემოგვდის. ამიტომაც, როგორც თავად იზრუნებთ მაღაზიების თანამშრომლებზე, ისინიც ზუსტად ისე იზრუნებენ კლიენტებზე“.

უოლტონი მთელი ცხოვრება ჩვეულებრივი სავაჭრო აგენტით პიკაპით დაიარებოდა და თავს არასდროს არავის ამაღლიდა. ერთხელ კი, თავის პარტნიორ ღვეიდ გასთან რაღაც ნაძლევის წაგების შემდეგ,

უოლ-სტრიტზე ჰავის მკვიდრთა ეროვნული ცეკვა „ხულო“ მათსავით ბალანსს ქვედატანში გამოწყობილმაც კი შეასრულა და ამ არაორდინარული საქციელით თავის სუპერმარკეტებს კლიენტები კიდევ უფრო მოუძრავლა.

მაგრამ, ყველაფრისდა მიუხედავად, სემ უოლტონის ცხოვრებაში მაინც რჩებოდა ერთი ძალიან დიდი შავი ლაქა, რომელზეც ყველა მისი არაკეთილმოსურნე (ასეთი კი ნებისმიერ მდიდარ ადამიანს მრავლად ჰყავს) ვოტუტად და გარკვეულწილად სამართლიანადაც მიუთითებდა. უოლტონმა ხომ თავის დროზე Mom&Pop-ის ათიათასობით პატარა მაღაზიის მეპატრონე გააკოტრა, რადგან, მისი მიგნების წყალობით, მყიდველებმა ერთ დიდ Mom&Pop-ში დაიწყეს სიარული. უფრო მეტიც: მავანთა მტკიცებით, მან მარტო კონკრეტული ადამიანები კი არ დააზარალა, არამედ ამერიკის საფუძვლები, მისი „ცენტრალური ქუჩის“ კონცეფციაც მოშალა, რითიც გადაშენებისთვის გასწირა პროვინციული ქალაქები და პატარა კოპნია მაღაზიების ადგილებზე უზარმაზარი სუპერმარკეტების წამოჭიმვით სამუდამოდ წაშალა ამერიკის „განუმეორებელი მომხიბვლელობა“.

1990-იანი წლების დასაწყისში, როცა Wal-Mart-ის ქსელის გაყიდვების ყოველწლიურმა მოცულობამ 50 მილიონ დოლარს, ხოლო კრიტიკის ნიაღვარმა პიკს მიაღწია, სემ უოლტონი იძულებული გახდა, მემუარების წერა დაეწყო, სადაც დაწვრილებით აღწერა, თუ როგორ იქმნებოდა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი საცალო ვაჭრობის ქსელი. ამ გზით ამერიკელმა საზოგადოებამ ბოლოს და ბოლოს შეიტყო და შეიფერა კიდევ, რომ თავისი სუპერმარკეტების განუხრებლად განთავსებით უოლტონს ამერიკის საფუძვლების მოშლა ფიქრადაც კი არ გაუვლია. უბრალოდ, ის მათ იქ აშენებდა, სადაც უფრო იაფი მიწა და დაბალი გადასახადები იყო. თანაც, ასობით სამუშაო ადგილის შექმნაზე რომ არაფერი ვთქვათ, მოსახლეობას ნაწარმსაც საგრძნობლად დაბალ ფასად სთავაზობდა და ამ გზით მილიონობით დოლარს უზოგავდა.

იძულებით დაწერილი მემუარების წყალობით გამჟღავნდა იმ საკმაოდ მასშტაბური ქველმოქმედების ამბავიც, რომლის აფთხინებასაც უოლტონი ყოველთვის ერიდებოდა. ამ ადამიანმა მთელი ცხოვრება პროვინციულ პატარა ქალაქებში გაატარა, რომელთა პრობლემებსაც კარგად იცნობდა და მათ გადაწყვეტაზეც დღენიდავად ზრუნავდა. ყოველი ახალი სავაჭრო ცენტრის მშენებლობის პარალელურად, უოლტონის თანამშრომლები ადგილობრივი საქველმოქმედო ფონდების მისამართებსაც ადგენდნენ, სავაჭრო ობიექტის გახსნის შემდეგ კი უოლტონი ადგილობრივი კოლეჯების

სტუდენტებისთვის სტიპენდიებს აწესებდა და პერიოდულად, საქველმოქმედო გაყიდვასაც უწყობდა. სასწავლო დაწესებულებების გარდა, უოლტონი ფულს რელიგიურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც ხშირად სწირავდა და ზოოპარკების, ბიბლიოთეკების, სპორტული დაწესებულებების მშენებლობასაც აფინანსებდა. ბიზნესმენის ყურადღება თვით პატარა ქალაქების მერებსაც კი არასდროს მოჰკლებიათ. სწორედ ამ მიზნით დააწესა American Hometown Leadership Award-ის პრემია, რომლითაც თავიანთ საგამგებლო ტერიტორიებზე გრძელვადიანი პროექტების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს აჯილდოებდნენ.

ბუნებრივია, რომ თავის მემუარებში უოლტონმა არც ამ ჟანრისთვის დამახასიათებელ, წარმატების ტრადიციული რეცეპტის გამჟღავნებას აუარა გვერდი. აი, როგორია მის მიერ ჩამოყალიბებული „წარმატების ათი მცნება“: უერთგულეთ ბიზნესს; გაუყავით შემოსავალი პარტნიორებს; გაუჩინეთ მათ მოტივი; პრობლემებზეც პარტნიორებთან ერთად იმსჯელოთ; დააფასეთ ყველაფერი, რასაც პარტნიორები აკეთებენ; იზიემეთ წარმატება; მოუსმინეთ თითოეულ პარტნიორს; წინასწარ განჭვრიტეთ კლიენტების მოლოდინები; აკონტროლოთ ხარჯები; დინების ზემოდან მოქცეულებმა იცურეთ.

სემ უოლტონის მემუარები ძალიან სწრაფად იქცა ბესტსელერად და იმდენად დიდი რეზონანსიც გამოიწვია, რომ ქვეყნის წინაშე მისი დამსახურების შეუძინებლობა უკვე შეუძლებელი გახდა. სწორედ ამიტომაც, 1992 წლის მარტში, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სემ უოლტონი „თავისუფლების საპრეზიდენტო მედლით“ დააჯილდოვა. ამის შემდეგ სუპერმარკეტების მეფე მალევე გარდაიცვალა. რაც შეეხება მის ქონებას, 1985-დან 1988 წლამდე Forbes სემ უოლტონს ამერიკის ყველაზე მდიდარ ადამიანად ასახელებდა. ბილ გეიტსი აშშ-ის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიის სათავეში მხოლოდ 1992 წელს ანუ სემ უოლტონის გარდაცვალების შემდეგ მოექცა. იმავე Forbes-მა 1992 წლისთვის უოლტონის ქონება 58,6 მილიარდ დოლარად შეაფასა.

კომპანიაში საკუთარი წილი სემ უოლტონმა თავის მეუღლე ჰელენსა და ოთხ შვილს - რობის, ჯონს, ჯიმსა და ელისს უანდერბა. მათ ოჯახისთვის მიერ დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელეს და 2005 წლამდე (ანუ კომპანიის დირექტორ ჯონ უოლტონის გარდაცვალებამდე) უოლტონებს (ჰელენს, მის სამ ვაჟიშვილსა და ქალიშვილს) ამერიკის ყველაზე მდიდარი ოჯახების ათეულში ზედიზედ ხუთი ადგილი მყარად ეკავათ.

რუსუდან ლეპანძიძე

პასუხის მაგივრად ჩიტის გალია მოძცა, მანქანაზე დაუდევო. გალია უზარმაზარი იყო. ჩიტი გზაში მომკვდარიყო, როცა რუსეთიდან მოდიოდნენ.

- ამ გალიას ვერაფრით შეეღვეით, არა?

- რად გინდა, გეთაყვა, გამაწბილო, თუ ჩემი სიამოვნება ასეთი უბრალო, პატარა რაიმეთი შეიძლება. რატომ მატოვებინებ გალიას? რატომ გინდა მომისპო იმედი, რომ ოდესმე მომღერალი იაღონი მეყოლება და მისი გალობით დავტკებები?

გალია მანქანაზე დავდე. იაღონის გალია-აც კალიფორნიაში მიდიდა. ბოლოს, როცა სამცხენა მარხილის ეფენებიანი მოსართავეები და სკა დაუდეს, რომელიც უკანა ეზოში ედგა არტაშას, მივხვდი, რომ ლაპარაკით ვერაფერს გავხვდებოდი. რაც უნდა, ისა ქნან!

- როგორც იქნა, დავამთავრე ჩვენი ექსპედიციის გეგმის საბოლოო ვარიანტი, - თქვა „მისმა აღმატებულებამ“ ერთ დღიას, თავის დიდ პორთფელს თასმები შეხსნა და მოგრძო ქაღალდი ამოიღო, - მსუბუქი მანქანით წავლენ ჩემი ქალიშვილი, ბავშვები, მაღამ გრემკინა და ერმაკი. ერმაკი დამცველად. საბარგოთი მე და თქვენ წავალთ, ვიორგი ივანიჩი, გზას გავკვალავთ.

- ერთმანეთს უნდა მივსდიოთ, ერთად უნდა ვიყოთ, ესაა მთავარი, - მითხრა ანამ, - თუ დავცილდით, ნამდვილად ვიცი, მხოლოდ ზეცაში შევერთდებით.

- კი მაგრამ, მე როგორ მოვახერხებო, - შევწუხდი მე, - რუკის ცნობა რომ არ ვიცი? როცა უყურებ ქაღალდზე გზას - სულ ბრტყელია. როცა მიდიხარ კი აღმართსა და დაღმართზე გადის, ხან უხვევს, ხან ნაკადულებს ჭრის, დიდი განსხვავებაა.

- მაგას მე ვკისრულობ, - დამპირდა „მისი აღმატებულება“, - ინსტრუქციებს მე მოგცემთ. დიდი გამოცდილება მაქვს. მთელი სიცოცხლე ვიმოგზაურებდი. ტრანსბაიკალიდან თურქეთში, პეტროგრადიდან ვლადივოსტოკში, ნურაფრისა ნუ გემინია.

ყველაფერი მზადა?

არა, ანას დრო სჭირდებოდა საგზლის მოსამზადებლად. მთელი კვირა ნამცხვრის სუნი ტრიალებდა სახლში. მაგიდები და-ხორცილი იყო სატენიანი ქათმებით, მოხარული ლორით, სალათიანი, ჭარხლიანი და მწინიანი ქილებით. ყველგან ტკბილეული ელოა და დაჯდომისას დიდი სიფრთხილად გმართებდა.

- გამაგიჟებთ, ანა ფეოლოროვნა, - ვუთხარი მე, - რას სჩადიხართ, აღდგომა ხომ არ გვისწრებს გზაში.

- დამაცადე, დამაცადე, ხელს ნუ მიშლი. ხუმრობა ხომ არა გვინა იმდენი საგზლის მომზადება, რომ 7 კაცს კალიფორნიამდე წყოს.

- მე კი მეგონა, რესტორნებში ვისადილებდით.

„მისმა აღმატებულებამ“ თავი გამოჰყო საკუჭნაოდან. იგი ღვეხელებს ამოწ-

რედაქტორისაგან:

გიორგი და პეტრე პაპაშვილების „ეკელაფი შეიძლება მოხდეს“ ავტობიოგრაფიული ნოველების კიებუცია.

იგი ინგლისური ენაზე დაიწერა და პიხველი 70 მტის მინათ, 1944 მტის გამოიყა. დღემდე ამ მტის 20-მიტიონამდე ეგზე-მბლახია გაყიდული, რკიდეტკეჯი გამოიყა ამეხიკაში, ითახგ-მნა იტალიური, ფიანგყრ, ნოხვეგიყრ, დანიური ენებზე. გადღე-ბყრია ამეცე სახეიღმოდების ფიღმდღეც ჰოლიგყრში.

მიგნი გვიხატავს 1930-იანი მტების ქახთველი ემიგრანტის ცხოვრებას და ამეცე დღოს გღეხის თველით დანახყრ ამეხიკას.

ანთოლოგიაში, მსოფღიოს 50 საყკეტესო მტისნ მოხის, ხომეღმეც ეკელაზე ყკეთ აისახა ამეხიკა - ჰეკ ღონღონის, ფიკეღიანღის, სეღინგყეღის და ჰემინგყეღის გკეღით მეხვეღით ამ მტისნაყ.

მებღა იქ.

- ჩემო საწყალო ბიჭუნა, ნუთუ იმედი გაქვს, რომ საღაც გავჩერდებით, ყველგან გამზადებული საჭმელი დავგვხვდება. ეს იმის მაჩვენებელია, რომ შენ სულ არ გქონია მოგზაურობის გამოცდილება. იქნება რკინგზის საღგურებს გუღისნმობ? მაშინ მართალი ხარ, საღგურებზე აღღღებულ წყაღს ვეყიდით, ჩაის დავღვეთ. მაგრამ ჩვენ ხომ დარიბი ხაღხი ვართ, აბა, ვინ უნდა დავაწინაუროთ, რომ შეგატყობინოთ, მოვღღვართ და საჭმელი დავემზადეთო.

„მის აღმატებულებასთან“ კამათს წყღის ნყყე სჯობღა, ამიღომ აღარ შეგეპა-სუხე.

ბოღოს, ოქტომბრის ერთ მზიან დღიას, როცა სუსხი შამპანურიღით იკბინებღღა, მზადღბა მოვითავეთ და გავემგზავრეთ. დასა-მშეღღობებღღად მოვღღენ ანას მეგობრები - ოცი-ოცღდახუთი ქაღი, „მისი აღმატებუ-ღების“ კღუბის წვერების უმეტესობა, ორი-ღღე ჩემი ნანცნობი ბიჭი და უამრავი მოს-წავღღე - ღღუბას და არტაშას ამხანაგები. ყვეღა ერთად შეგჯეფღდა და თვალღაჭყე-ღიღი შემოგვეკქერღღენ. საბარგო მანქა-ღა დღღვირთუღღა. ბენზინი და ზეღი მსუ-ბუქ მანქანაშია. მზადღა ვართ?

- არა, - თქვა ანამ, და მანქანიდან გაღ-მოვღღა, - არა, ასე წასვღღა არ იქნება. მე-გობრებს მარტო გამოცარიეღღებული სახ-ღი უნდა დაამახსოვრღღეთ? ეს საშინელი დანაშაუღღა. დღე, ყვეღას ახსოვღღეს, ანას ხეღგამღღიღღობა. დღე, ყვეღამ იღღაპარაკოს, რომ იგი ყოვეღთვის გუღღუხვი იყო და წასვღღის დღღესაც ასეღი დარჩაღღ. გაღმო-ღღეთ სამოვარი! სამოვარი საკერავი მანქა-ღის ქვეღღღან გამოვართიღღეთ, კოვზები ნახერ-ხიღღან (ნახერხში არ დღღფხაჭხებღღდა). არტაშამ სარღღაფში გაიქცა და ერთი ტომა-ღრა ნანზირი მოიღღანა. ანამ მთელი საგზა-

ღი გაღმოაღღა, რომ ნამცხვრამღღე მიღღ-წიღ. ჩემს მოვალეობას ჩაის ჩამორიგება და ანა ფეოლოროვნას მეგობრების ღღაპა-რაკის მოსმენა წარმოაღღენღდა. ისინი დღღ-ვრიღღებით ყვეღღენ თავიანთი მოგზაუ-რობების ამბავს. მოგზაურობათა უმეტესობა უბეღღურად დამთავრებუღღიყო!

შუადღღეზე ყვეღამ მოითავა ჰღამა და ტირიღი, ჰღიქები დავრეცხეთ. საბარგო მანქანა ხეღღანღღა დავტვირთეთ და ახღღა კი ნამღღვიღად წავღღეთ. ნახვამღღის! ნახვამღღის! ნახვამღღის!

ხეღღმღღვანეღღობა „მისმა აღმატებუღღე-ბამ“ იკისრა - მარჯვენივ! მარცხნივ! პირღღა-პირ! და მიხვეუღღ-მოხვეუღღე, ტაღღახიან, ვიწრო გზაზე აღმოვჩნღღით!

- ღღტროიღღიღან მეთორმეტე მარაგზით გაღღიან. რატომ იმ გზით არ წავღღეთ? - ვკითხე მე.

- ეჰ, ჩემო ბიჭუნა, - გაღღაქნია თავი „მისმა აღმატებუღღებამ“, - შენ ჰკუას ვერა-სოღღეს ისწავღღი. გამოცდიღღი მოგზაურები ყოვეღთვის ერიღღებან მთავარ გზებს. ამით ქურღღებს და ბანღღიტებს აცღღები და არც ბაჟს გაღღახღი.

ხან ტღაღოში მივღღიღით, ხან ყანებში, ხან ნახირს ჩავუქროღღებღით გვერღღზე, ხან მაყვღღიანს. ღღამით ეკღღესიის ეზოში დავბანაჯღით. მეორე დღღას კვღავ დავაღღე-ქით გზას. ჩემი ვარაუღღით კალიფორნიამ-ღღე ჯერ ბვერი გვაკვღღდა.

მეორე საღღამოს საგზალი გავკითავღღდა. მაღღღობა ღღმერთს! ახღღა შეგვეღღო რეს-ტორანში შეგსუღღიყავით და აღღამიანურად გვეჭღამა. - „მისი აღმატებუღღების“ შიში ტყუღღი გამოღღა, რესტორნებს თვღღა არ ჰქონღღა (მეღღი არც ღღტროიღღში დავკითღღ-ვებღღა, ყოვეღ ნაბიჯზე გვხვეღღებღღდა).

მშვენიერი სუფთა სასაღღიღო ავირჩი-ეთ, ყვეღანი შევეღღით, მაგიღღებს შემოვუს-

ხედით და კერძები შეუკუკეთეთ, მაგრამ რამდენი გამოვიარეთ? ცნობისმოყვარეობა მასწავლებდა. ავდექი და დახლთან მივედი. სარკმელს გადაღმა კაცი დავინახე, იგი ძეხვსა სწავდა.

- თუ არ შეწუნდებით, მითხარით, რომელ ქალაქში ვარ? - ვკითხე მას.

- იანგსტაუნში.

- იანგსტაუნში? - ჩვეულებრივ რომელ შტატში ითვლება ეგ იანგსტაუნი?

- ოჰაიოს.

- ეს ოჰაიოა? - დამცეცხლა! ნამდვილად მახსოვდა, რომ ეს შტატი გამოვიარე, როცა პიტსბურგიდან დეტროიტში მივდიოდი. საეჭვო აღარაფერია, ესე იგი მხარი გგქცევია.

- მაპატიეთ, კიდევ ერთი შეკითხვით უნდა შეგაწუხოთ: თქვენი აზრით კალიფორნიაში რომელი გზით უნდა წავიდეთ აქედან?

- დასავლეთით, - მითხრა მან და მამაკაცთა საპირფარეოში მიმითითა.

მე იქით წავიდა, სამხარეულო და უკანა ეზო გადავკვირი და ნავის ყუთზე ჩამოვჯექი. ერთ საათს შევყურებდი ზეცას და ბოლოს ვარსკვლავების საშუალებით კარგად ჩავიბეჭდე თავში მიმართულება. შემდეგ დაგბრუნდი და ერთი ლურჯი თევზი შევკვამე (ეს ინგლისურად, მხოლოდ იმის შეკვამას ნიშნავს, რასაც ამ თევზით მოგართმევენ. თევზი, რა თქმა უნდა, ოფიციალტს უბრუნდება).

მეორე დღეს ხელმძღვანელობა დავიჩემე:

- ორი დღე გავფლანგეთ, - ვთქვი მე, - ორი დღე, რომელსაც ვედარაფრით დავიბრუნებთ. გამალეთ რუკები. არტამ, ახლა კალიფორნიის გზას გააყოლე ჯოხი. ძალიან კარგი და პატიოსანი. ახლა ჩამომიწერე ის შტატები, რომლებიც უნდა გავიაროთ.

არტამამ ლამაზად, თანმიმდევრობით ჩამოწერა: ოჰაიო, ინდიანა, მისური, კანზასი, კოლორადო...

- ახლა კი, - ვთქვი მე და მანქანა ავამუშავე, - ყველანი მომყვით. სულ ასე ვივლით, პირდაპირ. ნამდვილად კვალს მივაგენი. კალიფორნია იქ გვიცდის, სადაც მზე ჩადის.

ასე თვალყარმტაცნი

დაიწყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო დღეები. ვმოგზაურობდი და ვათვალიერებდი ჩემ წინ გადაშლილ ვრცელსა და თვალწარმტაც ქვეყანას. დღე ისე არ გავიდოდა, რომ კიდევ ერთი მარგალიტი არ მიმემატებინა შთაბეჭდილებათა საგანძურისათვის.

დიდი, თვალუწვდენელი იყო ამერიკა.

დი-და, დი-და, - შემომასხებდნენ ხოლმე გვერდით ჩაქროლებული ავტომობილებისა და ამაყი მოტოციკლეტების თვალები;

დი-და, - გრიალებდნენ ტრაქტორის



ყველაფერი შეიძლება მოხდეს

ანდუყაფარ ჭვიშვილისეული თარგმანო

ბიორბი და ჰელენ პაპაშვილები



მუხლუხობები;

დი-და, დი-და, - გუგუნებდა ლიანდაგები, თუმცა ლოკომოტივი უკვე თვალს იყო მიფარებული...

ახლა ხალხი?! სადაც კი შევჩერდებოდი, ყველა სინარულით მემუსაიფებოდა და მიმეგობრდებოდა. ვხვდებოდი რუსეთიდან ჩამოსულ მენონიტებს, პრაღელ „ბოჰემელთა ძმობის“ წევრებს, გზის შეკეთებაზე მომუშავე ირლანდიელებს, კარგი ვისკისა და მაგარი თამბაქოს სუნი რომ ასდიოდათ. ისინი ცოტა ხნით შემოირბენდნენ ხოლმე დუქანში და ხელგაშლილად იხარავებოდნენ; ვხვდებოდი შიფერის ქარხანაში მომუშავე უელსელებს, რომელთა ლაპარაკი ჩიტის ჭიკჭიკს წააგავდა, ვხვდებოდა პატარა მოხატულ სახლებს აიოვაში, სადაც ეგ-

რეთწოდებულ „პირველ მოახალშენთა“ ოჯახები ცხოვრობდა. ისინი ოჰაიოდან გადმოსული პიონერები იყვნენ. ოჰაიოში ვერმონტიდან მოსულიყვნენ, ხოლო სულ ადრე უფრო შორიდან - ინგლისიდან გადმოსახლებულიყვნენ. უკვე აღარ მადარდებდა, რომ არც ერთი ენა არ ვიცოდი სერიანად და თან უცხო ქვეყა მქონდა. ვხვდებოდი, რომ ყველა უცხოელი იყო, მხოლოდ ერთში ვამჩნევდი განსხვავებას: ზოგი ადრე ჩამოსულიყო, ზოგი კი გვიან.

ნეტა მართო ვყოფილიყავი. მაშინ, ალბათ, შევძლებდი ყოველ ადგილას მთელი კვირა, თვე, წელიწადი დავრჩენილიყავ. მაგრამ ლუბას ეჩქარებოდა, ისე ეჩქარებოდა კინოვარსკვლავობა, რომ წუთის დაკარგვაც არ სურდა. „მის აღმატებულებას“ არა-

ფერი მოსწონდა - ხან სიცხეს უწიოდა, ხან სიცივეს, ხან ხალხი აწუხებდა, ხან უხალისობა. ანა ფეოდოროვნა სულ ქვითინებდა - დეტროიტი რატომ დავეტოვეთო. ყველაფერი უვარდებოდა ხელიდან. შევისვენებდით, რაღაც რჩებოდა - ხან კბილები, ხან ჭიქის ჩასადგამი, ხან ყურთბალიში.

- ძალიან, ძალიან მიკვირს, ანა ფეოდოროვნა, პეტროგრადიდან დეტროიტამდე როგორ ჩამოხვედით, ვინმე ტომრით ჩამოგიყვანდათ, ისე ვერ მოაწვედით, - ვუთხარი ერთხელ, როცა კანტონიდან პიორიაში დავბრუნდით, სადაც ტურისტთა ოთახში ანას ხატი დარჩა.

მარტო არტაშას აღმოაჩნდა საიმისო ჭკუა, რომ ფანჯარაში გაეყო თავი და ეთვალე რეზინა ამერიკა, რომელიც ღვთის ნახელავ ხალხისავით იყო გადაშლილი.

გადავჭვრით ილინოისი. სულ ტყეებსა და სამკალად შეღერებულ ყანებს შუა მივდიოდით. მისურის რომელიღაც მდინარისპირა ქალაქში ერთი „ამერიკული კერძი“ - შემწვარი ქათამი გვახელით. ძალიან გემრიელი იყო, რადგან უჩანგლოდ და უთუფმოდ ვჭამდით. ცხელ-ცხელი ოქროსფერი სმადლებიც დაგაყოლოთ, თაფლ-კარაქ წასმული. ისე დნებოდა პირში, რომ ყველა სხვა ქვეყანაში ნამცხვარს დაარქმევდნენ. ნებრასკა ძალიან მომეწონა. შებინდებისას ერთგან რძის საშოვნელად შევედით. ღრმად მოხუცებულმა ფერმერმა, რომელსაც მამამ მერთივით თეთრი და გრძელი წვერი ჰქონდა, ბოსელში შემეყვანა და სათითაოდ ჩამომითვალა ძროხების სახელები. შემდეგ თავისი დიდი, ჭრელი კომბაინი მიჩვენა და ისე მოუთათუნა გვერდზე ხელი, თითქოს საყვარელ ცხენს ეფერებო. მერე მიაბო, როგორ მოდიოდა ფეხით ნებრასკისაკენ, როგორ ცხოვრობდა ალიზის ქონში, რომლის კართანაც ბიზონის ჯოგები დაეხეტებოდა...

- სიხარულით ცას ვეწიე, როცა უღელი ხარი - დოლი და რეიჩელი მინდორში გავიყვანე და პირველი ბელტი გადავაბრუნე. მამაშ! - მოხუცს ხმა ჩაუწყდა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო: ვიცოდი, რომ ქვეყნის შექმნის დღიდან არც ერთი გუთანი არ შებოდა ამ ყამირს.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ არ მომეწონა. განა ქვეყნად არის სრულყოფილი მხარე? მაგრამ ნამდვილმა სიყვარულმა ნაკლოვანებებიც უნდა აიტანოს. ვხედავდი ლატაკთა დაბრეცილ ხუხულებს, რომლებსაც შიგნიდან ქალღმერთის ნახევები ჰქონდა გაკრული; ვხედავდი ფერადკანიანებს, რომლებიც კინწისკვრით გაეგლოთ სუფრიდან - ეს სუფრა ცხოვრებას მხოლოდ ჩვენთვის, თეთრკანიანებისათვის, გაეშალა; ვხედავდი ნაღვლიან ადამიანებს, რომლებიც მოთმინებით იცდიდნენ ფაბრიკებთან, ქარხნებთან, მაგრამ ისინი აღარავის სჭირდებოდა.

ეს ყველაფერი აღრე რომ მენახა, გულის გამისკვებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამერიკაში ვიმოგზაურე, დავეშვიდი - ვნახე, რომ ყველაფერი ბლომად იყო. დოვლათი ყველას ეყოფოდა, ოღონდ სამართლიანად უნდა გაენაწილებინათ.

კარგა ხანს მშვიდობიანად ვიმგზავრეთ. ხიფათი მაშინ შეგვემთხვა, როცა კოლორადომდე ერთი დღის სავალია დაგვრჩა. „მისმა აღმატებულებამ“ მითხრა, საჭესთან მე დავჯდები და შენ ცოტას დაგასვენებო. ცოტა თვალი მივლულე და როცა გამოვიხიზლდი, მთავარ გზას ავცდენდით და მდინარის ნაპირას შევჩერებულყავით. მართალია, წყალი კოჭამდე ძლივს მისწვდებოდა კაცს, მაგრამ ხიდი არსად ჩანდა და მდინარეს ნაპირებიც ციცაბო ჰქონდა.

- ეს შემდეგნაირად მოხდა... - დაიწყო „მისმა აღმატებულებამ“.

- მშვენიერად ვიცი, როგორც მოხდა, - შევაწვევტინე მე, - რაც მოხდა, მოხდა. ერმაკი, შენი მანქანა უფრო მსუბუქია, ჩემსას გვერდზე გადავყენებ, პირველად შენ ჩადი. თუ გახვდები, მეც გამოგვევები.

- რომ ჩავრჩე?

- შენ უფრო ადვილი ამოსაყვანი იქნები. - არა, არა! შენ ამ გზით წადი, მე კი იმ გზით წავალ (ერმაკი იმ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა, შავიაო, რომ ეტყვი და იმ წუთას პირში გეცემიან - არა, თეთრიაო)... მე რომ ასე წავიდე...

- ფილოსოფოსობის დრო აღარ არის, საცაა ბინდი ჩამოწვება. შენ თუ არ გინდა წასვლა, მე ვერ დავრჩები, - ვუთხარი და დავიძარი. რა თქმა უნდა, შუა მდინარეში გავიჩხირეთ. თვალები ლაშში ჩაფლო. ვიძირებოდა.

- ჩემი ავეჯი, მიშველეთ! - აყვირდა ნაპირზე მდგომი ანა და ხელები თავში წაიშინა, - გადარჩინეთ, ვილუპები!

საბარგო მანქანა კიდევ ერთი გოჯით ჩაჯდა ლაშში.

- ნუ გეშინიანთ ანა ფეოდოროვნა! - გადმოვედი, მანქანის ქვეშ შევიხედე და ლაშის თითები დავიკვნიტე სიბრაზისაგან, - ნუ სწუსარ, ცოტა მაცალე და ჩინეთამდე მიგიყვან, მერე თუ გინდა, ვლადივოსტოკში წადით მაგ ავეჯიანად.

ერთი ღრინაცილი ატყდა. ყველა დავესიეთ და ნივთები ნაპირზე გადავიტანეთ. მანქანა უკვე აღარ ეფლობოდა ლაშში, მაგრამ ადგილიდან მაინც ვერ დავძარი. მერე მდინარეს დავყვიე ნაპირ-ნაპირ, - იქნებ სადმე ფიცრები ვიპოვნო-მეთქი. მოშორებით რამდენიმე ცხენოსანი და ფორნები დავინახე. უკან ისეთი მტვერი მოსდევდა, ამკარა იყო, ცხვრის ფარას მოერეკებოდა. იმათკენ გავეშურე:

- ხელი შემასველეთ, ბიჭებო, მანქანა ჩამეფლო ლაშში.

ეტყობოდა, ვერ გამიგეს. ერთმანეთს

რაღაც გადაულაპარაკეს: ჰოუ, ჰოუ, ჰოუ. მერე ცხენოსნებს ერთი ახალგაზრდა მხედარი გამოეყო, მომახლოვდა და ინგლისურად მკითხა, რა გინდაო.

- ერთი გამაგებინეთ, რა რვეულის ხალხი ხართ, - კკითხე მე, - ტალახში ჩავეფა-ლი, იქნებ მიშველოთ!

- ნავაპოები ვართ. მოიცა, ვიკითხავ და თუ დახმარება შეგვიძლია, გეტყვი.

- ნავა ჰუ?

- ნავაპო, ინდიელები.

- სასიამოვნოა, ბევრი რამ გამიგია თქვენს ბჭებზე, მაგრამ, როგორ ვიფიქრებდი, რომ ბელი გამიდიმებდა და გნახავდით.

ცხენოსანი უკან გაბრუნდა და ერთ მოხუცს გამოელაპარაკა. ამასობაში ჩემი-ანებს ვუთხარი, - ეგენი ინდიელები არიან-მეთქი.

ანამ ჩაიჩოქა, პირველად გადაიწერა და ლოცვა დაიწყო. „მისი აღმატებულება“, რომელიც ტახტზე იყო წამოწოლილი და ისვენებდა, წამოხტა, მაშები, ჯოხები და ცეცხლის საჩხრეკები მიყარა-მოყარა და აღრიალდა: ხმალი სად არის, ჩემი ხმალი, ჩემი ხმალი. ნამდვილი გიჟი გეცონებოდათ.

ერმაკმა საშხარეულოს მაგია აყიარავა, ზედ სკამები ახორხლა და მათ უკან ჩაცუცქდა.

- ნუ გეშინია, - უთხრა მან მადამ გრე-სკინას, - სანამ მოგკვდებოდე, შევეცდები შენ და ლუბა დაგხოცოთ, მაგრამ თუ უფალი სხვანაირად ინებებს, აი... - მან მაგიდის უჯრიდან ყასბის დანა ამოიღო, - აი, ეს გამოიყენეთ, თორემ ცოცხლად ჩაგივლებენ ხელში.

- ხმა ჩაიწყვიტე, - უყვირა ლუბამ, სარკე კამოდის უჯრაში ჩააგლო, ხელით კულულები შეისწორა, სახეზე პუდრი გადაისვა და ძმას ხელი ჩაავლო ხელში, - წამოდი, არტაშ, ინდიელებთან უნდა წაგიყვანო.

- მე თვითონ წამოვალ, ხელი გამიშვი, - უთხრა არტაშამ. ამასობაში ინგლისურის მცოდნე ინდიელი უკან მობრუნდა.

- ოლ რაიტ, - დამიყვირა მან და ცხენებით და ფორნებით წყალში შევიდნენ.

- ჰი, ია! ჰი, - დაიძახა ერთმა.

- ჰი, - შესძახა ყველამ ერთად. ერთი, ორი, სამი, და საბარგო მანქანა ნაპირზე აათრია. შემდეგ მერე მანქანაც გადმოიტანეს.

- მგონი, ერთი სოფლის ხალხი უნდა იყოთ? - ვუთხარი ახალგაზრდა ინდიელს, როცა ყველაფერი მოთავდა, - თქვენი უფროსის ნახვა მინდა, - შეიძლება?

მან მოხუც ინდიელთან მიმიყვანა, რომელმაც ოუ, ოუ, ოუ შემომძახა. მე არ ვიცოდი ეს რას ნიშნავდა, მაგრამ ზრდილობის გულისათვის იგივე გავიმეორე. ცოტა ხანს უხმოდ ვისხედით. ერთმანეთს ვათვალე რეზინით და ვაფასებდით, ბოლოს იმ

ახალგაზრდა ინდიელს ვკითხე, გასამრჯელო რამდენი მოგცეთ-მეთქი. მათ ცოტა ხანს ერთმანეთში ილაპარაკეს და ბოლოს მითხრეს, არც რამდენიო.

ამ პასუხს თავიდანვე მოველოდი და როცა მათკენ მივდიოდი, წინასწარ მოვამზადე სუთდოლარიანი ქაღალდის ფული. გასამრჯელოს რომ არა ჰკვანებოდა, ფული ჩემს ლამაზ წითელ ცხვირსაცოცში გავხვიე და მოხუც ინდიელს მივართვი. მან გულდაგულ დაათვალიერა ფულიცა და ცხვირსაცოციც, მერე რაღაც თქვა თავის ენაზე. სულ მალე ვიღაც ინდიელმა მშვენიერი ქამარი მომიტანა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი ნაცნობი ინდიელი მოვიდა და სუთდოლარიანი ოქროს ფული გამომიწოდა. ეს, როგორც ჩანს, ნიშნავდა, რომ ჩვენ უკვე მეგობრები ვიყავით. იმ ახალგაზრდა ინდიელს ვთხოვე, იქნებ ცხვარი მომიყიდოთ-მეთქი. ინდიელებმა მოითათბირეს და ცხვარი მომიყვანეს.

- ახლა ყველანი უნდა დამეწვიოთ, - ვუთხარი ინდიელებს, - ჩვენებურად უნდა შევწვა.

ცხვარი დავკალი, გავატყავე და გავასუფთავე. შემდეგ შამფურები გავთალე და მწვადები შევწვი. ცეცხლი არტამამ და ორმა ინდიელმა დამინთო. ინდიელები უცნაური ხალხი გამოდგა. როგორც კი ჩემებურად დაეუტრიალდი ცხვარს, მათ მეორე ცხვარი დაკლეს და შეწვეს, ოღონდ სხვანაირად. ორ საათსაც არ გაველო, რომ ყველაფერი მზად იყო.

მე ჩემიანები მოვიწვიე, მაგრამ წამოსვლა არავინ ინება.

- რა თქმა უნდა, არ წამოვალთ, - თქვა ანამ, - ბავშვებს რამე შეალოდება, აბა შეხედ, რა აცვიათ ტანზე?

- არა, არა! - „მის ალმატებულეებს“ ხმალი ეპოვა და წელზე შემოურტყა, - მე და ერმაკი ყარაულად დავჩრებით. ამას ისევ შენ დასაცავად ვაკეთებთ, გიორგი ივანიჩი, მათ ყოველ წამს შეუძლიათ მოგიტრიალდნენ.

ლუბამ არც კი მიპასუხა. იგი იმ კატასავით გაბუტულიყო, რომელსაც კუდზე ფეხი დააბიჯეს. ასე რომ, არტამადა შემრჩა. მე მოხუცი ინდიელით დავიწყე და ყველას საითთაოდ ჩამოვურივე შიშხინა მწვადები (ოცი თუ ოცდახუთი კაცი იყო). ვცდილობდი უფროს-უმცროსობა დამეცვა. არ ვიცო, მოეწონათ თუ არა, ეს კი იყო, რომ დიდი შეძახილებით მიერთმევენენ. როცა ჭამა დავამთავრეთ, ჩემი ახალგაზრდა თარჯიმანი მომიახლოვდა და მითხრა:

- პაპაჩემს მოეწონა ცხვრის დაკვლის, გატყავებისა და შეწვის თქვენბური წესი. მას სურს გაიგოს, რომელი ტომიდან მოსულხარ, რამდენი ცხვარი გყავთ და ნადირობის საქმე როგორ მიდის.

- მე ქართველი ვარ, ქვეყნის მეორე

კიდიდან, ჩვენს სოფელში, როგორც ვიცი, ბოლოს ორასამდე ცხვარი იყო. თუ წესიერად ვინადირებთ, ნადირი ყველას ჰყოფნის.

ახალგაზრდა ინდიელმა რაღაც ქვისაგან გამოთლილი ნივთი მომცა. მე კი საჩუქრად ჯიბის დანა მივეცი. საცობის ამოსაღებიც ჰქონდა ზედ. სხვა ვერაფერი მოვახსილე ჯიბეში. მერე ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, და ინდიელები წავიდნენ.



- მეონი, მსოფლიოში არ მონახება მაგათზე ბინძური და შესაზარი ხალხი, პირდაპირ ჰყარან, - თქვა ანამ, როცა ბარგი მანქანას დავედეთ და წასასვლელად მოვემზადეთ.

- საშინელი შესახედავებიც არიან, - დაუმატა ლუბამ, - შემადრწუნებელი.

- ველური ხალხია, - ბრძანა „მისმა ალმატებულეებამ“ და ხმალი ქოლგის ხალთაში ჩადო, - ველურები! აბა როგორები გინდა იყვნენ, მოუშინაურებელი ველურები არიან.

- ახი კი იქნებოდა, ყველა დაეტოვებინათ შუა მდინარეში, - გავბრაზდი მე, - ისე კი, მე თუ მკითხავთ, მაგ ველურებმა იციან, როგორ უნდა იქცეოდნენ კაცური კაცი და ასეც მოიქცნენ!

აი, კალიფორნია

ლამში ჩაფლობა მაინცდამაინც არ მოუხდა ჩემს მანქანას, მაგრამ, როგორც იყო კელაობით გავიარე კოლორადო და არიზონაში შევედი. ძალიან ვცდილობდი მსუბუქ მანქანას არ ჩამოვჩენოდი, მაგრამ საბურავები მიჭირვებდა საქმეს - ძველი გაქვავებული რეზინი წამდაღწეულ სკდებოდა და იძულებული ვხდებოდი, გავჩერებულყავი და შემეკეთებინა. ისე ხშირად ვისვენებდით, რომ დავიდაღეთ. ბოლოს გადაწყვიტეს, დაწინაურებულიყვნენ. შეხვედრა კალიფორნიაში დავთქვეთ.

მოგზაურობის დაწყებისას თითოეულმა 30-30 დოლარი დავდეთ. ამ ფულს ანა განაგებდა. მას უნდა გადაეხადა ბენზინის, ღამის გათვვის, საკმლისა და ღია ბარათების

ფული.

ახლა, რაკი ვიყრებოდი, ფულიც უნდა გაგვეყო. ანამ ქისა გახსნა და წარმოიღვინეთ, ჩვენზე უფრო თვითონ გოცდა, როცა შიგ მხოლოდ 8 დოლარი და 75 ცენტლია ნახა.

- ღმერთო დიდებულო, - წამოიძახა ერმაკმა, - დანარჩენი სად გაქრა?

პასუხის მოლოდინში სმენად ვიქცეით.

ანამ ყველაფერი გადაქექა, ქისა დაფერთხა, ბანქოს ყველა ყუთი ამოაცარიელა, საითთაოდ გადაფურცლა ქაღალდები.

- ვიცი, მივხვდი, სადაც გაქრა. მე გავფლანგე, მე ქურდი ვარ, - თქვა ანა ფეოლოროვნამ ბოლოს და აქვითინდა.

- გაჩუმიდი, - ვუთხარი მე, - ტირილი რაღას გვიშველის. მოდი, ჯიბეები ამოვიფხიკოთ და გავიგოთ რამდენი გვაქვს.

პირველად ერმაკმა ამოაბრუნა თავისი ცარიელი ჯიბეები. არტამას 3 დოლარი ჰქონდა, რომელსაც კარგა ხანია ინახავდა ავტომობილის საყიდლად. მაგრამ გრეშინამ გეთხოვა, თუ არ შეწუხდებით, მანქანიდან გადაბრძანდითო. ჩვენც გადავედით. მან ფანჯრის ფარდები ჩამოიშვა. ათიოდე წუთის გზაზე ვიდექით და ვუცდიდით. ბოლოს მალამ გრეშინამ ხმაურით ასწია ფარდები და ქაღალდის სუთდოლარიანი გადმოგვავლოდა. „მისმა ალმატებულეებამ“ ერთი დოლარი და ოცდახუთი ცენტი დაგვიმატა. მეონი, ლუბასაც ჰქონდა ფული, მაგრამ გაიტრუნა. ყველა რომ შევკრიბე და ჩემი თხუთმეტი დოლარი დავუმატე, ზუსტად ოცდაცამეტი გამოვიდა. კალიფორნიაშივე კი ჯერ ექვსასი მილი გვიკლდა. კარგა ხნის თათბირის შემდეგ გადაწყვიტეს, ოცდახუთი დოლარი წაელოთ და მსუბუქი მანქანით მისულიყვნენ პოლიუდში. დანარჩენი რვა დოლარი მე დამიტოვეს და დამავალეს, როგორმე იუტაში მადღწიო.

- იქ მოიცდი და ფოსტას ხშირ-ხშირად მიაკითხავ. ორიოდე დღეში ფულს გამოგიგზავნით, რომ დარჩენილი გზის გამოვლა შესძლო, - მითხრა „მისმა ალმატებულეებამ“.

- ფულს როგორ იშვით?

- ერთი ნათესავი მყავს, ჩემი უფროსი დის შვილი. ციმბირიდან ლოს-ანჯელეში წამოვიდა. ის მასესხებს.

- იცით, სად ცხოვრობს?

- რასაკვირველია, ის ხომ ჩემი დის შვილია.

- ერთსაც ვიტყვი და მერე დავბზუნდები, - ვთქვი მე, - მოდი, უახლოეს ქალაქამდე მივალწიოთ, საბარგო მანქანა და ავეჯი გავყიდოთ და ერთად წავიდეთ კალიფორნიაში. რაღაცას ხომ მოგვცემენ ამათში.

ანა კვლავ ცრემლად დაიღვარა. რაღას ვიზამდი, განა სველ ბამბასთან შეიძლება ლაპარაკი.

- ოლ რაიტ, ვუთხარი მე, თქვენი ნება!

მათ ჩემოდნები წაიღეს და წავიდნენ.
- აუცილებლად მიაკითხე ხოლმე ფულს
იუტას მთავარ ფოსტაში, - გადმოძახა
„მისმა აღმატებულებამ“ მანქანიდან!

განვავრძე გზა. ჩაუვარე ჯილა ბენდს
და სენტინელს. თუმცა ფული ცოტა მქონ-
და, და ჩილიური ლობიოთი და სოდიანი
ბისკვიტებით ვიბრუნებდი სულს, ასეთი
მოგზაურობა მაინც ძალიან მომწონდა.

დაბინდებისას მანქანის გვერდით ვბი-
ნავდებოდი და საჭმელს ვიმზადებდი. ხან-
დახან გვერდით ჩავლილ ხალხს გამოველა-
პარაკებოდი ხოლმე - მოლუშულ, სევდიან
აღამიანებს. მათ კუზივით ადგათ ზურგზე
დახვეული საბნები. მე ასეთი ცხოვრება
ხელს არ მომცემს-მეთქი, - გადავწყვიტე,
როცა ეს ხალხი გავიცანი. მიდიოდნენ
და თვითონაც არ იცოდნენ, საით... თუ
არავეს მამა, ქმარი, ძმა, მეზობელი ან მეგობარ-
ი არა ხარ, რაღა კაცი გქვია?

შემდეგ ღამე ჩამოწვივებოდა, უდაბნოს
ფერები ერთმანეთს შეერწყმოდა და ბოლოს
ყველაფერი ჩამუქდებოდა ხოლმე. მხოლოდ
ხანდახან თუ გააპობდა წყვილიაღს შორეუ-
ლი ქოხის ფანჯრიდან გამომკრთალი ეული
სხივი.

ყველაზე უფრო რკინიგზის გვერდით
დგომა მიყვარდა. მთელი ღამე შემქმლო
ვმდგარიყავი და მემზირა გვერდით ჩაქრო-
ლილ მატარებლისათვის. ისინი მაქვსავით
დასრიალებდნენ წინ და უკან და მთელ
ამერიკას ქსელავდნენ. გასაკვირი არაა, რომ
ამ მატარებლებმა შემოუნახეს ამერიკას
ლამაზი სახელები. ისინი საბარგო ვაგონებ-
ზე ეწერა: ეჩისონი, თოპეკა და სანტა ფე,
დელავერ ლაკავანა და რუტ ოვ როკეტსი,
დეტროიტი და მაკინაკი, ჰასტიგი, მენ-
სფილდი და ნაკოვლიში, ბლუკ დაიმონდი
და ნიკლ პლეიტი.

თანდათან ვუახლოვდებოდი იუმას. ათი-
ოდე მილიდა დამრჩა. უკვე გახარებული
ვფიქრობდი, ყოველივე კეთილად დამთავრ-
და-მეთქი, რომ მანქანას უკანა საბურავი
მოძვრა და ქვიშაზე გველივით დაიწყო
კლაკვნა.

დავხედე თუ არა, მივხვდი, რომ აღარა-
ფერი ეშველებოდა. დავჯექი და სამხრო-
ბამდე ვიცადე - იქნებ ვინმემ ჩამოიაროს
და ქალაქში წამიყვანოს-მეთქი, მაგრამ ერთი
მანქანაც კი არ გამოჩნდა. შემდეგ ვცადე
უსაბურავოდ წავსულიყავი. ერთი მილის
შემდეგ ფერსოც მოვარდა.

რაღა გაეწყობოდა. მანქანა გზის ნაბი-
რას გადავაყენე და ბედს შევეურივდი. შევატ-
ყვე, რომ ცოტა ხანს აქ უნდა დამედო ბი-
ნა. მეორე დღეს მოვასერზე იუმაში მისე-
ლა. წერილი არ დამხვდა. ხარასურის
საწყობებს ჩამოვუარე და ერთგან ფორდის
ცოტათი ნახმარ ბორბალს მივაგენი, მაგრამ
10 დოლარს აფასებდნენ, მე კი მხოლოდ
ოთხნახევარი მქონდა. შუადღისას ფოსტას



მივაკითხე - კვლავ არაფერი იყო ჩემს
სახელზე.

მანქანასთან დავბრუნდი. მეორე დღესაც
მივაკითხე წერილს - ჯერ არ მოსულაო,
მითხრეს. ასე გავიდა თითქმის მთელი
კვირა. დღეში ერთხელ მაინც მივდიოდი
ქალაქში და ხელისგულივით შევისწავლე
მთელი გზა, ბუნქები, ძროხის ჩონჩხები,
კონსერვის ცარიელი ქილები და რკინის
ნამსხვრევები.

ერთ დღილას, როცა ფოსტაში მივედი,
თანამშრომელმა მითხრა, - შენი წერილი
მოვიდაო (ეს თანამშრომელი უკვე კარგად
მიცნობდა). მაგრამ წერილი კი არა, ღია
ბარათი იყო. ცალ მხარეზე პალმის ხეები
ეხატა და ქვეშ წარწერა ჰქონდა „მთავარი
ქუჩის აღმოსავლეთი მხარე“. ნეტა რაში
მენაღვლებოდა, რომელი მხარე იყო. ბარა-
თი გადმოვატრიალე და „მისი აღმატებუ-
ლის“ ხელი ვიცანი: „მშვიდობით ვიმგზა-
ვრეთ, მადლობა უფაღს. აქ კარგი ამინდე-
ბია. ორჯერ პლაჟზედაც ვიყავით. არტაშამ
თევზეულობის ბაზარში კინოვარსკვლავი
ნახა... კიდევ ორიოდე სტრიქონი, მისამართი,
სულ ქვევით P.S. ჩემს დის შვილს ჯერ
კიდევ ვერ მივაგენი, მაგრამ არ იღარდო,
ვიქებ“.

ფოსტის კიბეები ჩავიარე, ჩამოვჯექი
და ფიქრებში ჩავიძირე. ბოლოს გადავწყვი-
ტე, როგორ მოვქცეულიყავი, ავდექი და
კვლავ ხარასურის საწყობს მივადექი -
ოთხ დოლარად არ მომცემთ იმ ფორდის
ბორბალს? დანარჩენს მერე გამოვიგზავნი-
თქოქი.

- არა.
- ოთხი დოლარი და ფოტოაპარატი?
- არა.

- ოთხი დოლარი ნაღდად, ჩემი ფო-
ტოაპარატი და მანუეტის საკინძები?

- არა.
- მგონი, მეც რომ დავემატო, მაინც
არაფერი გამოვა, - ვუთხარი გამყიდველს
და გამოვედი.
- აი, ეს რა ღირს? ვიკითხე, როცა
ჭიშკართან მივედი.
- ბალახებში ნემის ძველი ბორბალი
ეგლო, მაგრამ მე უცებ ერთი კარგი აზრი
დამებადა.

- ერთი დოლარი, ოღონდ მალე მომწყდი
თავიდან.

ფული გადავიხადე და წავედი. ბორ-
ბალს ხელით მივაგორებდი. დაახლოებით
ერთი მილი რომ გავიარე, ქალაქიდან მომ-
ვალი მანქანა წამომეწია. ახალგაზრდა
მძღოლმა მანქანა გააჩერა და კაბინაში
ჩამისვა. მას სიტყვა არ დაუძრავს და მეც
არ ამომიღია ხმა, სანამ გზის საქცევს არ
მიუახლოვდით. აქ კი ვთხოვე: ცოტა
ხანს შეგჩერდეთ, აი, ის ძველი აკუშულატო-
რი უნდა ავიღო, გზაზე, რომ გდია-მეთქი.

- ჯართის შემგროვებელი ხარ? - მკით-
ხა მძღოლმა, როცა მანქანა შეაჩერა.
- არა, მანქანა გამიფუჭდა, ფორდი.
ბორბალი მოძვრა და აი, ეს უნდა დაუყენო.
მძღოლი მოტრიალდა, ბორბალს შეხედა
და თქვა:
- ეგ ხომ ნემისაა. ვიდაცას მასხრად
აუგდინხარ:

- ვიცი, რომ ნემისაა, მაგრამ მინდა,
როგორმე გამოვიყენო.
- არ მოერგება.
- მოვარგებ.
- ვერ მოარგებ.
- ვსინჯავ მაინც, - უცებ გამახსენდა,

რასაც ამერიკელებზე ამბობდნენ. ვიფიქრე, აი, ახლა ნამდვილად ჩავალწევ კალიფორნიამდე-მეთქი და მტკიცედ ვუთხარი:

- უეჭველად მოვარგებ, დარწმუნებული ვარ, მოვახერხებ. თუ გინდა, ოც დოლარზე დაგენიძლავები, რომ ჩემი მანქანა ივლის.

ამასობაში უკვე მანქანასთან მივსულიყავით. ავეჯი გადმოტვირთული იყო. ცალ მხარეზე მანქანას მორი ჰქონდა შეყენებული. მძლოლი გადმოვიდა და გულდასმით დათვალიერა ყველაფერი - ოც დოლარს ვეძებ, რომ არ წაყო, - თქვა ბოლოს, მანქანის საფეხურზე ჩამოვჯდა და ცქერა დამიწყო, აბა, რას გააკეთებ. მე ფინები და ქალაქის ნაგლეჯები მოვაროვე, თურქის დაბრეცილი ნაჭერზე დავყარე და ცეცხლი მოვუკიდე. როცა კარგად აგიზგიზდა, შიგ აკუმულატორი ჩავაგდე. შემდეგ დომკრატით ცოტათი ავწიე მანქანა და ბორბალი მოვსხენი. მერე ნემის ბორბალი მოვაზომე - ფომფოლდ მოდიოდა. ამასობაში მძლოლი ისე დაინტერესდა, რომ ფიჩხი მოავროვა და ცეცხლს შეუკეთა. ბოლოს აკუმულატორის ტყვია გადნა და თუნუქზე დაგროვდა. მე სწორედ დამდნარი ტყვია მჭირდებოდა. ბორბალსა და ფერის შუა ჩავასხი და ღრიჭო ამოივსო. ეს ტყვია მივასწორმოვასწორე და შევალამაზე. შემდეგ თვალი მანქანას დავუყენე და ასიოდე ფუტი გავიარე. საუცხოო რამ იყო, ოღონდ ჩემი მანქანა ომიდან დაბრუნებულს ჰგავდა - ცალი ფეხი დიდი ჰქონდა, ცალი პატარა.

- დიდი შებურტყილი ვინმე ყოფილხარ. - მითხრა მძლოლმა, - ჩემი თვალით რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. ბუდი გქონია, რომ ის ძველი აკუმულატორი გაგანსენდა. - მართლა ბუდი მქონია, რომ გამახსენდა, რასაც თქვენზე ამბობენ: „ამერიკელები ყველაფერზე მზად არიან, ნიძლაგი დაღონო“.

მძლოლმა ქალაქის ორი ათ დოლარიანი გამოადრო დასტას და მითხრა:

- მოიგე, მაგრამ ავტომობილებზე ამოდ ფანტავ დროს. ჯობს, ცხენებზე სცადო შენი ხელოვნება.

ავეჯის დატვირთვის დროს სულ იმ კაცის ნათქვამზე ვფიქრობდი. რაღაც ხუმრობა რომ იყო, მიგზვდი, რადგან ვიცოდი, ცხენს ვერაინ გამოუცვლიდა ფეხს. როცა ცხენი ფეხს მოიტეხავს, ტყვიას დაახლიან ხოლმე.

უკან, იუმაში დავბრუნდი. თან თცი დოლარი ნაღდი ფული მქონდა. ფორდის ბორბალი ვიყიდე. მანქანას დავუყენე, ერთი ლაზათიანად ვივასმე და უკვე მზად ვიყავ გასამგზავრებლად.

ასე განვახსნე მოგზაურობა. ფული ბევრი არა მქონდა, მაგრამ მსუბუქად ვჭამდი და მეყო. ლოს-ანჯელოსამდე ბევრი აღარ დამრჩა, როცა დაღამდა, მაგრამ გადავწყვიტე აღარ გავჩერებულიყავი და შუალამისას ქალაქში შევრახრახდი. მივედი იმ მისა-

მართზე, „მისმა აღმატებულებამ“ რომ გამომიგზავნა, მაგრამ ჩვენები იქ აღარ ცხოვრობდნენ.

- ყველანი ჰოლივუდში გადასახლდნენ, - მითხრა დიასახლისმა და ახალი მისამართი მომცა.

აღარსად შევყოვნებულვარ. ათასნაირი მიხვეული-მოხვეული, ოღროლოლო გზა გავიარე და, როგორც იყო, მივაგენი. ვრეკე და ვრეკე ხარი. ბოლოს, როგორც იქნა, გაიღვიძეს და ყველანი ფართხა-ფურთხით ჩამოცვიდნენ ქუჩაში. „მის აღმატებულებას“ წითელფეხიანი ღამის ქულის მოხდაც ვერ მოუფიქრებინა.

აანთეს სანთელი. საუცხოო ოთახი დაექირავებინათ - რკინის მილებისაგან გაკეთებული საგარძობები, ლურჯტყავადარული სკამები და მინის მაგიდები იდგა. ცნობილი პარიკმახერის სახელოსნოს ჰგავდა იქაურობა.

- ესეც ასე. აი, მეც აქა ვარ. მეგონა, ვერასოდეს მოვალწევდი. მე ძალიან...

ამ დროს კიბეზე ლუბა ჩამობრძანდა. კაბას მიწაზე დაათრევდა. რაღაც ვარდისფერბეწვინანი მხეცის ტყავისაგან შეკერილ წამოსასხამში იყო გახვეული. ნეტა მანახა, როგორია ის ცხოველი, რომელსაც ეს ტყავი გააძვრეს.

- ახლა კი, - ვუთხარი ანას, - როცა ჩემი ამბავი დავამთავრე, - თქვენი წუხილი წარსულს ჩაბარდა: ახლავე გადმოგვიტრავ თქვენს ავეჯს, მითხრით, სად დავაწყო?

- სად დავაწყო? - გაიკვირვა ლუბამ, - რაში გვეკითხება, სად დააწყობ იმ ხარახურას. ჩვენ უკვე შევიძინეთ ავეჯი. თუ გინდა, სანაგვეზე გადაყარე - ლუბამ ბუდიდევით ასწია ცხვირი და მაუწყა - „მე ახლა კინოში ვმუშაობო“.

რუმორ გაყიდა

ჩანჩომ ჩემი ცხვირი

იმ დროს ჰოლივუდში სამსახური სარჩევად არ იყო, მარტო კინოსტუდიაში თუ შეიძლებოდა ადგილის შოვნა. მე ლითონ-ჩამომსხმელ საამქროში მოვეწყე და თან კინოშიც ვთამაშობდი. მაგრამ, როცა კახაკი დასჭირდებოდათ, მხოლოდ მაშინ დამიძახებდნენ ხოლმე. სხვა როლს ვერ ვეღირსე. ერთ დღეს, ჩინგიზ ხანის ურდოებს რომ ესლევინებდი, თუ ვოლგელ მენავს ვცემდი (ახლა კარგად აღარ მახსოვს, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს), მსახიობობაზე გული ავიყარე. ვთქვი, ცხენის ჭეხება და ჯონისა და ბუნრის ქულის ტარება თუ მინდოდა, ბარემ შინ, კობანთკარში, დავჩრენილიყავი. მე სხვა რაღაცის საძებნელად ჩამოვედი ამერიკაში და სჯობს, ის ვიპოვემეთქი.

აი, ეს მიზეზი, რომ სან-ფრანცისკოში წავედი და საშუაოს ძებნა დავიწყე. მესამე თუ მეოთხე დილას კარზე დამიკაკუნეს.

ოთახში ძია ვანო შემოვარდა. იგი იქვე, მახლობლად, ცხოვრობდა.

- გაიღვიძე, გაიღვიძე, ბიჭო! - ძია ვანო აღმართზე ამავალი ორთქლმავალივით ქმინავდა და ჩქარობდა, - თერთმეტ საათზე კალისტოვარში უნდა ვიქნე. ბორისი უნდა გაფატრონ.

- ვინ უნდა გაფატროს?

- ექიმებმა. ჩემს ჩამოსვლამდე საუზმის ბიზნესი შენთვის მიჩუქნია.

- საუზმის? ისე მჭირდება ეგ საქმე, როგორც თხუნელას თვალები. მე ახლა ავტომობილების ზეთის გასაზომ ხელსაწყოს გამოგონებაზე ვაპირებ მუშაობას.

- არა, არა! - ძია ვანომ რამდენიმე გასაღები გამოადრო როგორც, - შენ სავსებით გენდობი, არც გაეგვირდება, ჩანჩო შენთან იქნება, ყველაფერში მოგეხმარება. ნახამდის.

შუა კიბიდან უკან ამობრუნდა, კარში თავი შემოყო და მითხრა, შუადღემდე ათასი სენდვიჩი უნდა გაყიდო.

ნეტა თუ დაბადებულა ჩემზე უბედური კაცი? თუ დაიბადა, ალბათ, მაშინვე მოკვდა და ახლა აღარ დადის ქვეყანაზე.

ახლა მოვახსენებ, რა იყო ამ ბიზნესის არსი: ძია ვანო გამზადებულ საუზმეს პაკეტში აწყობდა და იმას მიჰყიდდა ხოლმე, ვინც რესტორნიდან ძალიან შორს მუშაობდა ან ვისაც სამუშაოდან გამოსვლის საშუალება არა ჰქონდა, შუადღისას კი ჭამა უნდოდა.

რადგან ძია ვანო ჰკვიანურად ყიდულობდა პროდუქტებს, თითოეულ ვაშლს ხელს შეავლებდა - დამპალი ხომ არ არისო და ტკბილი საუბრით მჟავე კიტრის ყოველ ღუქონზე თითო კიტრს ამატებინებდა, ყოველ შეფუთულ საუზმეზე 4-5 ცენტი მოგება რჩებოდა.

როცა ძია ვანო საუზმეს გაამზადებდა, ორი რუსი დამტარებელი მოდიოდა მანქანებით და ქარხნებში, გარაჟებში, მშენებლობებზე და ყველგან, სადაც კი გაყიდვა შეიძლებოდა, ჩამოატარებდნენ ხოლმე. ისინი ექვს-შვიდ ცენტს იგედნენ თითო პაკეტზე.

ძია ვანო ორგვარ სენდვიჩს ამზადებდა - ერთში ვაშლები, ლვეზელის ნაჭერი და მწნილი იდო, მეორეში კი მაგრად მოხარული კვერცხი და ჩურექ-ლუჭები (ხანდახან ჩურექ-ლუჭების ნაცვლად შაქარყინულის ნატენს ან მიწის თხილს სდებდა ხოლმე). ეს ყველაფერი 25 ცენტი ღირდა. ასე, რომ ყველა ბედნიერი იყო ჩემს გარდა - ამიერიდან სენდვიჩები მე უნდა მეკეთებინა. ამაზე უფრო კი არაფერი მეგავრებოდა ქვეყნად, მე თუ მკითხავთ, სენდვიჩი ვერაფერი შვილი საჭმელია.

როცა ძია ვანოს დუქანში შევედი, ჩანჩოს ლვეზელის ცარიელ ყუთებზე ეძინა. სასთუმლად კი მაიონეზის ყუთი ედო. ეს ჩანჩო ცოტა ჭკუამხიარული, ახალგაზრდა გახლდათ. ძია ვანომ იგი ემბარკადეროზე იპოვა.

მიმშლილსაგან მისავათებული იყო. არა მგონია, სცოდნოდა, ვინ იყო და ან საიდან მოვიდა. რაღა თქმა უნდა, მია ვანოს მეტი არავინ მისცემდა სამუშაოს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული.

- ჩანჩო, - დავუმახე მე და შევანჯღღრიე, - მოდი, საქმეს შევუდგეთ. პირველად რას აკეთებდა ხოლმე მია ჯონი?

ჩანჩო გამოფხიზლდა, ოთახს თვალი მოავლო და ბოლოს ჭერს უპასუხა:

- ვლენკვიშებს. თინუსის და ორაგულის სენკვიშებს.

- აბა, მოიტანე ორივეს კონსერვები.
- მარტო ერთხანით კონსერვი გვინდა,
- თქვა ჩანჩომ და ისე გაიღრიალა, რომ კინაღამ ლაშები გაეხა, - ყველაფერი ამ კონსერვიდან გამოდის.

- ამიდან? შე საწყალო, მართლა ლენჩი ყოფილხარ. კარგი, გააკეთე (ჩანჩოსთან დავას ასე სჯობდა). კიდევ რას აკეთებდა?
- სააღდგომო კვერცხებს.

ახლა მკათათვე იდგა და მივხვდი, რომ ჩანჩო მაგრად მოხარულ კვერცხებს გულისხმობდა. თან ჩანჩოს ვადევნებდი თვალს. აბა, რას აკეთებს-მეთქი. ჩანჩომ ქილა გახსნა, ორაგული ამოიღო და საუცხოოდ გაანაწილა - ერთ თევზზე ძვლები, კანი და შავი ხორცი დააწყო, ერთმანეთში აზილა და ორაგულის სალათა დაარქვა, მეორეზე თეთრი ხორცი დაახვავა და მაინებში ამოთითხნა.

- ესეც თინუსი. არ მოელოდი განა? - თქვა ჩანჩომ და იალაღზე გაშვებული ცხენით დაიჭიხვინა.

ოთახში ლვიძლით, ვირის ძეხვებით და სოსისებით დახურული მენორცე შემოვიდა.

- დღეს ჩვენი დღეა. ქორფა შაშხს ვიღებთ ხოლმე, - ამისხნა ჩანჩომ.

- რისთვის იყენებ?
- ინდაურების სატენისათვის, - მიპასუხა ჩანჩომ და მართალიც გამოდგა. ჯერ შემწვარი ღორის ხორცის სენდვიჩები დავაშხადეთ. რაც თხლად არ დაიჭრა, პილპილში და სანელებში ავურიეთ და ყარსული მწვადები შევწვით. ნარჩენები დაგვკაპეთ, ნიახურში ავურიეთ და ქათმის სალათა გამოვიდა.

აი, თურმე ასე ასულელებენ სენდვიჩის მოყვარულებს და მე თუ მკითხავთ, ანია მათზე.

გადიოდა დღეები. მე და ჩანჩო კარგად შევეწყვეთ ერთმანეთს და საუცხოო სენდვიჩები გამოგვდიოდა ხოლმე. ისე დავოსტატდი, რომ პურის ნაჭრებს ბანქოსავით ვარიგებდი, ხორცს კოზირებით ვარტყამდი, ერთი ხელის მოქნევით ვარტყაპბდი კარაქს პურზე, მერე გადავკეცავდი და სენდვიჩი მზად იყო. მარტო ერთი რამ მაწუხებდა - მოგებას ვერა ვხედავდი.

ძალიან მრცხვენოდა. მია ვანომ თავი-

სი საქმე ჩამაბარა, სრული ნდობა გამომიცხადა. მე კი ვერ გავუმართლე, მოგება ვერ ვნახე. ბოლოს ჩემს საკუთარ დანაზოგს ოცი დოლარი მოვაკელი და გავუვ ზავნი.

ზარალში ჩანჩოს მიუძღოდა ბრალი. არა, ქურდი კი არ იყო. უფრო პატიოსანი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დადიოდა, მაგრამ ყველაფერს იჯერებდა, რასაც ეუბნებოდნენ. ეს კი ფული ჯდებოდა.

ერთხელ კომივიაჟერმა რალაც მოიტანა - მარლის მაგივრობასაც სწევს და ჯანსაც მატებს ადამიანსო, - თქვა. ჩანჩოს, ბუნებრივია, უნდოდა, რომ მუშტრები ჯანსაღად ჰყოლოდა და ორმოცდაათი ვირვანქა აიღო. როცა ღუქანში მივბრუნდი და ეს ამბავი გავიგე, გავცეცხლდი.

- ჩანჩო, მამაშენი და ბაბუაშენი უბრალო მარლითაც კმაყოფილდებოდნენ. ამას გარდა ნამდვილი მარლი დიდი-დიდი იმის მეოთხედი ღირს, რაც შენ გადაიხადე.

- ჩანჩო ისე შეწუხდა, რომ სამზარეულოში გავიდა და ვარდისფერ კრემიანი ტორტი გამომიცხო. ზედ აცა-ბაცა ასობით ეწერა: „სალამი და დიდხანს სიცოცხლე გიორგი ივანიჩს“. აბა, რა გული მიზამდა, რომ არ შევრიგებოდი. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ჩანჩომ ორი ყუთი კოკტილის საწურუპავი ღეროები იყიდა საუზმის პაკეტებში ჩასატანებლად. წითელი, ყვითელი, მეწამული და მწვანე. მუშტრებს გაახარებს - უბრალო, თეთრებზე უფრო ესენი მოეწონებათო, თქვა.

მე ფულის გადამალვა დაიწყო, მაგრამ ყველას რომ გავუსწორებდი ანგარიშს, დასამალი თითქმის აღარაფერი მრჩებოდა ხოლმე. მთავარი იყო მუშტრები მოგვამატებოდა, ამიტომ ახლების მოსანახად ქალაქში გავიდა. აქა-იქ ვიმოვე კიდევ რამდენიმე - რვა ბიჭი საკანალიზაციო არხის მიხრელებში, ათი გოგო სამრეცხაოში, თხუთმეტი კაცი მშენებლობაზე. ეროვნული არმიის სასროლეოზე ისე მოეწონათ სასინჯად მიტანილი საუზმე, რომ მითხრეს ყოველ კვირას სამასი სენდვიჩი და ასორმოცდაათი რძე მოგვიტანეო.

მაგრამ ვერც ამან გვიშველა და ბოლოს იძულებული გავხდი, მია ვანოსათვის სიმართლე მიმეწერა. მან წერილობითვე გვიპასუხა: „მე არ შემიძლია დაბრუნება, ბოროსი ჯერ კიდევ სუსტაა და ვერ მოვშორდები. კარგი იქნება, თუ ბიზნესს გაყიდით. ფასზე ნუ იჯანჯლებ. არ იდარდო, შეილო, სხვა ბიზნესს ყოველთვის ვიშოვი, ბორისისთანა მეგობარს კი ვერა.“

რუსულ გაზეთში განცხადება მოვათავსე, მაგრამ, ვის რად უნდოდა შენი ჩაფლავებული ბიზნესი. ორიოდე მყიდველი მოვიდა, მაგრამ ჩვენი ტექნიკური აღჭურვილობა რომ დაათვალიერეს, დაიჯლანნენ; რატომ ავტომატური ხორცის საკეპი არა გაქვთ, მაცივრიდან წყალი რათა

წვეთავსო... ბოლოს ვიდაც მისის და მისტერ მარინოვებმა ხუთასი დოლარი შემოგვაძლიეს. მე იმ დროს ქალაქში ვიყავი სავაჭროდ, მაგრამ მხოლოდ საუზმის ნახევარი გავასაღე. ღუქანში რომ მივბრუნდი, მაშინ გავიგე ჩანჩოსაგან ეს საშინელი ამბავი.

- კაცი და ქალი იყვნენ აქ. ხუთას დოლარს იძლეოდნენ, მაგრამ მია ჯონს ამაზე მეტი ფული დასჭირდება საცხოვრებლად, ვიდრე ახალ ბიზნესს დაიწყებდეს, ამიტომ არ გამოვართვი.

- არ გამოართვი! - ვუღრიალე ჩანჩოს, - სამასი დოლარი რომ ავკვლო, მაღლობელი ვიქნებოდი! სადა ცხოვრობენ?

ჩანჩომ არ იცოდა მათი ადგილსამყოფელი. ისე გავცოფდი, რომ კარის გამოკეტვა და გასაღების წყალობა გადავდებო და ვაპირე. მეორე დღეს გამიხარდა, თავი რომ შევიკავე - სრულიად მოულოდნელად მუშტრები მოგვემატა. ყველა ჩემგან ყიდულობდა, სხვა გამყიდველები შურით სკდებოდნენ (აქამდე მე მშურდა მათი).

მესამე დღეს კიდევ უფრო დამეხივინე, - სამი პაკეტი მომეძე, მებუფეტევე, - მითხრა ერთმა ახალგაზრდამ.

- ძალიან კარგია, ყველა სენდვიჩში ყველის ორმაგი ულუფაა მეთქი, - ვუთხარი. მუშტარმა თვალი ჩამიკრა და მითხრა: - ვიცო, რომ ნამდვილად აგრეაო.

უკან დავბრუნდი, რომ კიდევ ორმოცდაათი პაკეტი წამეღო. ჩანჩო ვიდაც ქალსა და კაცს ესაუბრებოდა. თურმე ისინი იყვნენ, ხუთასი დოლარი რომ შემოგვაძლიეს ბიზნესში. მაგრამ საქმე უკვე კარგად მიდიოდა. იქნებ ჩანჩო მართალიც იყო, რომ არ დათანხმდა: ხუთასი დოლარი ჩვენს გაჭირვებას პირს არ მოწმენდა. მათ კვლავ შემოგვთავაზეს ფული. არც კო ვუთხარი, არც არა. ავდექი და უკანა ოთახში გავედი, სადაც პროდუქტებს ვინახავდით. მინდოდა, სენდვიჩები დამემზადებინა.

- ვინ არის ეგ კაცი? - ჰკითხა იმ კაცმა ჩანჩოს.

- უფროსი.
- მართლა? - გაიცინა ქალმა, - საშინელი შესახედავია. ცხვირი თუთიყუშს მიუგავს.

- აბა, ახლა აქედან წადით, - თქვა ჩანჩომ, - საღამოსათვის პაკეტები უნდა მოვამზადო. მომშორდით.

საწყალი ჩანჩო. ხმაზე შევატყვე, რომ ძალიან გაბრაზდა ჩემი შეურაცხყოფისათვის.

- ხუთას ორმოცდაათ დოლარს მოგცემ, - უთხრა კაცმა, - ორმოცდაათი შენ დაიტოვე.

- წადით აქედან!
მე საკუჭნოდან გამოვედი.
- იცი რას გეტყვი? - მითხრა მისტერ მარინოვმა, - მოდი, ერთხელ გამოგვეხი

და ვნახავ, როგორი ვაჭრობა გაქვს, ხვალ დილას შეიძლება?

საწინააღმდეგო არაფერი მქონდა. ამასობაში ჩვენი ბიზნესი ისე გაიზარდა, რომ სასწრაფოდ დამჭირდა ფული დამატებითი პროდუქტების შესაძენად. ჩემი უკანასკნელი ორმოცდაათი დოლარი, გაჭირვების დღისათვის რომ ვინაზავდი, ორიოდე დღის უკან ბანკიდან გამოვიტანე და დუქანში დავმალე და აი, გაჭირვებაც კარზე მომდგომოდა.

- ჩანჩო, ჩვენი საქმე ისე კარგად მიდის, რომ ხვალ ათასი საუზმით მეტი უნდა მოვაშალო. დღეს ძალიან ადრე გავიცალე ხელი.

სამალავთან მივედი ფულის ასაღებად, მაგრამ იგი ცარიელი აღმოჩნდა.

- ჩანჩო! ორმოცდაათი დოლარი ხომ არ ამოვიღია იატაკის ღრიჭოდან.

- კი, ამოვიღე, ორმოცდაათერთმეტ-ნახევარი დოლარი იყო, - მიპასუხა ჩანჩომ და მხიარულად გაიღრიჭა.

- მერე რა უქენი?

- საქმეში დავაბანდე.

- რაში გამოიყენე?

- ზოგი ამაში, ზოგი იმაში. დავატრიალე.

- გამაჯანსაღებელი მარილი, კოკტეილის საწარუპავეები, კიდევ რა? მეტი რა იყიდე? მაჩვენე. იქნებ გავყიდე, რაღაცას ხომ მომცემენ.

ვერა და ვერ ამოგვლიჯე სიმართლე პირიდან. თანხა საქმეში დააბანდა. რამდენი და რაში, ვერ მითხრა. ჩანჩო თითებზე ითვლიდა, ბოლომდე მივიღოდა, მერე უკუღმოდან მოყვებოდა თვლას და კვლავ იმავე პასუხს მამლეკვდა. თან ნაცემი ძალღივით შემომძქეროდა თვალებში. ბოლოს, შემეცოდა და ვუთხარი, ეს ამბავი დავივიწყოთ-მეთქი.

რა უნდა მექნა. ღმერთმა ასეთი გააჩინა და რაღა ეშველებოდა. ქუჩაში გამოვედი სასაიროდ, ეგებ ცოტა დაგეწყნარდებოდა. დუქანში რომ დავრჩენილიყავი, ნამდვილად ვიფეთქებდი.

როცა დავბრუნდი, ვნახე, რომ ჩანჩოს რაღაცა მანქანებით ყველაფრის მოშაღება მოეხერხებინა - თურმე ყასაბს დაღრეჯოდა და ხორცი და ოცდაათი დოლარი გამოერთმიდა.

მეორე დილას, ექვს საათზე, დამატებითი პაკეტები გამოზადებული იყო და ის იყო უნდა წავსულიყავი, რომ ჩემი ბიზნესის მუშტარი - მისტერ მარინოვი მოვიდა და მითხრა: - გამოგყვებიო, - ძალიან კარგი, წამო-მეთქი, - ვუთხარი.

პირველსავე ალაყაფის კართან კინალამ გადამქელა ხალხმა. მეორე ადგილას უკვე წინასწარ დაეყენებინათ რიგი და მიცდნენ.

- ასე როგორ გაითქვი სახელი? - მკითხა მისტერ მარინოვმა.

- მეც არ ვიცი. იქნებ იმიტომ, რომ არ ვუძუნო. თუმცა ამ საჭმელებს ისეთი სახელები ჰქვია, რომლებიც მე მაინცდამაინც არ მომწონს, მაგრამ პატიოსნად ვვაჭრობთ და ეს, ალბათ, მუშტრებმაც შეგვატყვევს.

- ოთხი პაკეტი, მეზუფეტე!

- ექვსი პაკეტი!

- მეც მომხდელთ.

- მე სამი ცალი გადამინახე! - გადმომძახა რიგის ბოლოდან ათისთავმა.

მისტერ მარინოვს ასეთი კარგი ბიზნესის დანახვაზე თვალები აუციმციმდა. მან მგელივით დააძიბინა კბილები და ჩაილაპარაკა:

- კარგია! საუცხოოა! არ მოველოდი, ასე კარგად თუ მიდიოდა საქმე.

არც მე მოველოდი, მაგრამ მისტერ მარინოვს აღარ ვუთხარი. როცა დუქანში დავბრუნდი, ცოლი იქ უცდიდა. კუთხეში მიდგნენ და მოილაპარაკეს.

- ძალიან კარგი, - მითხრა მისტერ მარინოვმა ბოლოს, - რაც იყო, იყო, დაფიქსირდა. რვას დოლარ ნაღდ ფულს მოგცემ, - მან საფულე გახსნა და დოლარები აატკაცუნა.

განა თვეში ვიყავი, რომ ჭიით მოვეტყუებინე, - არა, ხელს არ გვაძლევს-მეთქი, - ვუთხარი.

საწყალი ჩანჩო ძალიან შეწუხებული იყო, ფული რომ გაფლანგა და ამ დღეში ჩამაგლო. თავისი დანაშაული რომ გამოეცხადებოდა, ისე იქნებოდა თავს, როგორც გზავჯარედინზე მდგომი მისრე აქნევს ხოლმე დროშას. მანიშნებდა - არა, არ გვინდაო.

- მაშ რამდენი გინდათ?

- უფრო მეტი.

- უფრო მეტი, - კვერი დამიკრა ჩანჩომ.

- ცხრაასი?

- ათასი დოლარი, ოღონდ ახლავე.

- ოღონდ ახლავე, - გაიმეორა ჩანჩომ, - აი, ამ წამსვე.

მაგრამ ამდენი ვერ გაბედეს და როცა მიხედნენ, რომ არ დაუკლებდით, წავიდნენ.

ახლა ხილის საყიდლად უნდა წავსულიყავი. იმდენ საუბრეს ვამზადებდით, რომ საყიდლებზე უამრავი დრო გვეხარჯებოდა.

- ოღონდ იცოდე, სკამიდან არ ადგე და ძალიან გთხოვ, რაც არ უნდა კარგი აზრი მოგივიდეს თავში, ჩემს მოსვლამდე არ განახორციელო, - ვუთხარი ჩანჩოს, როცა დუქნიდან გავდიოდი.

ორი კალათა ვაშლი, ერთი კალათა ფორთოხალი, ცოტა ქლიავი ვიყიდე და ნახევარ საათსაც არ გაუვლია, რომ დუქანში ვიყავი. ჩანჩო ისევ იმ სკამზე იჯდა, ოღონდ მის წინ ფულის გროვა აღმართულიყო.

- ისინი უკან მოვიდნენ და ბიზნესი მივეციდე. ისე მივეციდე, რომ აქედან არ ავმდგარავარ, არც კი გავნძრეულვარ. მია

ვანოს გაეხარებდა, კმაყოფილი დარჩება! - საწყალი ჩანჩო სიხარულით ხელებს იფშვინებდა.

- იმედია გაეხარებდა, მაგრამ ჯერ ეგ ფული დაეთვალა! ათას ორასი დოლარია? ცას ეწევა სიხარულით. ეს ორასი დოლარი რაღაში დავვიმატებს?

- უკან მოვიდნენ და ათას დოლარს მამლეკვნენ, მაგრამ უარი ვუთხარი, - ათასი 12 საათზე იყო. გიორგიმ თქვა ათასი, ოღონდ ახლავეო. მაშინ თორმეტი საათი იყო. იმის მერე ფასი ათას ორას დოლარზე ავიდა-მეთქი.

- მერე?

- მერე ქალმა ყვირილი დამიწყო, კაცი მოიღუმა, მაგრამ მე არ ავდექი სკამიდან და ბოლოს მომცეს ათას ორასი დოლარი.

- ეს ორასი დოლარი რაში მოგცეს?

- შენ ცხვირში, გიორგი ივანეს ძე. იმ ქალმა ხომ შეურაცხყოფა მიაყენა შენ ცხვირს.

- მალღობელი ვარ, ჩანჩო. მაგდენად მთელ სახეს ვერ გავყიდი.

რამდენიმე საათის შემდეგ მისტერ მარინოვმა საქმე გადაიბარა. მე და ჩანჩო მაშინვე კალისტოვის მატარებელში ჩავსხედით. რაღა თქმა უნდა, ჩვენს დანახვაზე მთა ვანო ცას ეწია სიხარულით. ფული გადავეცი. სამი დღე ვჭამდით, ვსვამდით, ვმღეროდით და ვმხიარულობდით. საავადმყოფოდან ახალგამოწერილი ბორისიც ავიყოლიეთ. სახლი მთელი დღე მთა ვანოს მეგობრებით იყო სავსე. ყველამ გაიგო ჩვენი ამბავი და ყველას უნდოდა ენახა ის ცხვირი, რომელმაც ორასი დოლარი შეგვამატა.

- ახლა კი, - მითხრა მთა ვანომ, როცა ქიფი და დროსტარება მოვითავეთ, - გადავწყვიტე ისეთი ადგილი შევიძინო, სადაც მინერალური წყლის აბაზანები იქნება. შენ ჩემი მოზარე იქნები, ჩანჩო კი თანაშემწე გინდა?


- არა, მთა, მე ცოტა ხანს კიდევ დავრჩები. მერე კი უნდა წავიდე. დრო არა მაქვს.

- კარგი, მაშინ შენ და ჩანჩომ რაიმე საჩუქარი იყიდეთ თქვენთვის, - გვითხრა მთა ვანომ და ორას-ორასი დოლარი მოგვცა.

მე ნატყერი შევარჩიე და პირველად ჩემ სიცოცხლეში შევაკერინე კოსტუმი. მუქი ნაცრისფერი იყო, მხრები ასალ მოდაზე ჰქონდა, შარვალზე ნაოჭები დავაყრევი, როცა ვიცვამდი, ყველას ამერიკის მკვიდრი ვეგონე. ძალიან კარგი რამ გახლდათ. ჰიჯაკს ახლაც ვატარებ.

ჩანჩომ კი... არა, მისი თვალისა და მოშორება არ შეიძლება, ჩანჩომ ფული წაიღო და ისეთ რამეში გადაყარა, იმაზე უსარგებლოსა და გამოუყენებელს მთელი ქვეყანა რომ მოველო, მაინც ვერ იშოვიდა. მან საფლავის ქვა იყიდა თავისთვის.

**ბაზრამლევა
შემდეგ ნომერში**



პანტე

ნოდარ ნუღეისკირის
ნერაქვეული ოცნდვეული

მიხილ ჯავახიშვილს პირადი ტრაგედია გამოაქცევდა წერაქვიდან - დასა და დედას სადაც დაუხოცავდნენ, იქ სულიერ სიმშვიდეს კი არა, წონასწორობასაც ვეღარ ჰპოვებდა.

ნოდარ წულეისკირს პირადი ტრაგედია გააქცევდა წერაქვში - ეროვნულ ხელი-სუფლებას სადაც დაუმხოვდნენ და ქვეყნის პრეზიდენტს ჯერ განდევნიდნენ და შემდეგ სულაც სასიკვდილოდ გაწირავდნენ, იმ თბილისში სულიერ სიმშვიდეს კი არა, წონასწორობასაც ვეღარ ჰპოვებდა.

და წერაქვი ასე მოულოდნელად აღმოჩნდებოდა მწერლის თავშესაფარი - ერთი მწერლის დამკარგავი მეორის მასპინძელი მაინც... ოღონდ ისეთი პროზაიკოსის, ვინც ამ სახელს წარსული მოღვაწეობით უფრო ატარებდა, თორემ ისე ავად შემობრუნებოდა ბედისწერა, ამერიდან ეუღლს და უარყოფილს ტვირთად უნდა ეზიდა დაუწერელი, მკვდრადმოხილი პერსონაჟებისა და გმირების სახეები.

ჩემი მხრივ უთუოდ მოვერიდებოდი ამ ეპითეტს - მკვდრადმოხილი - თვითონ რომ არ ამოთქვამდეს უღრმესი ტკივილით.

სოფლის სკოლის მასწავლებლისათვის მწერლობაც უკვე დასრულებულიყო და სიცოცხლაც 1992 წლიდან.

არადა, სულ ცოტა ხნის წინათ იყო, ზვიად გამსახურდია კულტურის მინისტრობას რომ შესთავაზებდა, ამას ეძძებოდა ეს თანამდებობა და, უარს რომ მოასწებდა, თავს ამით იმართლებდა:

- მწერალი ვარ, ჩემი საქმე მაქვს, არ შემიძლია.

და გაიცინებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი:

- გოეთე ფინანსთა მინისტრი იყო, შენ ისეთი მწერალი ხარ, უარს რომ მეუბნები! ახლა კი...

- რა უნდა დამეწერა, ვისთვის უნდა დამეწერა? მათთვის, ვინც ტყვია მესროლა? პანტივდ გარდასახულიყო.

თუმც ახლა კი არა - პანტივდ ცაავა გახლდათ იმთავითვე, რაც ეს პერსონაჟი ჩაიფიქრა და „დავით აღმაშენებლის ქვა“ მისი სახის ირგვლივ აავო სიუჟეტად. საკუთარ თავს გამოხატავდა და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შეგნებულად მოხდა ეს თუ ქვეშეცნულად. თავის სულს აქსოვდა მის არსებაში, თავის ფიქრსა და განცდას უშურველად ჩუქნიდა და თავისი ბიოგრაფიული დეტალებიც სიმბოლურად გააზრებული შეჰქონდა მის თავგადასავალში.

და თურმე ცხოვრების გარეგნული წესითაც უნდა დამგავსებოდა თავის გმირს - მართლა გამხდარიყო სოფლის მასწავლებელი და სამუდამოდ შერწყმოდა ამ კოლხორიტულ პერსონაჟს, რათა მხოლოდ ასე მოეშუშებინა ის იარები, რომლებიც არ ჩანს, მაგრამ მათი გადატანა მართლო-

- გროხნოდან ჩამოსვლისთანავე შვილმა, ირმამ წერაქვში ამომიყვანა - აქედან იწყება ჩემი პანტივდ გარდასახვა.

ამა თუ იმ ქვეყნისა და ეპოქის მწერალი არაერთხელ შერწყმია საკუთარ პერსონაჟს მხატვრულ წარმოსახვაში, თუმცა უფრო ნაკლებ - ყოფით სინამდვილეში, მაგრამ ესეც მომხდარა, განა არა, შემოქმედს წინასწარჭვრეტის წყალობით თუ ქვეშეცნულად რომ უგრძობია თავისი მომავალი ბედი.

და ნოდარ წულეისკირსაც ნეტა თავიდანვე უკარნახებდა ილუმალი ხმა, ოდესმე შენს პერსონაჟად გარდასახებო?

ბაში თუა შესაძლებელი.

ამუშავებდა მიწას საკარმიდამო ნაკვეთზე, მოჰყავდა მოსავალი და მარტო რჩებოდა წლების განმავლობაში.

- ბუნებას, მასთან შერწყმის უნარი თუ გააჩნია, ადამიანის გაცოცხლება ძალუძს. წელი წელს მიეგებოდა, სეზონი სეზონს, თანდათანობით მოკვდა ჩემში მწერალი, ცოცხლობდა პანტივ.

ეს არ იყო სახალისო, თამაშ-თამაშა შრომა, მართლა უნდა გარჯილიყო და ეგრძნო შრომის დამქანცველობაც და ისიც, თუ რას განიცდიდა ვაჟა-ფშაველა, მიწას რომ შეებოდა - არც იმას რჩებოდა სინანულისა თუ სასოწარკვეთის დრო და გამოკიდებულიყო ცისა და მიწის ამარა.

ნოდარ წულეისკირის ცნობიერებაში კი ხელშესახებად ჩნდებოდა თავისი მხარის ნოსტალგია, თავსხმა წვიმასა და სინესტეში მაინც განსაკუთრებით აფორიაქდებოდნენ ხოლმე ყრმობისა და ახალგაზრდობის მოგონებანი და თითქოს თვალნათლივ ხედავდა თავის ბავშვურ გატაცებასაც.

მაინც რას შეეძრა ყველაზე მეტად მისი გული და რას აღეტაცა ასერიგად, სიბერეში შესულს ერთ ყველაზე ნათელ სურათად რომ გადაშლოდა გონების მზეურის წინაშე?

რას და:

შაშვის ბარტყების დარაჯობას.

ვის რა საქმე გასჩენია ბავშვობაში თავისებურ თამაშად, ამას კი - ეს, ასეთი უჩვეულო და მოულოდნელი.

ახალშეღინდელულნი და მოზრდილნი ბუდეში რომ ვეღარ ეტეოდნენ და ხშირად ვარდებოდნენ იქიდან, ასეთი ბარტყი განწირული გახლდათ - ან კატას უნდა შეესანსლა, ანდა რომელიმე სხვა მტაცებლის მსხვერპლი გამხდარიყო. პატარა ნოდარი კი ამოიჩემებდა განწირული ბარტყის გადარჩენას - წაიყვანდა შინ და ზრდიდა, უჭერდა კალიებს, აღიზიარებდა და თვალს ადევნებდა, მოყოჩაღებულნი ნელ-ნელა როგორ იწყებდნენ ფრენას, ჯერ მცირე მანძილზე რომ დაფრთხილებდნენ, ვიდრე გამოდიდნენ ნახშირივით შავ, უკვე საკმაოდ მოზრდილ ფრთებს და აიჭრებოდნენ ზეცაში.

მოზინაურებულს, ცხადია, სახელიც უნდა რქმეოდა და, როგორც წესი, შოშიტას არქმედა.

დიდი მოვლა-პატრონობისა და ზრუნვის მიუხედავად, მაინც ხშირად ეხოცებოდა? მაგრამ რამდენიმე შოშიტას ხომ მაინც გაზრდიდა.

და ახლაც შოშიტების გაზრდის პროცესი უნებლბედა გულსაც და ჰმატებდა ძალასაც და სიმხნვეესაც, რათა მიწას მიჯაჯვოდა ისე, როგორც ამ მიჯაჯვის წესია.

თუ რას განიცდიდა ვაჟა-ფშაველა, მიწას რომ შეებოდა...

ეგაა, იმას აქეთ-იქიდან მისეოდნენ თავისი პერსონაჟები და არ აცლიდნენ გულმშვიდად გარჯას, უეცრად რომ მიჰყრიდა ცელსა თუ ბარს და კალამ-ფურცლის ასაღებად გამოეჩქარებოდა, რათა წერაში ჩაფლულს ახლა წუთისოფლის ქარის შემამრწუნებელი სისინი ეგრძნო და კვლავ მიწას მივარდნოდა ჟინით ანთებული.

ნოდარ წულეისკირს აღარ აწუხებდნენ თავისი პერსონაჟები - ყოველ შემთხვევაში ისე აღარ, სამუშაო იარაღები რომ მიეყარა.

კიდევ კარგი, რაღაც ახალი ნაკადი რომ დაიძვროდა მის სულში - პანტივდ გარდასახვა და ბავშვებთან ურთიერთობა სხვა სიყვარულის მარცვალს გააღივებდა მასში.

ჟურნალისტებისათვის ეგზოტიკურ არსებად გადაიქცეოდა და ხან ვინ ჰკითხავდა და ხანაც ვინ: რატომ მიატოვეთ მწერლობა, ქალაქს რატომ გაერიდეთ?..

და ამას უკვირდა, ნეტა რატომ ჩამციებიან, ნუთუ თავისით ვერ უნდა მიხვდნენ, რომ საზოგადო მოღვაწე ნოდარ წულეისკირმა რაც შეეძლო, ყველაფერი იღონა, მწერალმაც იქამდე იშრომა, ვიდრე მიაჩნდა, ჩემი წვალება ფუჭი არ არისო.

ტყვიის მიღების შემდეგ კი უნდა დაესრულებინა და კიდევ დაასრულებდა ცხოვრებას, რომლითაც მანამდე ცხოვრობდა, და დაიწყებდა ახალს - იპოვებდა ადგილს, სადაც საჭირო იყო.

ვისთვის უნდა დამეწერა, მათთვის, ვინც ტყვია მესროლა?..

ბოლოს ზუთნი გამოვიდოდნენ იმ ეგრეთწოდებული ბუნკერიდან: ძმები პეტრიაშვილები, მარნეულის იმდროინდელი გამგებელი, ერთი ქალბატონი და ნოდარ წულეისკირი.

- უნდა გავქცეულიყავით თბილისიდან,

მაგრამ საით, არ ვიცოდით.

ცენტრალურ ქუჩებს მშვიდობიანად გაივლიდნენ, მიუახლოვდებოდნენ თბილისის გარეუბანს და... აი, იქ უკვე ტყვიებს დაადევნებდნენ.

ქალი ერთ ოჯახს შეაფარებდა თავს, ესენი კი ვხას გააგრძელებდნენ და ტყვიებიც თან გამოჰყვებოდათ, სიბნელეში ცეცხლის ნაპერწკლებით რომ რიალებდნენ ჰაერში.

ტყვიების ზუზუნში ქალაქის შემოგარენიც რომ გამოჩნდებოდა და დანარჩენები გადაწყვეტდნენ: ეს მთა გადავიაროთ, - ნოდარ წულგისკირი განუცხადებდათ:

- უჩემოდ წადით, მეტი აღარ შემიძლია, ჩემიანებთან შინ გავბრუნდები, მომკლავენ და მომკლან.

და კიდევ ამოეფარებოდა რაღაც ნაგებობის კედელს და დაელოდებოდა ცეცხლოვანი ტყვიების ჩაწყნარებას. დიდხანს კი მოუწევდა მოცდა, მაგრამ სხვა რა უნდა ელონა... ცოტა ხანში კი შეშლილი და განწირული კვილით ვიღაცის ლანდი გაივლებდა მის თვალწინ: იქ კაცები ჩაცხრილეს! ჩაცხრილესო!..

ეს გახვევებზე იდგებოდა და მთელ სხეულში სიმწარე დაუვლიდა იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძლოა მისი მეგობრები ჩაცხრილათ. ამასობაში კიდევ იცისკრებდა. და ეს თავისი ბინისაკენ რომ გამოსწევდა, არავის და აღარაფერს მოერიდებოდა - თუ მსროლელი გამოჩნდებოდა, ვერ წაუვიდოდა და აღარც ანალვლებდა.

და შინ კი მიადწევდა ცოცხალი, მაგრამ მიხვდებოდა, რომ აქედან გადახვეწის გარდა სხვა გზა აღარ დარჩენოდა.

და დედაქალაქსა და მწერლობას ერთად გამოეთხოვებოდა გუნებაში.

თუ რაიმეს დაწერდა, წერილებს საქართველოს მეორე პრეზიდენტის, ტრანსპორტის მინისტრის, მარნეულის რაიონის გამგებლის, „ღია საზოგადოება-საქართველოსა“ თუ რედაქციის სახელზე, და ყველას - მარტოდენ წერაქვის სკოლის გადასარჩენად და მისი ყოფის გასაუმჯობესებლად... და კიდევ რეცენზიას აკაკი ბაქრაძის ბიოგრაფიულ რომანზე გრივოლ რობაქიძის შესახებ - „კარდუ“, რომლის ანალიზიც პირწმინდად ლიტერატურული არ იქნებოდა და პოლიტიკურ პაემლებსაც ამიტომ დაემგანებოდა, მითუქვს, მისი შთამბგონებელი გახლდათ არა იმდენად სამწერლო ინტერესი, რამდენადაც ნოსტალგია იმ მძაფრი ჰიდილით აღბეჭდილი დროისა, როდესაც ეს ორნი თავგანწირვით უპირისპირდებოდნენ იმჟამად ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ელუარდ შვეარდნაძეს ქართული ენის სახელმწიფოებრივი უფლების გადასარჩენად.

და კიდევ ამოიზიდებოდა ხსოვნის კუნჭულიდან ტრიბუნაზე აღმართული აკაკი ბაქრაძის სახე და ის დაუვიწყარი სიტყ-

ვები: თუ არ შეგვიძლია შევცვალოთ კრემლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ქართული ენისათვის კონსტიტუციური უფლების ჩამორთმევის თაობაზე, ის მაინც შეგვიძლია, რომ უარყოთ ეს კონსტიტუცია. ამით ჩვენ მართლმადიდებელი შთამომავლების წინაშე, გავაგებინებ ჩვენს ხალხს, რომ ქართული მწერლობა მკვდარი არ არის და ქართულ ენას არაფრისდღებთ არ დათმობსო.

ახლაც ყურში ედგა, აკაკი ბაქრაძის ჩამოსვლას ტრიბუნიდან რამხელა ტამისცემა მოჰყვებოდა - კინაღამ დაინგრეოდა დარბაზი. და ამ გადასახედიდან როგორ არ დაედასტურებინა კიდევ ერთხელ, რომ იმ დღეს ყველა მწერალი გრაალის მცველი იყო და ამიტომ გადაარჩინეს გრაალი!

იმ რეცენზიას სუსხიან ანვარში წერდა, მუხლამდე თოვლი რომ იდო და მოძრაობა თითქმის შეწყვეტილიყო. და ასეთ დროს უეცრად უნდა გამოცხადებოდა ახალგაზრდა ქალი და მისთვის წინ დაელო ქალადღების სქელი დასტა - პირველი გვერდი თხოვნა-წერილი იყო, დანარჩენი - ხელმოწერები. ხელმოწერები ითხოვდნენ აკაკი ბაქრაძის გადასვენებას მთაწმინდაზე. და ამას სხვა რა შეიძლება გაეფიქრებინა, თუ არა: ჩემი მეგობრის მიერ გადავლებული კეთილი თესლი ნოყიერ ნიადაგში ჩაფლულაო!..

და ფიქრს ფიქრი მიედევნებოდა: არ არის ყველაფერი დაკარგული, იმედი და რწმენა მართლა გადარჩენილია, მერე რა, რომ პატრიოტები სულს დაფავენ და კოსმოპოლიტები ზეიმობენ. მოვა დრო და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ამათ - მოულოდნელ სტუმარსა და სხვა ხელისმომწერო - უნდათ. დრო მოიტანს ამას, მთავარია, შევინარჩუნოთ გამძლეობა და გადავარჩინოთ რწმენა-იმედი, სწორედ რობაქიძისეული გრაალიო.

მოგვიანო მინაწერი მხოლოდ ამ რეცენზიას არ მიედევნებოდა, სხვა თხოვნა-წერილებსაც დაერთოდა, რაკილა გამოძეგლობა „ინტელექტი“ აიძულებდა - სწორედაც აიძულებდა - „ჩანაწერების“ სერიისათვის მასაც, მწერლობას ჩამომორებულ ნოდარ წულგისკირსაც შეემატებინა თავისი წილი თხზულება და ასე შემობრუნებულ იყო სალიტერატურო ასპარეზზე.

ის დოკუმენტები არამარტო ერთი სოფლის სკოლის, არამედ მთელი იმ მხარის ყოფით ცხოვრებასაც რომ აირეკლავდა და მინაწერები ამ რეალობას კიდევ უფრო ცხადლივ წარმოსახავდა, არაერთი ნაფიქრიც გადაინაცვლებდა ფურცელზე და ასე შეიქმნებოდა არცთუ მოზრდილი, მაგრამ საკმაოდ ტევადი წიგნი „ოცი წელი წერაქვში“, როგორც მწერლის სულიერი ბიოგრაფიის დოკუმენტი და ქვეყნის ისტორიული ცხოვრების ქრონიკა - იმ მიუკერ-

ძობლობით აღბეჭდილი, რაც მოსალოდნელი გახლდათ ნოდარ წულგისკირის დარი ღირსეული პიროვნებისაგან.

როდესაც ნაწული შევარდნაძე ესტუმრებოდა წერაქვს და თავს გამოიღებდა ამ სოფლისთვისაც და მისი სკოლისთვისაც, პირველი ლედის პატივსაცემად გამართულ სუფრას ნოდარ წულგისკირი უთამაძებდა და, მადლობას რომ მოახსენებდა სიკეთის გაღებისათვის, ვერ მოითმენდა და დასძინდა:

- ჩემს პოლიტიკურ პოზიციას სიცოცხლის ბოლომდე მაინც ვერ შევიცვლი.

ამ სიტყვებზე სტუმრის ამაღა შეიმუშნებოდა, მაგრამ შემუშვნა და შეჩქვინება მერე უნდა გენახათ, როდესაც ქალბატონი ნაწული თამაძას ასეთ პასუხს დაუბრუნებდა:

- ბატონო ნოდარ, თქვენნაირი ერთგული თანამებრძოლი ჩემს მუშაღეს ერთი მაინც რომ ჰყავდეს, მასზე აღარ ვინერვიულებდი. რაოდენ გულსაკლავი ამონათქვამია: ერთი მაინცო...

მართლა ერთგული ადამიანი ენატრებოდა, თორემ ასეთი ფრაზები მასაც არაერთი მოესმინა, თუნდ წერაქვში ახლა უკვე ეღუარდ შევარდნაძის სტუმრობისას იზა ორჯონიკიძე ძალიან რომ გამოიღებდა თავს:

- შენთვის ტყვიას შევუშვერ შუბლს.

თუმც მის ძღვეღარებას იქვე ჩაამომშინებდა ჯანსუღ ჩარკვიანის მახვილი ფრაზა:

- რა ვიცი, შევარდნაძეზე ტერორისტული თავდასხმა უკვე ორჯერ განხორციელდა, მაგრამ შენ იქ არ დამინახიხარ.

ამ სტუმრობისას პრეზიდენტი თან რომ იახლებდა თბილისის თითქმის მთელ ინტელიგენციასა და დიდ დაცვას, ნოდარ წულგისკირისათვის ეს ზომ ის ადამიანები იყვნენ, ტყვია ვისაც დაემინა მისთვის.

სხვა შემთხვევაში გაერიდებოდა აქაურობას და მაღალ სტუმარს სათოფეზვდაც არ გაეკარებოდა, თუკი ეცოდინებოდა, სიტყვის თქმის უფლებას არავინ მომცემსო, ხოლო თუ საჯაროდ გამოსვლის იმედი გაუჩნდებოდა, ისეთივე მკაცრი იქნებოდა მისი გამოსვლა ელუარდ შევარდნაძის წინაშე, როგორც სჩვეოდა და აკი ისე გავეული-სებინა იმ მწარედ მოსაგონარ 70-იან წლებში, „მონანიების“ გადაღებისას თენგიზ აბულაძეს თვითონვე შესთავაზებდა ნოდარ წულგისკირი - ფილმი რომ არ დაბრკოლდეს, ტიტრებში ჩემს სახელს ნუ მოიხსენიებო.

არადა, „მონანიება“ მისი იმ სიუჟეტით შთაგონებულიყო (ცოდვილი მიცვალებულის ამოთხრა საფლავიდან), რომანს რომ დაედებოდა საფუძვლად - „ათორებს“, რომლის პირველი ნაწილიც 1997 წელს... ელუარდ შევარდნაძის ფონდის წყალობით გამოიცემოდა, თანაც მანამდე საქართველოს მეორე პრეზიდენტი უცხოელ კორესპონდენტთან საუბრისას „მონანიების“ სცენარის ერთ-ერთ ავტორად ნოდარ წულ-



ნოდარ წულეისკირი, მუხრან მაჭავარიანი, გურამ ჰატირაშვილი, ზვიად გამსახურდია

ლეისკირს დასახლებდა.

არადა, იმ შემხარავი და ფილმისთვისაც ასერივად შთაბეჭდავი სიუჟეტური ქარგის მიმგნების გასაიდუმლოება დროის გადასახედიდან კომიკურიც რომ გამოჩნდებოდა, მწერლის უბის წიგნაკის ჩანაწერები-თაც დასტურდება.

თუ იკრიბებოდნენ თენგიზ აბულაძესთან, ეს ხდებოდა უსათუოდ ღამით და იმ ოთახში არ სხდებოდნენ, ტელეფონი სადაც იდგა. ხოლო როდესაც რეჟისორი სტუმრობდა ხილიანის ქუჩაზე, ბინაში საერთოდ არ შედიოდა: აქ ყველაფერი ჩართულიაო, - ჩუმად გაჰყავდა შინიდან და „მზიურში“ ჩადიდნენ, მოძებნიდნენ მყურდო, უკაცრიელ კუთხეს და იქ არჩევდნენ ეპიზოდებს სცენარისათვის. უმთავრესად ემინოდათ ალექსი ინაურისა და საერთოდ უშიშროების კომიტეტის, რომელთანაც ნოდარ წულეისკირს ისედაც გართულებოდა მდგომარეობა, და ერთხელ მისთვის მძიმე საგანიც ჩაერთყათ თავში და გაეფრთხილებინათ: ვინმესთან თუ წამოგცდება, უარესს ელოდეთ. ეს კი, ვინმესთან კი არა, სულაც მწერალთა სასახლეში გამართულ თავფრილობაზე მოყვებოდა ამ ამბავს და გულმშვიდად დაელოდებოდა მუქარის აღსრულებას.

ამჯერად კი შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდებოდა - ფილმს ორჯერ დააპატიმრებდნენ. მანამდე კი კინოსტუდიის დირექტორის მოადგილესთან დარეკავდნენ „იქიდან“: რა უნდა ნოდარ წულეისკირს თენგიზ აბულაძესთანო. და რაკილა მალეული შეხვედრებიც ჭირდა, რეჟისორი გადაწყვეტდა, რომ ფილმს ბევრი ავტორი ჰყოლოდა - ასე შეუერთდებოდათ ჯერ მისი

რძალი, თეატრალური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი ნანა ჯანელიძე („სადიპლომო სჭირდება და ბარემ ჩვენთან შეასრულოს ეს სამუშაო“), შემდეგ კი რეზო კვესელავაც, გამოცდილი კინოსცენარისტი.

ფილმის პირველავტორები კი საზოგადოებაში ერთმანეთს არ ესალმებოდნენ. ერთხელ ერთად მოხვდებოდნენ პანაშვიდზე და ვითომ ერთიმორეს არ იცნობდნენ, ცალ-ცალკე იდგებოდნენ. ეს შეატყობდა თენგიზს მოუსვენრობას - წამდაუწუმ რომ აუვლ-ჩაუვლიდა. იფიქრებდა: ალბათ რაღაცის თქმა უნდაო, - და გაყვებოდა. როგორც კი დაიმართლებოდა, რეჟისორი გაუწყობდა: განიშნებ თვალით, თავით, როგორ ვერ ხვდები, რომ შენთან შეხვედრა მინდაო.

როდესაც ფილმს ჩაუშვებდნენ, ნოდარს ჰონორარს როგორ გამოუწერდნენ, როდესაც არსად, არცერთ დოკუმენტში მისი გვარსახელი არ ჩანდა? მოხერხდებოდა ისე, რომ ჰონორარი აკაკი ბაქრაძის ხელით გამოეგზავნათ, ხოლო გადაღების პროცესშიც რომ უნდა ემუშავა სცენარზე, ლეილა გორდელაძის ფილმზე გააფორმებდნენ რედაქტორად და ხელფასს ამ გზით მისცემდნენ.

იმდროინდელი ნოდარ წულეისკირის ზოგადი, ზუსტი შტრიხებით გამოკვეთილი ლაკონიური პორტრეტი ასე შემორჩებოდა რეზო ჭვინგილის დღიურებს, 1983 წლის 6 აპრილს რომ ჩაინიშნავდა მასთან შეხვედრას კინოსტუდიამო:

- რას აკეთებს, აღარ ვეკითხები. წავიყვან თქვა, მანქანა შევთავაზე იმ დღეს, არ ჩამოვდა, გზას არ გაგამრუდებო. მარტოხელა, გარიყული მგელივითაა. დიდი პორტფელით

დააბიჯებს სრულიად მარტო.

აქაც კი, მილიონიან ქალაქში მარტოხელა და გარიყულ მგელს დამსგავსებია და ყველასაგან მივიწყებულ სოფელში რალა გასაკვირია მისი ის ამოკეტვა საკუთარ თავში...

* * *

„მონანიება“ მისი სიუჟეტით შთაგონებულიყო...

თენგიზ აბულაძეს ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა თუ არა, უკვე გაამჟღავნებდა ფილმის ანონიმი ავტორის ვინაობასაც.

ეს დავიდარაბა არ მოხდებოდა, ელჟარდ შევარდნაძეს ამომიზნებელი რომ არა ჰყოლოდა ნოდარ წულეისკირი, და ახლა რარიგ შემოტრიალებულიყო წუთისოფელი, რომ საქართველოს მეორე პრეზიდენტთან მიწერილი წერილი ბევრ სასიკეთო საიხლეს მოუტანდა სკოლას, რომელსაც უპირველესად მაინც ავტობუსი ესაჭიროებოდა, რადგანაც ძველი ავტობუსი თანდათან ჯართად გადაქცეულიყო და სექტემბრიდან პედაგოგები უკვე ვეღარ ივლიდნენ თბილისიდან წერაქეში. ასეთი უმნიშვნელო საკითხისათვის ღირდა განა პრეზიდენტის შეწუხება? თურმე აუცილებელიც გახლდათ, რადგან მის ჩაურევლად ესეც კი ვერ მოგვარდებოდა, ახლა კი სკოლასაც უნდა ამოესუნთქა, სოფელსაც და მთელ მხარესაც.

- ბატონო პრეზიდენტო, სულიერ უდაბნოში 65 წლის მწერალს ხელში თოხნი მიჭირავს ჩემს მოწაფეებთან, მათ მშობლებთან ერთად, ვთოხნი სამ ჰექტარ მიწას, გეგბ სიმინდი მოვიყვანო, მერე ის გაყვი-

ლო და ბავშვებს წიგნები უყუილო, სკოლას სახურავი გამოუცვალა და ა.შ. ყველაფერ ამას ჩვენ ავიტანთ, ოღონდ ის მასწავლებლები, რომლებიც ასეთი დავიდარაბით ჩამოვიყვანეთ თბილისიდან, ისევ არ დაგვეფანტონ.

ამ ბარათს ჯავახიშვილობის გრანდი-ოზული ზეიმი რომ მოჰყვებოდა, ამას გარდა პრეზიდენტი სკოლას გადასცემდა 10 000 ლარს, რისი შემთავებითაც ტრაქტორს შეიძენდნენ... თუმც უნიფათოდ ვერ გადარჩებოდნენ - ტრაქტორის შეძენისას თაღლითებს გადაეყრებოდნენ, ისინი კი უკეთესს რას იზამდნენ და... ჯართად ჩამოწერილ ტრაქტორს შემოაჩვენებდნენ, რის ვაივაგლახით რომ შეძლებდნენ ჯართის უკან მიბრუნებასაც და თანხის გამოგლეჯასაც.

ის წერილი კი, გაზეთ „ახალი საქართველო“ ფურცლებიდან რომ გაუგზავნიდა „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (სათაურშივე გაიტანდა: ყველაზე დახურული და ბნელი საზოგადოება!) მისთვის ჩვეულ მძაფრ პუბლიცისტურ სტატიად წარმოგვიდგება და არა მხოლოდ გულისწყრომის გამჟღავნებად - რატომ არ ერგუნა წერაქვის სკოლას კომპიუტერი. წერილი ამიშვლებდა სოროსის ქველმოქმედების მოჩვენებითობას და შორს გამიზნულ პოლიტიკური ზრახვებს, სულ მალე რომ უნდა გამოეყო დამლუპველი შედეგი ჩვენი ქვეყნისათვის.

ეს მარცხი მისთვის მეტად პრინციპული იმიტომ გახლდათ, რომ პირად კონკურსში კი არ დამარცხებულიყო და მისი მოთხოვნები კი არ დაეწუნებინა ვინმეს, დაიწუნეს წერაქვის საქმე.

- წერაქვის საქმე მართლ ჩემი პირადი საქმე არ არის, ვისაც ესმის, ის საერთო ქართული საქმეა. ამიტომ ჩამაბარეს. მე არ მითხოვია თბილისისათვის სამსახური, აქეთ მთხოვეს.

და დაბეჯითებით აცხადებს, საერთო ქართული საქმე რომ არა, სოროსის გრანტს არ ვითხოვდიო. და უფრო მკაცრადაც და მწარედაც:

- ძველი კავებეს მსგავს დაწესებულებას მე სამათხოვროდ ხელს არ გავუწვდიდი.

ის კი არა, დაიმუქრებოდა: ამ წერილს ვთარგმნი და ჯორჯ სოროსს გავუგზავნი მოთხოვნით: გააუქმოს ეს საზოგადოება და ახალი შექმნას, ვისაც ეცოდინება საქართველოს ჭეშმარიტი ფასიო.

მოკვირანო მინაწერში აღნიშნავდა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ეს მღელვარებით აღსავსე წერილი წაეკითხა ოთარ ჩხეიძეს, მოთათბირებოდა თავის შვილებს, დაერეკა რედაქციაში და შეეტყობინებინა, რომ ჩხეიძეთა ოჯახის ერთობლივი გადაწყვეტილებით, წერაქვის სკოლას იმ დროისათვის საუკეთესო კომპიუტერი ექნებოდა. მართლაც ორიოდ კვირაში ეწვეოდნენ სა-



ნატრელი საჩუქრით და, გარდა კომპიუტერისა, სკოლას წიგნებსაც ჩაუტანდნენ.

- ამ მეგობრული და კარგი ადამიანური აქტით მათ სინათლე შემოიტანეს ჩემს საცოდავ სკოლაში. ჩხეიძეების ჩამოსვლითა და მათი განუყოფელი საჩუქრით წერაქვის სკოლისათვის ახალი სიცოცხლე დაიწყო.

ნატრელებად გადავიდოდა წიგნის ფურცლებზე მეტუარული ჩანაწერები თავის პერსონაჟად გადაქცეული მწერლის ყოფიდან, ეპიკას განდგომიდა და ლირიკულ ჩანართებში მოიხსებდა გულს, ისიც გამოცემლობა ძალიან რომ შეუჩნდებოდა.

არადა, უბის წიგნაკში გაუღებულ და მიმოფანტულ სახეთაგან არაერთი შეიძლება გამხდარიყო მისი მოთხოვნისა თუ რომანის პერსონაჟი, ყოველ შემთხვევაში ავტობიოგრაფიული რომანის ფურცლებზე კოლორიტულად და კანთილად წარმოსახულიყო.

აგერ უცხოელი ჟურნალისტი გაოგნებული მისჩერებია ძველებურ ნაკვერჩხლის უთოს და მოწონების ნიშნად ამბობს: რა იშვიათი ანტიკვარი გქონიათო, - რის პასუხადაც მასპინძელმა არცთუ სახარბილო ვითარება უნდა გაუმხილოს: ამ იშვიათ ანტიკვარს ხშირად ვიყენებთ, რადგანაც შუქი არა გვაქვს ხოლმეო. ჟურნალისტმა კი თარჯიმანს რამდენჯერმე უნდა ჩაჰკითხოს და უსაყვედუროს კიდევ: სწორედ ვერ მითარგმნი რაღაცას, თორემ სამუხეუძო ნივთზე ასეთ რამეს როგორ მეტყვოდნენო.

აგერ ქართველი ჟურნალისტი იმით უნდა დაინტერესდეს, თუ რატომ აღარ წერს აღიარებული მწერალი, ვინც - ამ

შეკითხვით გაბზრებული - ამჯერად იუმორს მოიმარჯვებს: თაბახის ფურცელი არ გამაჩნია და იმიტომო. იმას გულში ჩარჩებოდა ეს სიტყვები და ერთ შეკვრა თაბახს რომ გამოუგზავნიდა, თან შემოუთვლიდა: იქნებ ახლა მაინც დაწეროთ რაიმე, თუ მართლა თაბახის უქონლობა ნამდვილი მიზეზიო.

ეს... სასოებით შემოიტანდა თაბახის იმ ლურჯ შეკვრას და საწერ მაგიდაზე დაიდგა.

აგერ საპატრიარქოს ტელევიზია სტუმრებია ახალ ნაავადმყოფარს, ინსულტის გადატანის შემდეგ მეტყველება ჯერაც რომ უძნელდება. აბო ტფილელზე იღებდნენ ლოკუმენტურ ფილმს და მისი ჩაწერა სურდათ, როგორც რომანის - „ღვწილი და წამება აბოსი და იოანესი“ - შემქმნელისა. ჩაიწერდნენ ინტერვიუს და მალევე გაბრუნდებოდნენ, მასპინძელს კი განსაკუთრებით დაამახსოვრებოდა ეს სტუმრობა და უბის წიგნაკში დღითარამად ამოსკდებოდა, ცხადია, არამარტო იმწუთიერი შთაბეჭდილებას:

- ეს მუდამ ასე იყო: ადამიანები, რომლებიც საპატრიარქოს ირგვლივ ტრიალებენ, ნამდვილად გამოირჩევიან, მათ ათასშიც კი გამოარჩევს მცოდნე თვალი. იშვიათი ხალხია, ყოვლად უბოროტონი და მშვიდნი. ღმერთმა ქნას, რომ საპატრიარქოს მიდამოებში უფრო ბევრი და ბევრი ადამიანი დაიარებოდეს.

სულიერად თვითონაც იქ ტრიალებდა, საპატრიარქოს ირგვლივ, იმ მიდამოებში დაიარებოდა - სიჯიუტით, ტანჯვითა და წვალბით. თუკი ვინმეს დახმარება მოუნდომებია, უსათუოდ დიდი ბრძოლით უნდა მიეღწია, ხშირად კი ვერც აღწევდა მიზანს.

- საკუთარი პრინციპები სხვისი გულისათვის არაერთხელ გადამიდა გვერდზე, მაგრამ მათთვის არასოდეს მიღალატია...

ამ ხნეობრიობით წარმოდგება ჩვენს წინაშე ჩანაწერების ამ ციკლის - „ოცი წელი წერაქვში“ - ავტორი, ვინც იმიტომაც შეცვლიდა მტკიცე გადაწყვეტილებას - მიეტოვებინა წერა - და კვლავ დაუბრუნებოდა მწერლობას, რათა წინ წამოეწია თავისი ქალიშვილის - ირმა წულეისკირის - ის პატარა დიდი საქმეები, რომლითაც მას შეეძლო ესულდგმულებინა გარემომყოფნი; და ამასთან ერთად ქრებებინა ადამიანური საქმეები, რომელთა კეთებაც ამა თუ იმ მიზეზთა გამო ავიწყლებათ ხოლმე.

საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ფირმა „კრიალოსნის“ დაფუძნება უნდა დაკავშირებოდა ირმა წულეისკირის სახელს, მამასთან ერთად განათლების ლამპარს რომ აანთებდა ამ მივარდნილ და სახელმწიფოსაგან მიტოვებულ მხარეში, და მის შვილს - თათიას - უნდა აღედგინა ამ ფირმის საქმიანობა დედის მოულოდნე-

ლი აღსასრულის შემდეგ - 2012 წლის 18 სექტემბერს ტელევიზიით ნაჩვენები ციხის შემხარავე კადრების ნახვა რომ აღმოჩნდებოდა ირმასათვის საბედისწერო...

თათია უნდა ამოდგომოდა მხარში პაპასაც უბის წინეაკის ჩანაწერებისათვის ლიტერატურული ფორმის მინიჭებისას, რადგანაც ოთხმოც წელს გადაშორებული ინსულტგადატანილი მწერლისათვის დამოუკიდებლად წერაც საძველო შეიქნებოდა. დასაბუთებული მიზეზი ჰქონდა, რატომ აეღო წერაზე ხელი.

და ახლაც დასაბუთებული მიზეზით მოემარჯვებინა კალამი.

- მე ზუსტად ვიცი, ამჯერად ვისთვის და რისთვის ვწერ.

და წინასწარვე იხილავდა იმ სურათს, წუთისოფლიდან გამეზავრება თვითონაც რომ მოუწევდა, იმქვეყნად პირველყოვლისა ირმას რომ მოძებნიდა და უსათუოდ ჰკითხავდა:

- როგორ ხარ, შე ადამიანო?!

შე ადამიანო...

რაოდენ ნაცნობი, გაცვეთილი და, ამავდროულად, უცნობი და შეუბღალავი სიტყვაა, რომელიც ნოდარ წულუკისკირის მწერლად ხელახლა დაბადების მეგზურად ქცეულა იმ გულსიმომკვლელ სინამდვილეში, სადაც ბევრს დავიწყებია ადამიანის რაობა. და რა შეიძლება ესურვებინა თვისტომთათვის ღირსეული გზის გამომვლელ მწერალს, თუ არა:

- ყველას ადამიანობა შეგაძლებინოთ ღმერთმა!

* * *

შაშვის ბარტყები ხშირად ცვიოდნენ ბუდიდან და ეს მათ უთუო სიკვდილს ნიშნავდა - რა იხსნიდათ კატიისა თუ სხვა მტაცებელთა ბრჭყალებისაგან?!

მაგრამ გადამრჩენად უნდა მოვლენოდით პატარა ბიჭი, ვინც თავისი სიყმაწვილის მისიად მიიჩნევდა მათ გაზრდა-ძოლონიერებასაც და ჰერში ატყორცნასაც, რათა შოშიტებს ეგემათ სილაღე და თავისუფლება, ეგრძნოთ ღვთისაგან ბოძებული სიცოცხლის მშვენიერება.

ეს ნოდარ წულუკისკირის ბავშვობის-დროინდელი თამაში გახლდათ - შაშვის ბარტყების გადარჩენა, და სხვა აღარც აღარაფერი უნდოდა, დადარაჯებოდა მათ გადმოცვენას ბუდიდან, რათა ციმციმ გაექროლებინა შინ.

ყველას ადამიანობა შეგაძლებინოთ ღმერთმაო, - ჯერ კიდევ იმ თამაშში გამოწვრთობილიყო ეს შეგონება, იმხანად უფრო ბუნდოვნად ნაგრძნობი, ვიდრე გამოიკვეთებოდა, სიტყვიერ გარსს მორგებდა და თავისებურ გვირგვინად დაადგებოდა იმ პატარა ბიჭის მხატვრულ ხილვებს, ცხოვრებასა და ღვაწლს.

როსტომ ჩხეიძე



ბედისშეიძლება
ანტიფეიქტატი



დავან
ბარძანოვანი
გონილი

1969 წლის 20 ივნისის ადრიანი დილა დგას. მიუხედავად იმისა, რომ ხარკოვი ინდუსტრიული ქალაქია და დღეს პარასკევია, სამუშაო დღე, ქუჩაში მოძრაობა მაინც არ არის, რაც უნდა იყოს, მაინც ძალიან ადრეა. ამასობაში კოსმონავტების ქუჩაზე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლთან სამი მანქანა ჩერდება. მანქანებიდან სერიოზული იერის ადამიანები აუქჩარებლად გადმოდიან და საქმიანი ნაბიჯით მიაშურებენ პირველ სადარბაზოს. სულ თერთმეტი ადამიანი - ორი გამომძიებელი, შვიდი თანამშრომელი და ორი „მოწმე“ ანუ „შემთხვევითი გამვლელი“, რომელმაც ღამე ამ თერთმეტთან ერთად გაათენა ხარკოვის უშიშროების საოლქო განყოფილებაში. ორი კაცი ქვემოთ რჩება, დანარჩენები მესამე სართულზე აღიან. მოქმედებენ ღიჯად, წყნარად და აუღელვებლად, ფაციფუცის გარეშე, უტყობათ, რომ იციან თავისი საქმე. თანამშრომლები პოზიციებს იკავებენ კიბეზე ზემოთ და ქვემოთ. როგორც კი დისპოზიცია გარკვეულია, მთავარი გამომძიებელი ზარს აძლევს. ბინიდან მოისმის ზარის ხმა, მაგრამ პასუხი არ არის. კიდევ ერთხელ აძლევენ ზარს. გამომძიებელი იღიმის და კარზე აკაკუნებს ზომიერად, აუქჩარებლად და აუღელვებლად.

- ალთუნიან, გააღეთ! - მუქარის გარეშე ამბობს მთავარი გამომძიებელი. ასი პროცენტით იცის, რომ სახლშია ალთუნიანი. მოსულია სიგნალი. იცის, როდის დაბრუნდა გუმინ სახლში, საიდან დაბრუნდა და რატომ დაბრუნდა. იცის, რომ ამ დღით არსად გასულა და, საერთოდ, ბევრი რამ იცის. ბინიდან ხმა არ ისმის. - გააღეთ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან ვართ!

მეზობლის კარი იღება და იქიდან შემინებული მოქალაქე გამოიხედავს. მთავარი გამომძიებელი ანიშნებს და ერთ-ერთი თანამშრომელი მოქალაქეს საკუთარ ბინაში აბრუნებს, მასთან ერთად შედის და კარს საიმედოდ გაიხურავს.

- ალთუნიან, ვიცით, რომ სახლში ხარ! - ახლა უკვე თითქმის მთელი ხმით ამბობს მთავარი გამომძიებელი. ერთი წამითაც არ ეპარება თავის ცოდნაში ეჭვი. იცის, რომ სახლშია ალთუნიანი; ის კი არა, ისიც იცის, რომ ნახევარი საათის წინ გაიღვიძა, ადგა, ყავა დალია და რაღაც საქმიანობასაც შეუდგა. არადა, ბინიდან ხმა არ ისმის.

- ალთუნიან, გირჩევნია, გააღო, კარს შემოვამტრევთ! - ახლა უკვე თითქმის ყვირის მთავარი გამომძიებელი, მაგრამ ზომიერად, ხმაურისა და მრისხანების გარეშე. იცის თავისი ყვირილის ფასი. შედეგი მაინც არ არის. თვალთ ანიშნებს თანამშრომლებს და ისინიც ღიჯად ემზადებიან კარის შესამტრევად.

ამასობაში კარი მოულოდნელად იღება - ბინიდან შავი კვამლი გამოდის და კვამლში ჩნდება სამხედრო ფორმაში გამოწყობილი სიმპათიური, ტანმორჩილი მოქალაქე, უღვაშით, სათვალთა და კეთილი ღიმილით.

- ფანჯრიდან დაგინახეთ, ძვირფასო სტუმრებო. სახლში ერთი-ორი ზედმეტი ქაღალდი მქონდა; სანამ ყველა დაეწვი, ცოტა დრო გავიდა და გალოდინეთ. გულწრფელად გწუხვარ. ახლა კი შემობრძან-



დით, კეთილო ადამიანებო და ჩხრიკეთ, რამდენიც გავიხარდებათ! - მთავარმა გამომძიებელმა ამ არაბუნებრივ ბულგაკოვისეულ „კეთილ ადამიანებს“ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ანტისაბჭოთა იდიომებზე ყური გამახვილებული ჰქონდა და ცუდად დაიმახსოვრა.

შებრძანდნენ და საგულდაგულოდ გაჩხრიკეს ბინა. ვერაფერი რომ ვერ აღმოაჩინეს, ყოველი შემთხვევისთვის ხრუსჩოვის ეპოქაში გამოცემული ერთ-ორი წიგნი გააყოლეს ხელს და წაბრძანდნენ, თუმცა წასვლის წინ მთავარმა გამომძიებელმა სიტყვა დააგლო:

- ჩვენ კიდევ დაგბრუნდებით, მაიორო. გარწმუნებთ, იმ საციროკო წარმოდგენით, ამ დილას რომ მოგვიწყვეთ, არაფერი შეიცვლება. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ თქვენი ბედი უკვე გადაწყვეტილია.

მთავარმა გამომძიებელმა, ასევე მაიორმა, თავისი სიტყვა შეასრულა: 1969 წლის 11 ივლისს საბჭოთა არმიის საჰაერო ძალების მაიორი, ჰენრიხ ოვანესის ძე ალთუნიანი, დაბადებული ქალაქ თბილისში 1933 წელს, მცხოვრები ქ. ხარკოვში კოსმონავტების ქუჩაზე, სკკპ წევრი 1968 წლამდე, საბჭოთა უშიშროებამ დააპატიმრა; იმავე წლის 26 ნოემბერს ხარკოვის

საოლქო სასამართლომ სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ეს მისი პირველი სასჯელი იყო.

სასჯელი კრასნოდარის მხარეში მოიხდა. პატიოსანი კაცი იყო და არასოდეს მალავდა, რომ იმ პერიოდში ჯერ კიდევ კომუნისტი, სულ ცოტა, ლენინისტი მაინც იყო. პირველ სასამართლოზე ამტკიცებდა, რომ ნამდვილი ლენინელი თვითონ იყო და არა ვიღაც ჩეკისტი გამომძიებელი. ციხეში მთელი ლენინი წაიკითხა, უფრო სწორად, რაც კი იყო იქაურ ბიბლიოთეკებში. თუკი ლენინის მრავალტომეულს რომელიმე ტომი აკლდა, დიდ სკანდალს ტეხდა და ხელმძღვანელობას იბულებულს ხდიდა, ლენინის ტომები შეეკსოთ. საინტერესო ის აღმოჩნდა, რომ ლენინიდან მარქსზე გადავიდა. და სწორედ მაშინ გაუჩნდა პირველი ეჭვი - მის რწმენას ბზარი გაუჩნდა. ეს ბზარი, ეს ნაპრაღი გაღრმავდა და პირველი სასჯელის მოხდის შემდეგ ციხიდან ჩამოყალიბებული ანტისაბჭოელი გამოვიდა.

კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას არ გამოეპარა ალთუნიანის მეტამორფოზა. არც ის დაუვიწყეს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფში შედიოდა, არც ის, რომ სახაროვის გადასახლებაში გაგზავნას პროტესტით შეხვდა და მეორედ უკვე 70-ე სტატიის მაქსიმუმი მიუსაჯეს, ე.წ. „შვიდს პლიუს ხუთი“ ანუ შვიდი წელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში და ხუთი წელი გადასახლება.

გენრიხა, მეგობრებისთვის „გენჩიკი“, ჰენრიხ ოვანესის ძე ალთუნიანი, იყო ყველაზე კეთილი ადამიანი, რომელიც მე ცნობრებაში შემხვედრია. ჩვენ პოლიტიკურ ბანაკში ჩისტოპოლის ციხიდან მოხტა. ბარამეოს ზონის შემადგენლობის საკუთრივ პოლიტიკური ნაწილის უმეტესობა მას დაუსწრებლად იცნობდა, როგორც აკადემიკოს ანდრეი სახაროვთან და გენერალ პეტრე გრიგორენკოსთან დაკავშირებულ პიროვნებას, როგორც დისიდენტური მოძრაობის ერთ-ერთ ლეგენდარულ გმირს. თავდაპირველად სასჯელს პერმში იხდიდა, მაგრამ იქაც „დაამავა“ და სასჯელი კიდევ უფრო გაუმკაცრეს და ჯოჯოხეთის მერვე წრიდან მეცხრეში ანუ საპრობილემში გადაიყვანეს, რომელსაც პატიმრების ენაზე „კრიტი“ ეწოდება.

ზონაში რომ შემოიყვანეს, რამდენიმე კაცი ვიდევით „კურილკასთან“ და წიკოს ვეწეოდით. უცხო პატიმარი რომ დავინახეთ, ავტომატურად ჩაერთო პოლიტბანაკური ინტელექტუალური თამაში სახელად „გამოიციანი, ვინა ვარ, სად და რამდენ ხანს ვიჯექი“.

- ექვსი თვე სამძებრო იზოლატორში, - გამოთქვა თავისი ვარაუდი სამძებრო

იზოლაციის ნამდვილმა ექსპერტმა ბორია მანილოვიჩმა, რომელსაც პეტერბურგის „კრესტების“ და მოსკოვის ლეფორტოვოს სამხედრო იზოლაციებში ჯდომის დიდი გამოცდილება ჰქონდა.

- ცოტა, - ეჭვი შეიტანა ასევე გამოცდილმა მკვლამელმა მიშა პოლიაკოვმა, რომელსაც წელიწადი და რვა თვე მიმალვაში ყოფნის საპასუხოდ, თითქმის ამდენივე დრო გაატარებინეს იმავე „კრესტებში“. - სულ ცოტა, ცხრა თვე მაინც იქნება, კანის ფერს შეხედეთ და სიარულს დააკვირდით.

- კი მაგრამ, ახლა ხომ ცხრა თვეს არავის სვამენ სამხედრო იზოლაციებში?! - გავიკვირვე მე (პეტერბურგის წინა ეპოქაში, რომელიც, სკკპ გენერალური მდივნის მიხედვით, „ჩერნენკოს ეპოქა“ მოიხსენიებოდა, მოსული პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ გამოძიების პროცესი მაქსიმალურად შემცირდა და სამ თვემდე დავიდა).

- ასეთ სიარულს იაკობსონი მთიულის ბარში სიარულს ადარებს, როდესაც პოეტის პროზაზე ლაპარაკობს, - წამოიწყო ყოვლისმცოდნე ვადიმ იანკოვმა და საქმეში ჩახედული ხალხი ექიმ ჟივოგოზე დააფიქრა, - ნეტავ, ექიმი ხომ არ არის?

- არავითარი ექიმი, აშკარად პროფესიული სამხედროა, - მყარად თქვა ჟორა ხომიზურმა, - სულ ცოტა, კაპიტანი ან სულაც მაიორი მაინც იქნება.

- დგომა და სიარული მართლაც სამხედროსი აქვს, - დავეთანხმე მე და ჩვინივე თანაზონელი მაიორი კუცენკო გამახსენდა, რომელიც მუდმივად „ქართულის“ მოცეკვავესავით წელგამართული დადიოდა.

- ქართველი ხომ არაა? - იკითხა მანილოვიჩმა, - აშკარად კავკასიური იერი აქვს.

- არა, ქართველი არ არის, - თქვა ამ საკითხში ღრმად ჩახედულმა პოლიაკოვმა, - როგორღაც უფრო მოკრძალებულია.

- სომეხს უფრო ჰგავს, - გამოვთქვი ვარაუდი მე.

- არა მგონია, - განაცხადა რაფიკა პაპაიანმა, - ცოტა დაბალია.

- თუ მზერა არ მატყუებს, შარლ აზნავურზე დაბალი არ უნდა იყოს, - განაცხადა მანილოვიჩმა, რომელიც რაიმე კვიპატის თქმის შანსს ხელიდან არასოდეს უშვებდა.

- თავმდაბალი კი ჩანს, მაგრამ დგომაზე ეტყობა, რომ როგორღაც მნიშვნელოვანი ტიპია... თუ სამხედროა და სამხედრო იზოლაციებში ამდენ ხანს აღარ სვამენ, იქნებ „კრიტიკა“ მოდის, იქნებ ამდენი ხანი საპყრობილეში იჯდა? - განავითარა თეორია მიშა პოლიაკოვმა.

- ნამდვილად, „კრიტიკა“ იქნებოდა, სახის ეს ფერი მიიღება მხოლოდ „კრიტიკა“, - დარწმუნებით თქვა მანილოვიჩმა.

- თუ „კრიტიკა“ და სამხედროა, მაშინ გვცოდნია კიდევ ვინაა, - ბრძანა ხომიზურმა და უცნობ პატიმარს დაუძახა:

- მაიორო ალთუნიან, „კურილკასთან“ გელოდებიან.

პატიმარი მოგვიახლოვდა, თავი დაგვიკრა და ღიმილით მოგვაცხენა:

- მაიორი ალთუნიანი ჰენრიხ ოვანესის ძე, დაბადებული თბილისში, სამოცდამეთე მუხლი, „შეიღს პლიუს ხუთი“, ბოლო თავგადასავალი - ჩისტობოლის ციხე, „ადინოჩკა“ (ერთკაციანი საკანი), ცხრა თვე. ყველაფერი გამოიცანით?

- თბილისში დაბადების გარდა ყველა-



ფერი, - გამოუცხადა ჟორამ. ცოტა ხანში ბარაკიდან დანაზოვი რაღაც-რაღაცები გამოვიტანეთ, თურმოსში ასეთი შემთხვევებისთვის გადანახული „სპეციალური“ და საგანგებო ჩაი მოვამზადეთ და ახალი მეგობრის „ოფიციალური“ მიღება ჩავატარეთ.

იმავე საღამოს სამხრეთ კავკასიის ხალხთა ქრისტიანული ფედერაცია კვლავ ხუთამდე შეივსო (დათოს განთავისუფლების შემდეგ ოთხნი ვიყავით დარჩენილი). როდესაც საკითხი კენჭისყრაზე დადგა, წევრობის კანდიდატმა სიტყვა მოითხოვა.

- ამდენ ქართველში თბილისში დაბადებული მარტო მე ვყოფილვარ და თბილისელების გარეშე სამხრეთკავკასიური ფედერაცია შეიქმნათ; თქვენ, ფაქტობრივად, აფერისტები ყოფილხართ! მე რომ არ დავეჭირე მშობლიურ „კავებებს“, რა გეშველებოდათ?!

დისიდენტები და დემოკრატები საერთოდ კარგი ხალხია და ინტერესების სფეროებიც უზარმაზარია, მაგრამ გენრისას გამოჩენამდე საფეხბურთო-საეულშემატკივრო ფრთა მოიკოჭლებდა: იანკოვი სტადიონზე არ იყო ნამყოფი, მიშა, როგორც ნამდვილი ჩრდილოელი, პოკეის „აწვებოდა“, ხოლო ჟორა ხომიზური „ნეფთისა“ და „პასტაკორს“ ერთმანეთში ურევდა. გენრი-

ხამ ყველაფერი შეცვალა: ეს თბილისელი კაცი „დინამოს“ ეულშემატკივარი და ამავე დროს დიდი ბრაზილიელი აღმოჩნდა. ჩვენმა „ბრაზილიურმა დიალოგებმა“ ნელ-ნელა საჯარო ხასიათი მიიღო და მათ ხანდახან ათობით ადამიანი ესწრებოდა.

- გახსოვს თუ არა, ლევანჯან, 1970 წელი? - იკითხავდა გენრისა და იწყებოდა.

- როგორ შეიძლება არ მახსოვდეს 1970 წელი, თუკი ამ წელს მათ ძედუნმა სსრკ ნეოკოლონიალიზმში ამხილა, ბონგ 747-მა პირველი გაფრენა ჩაატარა, პოლ მაკარტნიმ „ბითლზის“ დაშლა გამოაცხადა, სსრკ-ში პირველი „ვაზები“ ანუ „ფიატები“ გამოვიდა, კამბოჯაში მოვლენები დაიწყო, პერუში საშინელი მიწისძვრა მოხდა, მამა-შვილმა ბრაზინსკასმა სოხუმი-ბათუმის თვითმფრინავი გაიტაცა და ბორტგამცილებელი ნადია კურჩენკო შეიწირა, სალვადორ ალიენდე ჩილეს პრეზიდენტი გახდა, სახაროვმა ჩალიძესთან და ტვერდობლებოვთან ერთად ადამიანის უფლებების კომიტეტი გახსნა, ამერიკელებმა მუსი გამოივიონეს, მე სკოლა დავაბათვარე და „გეპეის“ სტუდენტი გავხდი, ხოლო ბრაზილიის ნაკრებმა მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მეხიკოში „ატეტეკას“ სტადიონზე და ჟიულ რიმეს თასი სახლში საშუადადომ წაიღო?

- ფინალში, მგონი, იტალიელებს შეხვდნენ, არა? - იოლად და არტისტულად გამოტოვებდა სხვა მოვლენებს და მრავალმნიშვნელოვნად იკითხავდა გენრისა, თან გარსშემოხვეულ საზოგადოებას განუმარტავდა:

- იმ მომენტისთვის იტალიის ნაკრებიც ორგზის მსოფლიო ჩემპიონი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი ხდებოდა ომამდე, 1934 და 1938 წლებში, თანაც მუსოლინის სერიოზული ჩარევით და ხელშეწყობით.

- ბრაზილიის ნაკრებიც ორგზის მსოფლიო ჩემპიონი იყო, 1958 და 1962 წლებში, მაგრამ 1966 წლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე წარუმატებლობის შემდეგ ბევრი რამ ხელახლა ჰქონდა დასამტკიცებელი.

- მატჩის თარიღი გახსოვს?

- 1970 წლის 21 ივნისი, „ატეტეკას“ სტადიონი, იტევს 100 ათასს, მატჩს ესწრებოდა 108 ათასი მაყურებელი.

- Красиво говорить. დავიწყეთ შემადგენლობებით. მე უფროსი ვარ და შეიძლება უკეთ მახსოვდეს. მაშ ასე, იტალიის ნაკრები: მეკარე ალბერტოზი, მცველები ფაკეტი და ბურენიჩი (მაშინ ასე ამბობდნენ და ახლა იანკოვმა შემისწორა, - ბურენიჩი იქნებოდაო, რბილი ნ-თი), შუტერები: რივერა, მაცოლა, რივა, ბონისენა.

- ფეხბურთს შვიდი კაცი თამაშობს?

- რა გქნა, მეტი არ მახსოვს.

- გავიხსენოთ ბრაზილიელები: მეკარე ფელიქსი, დაცვა: ბრიტო, ევერალდო, კლო-

დუალდო, კარლოს ალბერტო, ნახევარ-დაცვა და შეტყევა: ჟერსონი, ჟაიროზინიო, რიველინო, ტოსტაო, პელე.

- ერთი კაცი გაკლია, - არ შემარჩინა გენრიხამ.

ასე „საუბარში“ ვამდიდრებდით დანარჩენ ზონას საფეხბურთო განათლებით. ჩვენ გან შეიტყვევს პირველად ჟიულ რიმეს და მისი თასის არსებობის შესახებ, კურტ ჰამინის, ტოფი ბაზრამოვის, მარო ზაგალოს, ბეკენბაუერის, კროიფის, ტელე სანტანას, 1982 წლის იტალიური ვენდეტის და ბევრი საფეხბურთო ტყეოლ-მართლის შესახებ.

გენრიხა ბევრი წამოწყების ინიციატორი იყო. ასე მაგალითად, მისი თაოსნობით გაიმართა ზეპირი მოთხრობების საღამო. თითოეული კონკურსანტი უნდა წარმდგარიყო ავტორიტეტული ჟიურის წინაშე მოთხრობით, რომელიც სახელდახელოდ, ექსპრომტად უნდა შეექმნა ჟიურის მიერ მიწოდებულ თემაზე. ჟიურის რომ მეტისმეტი არ მოსვლოდა, სავარაუდო თემები კონკურსანტებმა თავად შეარჩიეს და თითო კონკურსანტმა თითო თემა მიაწოდა ჟიურის. ჟიურის უნდა ეზრუნა, რომ კონკურსანტს საკუთარი თემა არ შეხვედროდა. სულ ეს იყო: კონკურსში გამარჯვებული ტრადიციულ ჯილდოს იღებდა ერთი ასანთის კოლოფი ჩაის სახით.

ჟიურის თავმჯდომარედ ერთხმად დასახელდა ერუდიციისა და განსწავლულობის სფეროში ყველას მიერ აღიარებული ავტორიტეტი ვადიმ იანკოვი. იანკოვმა თანამემწეებად აიყვანა „ლიტერატურის დიდი მეგობრები“ (მისივე განმარტებით), დიდი ფარმაცეპტი არნოლდ ანდერსონი და ლიტვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვიტაუტას სკოლდისი. კონკურსი გაიხსნა. წილისყრით პირველი გამოსვლა ერგო ბორის მანილოვის. ანდერსონმა ხელი ჩაჰყო პატარა ტომარაში, კოხტად დაჭრილი ფურცლებიდან ერთ-ერთი ამოაძვრინა და ზეპირი მოთხრობის სათაურიც დასახელდა. ბორიამ პოეტური ჩანახატი გააკეთა კატა „ციგანის“ შესახებ; ჩანახატმა აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა. სხვათა შორის, შავი კატა „ციგანიც“ იქვე იჯდა და თავს მძიმედ აქნევდა, - აქოლა, ყველაფერი გავიგეო.

გამოვიდა ჟორა, გამოვიდა მე, გამოვიდა ჯონი. ჟორას მოთხრობა ავბული იყო ცნობილ ანეკდოტზე, რომელშიც საბჭოთა დისიდენტს ამერიკაში გადაცემა „ვრემია“ ესიზმრება (სად იყო მაშინ ჩვენი „მოამბე“!). მე აკრძალულ ზონაზე მქონდა ჩანახატი, ზოლო ჯონის ექიმი თამარა მოუწია და ძალიან სამხიარულო რუსულ-ქართული მოთხრობა შეთხზა (რუსული რომ შემოაკლდებოდა, თავხედურად და გაუფრთხილებლად ქართულზე გადადიოდა, რაც აუდიტორიის აღფრთოვანებას იწვევდა).

იყო დიდი სიცილი და მხიარულება.

ბოლოს გამოვიდა გენრიხა. ჩაჰყო ხელი ტომარაში ანდერსონმა და ამოიღო პატარა ფურცელი და უალრესად მნიშვნელოვანი იერით წაიკითხა თემის დასახელება: НАДЗИРАТЕЛЬ ანუ ზედამხედველი. გენრიხამ ითხოვა ნახევარი წუთი და დაიწყო თავისი ზეპირი მოთხრობა:

- მოთხრობას ეწოდება „საუკეთესო ადამიანები“. ერთხელ ერთ-ერთი ჩვენი საყვარელი ზედამხედველი კუთვნილ შეე-



ბულებაში გაემგზავრა. ისიც ხომ ადამიანი იყო? დიასაც, ადამიანი იყო და დედაც კი ჰყავდა. სწორედ ამ დედამ რომ თავისი დიდი ხნის მონატრებული ძვირფასი შვილი დაინახა, წვრილად გამოჰკითხა ყველაფერი - იქითური, აქითური. დიდხანს ისაუბრა დედა-შვილმა. დაილია ორი ლიტრი არაყი, შეიჭამა ორასი გრამი „სალა“ და ნახევარი შავი პური. ჩვენმა ზედამხედველმა ბევრი კი დალია, მაგრამ იგი უბრალო კაცი არ იყო, იგი მართლა „ჩვენი ზედამხედველი“ იყო, ამიტომ საყვარელ დედასაც არ გაუმჟღავნა არც ერთი სახელმწიფო საიდუმლო და, რა თქმა უნდა, არც ის, თუ როგორ ზონაში მსახურობდა. ხანგრძლივი და ნაყოფიერი საუბრის შემდეგ ბოლოს და ბოლოს დედაც მივიდა საბჭოთა სამხარეულოების საერთო, კლასიკურ ტექსტამდე: „ეს რა ხდება, საით მიდის ყველაფერი, სად არიან ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ გადაარჩინონ ქვეყანა?“ აქ თურმე ჩვენმა ზედამხედველმა ვეღარ მოითმინა, ღრმად ამოისუნთქა და საყვარელ დედას მშვიდად უთხრა: „მე ვიცი, სად არიან ეს ადამიანები. მე მათ ყოველდღე ვხედავ. მე მათი ზედამხედველი ვარ“.

პრემია გენრიხას მიენიჭა. გამარჯვებულმა პრემიერებელი ჩაი თერმოსში ჩა-

უშვა, ერთი ასანთის კოლოფი საკუთარი ჩაი დაამატა, „ტიტანიდან“ მღულარე დაასხა და მერე თითქმის ნახევარი საათი „აქორწინებდა“ ჩაის, სანამ სასურველ სიმკერეს არ მიაღწია. პირველი და ერთადერთი ჭიქო, ბუნებრივია, შეისვა ნიჭიერი ავტორისა და მის მოთხრობაში ნახსენები კარგი ადამიანების სადღეგრძელო. სახელდახელო სუფრის თამადა მე ვიყავი და შენიშვნაც მივიღე გამარჯვებულ მოთხრობაზე უფრო გრძელი სადღეგრძელოს წარმოთქმის გამო.

გენრიხა თბილისში, ზემელზე დაბადებული იყო. ამბობდა, - თბილისელიც ვარ და სომეხიც, მაგრამ „თბილისელი სომეხი“ არ ვარ, ეს სხვა ფენომენია, მაგისტოვის ჰავლაბარში უნდა იყო დაბადებული. მისი ოჯახი ყოფილ მოსკოვის, ამჟამინდელ კაკაბაძეების ქუჩაზე ცხოვრობდა და ბავშვსაც სახელგანთქმულ 51-ე სკოლაში დაუწვია სწავლა, მაგრამ სწორედ ამ დროს მამამისი სხვა სამხედრო ნაწილში გადაუყვანიათ და ოჯახი თბილისიდან გადასულა. ზემელი შესანიშნავად იცოდა და ამ თემაზე ჩემთან და ჯონი ლამქარაშვილთან საინტერესო საუბრები ჰქონდა. პატარ-პატარა ქუჩების ამბები იცოდა ზედმიწევნით კარგად და ამით გვაოცებდა. მე, მაგალითად, მისგან გავიგე პირველად, რომ ზემელიდან ჩემ ვეძინის ქუჩაზე მოხვედრა შეიძლება რუსთაველსა და „ახალ გზაზე“ გაუსვლელად. ციხიდან რომ გავთავისუფლდი, გენრიხას აღწერილი მარშრუტი შევამოწმე და ხარკოვში დავეურეკე, - შენი სვლა-გეზით ვისარგებლე და შენი ყოფილი სახლიდან ჩემს სახლამდე ისე მივედი, რუსთაველზე და „ხელა გზაზე“ გასვლა არც მიფიქრია-მეთქი.

ჩემგან გაიყო შესანიშნავი თბილისელი მწერლის, ავასი აივაზიანის სახელი. ის საოცარი მოთხრობაც, „ავლაბრის სახარება“ მე მივეცი წასაკითხად. ორი დღის შემდეგ დამიბრუნა და მითხრა, - აღარ მიწინაა, ზეპირად ვიციო. დიდი მოთხრობა არ არის, მაგრამ მე, როგორც უკვე საკმაო გამოცდილების მქონე პედაგოგმა, სიტყვა „ზეპირად“ მაინც „ტექსტთან მიახლოებითის“ სინონიმად აღვიქვი, სანამ არ დაიწყო გენრიხამ:

„ავლაბრიდან ყველაფერი ჩანს. მიელი თბილისი თავისი ქუჩაბანდებით: შათიან-ბაზარი, ერენის მოედანი, საპნის ქუჩა, ნარიყალა, წმინდა სარქისის ეკლესია, სიონი, ბერძნული ეკლესია... ავლაბრიდან ჩანს სახლები ბატონების ხატისოვისა, მელიქკაზაროვისა, ქარვასლა თამაშევისა, თეატრები ტერ-ოსიპოვისა და ზუბალოვისა, გოვირდის აბანოები“...

გენრიხას განსაკუთრებით მოეწონა სარქისოვის ღვინის დუქანი, სადაც „დათობა ღირს აბაზი“. ეს იმას ნიშნავს, - წერს

აივანბანი, - „ღვინო კი არ ღირს აბაზი, აბაზი ღირს ღირს ღვინოში ჩახრჩობა. დალიე, რამდენსაც შეძლებ, გადაიხადე მხოლოდ აბაზი“. ეს მოთხრობა მირზა ასატურიანის უიღბლო სიყვარულზე გენრიხას სხვისთვისაც ხშირად წაუკითხავს იმის დასადასტურებლად, რომ სიყვარული უადრესად საპასუხისმგებლო საქმეა, რომ საყვარელმა ქალმა შეიძლება ავამენოს და შეიძლება, უბედური ასატუროვისა არ იყოს, საქვეყნოდ თავი მოგჭრას. არადა, დიდი სახელი ჰქონია მანამდე ასატურ ხანს, ის ყოფილა „ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ნასწავლი, მოსიარულე ბიბლიოთეკა იყო, რა! სოლოლაკში სომხურად ლაპარაკობდა, ვერაზე - ქართულად, ეკლესიის ეზოში - გრაბარზე, სირაჩხანის ოსტატებთან - აშხარაბარზე, სასახლის მოედანზე - რუსულად, თურქულ მეიდანზე - სპარსულად, აგურის მოედანზე - გერმანულად, ავლაბრელებთან კი - ავლაბრულ ენაზე“.

აქ ჯონი ლაშქარაშვილი ჩაერთვებოდა და ეტყობა:

- რა ბევრი ენა გაქვთ, კაცო, - ეს სომხურიო, ეს გრაბარიო, ეს აშხარაბარიო, ეს ავლაბრულიო და ამდენ ენაზე სულ ტირითო.

- ეგ ჩემზე არ ვრცელდება, ჯონიჯან, მე მხიარული კაცი ვარ, „ადინოჩკაში“ ნოდარ ღუმბაძეს ქართულად ვკითხულობდი და სიცილით ვკვდებოდიო.

- როგორ, ყველაფერი გეხმობდა? - არ ენდობოდა ჯონი.

- რა უნდა ყოფილიყო გაუგებარი? სერაფიონმა რომ გოჭები დაყარა, თუ ილარიონმა რომ მურადა გააგორა?

- რაკი ნოდარ ღუმბაძე გიყვარს, ამ ჩვენ სამხედრო დამნაშავეებზეც აქვს ერთი ფრაზა დაწერილი და ბარემ ისიც იცოდე, - ვუთხარი მე. როცა ტყვედ ნამყოფი ქართველი დაკითხვაზე მიიყვანეს, მან ასეთი განცხადება გააკეთა: „რა ვიცი, ბატონო, რაფერ ჩავვარდი პლენად. საჯავახოში სამხედრო კომისარმა ეგვინა კუტუბიძემ რომ ჩამსვა ვაგონში, მერე გერმანელმა გამიღო კარი“.

გენრიხა ამ დროს ჩაის სვამდა. გადაცდა ჩაი, შეეკრა სუნთქვა, გადაფიჩინდა და მოსასულიერებელი გაგვიხდა: სიცილისგან კინაღამ მოგვიკვდა კაცი. შემდეგ ამ ამბავს სამხედრო დამნაშავეებს უყვებოდა, მაგრამ ვერავინ გააცინა, - ეტყობა, „პლენში“ ჩავარდნაზე სიცილი მარტო კუტუბიძის გაგზავნილ თუ სახლში დარჩენილ გურულებსა და მხიარულ გენრიხას შეეძლო.

თავისუფლებაში ყოფნის წლებში „მინოსს“, ნახვა მოესწრო და შესაბამისი დიალოგები, რა თქმა უნდა, ზეპირად იცოდა. ასე რომ, მე და გენრიხა ხშირად ვიყენებდით ამ „კინოენას“.

- Леван-джан, я тебе один ум-

НЫЙ ВЕЩЬ СКАЖУ, ТОЛЬКО ТЫ НЕ ОБИЖАЙСЯ, - იწყებდა გენრიხა ფრუნზიკას სტილიში და რამე ჭკუის სასწავლებელ და სულის მსხნელ ამბავს მოაყოლებდა. თუკი რაფიკას რაიმე შეეშლებოდა, გენრიხა ჩასაფრებული იყო და ეტყობა, - შენისთანები არცხვენენ რესპუბლიკასო. ნეტავ ამ ფილმის დიალოგები ვინ დაწერა, წერის დროს ცოცხალი როგორ გადარჩა და სიცილით როგორ არ გაიფუტა, - უკვირდა. რეზო გაბრიაძეა სცენარის ავტორი-მეთქი,



- რომ ვუთხარი, გაეხარდა, - ეს კაცი მოსკოვიდან ვიციო; მაგრამ საიდან და როგორ იცნობდა, არ უთქვამს.

ასეთი კაცი იყო, ზედმეტს არ იტყოდა. არადა, ამკარად კარგი შემადგენლობიდან იცნობდა გაბრიაძეს.

ერთხელ კონიაკზე საუბრისას ვკითხე, - რატომ გიყვართ სომხებს კონიაკი და, საერთოდ, ფრანგებისადმი სიმპათია საიდან მოდის-მეთქი. ოლონდ ახლა ჭკვიანურს გეტყვი და არ გეწყინოს, ზოგიერთებივით „დ არტანიან, ტრენტინიან“ თეორიები არ განავითარო-მეთქი.

- Обижаетесь, ლევანჯან, რაში მჭირდება გასკონელები? არც ისინი და არც ფრანგები ჩვენი სისხლით ნათესავეები არ არიან და რომც იყვნენ, როგორც ინდოეზობელები, ძალიან შორეულები გამოდინან. უბრალოდ, კონიაკი „სომხური“ ფენომენია, თუმცა მის წარმოშობაში ჩვენი ხელი არ ურევია. XVI საუკუნის ბოლოს სახელგანთქმული ჰუატუ-მარანტას ღვინო ჭარბწარმოების გამო გაფუჭებულა და ტრანსპორტირებს ვერ უძლებდა. ფრანგები გლეხები იყვნენ და ვაჭრებად, ასე ვთქვათ, „სომხებად“ ჰოლანდიელები ჰყავდათ. ჰოლანდიელებმა, როგორც ვაჭრებმა, გადაწყვიტეს, ღვინისგან ბრენდი გამოეხ-

დათ და შემდეგ ეს ბრენდი წყალში გაეხსნათ, რომ ისევ ღვინო მიეღოთ. შედეგი სულ სხვა აღმოჩნდა! ჰუატუ-მარანტას მთავარი ქალაქი კი კონიაკი იყო, ღვინისა და მარილის სამშობლო. ტრანსპორტირების სათრით ფრანგებმაც გამოხადეს ბრენდი და თავისი ქალაქის სახელი დაარქვეს. ჰოლანდიელებისგან დისტილაცია ისწავლეს და ამ საქმეში მასწავლებლებს აჯობეს. შემდეგ კი, XVII საუკუნეში, პირველებმა მსოფლიოში ორმაგი დისტილაცია განახორციელეს. ასე რომ, კონიაკი მეზავრობაში შელახულმა, უხარისხო ღვინომ შვა. თქვენ, ქართველებს, დღემთა კარგი ღვინო მოგცათ და კონიაკს რა თავში იხლით, კონიაკი ვაჭრების სასმელია. თან არასდროს ფუჭდება, დიდხანს ინახება. ახლა ხომ ხვდები, რატომ გვიყვარს სომხებს? ჩვენი კონიაკი მეორეა მსოფლიოში. და ეს ის შემთხვევაა, როცა სიმართლეს ვამბობთ.

გენრიხა უამრავ ზონასა თუ „პერესილკაში“ (საეტაბო ციხეში) იყო ნამყოფი, უამრავ პატიმართან იყო შენახვედრი, გასაოცარი ამბები იცოდა. იანკოვმა იცოდა, რომელ წიგნში რა ეწერა, ჯონიმაც იცოდა, რომელ ქვეყანაში რამდენი კაცი, ქალი თუ ბავშვი ცხოვრობდა, ხოლო გენრიხამ იცოდა, რომელ ქალაქში, სოფელში, ქუჩაში, უბანში, რაიონში, რეგიონში თუ კონტინენტზე რა ხდებოდა, რითი სულდემულობდა ხალხი. როგორც ნამდვილი კაკკასიელი, ბევრ ამბავს ინახავდა, რომ უნიკალურ სადღეგრძელოში ჩამოეყალიბებინა. რომელიც ციხეში შეხვედრია კიევის ყოფილ პროკურორს, რომლის მოთხოვნითაც, მოსამართლეს ისეთი განაჩენი გამოუტანია, რომ მრავლისმანახველი ჩვენი გენრიხაც კი გაუოგნებია: ერთ ძალიან მშფოთვარე წელს ადამიანს ხუთი წელი მიუსაჯეს იმისთვის, რომ იგი „საკოლმეურნეო წყობის ავტორიტეტს ძირს უთხრიდა იმით, რომ ახალი ჩექმები ჰქონდა და მაინც ძველებით დადიოდა“. მამ შევსვათ, მე-გობრებო, ძველი ჩექმებისა და ლევან ბერძენიშვილის ვალინკების სადღეგრძელო, - დაასრულა გენრიხამ (მალე უნდა გავთავისუფლებულიყავი და ჩემ ვალინკებს ბევრი შეჭყურებდა მუშტრის თვალით).

დარწმუნებული ვარ, რომ გენრიხა ბრწყინვალე პედაგოგი იქნებოდა. ზღაპრული ახსნა იცოდა და მეტად ცოცხალი და ხატოვანი „მიწოდება“ ჰქონდა, არასოდეს ართულებდა სათქმელს და „ბრძნული“ ბუნდოვანება ეზიზნებოდა. ხარკოვის უმაღლესი საავიაციო საინჟინრო სასწავლებლის მასწავლებელ, ავიაციის მაიორ ალთუნინან ფართო დიაპაზონის ლექციები ექნებოდა. საერთოდ, ფართო ხედვა ჰქონდა, კონტექსტის დამახავი და დამფასებელი კაცი იყო. ერთხელ მკითხა, თუ გიფიქრია,

რომ რუსთაველი და რიჩარდ ლომეული ერთი ეპოქის ადამიანები იყვნენ და შეიძლება ერთმანეთს იცნობდნენ კიდევცო, საერთო ნაცნობები ხომ ნაღდად ეყოლებოდათ, როგორც შენ და აკადემიკოს სახაროვსო (ჩემზე იმდენად მაღალი აზრის იყო, რომ მისი წიგნის ჩემდამი მიძღვნილი ნაწილის ციტირება მერიდება კიდევც).

ბევრი საშინელება ჰქონდა ნანახი და გამოვლილი, მაგრამ იუმორის გრძნობა არსად დაუკარგავს. ჩემთვის უთქვამს: ჩისტოპოლის ციხის კარცერში მთელი თვე მაქვს გატარებული და იმაზე სასტიკი რაღა უნდა მენახა ცხოვრებაშიო, მაგრამ ზიკომ რომ საფრანგეთთან პენალტი გააფუჭა, იმან რომ სული მომიშხამა, იმასთან შედარებით ჩისტოპოლის ციხის კარცერი სამოთხედ მომეჩვენაო.

პოლიტიკურ ბანაკში ფორმალურად ყველა თანასწორი იყო, მაგრამ შინაგანი, ფარული იერარქია მაინც არსებობდა. იერარქიას პატიმრების სულიერი სამყარო და ღირსება განაპირობებდა, მაგრამ იყო სხვა კრიტერიუმებიც, მათ შორის პირველი ადგილი კი სასჯელის სიდიდეს ეკავა. რა თქმა უნდა, პატიმარი, რომელსაც სამოცდამეათე მუსხლით გათავალისწინებული სასჯელის მაქსიმუმი, სახელგანთქმული „შვიდს პლიუს ხუთი“ ჰქონდა მისჯილი, განსაკუთრებული პატივისცემით და მოწიწებით სარგებლობდა. და თუკი ამ შვიდიდან ვინმეს ნაწილი საპყრობილეში ჰქონდა გატარებული, მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო იზრდებოდა.

გენრიხა ყველა ამ ნიშნით იერარქიის სათავეში უნდა მდგარიყო, მაგრამ არასოდეს მდგარა, იერარქიული სიმაღლე არ იტაცებდა, თავისი მდგომარეობით არ სარგებლობდა და თავს არავიზე მაღლა არ აყენებდა, ერთდროულად ღირსეულიც იყო და მორიდებულიც, მოკლედ, გენრიხას ჰქონდა ის, რაზეც რუსები ამბობენ, - ვერ დაღვევო; ჰენრიხ ალთუნთან ჰქონდა კლასი: КЛАСС НЕ ПРОПЕШЬ!

საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ

უკრაინის რადის პირველსავე არჩევნებზე ქალაქმა ხარკოვმა თბილისში დაბადებული სომეხი კაცი უკრაინის სახალხო რუხის სიით თავის დეპუტატად აირჩია. მისი მოგონებები - „თავისუფლების ფასი“ ერთ-ერთი საუკეთესო მემუარული წიგნია, რაც კი ყოფილ საბჭოთა დისიდენტებს დაუწერიათ. და ძალიან კეთილი. ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა ისიც კი თქვა, - ამ წიგნის წაკითხვა შეუძლებელია, მასში ხომ ყველა კარგი გამოდისო (გენრიხამ გაიხსენა



მხოლოდ ის ხალხი, რომელიც უყვარდა და არც ასხენა ისინი, ვინც ამის ღირსად არ მიიჩნია).

ძალიან ბევრი რამ გააკეთა ყირიმელი თათრებისთვის. არაფერი აკავშირებდა მათთან - არც სისხლი, არც კულტურა, არც აღმსარებლობა, არც ტერიტორია. უბრალოდ, იცოდა, რომ მართალი იყო ხალხი, რომელიც საქონელივით ვაგონებში შეყარეს და გადაასახლეს. ამ სიმართლისთვის იბრძოდა და ამიტომ იხსენებენ ასეთი პატივისცემით ღღემდე ყირიმში. ყირიმელი თათრე-

ბის ლიდერი, სახელგანთქმული დისიდენტი მუსტაფა ჯემილიოვიც მას მუდმივად თავის საუკეთესო მეგობრად მოიხსენიებს.

უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის დღეებში გენრიხ ალთუნთან მეიდანზე შეკრებებს სიტყვით მიმართა: „ის მოვლენები, რაც ახლა მიმდინარეობს, ცხოვრებაში ერთხელ ხდება. და ერთხელ ცხოვრებაში უნდა იყო ადამიანი!“ ხალხი ალფრთოვანებით შეხვდა ამ სიტყვების ავტორს, რომელ ისთვისაც, მათგან განსხვავებით, „ერთხელ“ კი არ მოხდა რევოლუცია, არამედ ყოველდღე ხდებოდა და რომელიც „ერთხელ“ კი არა, მთელი ცხოვრება იყო ადამიანი.

გული ბევრჯერ ატკინეს. როდესაც უკრაინის ჰიმნს იღებდნენ, დისკუსია ყოფილა ტექსტის გამო; ისეთი ვერსია განიხილებოდა, სადაც ზოგიერთი ხალხი, რომელიც უკრაინაში უკრაინელების გვერდით ცხოვრობს, არცთუ სახარბილოდ ყოფილა მოხსენიებული. გენრიხას უთქვამს, - ჩემი აზრით, ასეთი ჰიმნი არ შეიძლება ევროპულ დემოკრატიაზე მეოცნებე ქვეყანას ჰქონდესო, და რომელიც „ძირძველ“ უკრაინულ ქალბატონს, ასევე დისიდენტს, უკითხავს, - შენ მაინც რაში გადარდებს ეგ ამბები, შენ რატომ უნდა გეხებოდეს ჩვენი ჰიმნის საქმეო?

გენრიხ ალთუნანი 2005 წლის გაზაფხულზე მოულოდნელად ცუდად გახდა და სასწრაფოდ ისრაელში გადააფრინეს - ამ საქმეში ალბათ მისმა პერმელმა თანაზონელმა და მეგობარმა, შემდგომში ისრაელის მთავრობის ერთ-ერთმა მინისტრმა, ნათან შარანსკიმაც შეასრულა თავისი როლი. თვითონ ოპერაციამ თითქოს წარმატებით ჩაიარა, მაგრამ განვითარებულ სეფსისს პერმის 1 36, ბარაშევის №X 385/3-5 ბანაკში და ჩისტოპოლის საპყრობილის გაყინულ კარცერში დაუძლეურებული ორგანიზმი ვეღარ გაუმკლავდა. მუდმივად ხალხში მოტრიალე გენრიხა, რომლისთვისაც თბილისიც სახლი იყო და ხარკოვიც, უცხოეთში, მარტოდ დარჩენილი წავიდა იმქვეყნად. ■

ჩვენი მუშაობა მთელი მერაზ ზომიერებით

მსხვილი პარამეტრული მენაგის მკურნალობის
პასლმის და მშლანა მშლანის მითლი

ლხუიის

2177 65th st.
Brooklyn, NY 11204
1-718-238-1555

თქვა ქინაზ ზომიერის

VEIN & LASER CENTER

ტკივილის გარეშე!
ნაწიბურების გარეშე!
ნარკოზის გარეშე!



გიოხგი კაკაყხიძე



აპირველი დაქორწინებას?

ან გსურთ რომ საკუთარ თავს, ან მეგობარს საჩუქარი გაუკეთოთ და შეიძინოთ სუფთა და ხარისხიანი ბრილიანტი ან ბრილიანტით გაწყობილი სამკაული ან ბეჭედი თქვენთვის?

გთხოვთ მობრძანდეთ
55 West 47th Street, Mezz 330
New York, NY 10036

ან დაგვიკავშირდეთ: 646-755-4591
ჩვენ შეგვიძლია დაგიმზადოთ ბეჭედი ან სამკაული თქვენი დიზაინით.

ბარნაშენობა,

ჩვენი ფასები საგრძნობლად მისაღები იქნება თქვენთვის.



შემეცნებით-საზოგადოებრივი
ჟურნალი ამერიკაში

მამული მარტი,
2015

მთავარი რედაქტორი **მანუჩარ კატახიძე**
EDITOR&PUBLISHER **MANUCHAR KATCHAKHIDZE**

გარეკანზე:
ლიანა ჟღენტაძე, საქართველოს
გენერალური კონსული ნიუ-იორკში.

ჩვენი მარტინოვიჩი: **ანაპალ-ანსაპალი**
მომხმარებელი: PO Box 13121, Jersey City, NJ 07303
ტელ.: 1-347-724-0770; თბილისიდან: 2-420-320
ელფოსტა: mamuliusa@gmail.com; www.mamuli.com

ვირუსისგან გაფრთხილება

თუ შეამჩნევთ, რომ თქვენი კომპიუტერი არ ფუნქციონირებს ისე, როგორც ადრე, შესაძლებელია კომპიუტერი ინფიცირებული იყოს ვირუსებისგან, Malware, Spam ან კიდე keylogger ისგან, რომელსაც ესაჭიროება გაწმენდა;

სადენის უზრუნველყოფა

ხშირ შემთხვევაში ლეპტოპის სადენი ხიანდება სხვადასხვა მიზეზის გამო და შეუძლებელი ხდება ბატარეაზე დენის მიწოდება. ესაჭიროება შეკეთება;

მიკროსისტემების გამოსწავლა

ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერ ლეპტოპს ან დესკტოპს გამოვუცვალოთ დაზიანებული მიკრო-სისტემა და დავაბრუნოთ მუშა მდგომარეობაში;

კლავიატურის გამოსწავლა

თუ თქვენს ლეპტოპს ესაჭიროება კლავიატურის გამოცვლა, ჩვენ მზად ვართ დაგეხმაროთ ნებისმიერი მოდელის კლა-

„მამული“ მიგობარია:

კომპიუტერების ექიმი

www.mycompwiz.com; 1-908-361-9590 აკაკი ჯიქია

ვიატურის გამოცვლაში. თუ ფიზიკურად არ ხერხდება ჩვენამდე მოსვლა, დაგეხმარებით საფოსტო მომსახურებით;

ფენის გამოსწავლა

თუ თქვენი ლეპტოპი ითიშება ხშირად უმიზეზოდ, შესაძლებელია ფენი იყოს დაზიანებული ან გამოსაცვლელი. გათიშვის მიზეზი შესაძლებელია გადახურებამაც გამოიწვიოს და თავისით გათიშვის დაცვის მიზნით. მოულოდნელმა გათიშვამ შეიძლება ვინჩესტერიც დააზიანოს, ამისათვის დროულად უნდა შეკეთდეს;

ვირუსის გამოსწავლა

არასწორმა მოპყრობამ ადვილად შესაძლებელია ლეპტოპის ეკრანი დაზიანდეს და საჭიროებს გამოცვლას;

ფაილების აღდგენა

ფაილების დაკარგვის შემთხვევაში, ვინჩესტერის გაფუჭების, „USB flash drive“, „External hard drive“, „IDE“, „SCSI hard drive“, „SSD“ ჩვენი პარტნიორის ლაბორატორია საშუალებას გვაძლევს, რომ მოვიპოვოთ ის დაკარგული ინფორმაცია, რასაც ჩვეულებრივი „recovery“ პროგრამა ვერ აკეთებს;

ჩვენ შეგვიძლია ინტერნეტით, თქვენთან მოუსვლელად დაგუკავშირდეთ კომპიუტერს.

ჩვენი მომსახურება გარანტირებულია, ვინაიდან პროფესიონალურად ვეკიდებით ჩვენთვის დაკისრებულ მოვალეობას და შესაბამისად, მომხმარებლებიც ბედნიერია ჩვენით.



Barami
LOGISTICS



**აბანათების
გამოგზავნა
სამართველოდან**

www.barami.us 1-201-333-5555